

ବ୍ୟାକ୍‌କେବଳୀ

ଜାଣିବା

K 77.007
3

କୃତ୍ୟା

ରୂପ

କମନ୍ୟା



საბაკეთის ელი



100.00 ₾
3



მუსიკა და მოვალეობა



საბაკეთის ელი

1957

თურქულიდან თარგმნა
ნოდან ჯანაშიამ



სპეც-2000
შეგოვდებულია

თირკმაღლი

ძველი ნიგდელი¹ სამოქალაქო მოხელე ავნი აკბულუთი ხელში სანოვაგის კალათით სირქეჯის² სასტუმროს „მშვენიერი ნევშეპირის“ ვიწრო კარში შევიდა. უკან მუშა მოპყებოდა. ცალ მხარეს ჩამწერივებულ მარმარილოს მაგიდებთან, რომლებიც კიდევ უფრო ავიწროებდნენ იქაურობას, ჩაის სვამდა რამდენიმე პროვინციულად ჩატარდა. ავნი აკბულუთი კუთხეში შეჩერდა შუშაბანდიან ტიხრთან და სუსტი, ძლიერ გასაგონი ხმით მდივანი იყითხა. ტიხრის უკან, რომელიც ერთ პატარა კაცსაც ძლივს დაიტევდა, იჯდა ვეება დავთარში თავ-ჩარგული, შეა ხნის, მელოტი, სათვალიანი კაცი. იგი წელში გაიმართა და ახალმოსულს მიუბრუნდა:

— მობრძანდით, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება.— ავნი ამასობაში იქვე ჩამომჯდარიყო სკამზე და შუბლზე წურწურით ჩამონადენ ოფლს იწმენდდა. ოფლად დაღვრილ მუშას ღვედებდამწყდარი და თოკებით შეკრული ჩემოდანი მხრიდან ჩამოესხნა. სასტუმროს მდივანში ნახა, რომ ახლადმოსული დაღლილ-დაქანცული იყო და გამოელაპარაკა:

— არა უშავს, მალე გაგივლით. ავადა ხართ, არა?

— დიახ, — უპასუხა ავნიმ, — ქანცი გამომელია. გზა
გრძელი გამოდგა და სტამბოლშიც კარგა მაგარი სიცხე სცოლ-
ნია!

მდივანი ერთ ხანს დაფიქრდა, შეათვალიერა სტუმარი, რო-
მელიც ძლიერ სუნთქვავდა და განაგრძო:

— წესით თქვენ ახლა ერთსაწოლიანი ოთახი გერგებათ,
მაგრამ ყველა დაკავებულია. მხოლოდ მეთორმეტე ნომერშია
ერთი თავისუფალი საწოლი. თქვენი მეზობელი სერიოზული
და დინჯი მუსლიმანია. მის წასვლა-მოსვლას ვერც კი გაიგებთ.
საწოლის ქირაც, რასაკვირველია, ნაკლებია.

ავაღმყოფი, ორი ღლის ნამგზავრი ავნი მხოლოდ წამოწო-
ლასა და მოსვენებაზე ფიქრობდა.

— სადაც იქნება, იყოს, შენ ოღონდ ოთახი მაჩვენე! —
უთხრა მან. შემდეგ მუშას ანგარიში გაუსწორა, პირადობის
მოწმობა მდივანს გადასცა და მასთან ერთად ზემოთკენ აპყვა
კიბეს. კიდევ კარგი, ოთახი პირველ სართულზევე აღმოჩნდა.
შავებიანი, მსუქანი ქალი, რომელსაც ფეხზე ფოსტლები და
ძირგამოხეული შავი წინდები ეცვა, იატაქს წმენდდა. მან კაბით
შეიშრალა ხელები და მდივნის ბრძანებით მეთორმეტე ნომ-
რის კარი შეაღო. საბანი გადასწია და — ჯერ კიდევ სუფთაა;
მობრძანდითო, — უთხრა. ბიჭმა, რომელმაც ზურგით ჩემოდანი
შემოიტანა, მარმარილოსთავიანი კამოდიდან სურა გადმოიღო
და ახალი წყალი შემოიტანა. შემდეგ ერთხმად მიმართეს ავნის:
კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, დაწექით და მოისვენეთო, —
და სამიერი გარეთ გავიღნენ.

გაუხდელად დაეგდო აქბულუთი ლოგინზე და მაშინვე და-
ძინა.

რაღაცის ჭრიალზე გამოღვიძებულმა ავნიმ პირველად ჰერ-
ზე ჩამოჟიდებულ, ბუზების მიერ წაბილწულ, ელექტრონის
მბეუტავ ლამპას მოჰკრა თვალი. დაღამებულაო, გაიფიქრა,
თავი მიაბრუნა და დაინახა თავისი ოთახის მეზობელი, ორმოც-
დაათოოდე წლის კაცი, რომელსაც მოქლე წვერი მრგვლად
ჰქონდა შეკრეპილი. ჩაცმულობით ის ანატოლიელს ჰგავდა:
ფეხსაცმელები გაეძრო და ჭრიალა ბაღიან საწოლზე წამოწო-
ლილიყო. ავნიმ ცოტა წამოიწია. მეზობელმა, რომელმაც გაღ-

ვიძებული ავნი დაინახა, წვერზე ხელი გადაისვა და მხალეობა
სულს გამოელაპარაკავა:

- გამარჯვებით გივლია, სადაური ხარ?
- გავიმარჯოს, — უპასუხა ავნიმ, — ნიგდელი ვარ.
- რას ამბობ, კაცო, მე ბორიდან⁴ ვარ.
- ძალიან სასიამოვნოა. ვინა ბრძანდებით?

მალე დამეგობრდნენ კიდეც. წვერიანში უამბო, რომ ის ჩემირად დადის ნიგდეში და იქ ბევრი ნაცნობიცა ჰყავს. ქალა-შვილიც ერთი ნიგდელი კაცისთვის მიუთხოვებია. — ქორწინების მოწმობას რომ ვიღებდი, ალბათ მაშინ მცყოლები ნანახი, ძალიან მეცნობიო, — უთხრა მან ავნის. გამოიჩივა, რომ ეს მოკლეწვერიანი კაცი ვაჭარი იყო: თავისი მშობლიური მხრიდან ვაშლის ჩირს, ლობიოს და მუხულოს ეზიდებოდა, აქედან კი ტომრებს, ფეხსაცმლის საძირე ტყავს, ლურსმანსა და ნალებს აგზავნიდა. ლვთის წყალობით კარგად მიუდიოდა საქმე. მაგრამ ამას წინათ რამდენიმე ავადმყოფი ნათესავი ჩამოუკიდა სოფ-ლიდან და მათს ექიმებთან ტარებაში საქმე უპატრონოდ დაურჩა; სხვა კი წაგლეჯაზეა მგელივით, შენსას რას დაეძებს. კარგი და პატიოსანი ექიმის პოვნამდე ბევრი უხერიალიათ, დიდი ხარჯი უნახავთ. ღმერთმა დაიფაროს და თუ კაცი ვინმე ურჯულოს ჩაუვარდა ხელში, ისე გასცლის ჯანისა და ქონებისაგან, რომ ვერც კი გაიგებს.

როცა საუბარი ავადმყოფობასა და ექიმებზე ჩამოვარდა, ავნი აკბულუთსაც გაეხსნა ენა. ისიც სტამბოლში ჩამოვიდა, რომ სატკივრისათვის რაიმე წამალი გამოენახა. სამი წელია თირკმელი სტკივა. ყოველგვარ საშუალებას მიმართა, ოლონდ ამ ტკივილებისაგან დაეღწია თავი. ამ ერთი წლის წინ კაისერის⁵ საავადმყოფოში იყო. რენტგენზე გააშუქეს. ექიმმა უთხრა: თირკმელში ქვა გაქვს, უსათუოდ ამოალებინე, თორემ ძალიან დიდია და წამალი ვერაფერს უზამსო. ავნიც ცოლ-შვილს დაემშვიდობა და საოპერაციო მაგიდაზე დაწვა. ხუთი-ექვისი თვე მოსვენებული იყო. ახლა კი სენი შეორე თირკმელზე გადასულა. ხელახლა გაშუქებისას მარჯვენა თირკმელში ორი ქვა უნახეს ერთად. ბოლოს კაისერელ ექიმსაც აღარ ენდო და სტამბოლს მოაშურა.

— აქაური პროფესორებიც ვნახო, ერთი, რა შეიძლებია. კან-
სერელი ოპერატორი ცუდთარი იყო, მაგრამ სერიოზულად რომ
მოჰკიდებოდა საქმეს, მაშინ ავადმყოფობა მეორე თირკმელზე
აღარ გადავიდოდა. ბოროტების ძირს მიაგნო, რომ იტყვიან,
მაგრამ ვერ მოთხარა. დიეტაზე იყავიო. ჭამა-სმაზე ხელი ამე-
ლო და შემდეგ მუცელი გამომეფატერინებია? ხორცი არ ჩაიდ-
ვა პირშით. ერთი მითხარ, უხორცო საჭმელს აბა რა გემო აქვს?
ბევრი რომ არ გავაგრძელო, ჩვენებურმა მთავრობის ექიმშა
თავის აქაურ მასწავლებელთან წერილი გამომატანა, წადი და
ეჩვენეო. თუ საჭირო იქნა, ოპერაციასაც გაგიკეთებს და ძი-
რიანად მოთხრის შენს სნეულებასო. მეც ჩემს ოჯახს საზრდო
მოვაკელი და აქეთ წამოვედი. რას იზამ, მთავარი ჯანმრთე-
ლობაა. ეს აქაური ექიმი პროფესორი ყოფილა.

მოკლეწვერა კაცი ყურს უგდებდა ავნის ნაამბობს და მის
სახეზე გამოხაჩული ღიმილი თითქოს ამბობდა — ვიცნობ,
ვიცნობ მაგათ ყველასო. პროფესორის ხსენებაზე მან წარბი
შეიქმუხნა და თითქმის ბრაზმორეულმა მკაცრად იკითხა:

— სახელი რა ჰქვია იმ პროფესორს?

— „სიცოცხლის ღმერთს“ ეძახიან, ოსმან ბეის.

თითქოს რაღაცა საშინელება დაინახაო, მოკლეწვერიანმა
კაცმა თვალები დაქციტა, ზეზე წამოიჭრა და იყვირა:

— არ გეცოდება შენი ტკბილი სული? ვინ გითხრა მავ ყას-
ბის სახელი? ნამდვილად წინასწარ ჰქონიათ პირი შეკრული.
ჩემთან ნუ ახსენებ იმის სახელს, ცუდად ვხდები ხოლმე. სულ
რაღაც ორი კვირის წინ ლომივით ვაეკაცი ძმა მომიჯლა. განა
ნახულა, რომ მის დანას კაცი გადაერჩინოს? ამას გარდა, ტყავს
აძრობს ხალხს. ათას ლირაზე ნაკლებ მუწესაც კი არ გამო-
გირწყავს.

ავნიმ ლაპარაკი შეაწყვეტინა:

— ჩვენ მაგდენი ფული სადა გვაქვს, მთავრობის საავად-
მყოფოში წავალ. ის პროფესორი ძირითადად იქ მუშაობს.

ბორელი ისე მიუახლოვდა ავნის, როგორც მგრძნობიარე
მამა, რომელიც ცდილობს აარიდოს გამოუცდელი შვილი მოუ-
ფიქრებლად გადადგმულ ნაბიჯს, და გულმოღვინედ, მბრძანე-
ბლური კილოთი დაუწყო ლაპარაკი:

— კიდევ უარესი. ადამიანის სიცოცხლე, შენ რომ საჟადა-
მყოფოს ამბობ, სწორედ იქ ისპობა. როგორც ჩანს, წარმოდგე-
ნა არა გაქვს იმ ექიმებზე... იქ, ძმაო, ავადმყოფებს არ უვლიან,
ახალგაზრდა ექიმებს ავარჯიშებენ. თუ ერთხელ ჩაუვარდი
იმათ ხელში და თავის დაღწევა შესძელი, ყოჩალ, ძმაო! იმათ
გასაკვეთი ხალხი სჭირიათ. ადამიანს მუცელი თუ გაუკრეს,
შერე მორჩა... წასულია იმისი საქმე... იქ წესია ასეთი... ახლად
გამოჩეკილი ექიმები სინჯავენ ავადმყოფს და მასზე სწავლო-
ბენ საღი და ავადმყოფი ადგილების გარჩევის. შენ რომ ამბობ,
ის პროფესორი ავადმყოფს ხელსაც არ ჰქიდებს. ბუზივით
გარშემოხვეულ გოგო-ბიჭებს ეუბნება — აქ გაკვეთე, იქ გაქ-
ვეთეო — და ის უვიცებიც დანას ატრიალებენ. ღმერთი იყოს
შენი შემწე! ხომ გეუბნები, მაგ წერილის დამწერი ექიმი არ
ყოფილა შენი კეთილისმსურველი. კარგი, ვთქვათ, რომ ის
უცხოა, მაგრამ შენ განა არ გეცოდება შენი თავი?

ავნი აქბულუთი ენაჩავარდნილი შესცემეროდა მის წინ
მდგომს. რამდენჯერმე თქმაც დააპირა რაღაცისა, მაგრამ საში-
ნელი ფიქრისაგან აცანცახებული ხმას ვერ იღებდა და მწარე
ოფლში იწურებოდა იმის შიშით, რომ უპატრონოდ მიტოვე-
ბული ცოლ-შვილი დაეღუპებოდა. მოკლეშვერიანმა ფრთხი-
ლად დააღო მხარზე ხელი და უთხრა:

— ნუ წუხხარ, ძმაო; თუმცა „ნუ წუხხარ“ საქმეს არა
შეელის. აქ სიცოცხლის საკითხი დგას. ყველაფრის წამილი
შეიძლება მოინახოს. წესიერი, პატიოსანი ექიმებიც არსებო-
ბენ. აյი გითხარი, ბევრი ვიარეთ, ბევრი ხარჯიც ვნახეთ, მაგ-
რამ სამაგიეროდ ამ ექიმების ავი და კარგი გავიგეთ.

ავნიმ ცოტა ძალ-ღონე მოიკრიბა და ორივე ხელი გაიშვირა,
თითქოს რაღაც დახმარებას ელისო:

— შენი ჰირიმე, ნაცნობი ვინმე გულისხმიერი ექიმი გე-
გულება იქნებ, ამ თირკმლისა რომ გაეგებოდეს, ისეთი!

მოკლეშვერიანმა თანაგრძნობის ღიმილით დაიქნია თავი და
უპასუხა:

— ნუ წუხხარ-მეთქი, ხომ გითხარი. ყოველი მუსლიმანი
ვალდებულია მუსლიმანს დახმაროს. ავადმყოფი კაცი სტამ-
ბოლში წამოსულხარ დახმარების საძებრად და შენი მარტოხე-

ლა მიტოვება განა შემშვენის? შენ მხოლოდ ყური მიგდე: ამ ვეებერთელა ქალაქში ერთი საუკეთესო ექიმი ვნახე, ჯინშემთელობის ღმერთია, ირფან ბეი. მის მიერ დანადასმულ ადგილზე კვალიც არ რჩება. ძალიან მსუბუქი ხელი აქვს. ისინიც კი, ვისაც ოთხ ადგილზე გაუჭრის მუცელს, ერთი კვირის შემდეგ პაიდარფაშაში⁶ მიმავალი ტრამვაისკენ სულ სირბილით მიდიან. განსაკუთრებით კარგად აკეთებს თირკმლების, ფილტვებისა და გულის ოპერაციას. მისი მჯობნი ევროპაშიც კი არ არისო, ამბობენ. თავისი კლინიკა აქვს. იქ რომ ხელსაწყოებია, იმისთანას სტამბოლის ვერც ერთ საავადმყოფოში ვერ ნახავ. საგანგებოდ გერმანიდან მოუვიდა. იქაური რენტგენის პარატები, სარკეები, შუშის კარადებში ჩაწყობილი პრიალა ვერცხლის მაქრატლები, დანები, რძესავით თეთრი საოპერაციო მაგიდები, — რომელი ერთი ჩამოგითვალო... საავადმყოფო ზღვის პირასაა, ფალიშაპების სასახლეების გვერდით. ლოგინიდან თავს რომ წამოსწევ და გაიხედავ, სულთნების შვიდი მეჩეთი ერთად ჩანს. ნავსაღვურში მოსული უცხოეთის ყველა გემი შენს თვალწინაა. გეუბნები, ძნელი ასაწერია.

ავნი აკბულუთმა, რომელიც თავიდან დიდის გულისყურით უსმენდა, მალუ ნაღვლიანად დაიწყო თავის ქნევა. მის წინ მდგომმა ეს რომ შეამჩნია, გაჩუმდა. ავნიმ უიმედოდ წაიბურტყუნა:

— იქ ქირაც შესაფერისი იქნება. მაგისთანა ბრწყინვალე აღგილები საჩვენო არ არის.

მოკლეწვერა კაცი მიხდა, რომ ცოტა ზედმეტი მოუვიდა ჯანმრთელობის ღმერთისა და მისი სამფლობელოს ქება, ჭაღარაშერეულ ულვაშებზე აქეთ-იქით გადაისვა ხელი, ნაცრისფერი თვალები მოჭუტა, ცოტა ხანს დაფიქრდა და შემდეგ ისევ, განაგრძო:

— არა, გრძაცვალე, აკი გითხარი, წესიერი კაცია-მეთქი. იმისოდენ აღამიანობას სხვაგან ვერ ნახავ. შევა შენს მდგომარეობაში. ფული თუ არ გეყო, სატუივარს უოპერაციოდაც მოგირჩენს. თან კიდევ ტყბილი საუბარი იცის. ავადმყოფს ენით კურნავს-მეთქი, რომ გითხარი, გადაჭარბებული არ იქნება.

ავნიმ ეჭვით გაიქნია თავი:

— ჩემი ავადმყოფობა არც ისეთი ჯურისაა, რომ ტკილი
ენით, უთხრაციოდ მორჩის. ერთ თირკმელში ორი ქვთა, თუ
არ დანა, იმას რა მოიღებს იქიდან?

მეზობელს გაეცინა:

— რასაკერძოდია, ამოვა. წამალი დამლის და შარდს გა-
ჟყვება. ამ ექიმს ისეთი წამლები აქვს, რომ სტამბოლის ვერც
ერთ საავადმყოფოში ვერ იშოვნი. საგანგებოდ მოსვლია ვერ-
მანიიდან.

ავნი ჯერ კიდევ მერყეობდა, მაგრამ მოქლეშვერიანმა
უთხრა, მართალია, ექიმები საერთოდ უსინდისოები არიან,
მაგრამ ოპერატორი ირფანი მათ შორის ისე გამოიყურება,
როგორც მარგალიტი. ექიმები ალაპმა თავისი ცოდვილი შვი-
ლების დასასჯელად გამოგზავნა, მაგრამ არც უცოდველი შვი-
ლები დაუიშვებიაო, ეუბნებოდა და თან უმეორებდა, განა არ
გვიცოდება შენი ტკილი სულიო. იგი თანახმა იყო მეორე დღეს
მიეტოვებია თავისი საქმე და იმ პატიოსან აღამიანთან გაცყო-
ლოდა ავადმყოფს. მიუხედავად იმისა, რომ ავნის მთელი დღე
უძინა, მაინც გრძნობდა გზიდან მოყოლილ დაღლილობას. ამ
საუბარმა კი მთლად გაანერვიულა: თუ რამეს მარგებს, ვნა
ხოთო, — თქვა და ლოგინზე გაწვა. საშინელი ტკივილი დრო-
დადრო წამოაგდებდა ხოლმე. ის ლამე .ოხერა-კვნესაში გაა-
ტარა.

დალით ორივემ ალიონისას მიაშურა ოპერატორ ირფანის
კლინიკას. ამ ექიმს ოფიციალური საქმე არაფერი პქონდა
და ამიტომ შუადლეზე უფრო ადრე უკვე თავის ადგილზე იყო
ხოლმე. — რამდენი გაქვს თან ფული? — იყითხა მოქლეშვი-
რიანმა. — ხომ გაგიგონია, ფეხი იმდენზე გაქიმე, რამდენზეც
საბანი გაუწვდებაო; რაც ფული გვექნება, მკურნალობასა და
წამალსაც იმის მიხედვით მივმართავთ. ფანტაზიას ნუ გამო-
ვუდგებით.

ავადმყოფობასა და მკურნალობაზე ფანტაზირება როვონ
იქნებათ, ფიქრობდა ავნი და თან ჯიბეში ფულსა თვლიდა.
ფული არც თუ ისე ცოტა უნდა პქონოდა. სამსახურის მიტო-
ვების შემდეგ ვენახითა და ვაშლის ბალით მშვენივრად ირჩენ-
და თავს. ორი უფროსი ცოლიანი ვაჟის დახმარებით პატარა

ბიჭი სულეიმანი და ერთადერთი ქალიშვილი ფერიდე საშუალო სკოლაში დაუდიოდა. ავადმყოფობის გამო ნიგდესა, და კაისერში გაწეული ხარჯი ას ლირასაც კი არ შეადგენდა. მაგრამ ახლა, როცა სტამბოლში წამოვიდა თავისი ავადმყოფობის ძირში მოსახხელად, წინდახედულად მოიქცა და გზის ფულის გარდა ჯიბეში კიდევ ექვსასი ლირა ჩაიდო. ავნი თანამგზავრს მიუბრუნდა:

— ას ორმოცდათი ლირა მაქვს გზისა და სასტუმროს ფულიანად.

ეს უკანასკნელი უცცრად შედგა შუა ქუჩაში:

— სერიოზულად ამბობ? მაგ ფულით სტამბოლში კრილობასაც კი არ შეგიხვევენ. ექიმი, რომელთანაც ჩვენ მივდივართ, რაც არ უნდა მაძღარი თვალი ჰქონდეს, თავის ხარჯს მაინც აინაზლაურებს. ჯალაბობას მაგით არჩენს, საკუთარი ჯიბილან ხომ არ გადაიხდის. ის რენტგენის მანქანა აღამიანის გაშუქების დროს იცა რამდენ ელექტრონს ხარჯავს? გარდა ამისა, ფირფიტებიც არ იშოვნება. ცხონებული ჩემი ძმისთვის რამდენი ვეძებე, შევ ბირჟაზე ცეცხლის ფასად მოგაიხდება ყიდვა. მოდი ხელი ავიღოთ ამ საქმეზე და სანამ გზის ფულიც არ შემოგხარჯვია, ნიგდეში დაბრუნდი.

ავნის ესმოდა, რომ ამ საქმესთან ხუმრობა არ შეიძლება: — არა, ძმაო, — თქვა მან, — ერთი ამ ავადმყოფობას გადავურჩე და... ნაცნობ-ნათესავებში ცოტა ფულს კიდევ ვიშოვი.

ექიმმა ბევრი არ ალოდინა. კლინიკა მართლაც პრიალა იარაღებით იყო სავსე. ავნის ხელახლა ეცა წამლის სუნი, რომელსაც ის უკვე შეჩვეული იყო, მაგრამ ვერაფრით ვერ შეეყვარებინა, და ისეთი კანქალი დააწყებინა, თითქოს საოპერაციოდ დააწვინესო. „ისევ ჩავუეარდი ამ წყეულებს ხელში“, გაიფიქრა ავნიმ. მან იცოდა, რომ ამ წუთიდან მოყოლებული აღარაფერი ეკითხებოდა. ის ვალდებული იყო შეესრულებინა ჯველაფერი, რასაც აქ ეტყოდნენ.

ავადმყოფი უყურებდა თეთრხალათიან ექიმს, რომელმაც მომალლო ტანტზე დააწვინა და მუცელს უსინჯავდა. ექიმი ერთი დაბალი და მსუქანი კაცი იყო. წითური, ხულვლური გამომეტყველების და უხეშკანიანი სახე ქონწასმულივით უპ-
10

რიალებდა. მისი შეწუხებული იერი აღამიანს აფიქრებინებრი, ამ კაცს სადაცაა გულის ცემა შეუწყდება და მოქვდება უძრებების მა ყველაფერი გაუსინჯა ავალმყოფს, კაისერში გადალებული რენტენის სურათები ნახა და უთხრა:

— თქვენ კლინიკაში უნდა დარჩეთ დაკვირვებისათვის. თუ საჭირო იქნა, ოპერაციას გაგიყეთებთ. თირკმელში ქვის გაჩენის ნიშნები გაქვთ. მეტრი რეეიმი და ძლიერი წამლებია საჭირო.

მოკლეწვერა ბორელმა ბოდიში მოუხადა ექიმს, განზე გაიხმო და განვებ ხმამაღლა სთხოვა, რომ ავალმყოფის გაწეული ხარჯი წყალში არ გადაეყარა, მისთვის კლინიკური მუსიკალობა ჩაეტარებინა და გერმანული წამალი მიეცა. ავნი ლაპარაკში ჩაერია: — არ ვიცი, შეიძლება განა?.. კაისერში მითხაეს, მაგ ქვის უოპერაციოდ ვერ მოიშორებო..

ექიმმა გაბრაზებით აუქნია ხელი და გააჩუმა:

— ვერ მოიშორებ რასა პქვიან? ეს ქვის ჯიშზეა დამოკადებული. წამალი ზოგ ქვას შლის, ზოგს ვერა. ჯერ ერთი კარგი ანალიზი გავაკეთებინოთ და გავივოთ რა ქვაა. თქვენი ორგანიზმის თავისებურებები ყოველი მხრივ უნდა დავაზუსტოთ და მუსიკალობა იმის მიხედვით დავნიშნოთ. ოპერაციულ ჩარევაზე სულ ბოლოს უნდა ვიფიქროთ. მუცლის ყოველ ტეავილზე ოპერაციას რომ გაიძახიან, იმ ექიმებს ძალიან ნუ ენდობი. დღეს მედიცინის საფუძველი ქიმიაა. ქირურგია ნელ-ნელა წარსულს ბარდება.

ავალმყოფს ბევრი არაფერი ესმოდა მეცნიერული მოსაზრებებისა, იგი ხედავდა მხოლოდ, რომ ექიმის სახეზე უსიამოვნო გამომეტყველება მატულობდა. — როგორც საჭიროდ დაინახავთ, ისე მოიქეცით, ექიმო, — დაეთანხმა ავნი.

ამის შემდეგ, ოცდღიანი მუსიკალზე, ბორელს იგი არ მიუტოვებია. რაც შეიძლებოდა დიდი დახმარება გაუწია. ხანდახან, როცა ლაპარაკი მის მირჩენილ საქმეებზე ჩამოვარდებოდა ხოლმე, ავნი ეტყოდა — თქვენ ნულარ შეწუხდებით, მე თვითონ წავალ-წამოვალო, მაგრამ ის არა თანხმდებოდა. შავ ბირეაზე მასთან ერთად ეძებდა რენტენის ფირფიტებს, თვითონ ევაჭრებოდა, თვითონ ესაუბრებოდა ავ-

ნის ორგანიზმის შესასწავლად რამდენჯერმე მოსულ ყოველ ექიმს: ბაქტერიოლოგს, თერაპევტს, კუპის სპეციალისტებს, ნეკროპათოლოგებს, გულისა, თვალისა და უურის ექიმებს. სხვადასხვა ლაბორატორიაში დაღიოდა სისხლისა და შარდის ანალიზებზე, დასკვნებს კითხულობდა და თავის გამოცდილებაზე დაყრდნობით განმარტავდა მათ. იმ ადგილებს აგნებდა, საღაც ხელზე იყიდებოდა წამლები; ცდილობდა, თუნდაც ცოტა ძვირად, ხელში ჩაეგდო ყველა ის საუკეთესო გერმანული წამალი, რომელსაც ექიმი ირფანი გამოწერდა.

ამ აღმა-დაღმა სიარულში სამმა კვირამ გაიარა. ავნი აქბულუთმა ნაცნობ-მეგობრებისაგან ნაშოვნი ოთხასი ლირიდან მეტი ნაწილი ექიმებს, მეურნალობას, რენტგენის ფირფიტებსა და წამლებს დაახარჯა. სწორედ ამ დროს, ერთ მშვენიერ დღეს, თვალთაგან გაქრა ბორელი კეთილისმყოფელი. ავნიმ სასტუმროს მდივანს ჰქითხა; პირადობის მოწმობა წაიღო და წავიდა, — მოკლედ უპასუხა მან. ექიმმა იჩვანმა, რომელსაც ავნიმ კვლავ მიმართა, კიდევ ათი ლირა დასტუუა და შეწუხებული სახით გამოუცხადა, განაგრძე წამლის მიღება და რამდენიმე თვის შემდეგ ისევ მოდიო.

ავნი თანდათან ხვდებოდა, თუ რა ხაფანგში იყო გაბმული. დასუსტებული და დაბნეული ლოგინში იწვა და ფიქრობდა:

„შე ალაპის სულელო მონავ, როგორ მოგივიდა, რომ ვერ მიხვდი? ბორელის ჭაღარა წვერს დაუჯერე, მის მოთაფლულ ენას? განა ხაფანგში ასე ადვილად გასაბმელი კაცი იყავი? რა გინდა ჰქინა, რომ ეს ოხრად დასარჩენი ავაღმყოფობა თვალს არ უხელს ადამიანს. ჰაი დედასა! თუ ეს ტკივილები ასე გამიგრძელდა, აზრაილი⁷ რომ მომევლინოს, დახმარება შემომთავაზოს და ანგელოზი ვარო, მითხრას, ფეხებში ჩინუვარდები. ექიმების წამლებისაგან ხომ წრთი სიკეთეც არ მახსოვს. ერთხელაც არ მინახავს გაღიმებული ის ექიმი, რომლის კაცთმოყვარეობის მსხვერპლი ვავხდი. რას მიღიხარ ამ უცნობ კაცთან? ის ნიგდელი ექიმის გამოტანებული წერილი მაინც საღ ჩავკუპე, ნეტავ? ძველ პროფესორზე უარი ვთქვი და ამ ყაჩაღებმა კი ლელვივით გამოუქვნეს. ავნი აქბულუთ, შენ რომ ჰქინი, იმას თითისოდენა ბავშვიც არ იზამდა“.

აენი ოხვრა-კვნესით გადმოვიდა ლოგინიდან და ჩემოდანში
დაიწყო ქექვა. ორად გაყეცილი წერილი იპოვნა და ფული დათვალა: ოთახის
ქირა კვირამდე გასტუმრებული ჰქონდა. ღიეტურ საჭმელს რომ
უმშადებდა, იმ მოსამსახურისთვისაც გაესწორებია ანგარიში.
ახლა გზის ფულიანად ას ოცდახუთი ლირა დარჩენოდა. რა
ეჭნა ავნის? ხელი ჩაეჭნია და თირკმელში ორი ქვით ნიგდეში
დაბრუნებულიყო თუ, რაც ჰქონდასთან უფრო ახლოს იქნებოდა,
იმ პროფესორთან ესინჯა ბედი? ბორელის მიერ საავადმყო-
ფოების შესახებ ნათქვამს ახლა ეჭვის თვალით შეხედა. „სა-
ხელმწიფო საავადმყოფოში აღამიანს ბავშვებს აკუწინებენ.
მომატყუა იმ ძალის შვილმა“, — ამბობდა ავნი და გამბედაო-
ბას იქრებდა.

მეორე დღესვე დაადგა საავადმყოფოს გზას. წერილი, რო-
მელიც ხელში ეჭირა, ჯერ კარისკაცს უჩვენა, მერე კი რამ-
დენი თეთრხალათიანიც შეხვდა დერეფანში, ეჭიმი იყო თუ
მოსამსახურე, ყველას წააკითხა. ბოლოს კლინიკის წინ რიგის
მოლოდინში თავმოყრილთა შორის გაერია. გარშემო ქალაქის,
თუ სოფლელ ქალსა და კაცს, მოხუცსა და ახალგაზრდას მოე-
ყარა თავი. აქვე იყვნენ სხვადასხვა განყოფილებიდან გამოგ-
ზავნილი ვიწრო და განიერპიყამოიანი ავადმყოფები ხელში
ქალალდებით. დერეფანში წინ და უკან დადიოდნენ ახალგაზრ-
დები. ავნი შუადღემდე განშე იდგა, რადგან მას უნდოდა ეჭიმი
მარტო ენახა და წერილი გადაეცა; ამჯობინა მოეცადა, სანამ
იქაურობა დაიცლებოდა. მან რამდენჯერმე წაიწია ეჭთანისა-
კენ, რომელიც რიგრიგობით უშვებდა თავმოყრილ ხალხს და
ჰქითხა, თავისუფალია თუ არა ეჭიმიო, მაგრამ პასუხის მაგივ-
რად — ნომერი აიღე თუ არაო, — უთხრეს. ავნიმ წერილი გაუ-
წოდა და თან დააყოლა, რომ პირადად უნდოდა ეჭიმის ნახვა.
ეჭთანს ცალი თვალითაც კი არ დაუხედავს წერილისათვის, რო-
მელზედაც ამყარებდა ავნი მთელ თავის იმედებს, ხელი ჰქირა
და უთხრა:

— რადგან ასეა, მოიცადე, გამოსვლისას, თუ შესძლებ,
აჩვენე!

სანამ იქ იდგა ავნი, ხედავდა, რომ ზოგიერთ თეთრხალა-

თიან ასისტენტსა და ექიმს ურიგოდ შეჰყავდა თავისი ნაწილები. ისიც არ დაიბნა და ერთ მათგანს აეკიდა. შიგნით თუმცა დე ვაჟი და ორი ქალი იყო, ორივე დაბალი ტანისა და ზეპირულიანი. ისინი პირში შესცემოდნენ პატარა ტანის, ხმელ, სახედანაოჭებულ, ჭალარაწვერიან კაცს, რომელიც შეა ოთახში სინჯავდა ვიღაც ავადმყოფს. ვალები საუბრობდნენ და იცინდნენ. პროფესორს სათვალის პრიალა შუშებს იქით თვალები არც კი უჩანდა. ის ახალგაზრდებისაენ მიბრუნდა:

— შეხეთ, ქალბატონებო... თუ არ შეწუხდებით, თქვენც მოიხედეთ, ბატონებო... ამ ავადმყოფმა ქალბატონმა, ცოტა სის წინათ, მშობიარობის დროს... როგორ, ეფენდი? მშობიარობამდე დაეწყო?.. დიახ, ეფენდი, ამ ვითარებაში, ფეხშიმობის სწორედ ბოლო ხანებში, საქმიოდ ძლიერი ეკლამოსია გადაიტანა. თქვენ იცით, რომ ამ ავადმყოფობის გართულება თირქმლებიდან იწყება... დიახ, ეფენდი!.. მაგრამ რამდენიმე თვის შემდეგ... როგორ, ეფენდი? სამი კვირის? დიახ, სამი კვარის შემდეგ ამ სახით მისი გამოვლინება სპეციალურ ლიტერატურაში ნაყლებად არის ონიშნული. პროგნოზი უმრავლეს შემთხვევაში ცუდია. როგორ, ეფენდი? ამის ქმარი ხომ არა ხართ, ეფენდი, რატომ გაინტერესებთ ასე? გაუვლის. გაუვანინეთ ავადმყოფი.

ორმა სანიტარმა კვლავ ზედა სართულში წაიყვანა გინეკოლოგიური პალატიდან საკაცით ჩამოყვანილი ავადმყოფი. ქალის ქმარი ასისტენტებსა და სტუდენტებს მიუახლოვდა. მას უნდოდა ვაეგო რას ნიშნავდა გამოთქმა „ბოლო საშიშია“, მაგრამ სწორი პასუხის გაცემას ყველა გაურბოდა. ეს კიდევ უფრო ალელვებდა. ბოლოს პროფესორს მიმართა:

— მოკვდება?

პროფესორმა სათვალეს ამოფარებული თვალები მიაპყრო მის წინ მდგომს და ტკბილი ხმით უთხრა:

— ჩვენ, ექიმები, არც ერთი ავადმყოფის იმედს არ ვკარგავთ, ეფენდი!

ავადმყოფის ქმარი ისეთი დაფიქრებული და განევებული გავიდა გარეთ, თითქოს, ცდილობდა ამ პასუხის ლრმა აზრს ჩახვედროდა.

პროფესორის ყურადღება მის წინ მოულოდნელად გაიკანილმა ავნი აქტულუთმა მიიპყრო. ექიმმა გაკვირვებით წია წარბები, შუბლი-შეიქმუხნა და ალერსიანი, მაგრამ ზანტი ხმით ჰქითხა:

— თქვენ რა გვირთ, ეფენდი?

ავნიმ ხმამოულებლივ გაუწოდა ნიგდელი ექიმის მიერ გამოტანებული წერილი. პროფესორმა შუბლი გაიხსნა, წარბები ძირს დაუშვა და წერილი გადაიკითხა. ერთ ხანს დაფიქტდა, თითქოს ხელმოწერას იხსენებსო, შემდეგ თავი დაიქნია და ავნის მიუბრუნდა:

— კარგი, რა გნებავთ?

ავადმყოფმა მაშინვე მოუთხრო თავისი გაჭირვების ამბავი, ჯიბიდან ანალიზის შედეგები, უბიდან ათითოდე რენტგენის სურათი ამოიღო და უამბო, თუ როგორ გაიკეთა პირველად ოპერაცია და როგორ გაუხსენა ხელახლა ავადმყოფობამ.

ამასობაში ექიმმა ონჯაწევ ხელები დაიბანა, სპირტი გადაისვა და თეთრი პირსახოცით შეიმშრალა. ავნიმ შეამჩნია, რომ ექიმი წესიერად ყურს არც კი უგდებდა, ასისტენტებსა და სტუდენტებს მიუბრუნდა და თავისი ამბავი განავრძო. ლაპარაკი რომ გაათავა, ექიმს ხალათი უკვე გაეძრო და, თეთრ აბრეშუმის პიჯაკში გამოწყობილი, მთავარ ასისტენტს ეკითხებოდა — რა იყოთ?

ასისტენტმა რამდენიმე სამედიცინო სიტყვა წაიბურტყუნა და ერთ-ერთი სურათი გაუწოდა. პროფესორი, ახლად დაბანილი ხელი რომ არ გაესვარა, არც კი მიჰყარებია სურათს, ასისტენტს დაკავებინა, თვალები მოკუტა და ყურადღებით დაათვალიერა. შემდეგ ავნის მიუბრუნდა:

— თირკმელში ქვა გაქვთ.

— ვიცი, ეფენდი.

— უნდა ამოაღებინოთ.

— ღიღი სიამოვნებით, ეფენდი.

— ოღონდ ოპერაცია ახლავე უნდა გაიკეთოთ. თქვენთვის ყოველი დღე საშიშია.

— ახლავე იყოს, ეფენდი. ბრძანეთ და დღესვე დავწევები.

პროფესორი პირველად თითქოს ვერ მიხვდა, თუ რას ეუბ-

ნება ავადმყოფი, თავი უკან გადასწია, ცოტა ხანს დაფრიჭდა
და უფროს ასისტენტს მიმართა:

საქართველო
სამართლებრივი კულტურული მუზეუმი

- ჩვენს განყოფილებაში გვაქვს თავისუფალი წაწოლი?
- სრულებით არა გვაქვს, ეფენდი.

ავნი ლაპარაჯში ჩაერია:

- რამდენიმე დღე მოვიცდი, იქნებ მანამდე განთავი-
სუფლდეს საწოლი.

— არა მცონია, — უპასუხა ასისტენტმა, — არაეინა გვყავს
ისეთი, რომ ამ მოკლე ხანში გაეწეროს. გარდა ამისა, რამდენი-
მე კაცი კიდევ რიგში დგას.

პროფესორი კარებისკენ წავიდა:

- თქვენ იცით, — დაურთო მან. — ოღონდ თქვენისთანა
ავადმყოფისათვის მოცდა აღარ შეიძლება. ახლავე უნდა დაწ-
ვეთ სადმე საავადმყოფოში და ქვა ამოალებინოთ.

ამ ლაპარაჯით ის კარებში გავიდა, ავნის პასუხისათვის არც
კი დაუცდია, ისე სწრაფად გაიარა დერეფანი და წავიდა. სტუ-
დენტები და ასისტენტებიც მას მიჰყვნენ. ოთახი დაიცალა.
ავნი შეა ოთახში დარჩა ხელში ცნობებითა და ჩენტგენის
სურათებით. ამ დროს ოთახის დასალაგებლად შემოვიდა მო-
სამსახურე ქალი, რომელიც წელან კარებში იდგა და ექიმთან
რიგ-რიგობით უშვებდა ავადმყოფებს. მან შეა ოთახში მდგო-
მი ავნი რომ დაინახა, პეითხა, აქ რას უცდიო. ავნიმ, აქაოდა
ჩემი ტოლი ვნახეო, თავგადასავლის თხრობა დაიწყო კაისერი-
დან მოყოლებული, მაგრამ მოსამსახურე ქალმა ხელი აუქნია
და გააჩუმა:

— ექიმ ოსმან ბეის აქ მაგევბის მოსმენის დრო არა აქვს.
ვერა ნახე განა, რომ საქმე თავზე გადასდის. ეს ლარიბ-ლატაკე-
ბის ადგილია. შენ ლარიბს არა ჰგავხარ. წადი მის კლინიკაში და
შენი გაჭიროვება იქ მოახსენე. „ჯანმრთელობის ღმერთია“.
ოთხი საათის შემდეგ სულ იქ არის. აპა, თუ გინდა მისამართს
მოგცემ.

მან ხალათის ჯიბიდან პატარა ბარათი ამოილო, ავადმყოფს
ხელში მიაჩერა და თავის საქმეს შეუდგა. საავადმყოფოდან
ნელი ნაბიჯით გამოსულ ავნის ჯერ კიდევ ცხვირში სცემდა ის
უცნაური და ძალ-ღონის გამომცლელი წამლის სუნი. სასტუმ-

როში მოსული თავის დიეტურ საჭმელს არც კი მიჰქალებია, ცარიელა ჩაი დალია, ერთი საათი დაისცენა, იქვე კარგისაწინ მდგომ ერთ-ერთ ტრამვაიში ჩაჯდა და „ჯანმრთელობის ღმერთს“ მიაშურა.

პროფესორმა ოსმანმა აქ იგი უკვე დიდი ყურადღებით გასინჯდა. მართლაც და ეს ექიმი უფრო ენატებილი და პირმცინარი კაცი იღმოჩნდა, ვიდრე მუდამ სახემოღუშული ექიმი ირფანი, რომელსაც ასე თავგამოდებით აქებდა ის ბორელი. ექიმმა ოსმანმა ყველა სურათი გადაათვალიერა და ქალალდები სათითაოდ გადაიკითხა; ბევრი რამ გამოკითხა. ბოლოს, დარწუნებულმა, რომ მათ შორის ნდობის ძაფი უკვე გაბმული იყო, ხელები მხარზე დაადო ავნის და უთხრა:

— ასე, ჩემო ძმაო. ავადმყოფობის არსი კარგად გაგაცანი. ყმაწვილი იღარა ხარ. შენს ოჯახსა და სიცოცხლეზე უნდა იფიქრო. გაღაწყვიტე: ერთადერთი გამოსავალი ოპერაციაა. ქვას ამოვილებთ. რამდენიმე თვე კიდევ იქნები დიეტაზე, ჩემს მოცემულ წამლებს მიიღებ და ლვის წყალობით მთლიანად განიკურნები.

— სავადმყოფოშიც ხომ გითხარი, ექიმო, რასაც მიბრძანებ, იმას ვიზამ. შენ ჩქარა დამაწვინე საავადმყოფოში.


— ფაქულტატურ საავადმყოფოში ვერ დაგაწვენ. იქ არც ადგილია და თან კიდევ თქვენ ისეთი არაფერი გაქვთ, რომ არსებითს დაკვირვებას მოითხოვდეს. უბრალო თირკმლის ქვაა, თუ ადგილის განთავისუფლებას მოუცდი და რიგში ჩადგები, თვეები გავა, შენი ავადმყოფობისათვის კი ამდენი ლოდინი არ შეიძლება. იფიქრე, აწონ-დაწონე, თუ გინდა ჩემს კლინიკაში დაგაწვენ, მაგრამ შენთვის ცოტა ძვირი იქნება.

ავნი სათვალეებში მიაცქერდა ექიმს:

— მაინც რა დაჯდება, ეფენდი? — ავნის ისევ ეცა იმ გულის გამაწყალებელი წამლის სუნი. თვალთ დაუბნელდა. ექიმის ხმელ სახეზე ძლიერდა გაარჩია ოდნავი ღიმილი. ავნის ყურები უხშუოდა და ამ ხშუილში შორიდან ჩაესმა ექიმის ტკბილი ხმა:

— საწოლისა და ოპერაციისათვის აფასო ლირის ვარაუდი უნდა დაიკირო.

2. საბაპისინ ალი



— რას ამბობ, ექიმო?

პროფესორმა ისევ იმ ტკბილი ხმით შეაწყვეტინა ლაპარაკი:

— განა არ გითხარი, ცოტა ძვირი იქნება-მეთქი. თუ გინდა ისევ კაისერის საავალმყოფოს მიაშურე, მაგრამ ვილაიეთის⁹ საავალმყოფოები და ექიმები... შენც კარგად იცი, რაც არის... ხომ გამოსცადე...

— კარგი, ექიმო, მაგრამ ათასი ლირა სად ვიშოვო?

ექიმის სახეს ტკბილი ღიმილი მოეფინა და ხმამაღლა გაი-
ცინა:

— მაგას მე მეკითხები? რომ ვიცოდე, ლმერთმანი, გამწავ-
ლიდი.

ავნის ხუმრობის თავი არა ჰქონდა, კეფა მოიფხანა და ჩა-
ფიქრდა. ნუთუ სახლში უნდა მიეწერა და ბალი ან ვენახი გაე-
ყიდვინებინა? მაგრამ ჯანმრთელობა მთავარია. შემდეგ ექიმს
მიუბრუნდა:

— ცოტას ვერ დამიკლებთ? აյი მოწაფისავან წერილიც
მოგიტანე.

— ჰო, მართლა, ვინ არის ის ყმაწვილი? გვარი არე მეუც-
ხოვება, მაგრამ ვერაფრით ვერ გავიხსენე. რას იზამ, მე და შენ
ახლა აქ ვაკრობას ვერ გავმართავთ. უკვე გითხარი. აწონ-
დაწონე და გადაწყვიტე. შუადღის შემდეგ ყოველთვის აქა
ვარ.

წამლის სუნმა, დალლილობამ, შიმშილმა, ტკივილების გამო
უძილობამ ავნი ისეთ დღეში ჩააგდო, რომ თავში მხოლოდ
ერთი აზრიღა უტრიალებდა: „თუ რამეა მოსახლენი, ახლავი
მოხდეს“. ის ვეღარ გაუძლებს ხელახლა ექიმებთან ხეტიალს,
რენტგენზე გაშუქებას, სისხლისა და შარდის ანალიზებს, მო-
საცდელ ოთახებში საათობითა და დღეობით ყვინთვას. მიმქრა-
ლი თვალები პროფესორ ოსმანს მიაპყრო.

— ნიგდეში წერილი მივწეროთ, ვაშლის ბალი გაყიდონ:
ახლა სწორედ ხილის კრეფის დროა, ფულის გაკეთება შეიძ-
ლება.

— თუ გინდა, ტელეგრამა მისწერე, ახლავე გავაგზავნისკ. შენ კი წადი, სასტუმროდან ბარგი მოიტანე. როგორც გადა-
ლი მოვა, ოპერაციას გავიკეთებთ.

ეს საქმეები იმ დღესვე მოთავდა. საავადმყოფოსათვის სა-
განგებოდ შეძენილ ლურჯზოლებიან პიეამოში გამოშეყობილი
აენი ლოგინზე ჩამომჯდარიყო და ნიგდედან ფულს ელოდა. აქ
გატარებული ყოველი დღე, რომლის სათვალავი მას აღარ
ჰქონდა, თხუთმეტი ლირა უჯდებოდა. „ასეთ დროს განა შეიძ-
ლება გააჭიანურონ ბალის გაყიდვა? როცა შენიანებსაც კი არ
ესმით შენი მდგომარეობა... — გაცეცლებული იყო ანი ნიგ-
დეში მყოფებზე და ბუტბუტებდა: — არა, მეც რომ ფულის
მოსელამდე სასტუმროში არ დავრჩი, ექიმის სიტყვას ავყევი და
აქ გადმოვეთრიყ! სასტუმროში ღამის გათვეა ლირანგევარი
ლირდა. ამ ავადმყოფობამ კეუა მაინც ვერ მასწავლა“.

კლინიკაში ყოფნის მეთერთმეტე დღეს ნიგდედან ტელეგ-
რაფით ათას ორასი ლირა მოვიდა და ავნიც მცორე დღესვე,
შეუადლისას, საოპერაციო მაგიდაზე დაწვა.

როცა ნარკოზით გაბრუებულმა ავნიმ თვალი გაახილა,
პირველი, რაც მან დაინახა, ეს იყო ექიმის მომლიმარი სახე.

— როგორა ხარ, ხომ კარგად? — იკითხა მან. — ორი კვი-
რაც არ გავა და წამოდგები. გინდა გაჩვენო ქვა, რომელიც მე
ამოვილე? თხილის ოდენაა, შეხე!

ავნიმ ჯერ კიდევ ნახევრად ლია და მიბნედილი თვალებით
შეხედა ქვას, რომელიც ექიმს ეკავა ხელში. შემდევ ცოტა უკან
მდგომ ასისტენტს და ექთანს გადახედა და ძლიცს წაიღულუნა:

— მაღლობას გწირავ, ექიმო. მეორე ქვაც ასეთი დიდია?

პროფესორი ოსმანი ვერ მიხვდა, რას ეუბნებოდა ავადმყო-
ფი და უკან მდგომთ შეხედა. ასისტენტი ავნისთან მივიღა:

— რომელი ქვა? — იკითხა მან.

იმის გამგონე ავნის შიშისაგან თვალები გაუფირთოვდა, მის
შინ მდგომი სამი თეთრხალათიანი სათითაოდ შეათვალიერა და
ხრინწიანი ხმით წარმოსთქვა:

— ორი ქვა უნდა ყოფილიყო, ექიმო, დავიღუპე, ნუთუ
ერთი შიგ ჩატოვეთ?

— ვინ გითხრა, ორი ქვააო?

— კაისერში მითხრეს, რენტგენმა ისე უჩვენა.

პროფესორმა და ასისტენტებმა სურათების კონფერენცია გახსნეს, ფანჯარასთან მივიღნენ და დიდხანს ათვალიერეს. ერთი რომ დაათვალიერებდა, შემდეგ მეორეს გადასცემდა; თვითონ კი ახალს გაპხედავდა. ოთახში სიჩუმე იყო. დროდალზო ისინი სურათზე რაღაცას უჩვენებდნენ ერთმანეთს. არც ერთი ხმას არ იღებდა. ბოლოს პროფესორი ოსმანი ივალმყოფს მიუახლოებდა:

— არა მგონია, — თქვა მან, — თუმცა სურათის ის მხარე ცოტა ბნელია, მაგრამ კაისერის საავადმყოფოს რენტგენს ბევრი არ დაეჯერება. ეს ქვის ჩრდილი უფრო უნდა იყოს. სურათის გადაღებისას შენ აღმათ ცოტა გაინძერი... თირკმელში მე სხვა ქვეს არ შევხვედრივარ. ნუ წუხხარ.

ამის შემდგომმა დღეებმა, კვირეებმა და თვეებმაც კი ავნი აკბულუთისათვის ნახევრად სიზმარივით განვლეს. ოპერაციის დღეს გაკეთებული ნარკოზი თითქოს ჯერაც მოქმედებდა. ექიმებმა სურათები იმ დღეს წაიღეს და მერე აღარც გამოუჩენიათ. ავადმყოფთან ყოველდღე მოდიოდნენ და ეკითხებოდნენ: როგორა ხარ, ხომ არაფრი გაწუხებსო? ხანდახან მაშინაც იქ იყვნენ, როცა ექთანი ჭრილობას უხვევდა, მაგრამ ქვაზე არა-სოდეს ჩამოუგდიათ სიტყვა.

ამ მდგომარეობაში დაახლოებით კიდევ ერთი თვე გაატარა ავნიმ. ნაერის მოხსნიდან რვა დღის შემდეგ ისევ დაეწყო ტკივილები. ხელახლა გაატარეს რენტგენზე, შარლის ანალიზი გაუკეთეს. პროფესორმა უთხრა, შენი ორგანიზმი ხელს უწყობს ქვის წარმოქმნას და თირკმელში კიროვანი ჩანასახის ნიშნები გაქვს, აღმათ კიდევ იქნება საჭირო ერთი საფუძვლიანი ოპერაციაო.

ნიგდეში კვლავ საჩქაროდ აფრინეს ტელეგრამები. გაყიდული ვენახის ფული ამჯერად ოც დღეში მოვიდა. როცა ავნი მეორედ დააწვინეს საოპერაციო მაგიდაზე, მისგან მხოლოდ ძვალი და ტყავი იყო დარჩენილი. თვალები ვეღარაფერს ამჩნევდნენ, ყურები უწიდა და ხმაც ჩაბრინწული ჰქონდა. სახეზე ნიღაბს რომ აფარებდნენ, ეგონა ამ ძილს თავს ვეღარ დავალწევო, თუმცა ამაზე მაინცდამაინც არც კი წუხდა.

ოპერაცია თითქმის ერთ საათს გაგრძელდა. ექიმი თან აზის-
ტენტს, ელაპარაკებოდა:

— ეუნძულზე რომ ვიღა გვაქვს, ვერ გადამიშვეტია რა
ფერი ფაიანსით გავაწყო იმისი სააბაზანო. ლურჯი უსხიერ
იქნება. საწოლ თათხს თეთრი არ მოუხდება. ყველას ღრა ცის-
ფერი ჯობია, მაგრამ ხეირიაში ბაზარზე ვერ იშოვი. რა ვქნა,
არ ვიცი!

ბოლოს თირქმლიდან ცერცვის ოდენა ერთი ქვა კიდევ ამო-
იღეს. მაგრამ ორი თვის განმავლობაში თრჯერ გაკვეთილი ეს
პატარა ხორცის ნაკერი უკვე დაღუპული იყო. იმ ადგილზე,
საღაც ქვა ამოიღეს, სისხლის დენა არაფრით არა წყდებოდა.
პროფესორმა ისე შეხედა ასისტენტსა და ექთანს, თითქოს
ეყითხებოდა, რა ვქნათო. ხუთ წუთზე მეტი მოიცადეს. სისხლი
ძეველებურად უონავდა. ავადმყოფს თრთოლვა დააწყებინა.
რამდენიმე წუთი კიდევ მოითმინდეს. თირქმლის ამ მდგომარეო-
ბაში დატოვება და ჭრილობის ამოკერვა იმას ნიშნავდა, რომ
ავადმყოფი უსათუოდ დაიღუპებოდა. პროფესორმა კიდევ რამ-
დენიმე სიტყვა უთხრა ასისტენტს და ხელახლა მაკრატელსა და
დანას მოჰკიდა ხელი: თირქმლის გარშემო ხორცი შემოჭრა,
ძარღვები გადაკვეთა, გადაუფსკვნა და სულ მალე დამკინარი
ხორცის ეს მოლურჯო ნაჭერი თეთრ თასში ჩააგდო. შემდეგ
დაღლილი ხმით ასისტენტს უთხრა, ჭრილობა ამოკერა, თვი-
თონ შუბლზე ჩამონადენი ოფლი სახელოთი. მოიწმინდა და
ონჯანისაუკნ წავიდა ხელის დასაბანად.

გონს მოსულ ავნის არც გაპკვირვებია, რომ ცოცხალი იყო.
ცალი თირქმელიდა დარჩა და ისიც ნაოპერაციევი. მეორე
გვერდზე გადაბრუნდა და თვალები დახუჭა. ასე გაატარა მან
კვირები. უკვე ხმას არ სცემდა ორ დღეში ერთხელ მოსულ
ექიმსა და ექთანსაც კი, რომელიც ყოველდღე ჭრილობას უხ-
ვევდა. მხოლოდ ერთხელ პროფესორი ოსმანი მის ლოგინზე ჩა-
მოჯდა და ნაძალადევი ღიმილით უთხრა, შენი ავადმყოფობა
ახლა მთლად მორჩენილად შეიძლება ჩაითვალოს; მართალია,
ცალი თირქმელიდა გაქვს, მაგრამ ამაში არაფერია საშიში,
რადგან ასეთ შემთხვევებში აღამიანის ორგანიზმი მჟღალ ძალას
მეორე თირქმელს გადასცემს და საქმაოდ აძლიერებს. ახლა

ნიგდეში უნდა დაბრუნდე და დაისცენოთ. კვირაში როგორ ექიმს ან ვინმე მცოდნეს შეახვევონე ჭრილობა, რომელიც ჯერ კიდევ არაა კარგად შეხორციელი.

ავნიმ ჩამერალი თვალები ექიმს მიაპყრო და მძიმე-მძიმედ, მაგრამ მეტარად წარმოთქვა:

— არა, ექიმო, მე მდგომარეობაში მე ქუჩაში ვერ გამაგდებ. გასაყიდი ალარაფერი დამრჩა, მაგრამ ქუჩაში მაინც ვერ დამტოვებ. მე რომ ასე ჩემს სახლში დავბრუნდე, ქუჩის მოხერიალე ძალებიც კი დამცინებენ. ან ეს ჭრილობა უნდა შემინორცდეს ისე, რომ ტრამვაისკენ სირჩილით წავიდე, ან არადა ამ საწოლზე დავლევ სულ. ცოლ-შვილს ტვირთად ვერ დავაუკეცი კისერზე. ძალითაც რომ გამაგდო, კარებს იქით ფეხს არ მოვიცალი, გამვლელ-გამომვლელს შევიყრი. ასე რომ ახლა უკვე შენ იფიქრე.

ავნიმ თვალები დახუჭა და თავი მიაბრუნა. ამის მნახველ ექიმს ხმა არ ამოუღია, ოთახიდან გავიდა და წავიდა.

გავიდა ერთი კვირა. კარის ყოველ გალებაზე გული უფანც-ქალებდა ავნის: „ნუთუ ქუჩაში გამაგდებენ, ასეთი აბა ცოლ-შვილს როგორ დაუუბრუნდე?“ — ფიქრობდა ის და შიშით შესცეკროდა ჭრილობის შესახევევად მოსულ ასისტენტსა და ექთანს. მაგრამ ამათ არ შეუცილიათ ავნისადმი დამოკიდებულება. იმავე მოჩიდებული სერიოზულობით უხვევდნენ ჭრილობას, გამოკითხავდნენ ჯანმრთელობის ამბავს და პასუხის მიუღებლად გადიოდნენ თახიდან.

ერთ დღეს პროფესორი ოშმანი სახეზე ნაძალადევი ლიმილით შემოვიდა ოთახში. ექთანი და ასისტენტი უკან მოჰყვებოდნენ. ის შუბლშეცმუხვნილი დაინარა ავადმყოფისაკენ, კარგად გასინაა და რაღაცები გამოჰკითხა. შემდეგ თავისი ხელით გადახსნა შეუხორცებელი ჭრილობა, კიდევ ერთხელ გადაათვალიერა ავადმყოფის ფურცელი, ნაოპერაციევზე გადალებული რენტგენის სურათები და ავნის უთხრა.

— შენი ავადმყოფობის ეს სტადია სტუდენტებისათვის არის ძალიან საინტერესო, ხვალ ფაკულტატურ საავადმყოფოში გადავიყვანო!

თემი გეგი

მხატვარი თევფიქ არაურგუნი, ცალ ხელში მოლბერტაზ
 და მეორეში სალებავების ყუთით, ნავსაღვურში იდგა და გა-
 რემოს ათვალიერებდა. ბრტყელი და დაბალი სანახშირე ნავე-
 ბი, რომელთა იალქნებს გუშინ საღამოს ჰალიჩის¹⁰ თავზე ჩამა-
 ვალი მზის სხივები ივარაყებდა, ახლა, გვიანი დილის თვალის-
 მომჭრელ სინათლეზე, ძალიან ჰუჭყიანად გამოიყურებოდნენ
 და თითქმის თავიანთი ჩვეულებრივი იერი მიეღოთ. თევფიქმ
 დაინახა, რომ მის მიერ ჩაფიქრებულ სურათს — „სანახშირე
 ნავები ფინდიქლიში“¹¹ — მთელი მიმზიდველობა დაეკარგა.
 საზამთროს კანებსა და დახოცილ კატებს შორის მძიმედ მო-
 ქანავე ნავები წააგავდნენ სახეგაყვითლებულ, დაბნეულ და
 ხორცებიამოკიდებულ ბებერ მოცეკვავეს, რომლის ნამდვილი
 სახე პროექტორის ჩაქრობის შემდეგ გამოჩნდება ხოლმე.
 თევფიქს გადაწყვეტილი ჰქონდა დღეს სურათი დაეხატა და
 ამიტომ აუცილებელი იყო რაიმეს გამონახვა, მაგრამ არა შემ-
 თხვევითისა. რაიმე ისეთი იყო საჭირო, რაც თავისთავად შეიძ-
 ლება მახინჯი და უსიამოვნო იყო, მაგრამ შელამაზება შეიძ-
 ლებოდა... რადგანაც ხელოვნება ვალდებულია ყველაფერი, —
 დედამიწაზე თუ ადამიანში არსებული, მშენიერება თუ სიმა-
 ზინჯე, — გვიჩვენოს ერთნაირად, ვითარცა მთვარემ, რომლის
 ნათელი ერთნაირად ეფინება ნაგვის გროვასა და მშვენიერ სა-
 სახლეს და ცრუ და მომხიბლავი ღრუბლების მიუწვდომელ
 ფერად სამოსში ხვევს. ვისაც შესაძლებლობა აქვს რაიმე სა-
 სიკეთო დაინახოს ხელოვნების ნიმუშში, ის მისგან უპირველე-

სად ყოვლისა მოითხოვს იყოს სიმშვიდის მომგვრელი, დამაწყნარებელი; ხელოვანის საზრდოც სწორედ ამ ტკბილი სისმრავანის მოჩვენებებზე იყო დამოკიდებული და არა სანახშირე ნავში თავდალმა მწოლ დაფლეთილ ტანსაცმლიან ბართინელ¹² ბიჭებე.

მხატვარი არაეურგუნი ნაღვლიანად გასცემოდა ზღვის გლუვ და მწვინე ზედაპირს, როცა უეცრად, რამდენიმე ასეული მეტრის მოშორებით, ერთ გემს მოჰკრა თვალი.

კოხტა და გრძელი გემის დახრილი საკვამლე მილიდან მსუბუქი ბოლი ამოდიოდა. მისი ლითონის ნაწილები ყვითლად ლაპლაპებდა მზეზე. გემი უძრავად იდგა. იგი ძალიან ჰგავდა წყლის ზედაპირზე მოლივლივე თოლიას, რომელსაც ნისკარტი წინა ქედს გაშვერილი და კუდით ოდნავ ეხება წყალს.

თევფიქმა თვალები მოჰკრა და იქითკენ გაიხედა. შემდეგ რატომდაც თავი დაიქნია, თითქოს რალაცა გადაწყვიტაო, და სამფეხი გაშალა. სალებაეების ყუთი გახსნა, პალიტრა და ფუნჯები ხელში აიღო და ისე მშვიდად და ზანტად შეუდგა თეთრი გემის ხატვას, თითქოს საცაა თავს მიანებებსო.

მაღლა ასული მზე თვალებში სცემდა მხატვარს და მთლად უღარავდა ჯერ ახალგაზრდა, მაგრამ დანაოცებულ სახეს. იგი დაბალ სამფეხს იყო ამოფარებული და როცა გემისკენ მიაბრუნებდა თავს, კისერზე კანი ეკეცებოდა.

ერთი საათის შემდეგ მან ხატვა გაათავა. უფრო სწორად—ეჭ, მეყოფა უკვეო, წაილაპარაკა და ხატვას თავი მიანება. შებლზე ჩამონადენი თფლი ხელის ზერგით მოიწმინდა და ორი ნაბიჯი გადადგა უკან. სურათი არც თუ ისე ცუდი გამოსულიყო. სახატად არახელსაყრელ დროს ნაჩქარევად შესრულებული ეს ნახატიც კი იმას მოწმობდა, რომ თევფიქი საკმაოდ ნიჭიერი ხელოვანი იყო. ის კარგად გრძნობდა ამას, როცა თავის დახატულ სურათს უყურებდა ხოლმე. „ ეჭ, — ფიქრობდა იგი, — კიდევ რამდენიმე თვეს რომ შემძლებოდა საფრანგეთში დარჩენა... კაცმა ექვს თვეში რა უნდა ნახო, რა უნდა ისწავლო“. თევფიქი დაიხარა ხელსაწყოების ასაკრეფად და

ისევ წალაპარაკა თავისთვის: — დახატე, შენ რომ გინდა ჩე-
თი კარგი სურათი... მაგრამ თუ არავინ გამოჩნდა, ვისაც ესმის
და იცის მისი ფასი?

იგი ცოტა ხანს შეჩერდა. მწარე ღიძილმა გადაუარა დამუ-
შულ ტუჩებზე და მთლად დაუნაოჭა სახე. თევფიქმა ფიქრი
განაგრძო: „რას იზამ, ამისიც მადლობელი ვარ, ანატოლიაში
საშუალო სკოლასა და პედაგოგიურ სასწავლებლებში რვა
წლის ხატვის მასწავლებლობამ შავ დღეში ჩაგვყარა, აქეთ რომ
არ გამოვქმეულიყავით, უარესი დაგვემართებოდა“...

თევფიქმა გემს მიაპყრო თვალები და ფიქრებიც მაშინვე
მასზე გადაიტანა: „ვინ იცის, რომელი გიაურის იახტაა?.. იცი-
ან ცხოვრება მაგ ოხრებმა! თუმცა, რა გასაკვირია, ამ ქვეყანა-
ზე ფულია ყველაფერი და ფული იმათ ხელშია... ხელოვნების
ფასიც მათ იციან. ნეტავ სადაურია ამ გემის პატრონი, ინგლი-
სელი თუ ამერიკელი? თუ ინგლისელია, ტყუილია, ძუნწები
არიან. თუ ამერიკელია, მაშინ არა უშავს“...

თევფიქმა ხელით მოიხმო იქვე მიმავალი ნავი და ჩაეცინა,
რადგან იგრძნო, რომ ჯერ კიდევ თვითონაც არ იყო კარგად
გარევეული თავის გადაწყვეტილებაში. ის გემის პატრონს
წაულებდა ამ პატარა ნახატს და სთხოვდა საჩუქრად მიეღო. ეს
იმოქმედებდა მასზე. თან კიდევ, როცა გაიგებდა, რომ თევფი-
ქი მის გასწვრივ მდებარე აქალების მასწავლებელთაგანია,
აუცილებლად ჯიბეზე გაიკრავდა ხელს. პირადი სიამოვნები-
სათვის საკუთარი იახტით სამოგზაუროდ წამოსული მდიდარი
უცხოელისათვის იმაზე უფრო სასიამოვნო რა შეიძლება ყო-
ფილიყო, რომ თავის ხალონში დაეკიდა სტამბოლის უბადლო
ბენების ფონზე შესრულებული თავისი გემის ლამაზი სურათი
და მეგობრებისათვის ეთქვა — ეს ადგილობრივმა პროფესორ-
მა დახატაო. თევფიქმა იცოდა, რომ სახეტიალოდ წამოსულ
უსაქმო მდიდრებს, რომლებიც თავისი ქვეყნის ვერც ერთ კუ-
თხეში ვერ ისვენებდნენ, ჩვეულებად ჰქონდათ ყოველი ადგი-
ლიდან, სადაც კი მივიღოდნენ, საბუთის ნიშნად რაიმე
წამოეღოთ და ელაპარაკათ — ყველა მხარე მოვიარეო. მაგრამ
როცა დაფიქრებული თევფიქი გემს მიუახლოვდა და ინგლი-
სერ დროშას მოჰკრა თვალი, ცოტა არ იყოს იმედი დაპკარგა.

ცნობილი იყო, რომ ფულის ხარჯვა ამერიკელებს შეუძლიათ. „მაგრამ რას იზამ, გული მაგრად გქონდეს, თევფიქტურებათ-ფიქრა მან და ხელში სურათით თეთრი გემის კიბეების პეტვა. ზემოთ ვიღაც მომღიმარე ახალგაზრდა დახვდა, ძველი ნაცნობივით გაუწოდა ხელი და დამტვრეული ფრანგულით მიმართა:

— მობრძანდით, ამ ცოტა ხნის წინათ გიყურებდით, მივხვდი, რომ ჩვენს გემზე მოდიოდით. დურბინდით თქვენი ნახატიც დავინახე. ალბათ ჩვენი გემი დახატეთ, არა? — ამ ლაპარაკში მან თევფიქტი წითელი ხავერდით მორთული სალონისენ წაიყვანა. ექვს თვეში დიდის გაჭირვებით ნასწავლი ფრანგულის გამო თევფიქტს ნახევრად ვერ გაეგო მოსაუბრის სიტყვები. დანაოცებულ სახეზე ღიმილგადყრულს ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს ყველაფერი ესმოდა. ის უკან მისდევდა კაპიტანს, რომელიც განაგრძობდა:

— მისი აღმატებულება ლორდი ძალიან შეწუხდება; გემზე რომ იყოს, უსათუოდ მიგიღებდათ. ძალიან ეწყინება, რომ პირადად ვერ შეაფასა თქვენი ნახელავი.

არავურგუნს გულმა უეცრად ძლიერ დაუწყო ცემა. უსიამოვნო მოლოდინმა გაუელვა თავში: „ვიღუპები, — გაითიქრა მან. — ამ კაცის ქცევიდან ჩანს, რომ რაյი ლორდის აღმატებულება გემზე არ არის, უკანვე გამისტუმრებს. ეჭ, რა გულ-ქვანი არიან ადამიანები... შორისან დავუნახივარ დურბინდით და ჩემი გაბრუნების გეგმაც დაუწყვია... რას იზამ, ასეთია ბედი“...

როგორც ყოველმა კაცზა, რომელიც მიჩვეულია ოცნებების ჩაშლას, მხატვარი თევფიქტი ბედს დამორჩილდა. ახალგაზრდა კაპიტანმა სურათი ხელში აიღო და დიდხანს ათვალიერა მუშტრის თვალით: — აჭ, რა მშვენიერია, რა მშვენიერი... — წარმოსთქვა მან, — მე მგონი პატივს დაგვდებთ და ისაუზმებთ ჩვენთან ერთად, არა? — ამან ძალიან გაახარა თევფიქტი და იმის ანგარიში დაიწყო, რამდენი დღეა ნამდვილი, წესიერი საჭმელი არ მიქამია: „კარგია, რას ვიზამ, ამისიც მადლობელი ვარ!“ — გაითიქრა მან.

გემზე დამზადებული გემრიელი საჭმელებით დანაყრებული, ზედმეტად გადაკრული ტკბილი ღვინით შექეიფიანებული და დლევანდელი დახლით კმაყოფილი თევფიქი ტახტის ჭურჭელი მიეყრდნო. ასეთ მშვენიერ გემზე ესოდენ სტუმართმოყვარე უცხოელთან ერთად მირთმეული ეს შესანიშნავი საუზმე ღირდა იმ სურათად, რომელიც მან ერთ სათში დახატა მუყაოს პატარა ნაკერზე.

სტუმბოლის სილამაზესა და მხატვრობის დეტალებზე გააბეს საუბარი. მიუხედავად იმისა, რომ კაპიტანმაც არ იცოდა ფრანგული კარგად, ისინი თანდათან უფრო ადვილად ავებინებდნენ ერთმანეთს. ბოლოს, თევფიქი წასასვლელად ადგა.

— ერთი წუთით მომითმინეთ, — მიმართა მას კაპიტანმა და სალონიდან გავიდა. მალე ისევ შემოვიდა და, სახეზე ოდნავ წამოწითლებულმა, თევფიქს მიმართა: — მისი აღმატებულება ნამდვილად გულნატენი დარჩება. თქვენს ჯენტლმენურ დამოკიდებულებას თვითონ ის უეპველად უფრო დააფასებდა. მაპატიეთ და ჩემგან ეს მიიღეთ. — მან მხატვარს კონვერტი გაუწოდა. თევფიქმა მადლობა ამოილულლულა და მხერვალედ ჩამოართვა ხელი კაპიტანს, რომელმაც იგი კიბეებამდე გამოაცილა და ნავიც მისცა ნაპირზე დასაბრუნებლად.

ნავში თევფიქს ხელი არ ამოულია ჯიბიდან. თითებს შორის მოშრიიალე კონვერტს ეალერსებოდა. ის იწვიდა სურვილით ენახა, თუ რამდენი ფული იყო შიგ, მაგრამ ერიდებოდა ინგლისელი მეზღვაურისა, თუმცა ის ზედაც არ უყურებდა და ძლიერ უსვამდა ნიჩბებს. იმედი რომ არ გაცრუებოდა, თევფიქი გაურბოდა რაიმე წინახწიმეტყველებას. როცა ნაპირს მიუახლოვდნენ, ხმელეთზე გადახტა, გაიქცა, სახლის კუთხეს მოეფარა და ხელების კანკალით ჯიბიდან კონვერტი ამოილო. შიგ ხუთი მსხვილი ბანკნოტი იდვა. რამდენჯერმე შეატრიალა და წარწერის ამოქითხვას შეეცადა. და როცა ზედ დაიწახა ციფრი ხუთი, იფიქრა, ეს ხუთ-ხუთი გირგანქა ინგლისური სტერლინგი უნდა იყოსო; მაგრამ მაინც გადაწყვიტა ვინმე მცოდნესათვის ეკითხა.



თევზიქის მიერ გემის სურათში აღებული ოცდანტუმავაკორ-
განქა სტერლ. ნგის ამბავი რამდენიმე საათში მთელ აკადემიას
მოედო და მალე გარკვეული შედეგებიც გამოილო.

მაგალითად, ხუთიოდე ახალგაზრდა და მოხუცი მხატვარი
მაშინევ სანაპიროსკენ დაეშვა და ერთმანეთისაგან მალულად
დაიწყო იმავე თეთრი გემის ხატვა. მაგრამ ჯერ კიდევ დასაწ-
ყისში მთელი იმედები წყალში ჩაუცვიდათ: თეთრ გემს
მოტორიანი პატარა ნავი მიადგა. გემმა საკვამლე მილიადან
სქელი ბოლო ამოუშვა და ცოტა ხნის შემდეგ მარმარილოს
ზღვისკენ იბრუნა პირი.

ამ დღიდან ბევრმა მხატვარმა მოსვენება და ზოგმა ძილიც
კი დაჭვარგა. ყველა თეთრ იახტას ელოდა, ყველა იწვოდა
მისი დახატვის მოლოდინში. მთელი დღეების განმავლობაში
ისინი ხან სახელოსნოს ვეება ფანჯრებთან იდგნენ, ხან სანა-
პიროსკენ დაეშვებოდნენ თითქოსდა სუფთა ჰაერის ჩასაყლა-
პავად. იქ დახეტიალებდნენ დაფიქრებულნი და მუდამ პორი-
ზონტს გასცეროდნენ. როცა დარწმუნებულნი იყვნენ, რომ
არავინ უყურებდა, გაჩერდებოდნენ, თავზე ხელებს შემოიწ-
ყობდნენ და ვრცელ ზღვაში დაკარგულ მეზღვაურებსავით,
ხმელეთს რომ ეძებენ. ცდილობდნენ რაიმესთვის მოეკრათ
თვალი წყლის ზედაპირზე. ბევრი მათგანი ნაირ-ნაირ თეთრ
გემს ხედავდა სიზმარში. მათთვის ძველი სამგზავრო გემი თუ
ჯუჯა ნავი, საზღვაო სასწავლებლის ფორმაში გამოწყობილი
ქალი თუ ინდოელ რაჯასავიდ ჩატმული შავწვერა კაცი, რა-
ტომღაც თეთრი ფერისა იყო. მაგრამ ნამდვილ თეთრ გემს კი
თითქოს ფიცი ჰქონდა დადებული არ მიჰყარებოდა სტამბი-
ლის ნავთსაყუდელს.

გავიდა ქვირეები და თვეები და მარმარილოს ზღვისა და
დარდანელის ლურჯ წყალზე იახტის მსგავსი არაფერი გამო-
ჩენილი. მეორე მსოფლიო ომის წინა პერიოდი იყო და ლორ-
დებს ღლბათ არ ჰქონდათ სეირნობის სურვილი. მაგრამ ზო-
გიერთი ოპტიმისტი მხატვარი იმედს არ კარგავდა. მათ სწამ-
დათ, რომ ერთ შშვენიერ დღეს თეთრი იახტა უკან მოიტოვებ-

და სარაიბურნეს 13 და კიზულესის¹⁴ წინ ჩაუშვებდა ღუმენის
გაიმარჯვებდა ის, ვისაც თუმცა მოსწყინდა ლოდინი და ის
დღეს შესაძლებლობაც გაუშვა ხელიდან, მაგრამ ითმენდა და
იმედს არა ჰყარგავდა. თევფიქ არავურგუნი ამ უკანასკნელთ
ეკუთვნოდა. რაც იქნება, იყოს, ბოლომდე მოიცდიდა და მის
შეირ აღმოჩენილ განძს არავის ჩაუგდებდა ხელში. სხვებს ისე-
თი გაბრაზებული ითვალიერებდა, როგორც ქურდი უყურებს
ხოლმე უფრო კეთილშობილ საქმიანობას, და თავისთვის ამბობ-
და: „ჯერ გამოჩენდეს ერთი მაინც და მე თქვენ გაჩვენებთ“. დროდადრო კი მოლებებოდა, ამხანაგებთან მივიღოდა და შემა-
რიგებელი წინადადების გამონახეას ცდილობდა: პირველი
შემი ჩემი იყოს, მეორე შენი, მესამე კიდევ ამისა და ამისა,
ეუბნებოდა და საერთო ენას ეძებდა ყველაზე უფრო საშიშ
მოწინააღმდეგესთან. მაგრამ თეთრი გემი, თეთრი იახტა არა
და არ მოღიოდა.

სექტემბრის ერთ დილას ნავთსადგურში სამი მხატვარი და-
სეირნობდა. ისინი ერთმანეთს ემალებოდნენ. თევფიქი გამა-
ლებით მიაპიჯებდა. ხან ზღვას გაპხედავდა, ხან თავის ამხანა-
გებს და თავისთვის ილანძლებოდა:

„რას უჩვენებდი ფულს ყველა შემხვდეურს? შენ თუ ინგლი-
სური სტერლინგი არ გინახავს, განა მათ კი ბევრი აქვთ ნახუ-
ლი? ვერც ერთი მათგანი ვერ მიხვდა რა ღირებულებისა იყო
ბანკნოტი, შენ კი შენი საიდუმლოება გაეცი“...

სწორედ ამ დროს ერთი იმ სამ მხატვართაგანი, ქერა ახალ-
გაზრდა, რომელმაც გამოფენაზე ზედიზე როჯერ მოიპოვა
პრემია, უეპრად გაშეშდა აღგილზე და თავისთვის ჩაილაპა-
რაკა: — შეხე, ბიჭო, იახტა!

არ ვიცი გარშემო სიჩუმე იდგა და იმიტომ, თუ ახალგაზრ-
და მხატვარს მღელვარებისაგან ხმამაღლა მოუვიდა თქმა, ეს
სიტყვები სხვებმაც გაიგონეს, გაქვავებულები შედგნენ და
იქით მიაპყრეს თვალები, საითაც ახალგაზრდა, ქერა მხატვარი
იყურებოდა. დიახ, მათგან სულ რამდენიმე საეულ მეტრზე
იდგა თეთრი გემი და მსუბუქად ქანაობდა ტალღებზე. ვერა-
ვინ მიმხვდარიყო როდის მოვიდა ეს გემი და როდის ჩაუშვა
ლუზა. არავის შეეძლო ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. მაგრამ

ფაქტით თვალშინ იყო. თეთრი გემი, რომელსაც ისინი თვეუბით ელოდნენ, მათ წინ იდგა. გონის მოსული მხატვრების შად იყვნენ გაფრენილიყვნენ სახელოსნოებისაკენ, მაგრამ არ უნდოდათ ერთმანეთისათვის ამ ამბის გამხელა. ისინი მძიმე ნაბიჯით შევიდნენ სახელოსნოში, აიარეს კიბეები. ერთი წუთის შემდეგ ისინი სამფეხების წინ იდგნენ და საღებავები ხელში ეკავათ.

სამივემ კარგად იცოდა, რომ ამ საქმის წარმატება სურათის დახატვის სიჩქარეზე უფრო იყო დამოკიდებული, ვიდრე მის სილამაზეზე. ამიტომ თევფიქმა პირველმა, სულ რაღაც ნახევარ საათზე უფრო მცირე ხანში, გაათავა ხატვა. დანარჩენ მხატვრებს, რომელთაც წინასწარ მზად ჰქონდათ ხედი კიზეულესისა და სარაიბურნუს შორის, მხოლოდ გემი უნდა ჩაეხატათ. თევფიქმა ხელი სტაცა თავის ნახატს, პროსპექტზე გამავალ კარებში გავიდა, ნავში ჩახტა და მენავეს უთხრა, მთელს სისწრაფით მოესვა მათ გასწვრივ მდგომი გემისაკენ. ჯერ ოცდაათი ნაბიჯითაც არ იყო მოშორებული ნაპირს, რომ თვალი მოჰკრა ორ მხატვარს, რომელნიც ცალ-ცალიე ნაუებში ჩამსხდარიყვნენ და გამალებით უახლოვდებოდნენ გემს. — მიღი, ძია, მიღი! — გაამხნევა თევფიქმა მენავე, რომელმაც ალმაცერად გადმოხედა, რაღაც ვერ მიმხვდარიყო, თუ რას ნიშნავდა ეს უაზრო ცილობა. თევფიქმა ენა მუცელში ჩაუვარდა. მეზობელი ნაები თანდათან ახლოვდებოდნენ. არც ერთ მათვანს სურათი დასრულებული არა ჰქონდა. ახლა ნავში მუხლებზე დაედოთ და ფუნჯებით რაღაცას ამატებდნენ, აქა-იქ ასწორებდნენ.

გემის კიბეს სამივე ერთად მიადგა. ნავში ისეუბეს და კიბეს შეუდგნენ; ისინი ჩამწერივებული მისდევდნენ ერთმანეთს. წინ თევფიქმა გარბოდა. მხატვრებს საკმაოდ სუფთად ჩატმული, ცისფერთვალება და გრძელცხვირა მეზღვაური შემოეგბათ. — რა გნებავთ? — ჰქონდა მან მოსულებს ტებილი, ლაზური კილოთი, ნაცვლად ფრანგულისა ან ინგლისერისა. მხატვრებს ერთ ხანს ენა დაებათ, მაგრამ როცა დაინახეს, რომ ამ გზით ვერაფერს გახდებოდნენ, გადაწყვიტეს წესიერად

— იახტის პატრონი სად არის, ეფენდი, მისი ნახვა გვინდა,— ჰემდევ კი უფრო ფრთხილად განაგრძეს:— გვმის სურათი დავხატეთ და გვინდა ვაჩუქოთ!

ისინი კიდევ აპირებდნენ რაღაცის თქმას, მაგრამ ზემოდან ხრინწიანი და ძლიერი ხმა მოესმათ. მოიხედეს და დაინახეს კაპიტნის ხილზე დაყრდნობილი, უვითელსებილებიანი, ერთი კვირის გაუპარსავი კაცი, რომელიც დიდრონ თვალებს ამრიალებდა:

— რა იახტა? მაშანწალები ხართ თუ ვინა გდინართ? აქ რა, სამასხარაოდ მოხვედით? მაგ თქვენს ნახატებს ახლავე თავზე გადაგაფხრეწთ, — იყვირა მან და უძრავად მდგარ გრძელცხვირა მეზღვაურს მიუბრუნდა.

— შენ რაღას უცდერი, გაყარე აქედან! — კაპიტანი თავის კაიუტაში შებრუნდა ისე, რომ აჩც კი შეუხედავს მხატვრებისათვის, რომლებიც ჯერ კიდევ აპირებდნენ აეხსნათ მისთვის, თუ რაში იყო საქმე.

ცისფერთვალება მეზღვაურმა თავაზიანად, მაგრამ მტკიცედ გაუყენა ისინი კიბეებისაკენ და თან დაატანა:

— ეგ ვერ მოგივიდათ კარგი. ჩვენი კაპიტანი ნერვიულია, ხუმრობას ვერ იტანს. გზა მშვიდობისა!

თევფიქს არ უნდოდა ისე წასელა, რომ არაფერი ეკითხა. მან უკანასკნელი გამბედაობა მოიკრიბა და მეზღვაურს მიმართა:

— კარგი, მაგრამ ეს იახტა ვრსია?

მეზღვაურს სახეზე ალმური მოედო და ცხვირის ნესტოები აუთრთოლდა:

— გეყოფა რომვა, საქმე შემოგლევიათ თუ რა? ეს გემი აჩავისი აზ არის, სახელმწიფოა. იახტა საიდანლა მოიგონეთ, მაშველი გემია. ათი დღეა დავალების შესასრულებლად ვართ წასული. როგორც კი სტამბოლში შემოვედით, თქვენც გაჩნდით საიდანლაც. გასწით აქედან!

სამივე მხატვარი ნავში ჩაჯდა. გონს რომ მოვიზნენ, თავი მოატრიალეს და თეთრ გემს შეხედეს. ამ გემს მართლაც არა-

ფერი ჰქონდა იახტისა. დაბალი, ზევით აშვერილი მაღალი
ცხვირით იგი ბუქსირს უფრო ჰგავდა. თეთრი საღეზეზე ილაგ-
ალაგ დასვრილი და ამძვრალი იყო.

მხატვრებმა გადაწყვეტეს თავიანთი დღევანდელი თავგადა-
სავალი საიდუმლოდ შეენახათ, რომ ამხანაგების სასაცილოდ
არ გამხდარიყვნენ. ამ ამბის შემდეგ ბევრმა დრომ განვლო,
მათაც ბევრი იფიქრეს, მაგრამ მაინც ვერ მიხვდნენ, თუ რა
იყო ის, რამაც იმ დღეს ეს უფორმო, მაშველი გემი კონტა,
თეთრ იახტად მოაჩვენა.

1945

შპნდარმი გეჟირი.

ციხეში მე ყოველთვის ვეკითხებოდი ჩალელ¹⁵ ჰალილ
ეფეს¹⁶:

— რისთვის მოგისაჭეს ას ერთი წელი, რა ჩაიდინე?

— კიდევ მადლობა, რომ არ ჩამომახრჩვეს, ეფენდი, —
მეუბნებოდა ის პასუხად და ხითხითებდა.

მე არ ვეშვებოდი, ვეკითხებოდი, მინდოდა გამეგო, რა შე-
ემთხვა. ბოლოს, თავიდან რომ მოვეშორებინე, მითხრა:

— მთავრობა ჩემგან მოითხოვს ორ მოქალაქეს, ერთ უა-
დარმს, ერთ თოფსა და ორ ცხენს.

ყველაფერი ეს ისე სწრაფად ჩამოთვალა, რომ მე პირდა-
ლებული შევაცმერდი.

— შენ რატომ გთხოვენ? — ვკითხე მე.

— დაუკარგავთ და ხომ არ გინახავსო, მეუბნებიან, —
თქვა მან და დამცინავი ღიმილით შემომხედა. მე „ეფენდი“
ვიყავი და ამიტომ ციხეში თავდაპირველად ალმაცერად მიყუ-
რებდნენ. გავიდა დრო; თანდათან შევეჩვიერ ერთმანეთს, პა-
ლილ ეფესაც დავუმეგობრდი. მაშინ ნაწილ-ნაწილ მიამბო თა-
ვისი თავგადასავალი.

ყოველი ამბავი ცალკე მოთხობის თემად გამოდგებოდა.
მე კი მხოლოდ იმს გიამბობთ, თუ რატომ ემართლებოდნენ
პალილ ეფეს უანდარმს, ცხენსა და თოფს.

— მე უკვე გიამბე, რომ სულეიმანის მოკვლის შემდეგ ჩა-
ლიდან იზმირს¹⁷ გავიქეცი. იქ დამიჭირეს და დენიზლის¹⁸
ციხეში გამაგზავნეს. ველოდი სასამართლოს. ერთ დღეს ციხის
უფროსთან დამიძახეს და მითხრეს — ჩალის პროკურატურაშ
მოგითხოვა, ძიება უნდა გაფართოვდეს და ამიტომ ჩალში
3. საბაჟითინ ალი

უნდა წახვიდეთ. იზმირიდან წამოსვლისას ფეხებზე გაჩქოდი
იარები ახალი მოშუშებული მქონდა და წასვლის ამბავმა
გულში გამკრა. შენ არ იცი, რას ნიშნავს ფეხით იპროექტი
ეტაპიდან მეორემდე. მერე კიდევ ყველა უანდარმი მიცნობდა
იმ მხარეში. მათ შორის მეგობარიცა მყავდა და მტერიც. ცი-
ხის უფროსს ვეხვეწე — ნუ იზამთ ამას, სამაზრო პროექტა-
ტურაში ნუ გამგზავნით-მეთქი, მაგრამ — რადგან უკვე იყო
ბრძანება, არწასვლა არ იქნებათ, მიპასუხა. რა მექნა? სახელ-
მწიფო ძალაუფლებასთან ვერაფერს გააშუობ კაცი. ვინმე რომ
დამეჭრა ციხეში, მაშინ ახალი საქმე გაიხსნებოდა და ორ-სამ
თვეს კიდევ დავტჩებოდი, მაგრამ ჩემი სასამართლო ჯერ არ
შემდგარა და ვათ თუ თავმჯდომარე მიმიხდეს, მაშინ ხომ
უკუღმა წავა საქმე-მეთქი, ვიუიქრე. ჩვენებურებს მიეცათ
დიდი დღე, — რამდენიმე ულუფა მომიგროვეს, ცოტაოდენი
გამომშრალი ყველი და ხახვიც მომცეს. ყველაფერი ეს კარგად
შევახვიე, ფეხსაცმელი თოკით ამოვიკარი და მაზრიდან მო-
სასვლელ უანდარმს ჭიშკარში დაველოდე. კარის ყარაულს
ნეჯიბ ეფენდის არ ვუყვარდი. ვინ იცის, ალბათ იმაზე ბრაზობ-
ლა, რომ ეფე ვარ და თანაც ლარიბი... უანდარმი რომ მოვიდა,
ნეჯიბ ეფენდიმ განშე გაიხმო. ცოტა ხანს ილაპარაკეს. ამის
შემდეგ უანდარმმა მოითხოვა, რომ ბორკილები დაედოთ ჩემ-
თვის. ო, ღმერთო მიშველე, შორი გზა გვაქვს გასავლელი და
შემიბრალე-მეთქი, ვეხვეწე, მაგრამ ყურიც არ მიგდო. მქლა-
ვები ზურგზე გადამიგრინა და ბორკილი დამადო. დავადექით
გზას. ცოტა გზა როდია დენიზლიდან ჩალამდე. შუა ივლისი
იყო. ექვსი-შვიდი საათის სავალს გავდიოდით სიცხეში. იმ
მხარეში ეტაპები ახლოსაა ერთმანეთთან და უანდარმი დღეში
ორჯერ იცვლებოდა. განა შეეძლო ხუთი საათი ევლო ძილისა-
გან გაგუდულ უანდარმს? მაჩქარებდა, აქაოდა მალე მივალ
უახლოეს ეტაპამდე და უკან დავბრუნდებიო; ცოტა ხანი ქვა-
ზე ჩამოვჯდეთ, მეტი ალარ შემიძლია-მეთქი, რომ ვეტყოდი,
კონდახს მირტყამდა. ზოგი უსინდისო უანდარმი ჭი ამ პა-
პანქება სიცხეში გზადაგზა გადავიდოდა ხოლმე ჭალოზე,
მოიყუდებდა ღოთხი სავსე თუნგს და, გლეხებს რომ მოეცათ
კიდეც, მე ერთ წვეთსაც არ დამალევინებდა.

მესამე დღეს, საღამოს, ბაქლანის ველზე რქინიგზის ხაზთან
მდებარე სოფელ კაკლიეში მივედით. ჩალი უკვე ახლოს ჰქონდა
მეთქი, მიხაროდა. მაგრამ გავიხედე და ამას ვის ხედავს ჩემი
თვალები — ჩვენი კარამურადის ბეჭირი: უანდარმი გამხდა-
რა. მე რომ დამინახა, გაეცინა. „დაიღუპე, შე საწყალო ჰა-
ლილ, დაიღუპე“, — ვიფიქრე მე. ერთი უბნიდან ვიყავით, მაგ-
რამ ბავშეობიდანევ ვერა ვრიგდებოდით. ერთმანეთისათვის
არაფერი გვითქვაშს, მაგრამ შინაგანად ვმტრობდით ერთ-
უროს. რაც ქალის გულისათვის სულეიმანი მოვკალი, მას
შემდეგ ბეჭირი დამდევს სისხლის ასაღებად. ისა და სულეი-
მანი მეგობრები იყვნენ. თავისი დაც მგონი იმ ცხონებული-
სათვის უნდოდა ცოლად. მე რომ მთაში ყაჩალად გავედა,
მერე სოფელში ვეღარ ისვენებდა. ორჯერ გასცა ჩემი
ადგილსამყოფელი. მაშინ კი შევუთვალე, რომ თუ სიცოცხლე
არ მოგძულებია, წინარად იყავ, თორემ მე ვიცი, რა დღესაც
დაგათევ-მეთქი. მას შემდეგ ხმა არ ამოუღია. ახლა ჩემს წი-
ნაშე იდგა სახელოვანი, პატივნადები უანდარმი და კბილების
ლრკენით მიყურებდა. ბეჭირი მომიახლოვდა, მხარზე ხელი
დამკრა და მითხრა:

— აბა, ჩვენებურო, რაც იყო, იყო, გული ნუ გაგრეხია,
ზეიბეჭები ვაუკაცები არიან.

ღმერთო, ღმერთო, ეს ბიჭი ჩემს მდგომარეობაში შედის-
მეთქი, ვიფიქრე. მაგრამ მისი კბილების ლრკენა თანდათან
მირევდა გონებას. ბეჭირმა ვერდით ოთახში შემიყვანა და
ბორკილგაყრილი დამტოვა შიგ.

— დაწექი და დაიძინე, ძალ-ღონე მოიქითე დილისა-
თვის, — მითხრა და ისევ ჩახითხითა. მიწა ოთახში ტახტი-
ვით იყო გამოჭრილი, ზედ ჭილოფი ეფინა. წამოვწექი. საშიშა
იყო ბეჭირის ასეთი ღიმილი, მაგრამ ღმერთია მოწყალე-მეთქი,
გავიფიქრე და დაიძინე.

დილას გარიერაეთან ერთად გამომეღვიძა. ოთახის ორ პა-
ტარა ფანჯარასთან ხმაური ისმოდა. რა უნდა იყოს-მეთქი,
წამოვდექი. ოთახში ბეჭირი შემოვიდა. წინანდებურად იცინო-
და. მომიახლოვდა:

— აბა, ადექ, ჰალილ ეფე, ძველი ანგარიშები მაქეს შენ-

თან გასასწორებელი. რამდენი მეგობარიც გყავდა, ყველას თავი მოვუყარე და მოვედი.

— ახლა კი დაიღუპე, საცოდავო ჰალილ ეფე, — წავიბუტბუტე ჩემთვის და კარ-ფანჯარა შევათვალიერე. ამას რას ვხედავ — შვიდი სოფლის ბობოლები და მამასახლისები დამდგარან და ყაყანებენ. თურმე ბეჭირი წასულა და რაც გადამტერებული სოფლები მყავს, ყველას თავკაცებისათვის მოუყრია თავი.

მე არაფერი შევიმჩნიე. ბეჭირი მომიახლოვდა და ბორკილში წამატანა ხელი. მაშინვე ავდექი. მან შეა ოთახში დარწობილ ბოძთან მიმათრია, თოკი ამოილო, მაგრად მიმაბა ზედ და ჯოხით დამიწყო ცემა...

პატიმარს ჯოხისა არ ეშინია, მაგრამ ბეჭირს რომ მხოლოდ ეცემნა და ეს საღმე უდაბურ ადგილზე მომხდარიყო, სრულიადაც არ მეტკინებოდა. უანდარმია და უნდა მცემოს. მე ის მეწყინა, რომ შვიდი სოფლის თავკაცები შემიყარა და მათ წინაშე ასე გამათახსირა. დამკრავდა ათოოდე ჯოხს, წავიდოდა და ლაპარაკს დაუწყებდა შეგროვეილ გლეხებსა და მამასახლისებს, რომლებიც პირდაღებული იცქირებოდნენ კარებიდან. მერე მოვიდოდა ჩემთან, შემიგინებდა გვარსა და ჯილაგს, შემაფურთხებდა სახეში და ისევ მირტყამდა. ვცდილობდი ფურთხი ამეცდინა და ხელს ვიფარებდი სახეზე, და სწორედ მაშინ ხელზე დაეშვებოდა ხოლმე ბეჭირის ჯოხი. მე ტკივილისაგან ვიღმიქებოდი, სხვები კი სიცილით იხოცებოდნენ ამის დანახვაზე...

ერთ საათზე მეტს ერთობოდა ბეჭირი ასე. სულ მთლად დამალილავა. ქეციან ძალლსაც რომ არ უზამენ, ისეთი სასირცხო საქმე მიქნა... მაგრამ ერთი ოხვრაც არ აღმომზდენია. უანდარმს უნდოდა პატიება მეთხოვა მისთვის, მაგრამ სიკვდილიც რომ მდგომოდა თვალშინ, ამას არ ვიზამდი. ამდენი ხალხის წინაშე და არცა ვქენი.

ბეჭირი დაიქანცა და მომეშვა. საჭმელად წავიდა სოფლელებთან ერთად. „ერთი შენ ჩამიგარდებოდე, ბეჭირ, ხელში, — ვფიქრობდი, — რაც ჰალილ ეფე გავხდი, მერე არავისთვის არაფერი შემირჩნია“.

მალე დაბრუნდა ბექირი. ხმაამოულებლივ გამისსნა თრკი, გარეთ გამიყვანა, ცხენზე შეჯდა და წინ გამიგდო. ჩალისკენ გავემართეთ. დენიზლის აქეთ ცხენიან უანდარმთან არა მიფლია, ახლა კი... აღმართ ასე მიწერია-მეთქი, ვფიქრობდი.

ასე და ამგვარად ვიარეთ ორი საათი. შუა ველზე ვიყავით. ბექირი მსუბუქად ერეკებოდა ცხენს, მე კი მუხლადე ბალახში ხან სირბილით, ხან კიდევ ნაბიჯით მარცხენა მხარეს მივუვებოდი მას. უეცრად ვიგრძენი, რომ ბორკილის საკეტი იჩყევა. ხელები ნელ-ნელა განზე გავშივ და ძალა დავატანე. ბორკილის ყანგიანმა საკეტმა დაიჩხარუნა და მიწაზე დაეცა. კიდევ ნახევარი საათი ვიარეთ ხმაამოულებლივ. შემდეგ ბექირს მივუბრუნდი და ხელები მივუშვირე:

— ბექირ ეფე, ბორკილს საკეტი მოძვრა!..

ბექირი თავმომწონე კაცი იყო, — ცხენზე მჯდომ თოფიანს როგორ გამექცევაო; მას ნირიცა-არ შეუცვლია.

— მოიხსენი და ჯიბეში ჩაიდე, — მითხრა შშვიდად. ბრძანება შეგასრულე. განვაგრძეთ გზა.

მაშინ ჯიბიდან ვერცხლის სათუთუნე ამოვიდე და ბექირს გავუწოდე:

— ერთი პაპიროსი გაახვიე, ბექირ ეფე, — ვუთხარი მე. — რაც მე ჩალელი ჰალილი გავხდი და შენ კი ჩალელი ბექირი, ჩვენ კიდევ ბევრჯერ დავლევთ არაყს, ბევრჯერ მივუჯახუნებთ სასმისებს.

ბექირმა შემომხედა და გაჩერდა. ცოტა ხანს იდგა. შემდეგ ხელი გამომიშვირა და სათუთუნე გამომართვა. თოფი მუხლებზე გაიდვა, ზედ იდაყვებით დაეყრდნო და სათუთუნე გახსნა. დაიწყო პაპიროსის გახვევა. ცალი თვალით შევხედე. პაპიროსს გრეხდა და თან მაგრად აწვებოდა თოფს. თოფის ლულა მოშორებით იყო ჩემგან და ამიტომ მას არც ეშინოდა.

„ამასაც მიმიხვდი, ბექირ“, — გავიფიქრე მე.

სწორედ ამ დროს ტუჩებისაკენ წაიღო პაპიროსი, რომ დაესველებინა. მისმა იდაყვებმა ერთი წამით ჯუშეს თოფს.

ბექირი ჯერ გონისაც ვერ მოსულიყო, თუ რა მოხდა, რომ მე თოფს წავატანე ხელი და ოციოდე ნაბიჯით განზე გავხტი იქიდან.

— აბა, ჩამოდი, სერგანტო ბექირ, ახლა კი გავასწორებთ
მე და შენ ანგარიშს, — შევძიხე მე.

ბექირი მაშინვე ჩამოხტა ცხენიდან და სიცილით წამოვიდა
ჩემსკენ.

— ადგილიდან არ დაიძრა, — ვუყვირე მე, — აღსარება
თქვი, უნდა მოგქლა.

უნდა გენახა, ეფენდი, რა მოუვიდა ბექირს, როცა ეს სი-
ტყვები ვუთხარი. სახეზე ყვითელი ფერი დაედო, საცოდავად
იცეირებოდა.

— მაპატიე, ჰალილ ეფე, დანიშნული ვარ, ერთი საწყალი
დედა მყავს, ნუ მომქლავ ოლონდ და რაც გინდა, ის მიყავ.

არ შემეცოდა-მეთქი, ერ ვიტყვი, რაც არ უნდა იყოს, ჩემი
სოფლელი იყო, ერთი უბნის ახალგაზრდები ვიყავით, მაგრამ
რაც მე მაგან სირცხვილი მაჭამა, იმას სისხლის მეტი ვერაფერი
ჩამორეცხდა. ბექირი რომ ცოცხალი დარჩენილიყო, ხალხში
თავი აღარ მექნებოდა გამოსაყოფი.

— უნდა მოგქლა, ბექირ, სხვა გზა არ არის, თუ რამე
გაქვს საანდერძო, მითხარი.

— ნუ იზამ, ჰალილ ეფე, შენცა მცემე, რაც გინდა, ის მი-
ყავი, ოლონდ სიცოცხლე მაჩუქე.

— შეიდი სოფლის თავკაცებს შეგიყრი და მათი თანდასწ-
რებით იმასვე გიზამ, რაც მე სოფელში მიქენი, მაშინ არ
მოგქლავ.

ესა ვთქვი და თოფი დავუმიზნე. მაშინ კი მიხვდა ბექირი,
რომ აღარ გადარჩებოდა. საცოდავად შემომხედა, თავი მიაბ-
რუნა და მობალახე ცხენს გაპხედა, რომელიც მიწაზე მიათ-
რევდა აღვირს. შემდეგ თავი მაღლა აწია, ცას შეავლო თვა-
ლი და ისევ შე მომაცქერდა. ბექირმა პირი გააღო რაღაცის
სათქმელად... მე ჩახმახს დავაჭირე თითი.

საწყალი ბექირი იქვე ჩაიკეცა უეცრად.

მაგრამ ერთ რამეს გეტყვი, ეფენდი, თუ გინდა ნუ დამი-
ჯერებ: ჩახმახზე თითის დაჭერა და ბექირის დაცემა ერთი
იყო. ალაპმა იცის, რომ საწყალი ბიჭი ტყვიას არ მოუქლავს,
შიშმა მოკლა. ჩემი ტყვაა მას ცოცხალს კი არა, მქვდარს
მოხვდა, მიწაზე რომ ეცემოდა მაშინ.

თანამოაზრი

მოდი აქ, თითო გადავკრათ!.. ნახევარი საათი რომ დავჯ-
 ლეთ, ეფენდი, სახლში ჯოხს ხომ არ გადაგამტვრევენ თავზე.
 ცოლ-შვილი არა გვყავს, მაგრამ მაგისთანობისა მაინც გაგვე-
 გება. აქ საუკეთესო საუზმე იცის და-თანაც იაფია. ასეთი ნაც-
 ნობობა გვაქვს, ერთი ჭიქა მაინც დალიყ.

ბიჭო... ჰეი, გარსონი!.. მოიტა ერთი აქეთ რამე!

დაჯექ, ჩემო თვალის სინათლევ! მე და შენ ძეელი მეგობ-
 რები არა ვართ, მაგრამ რატომდაც შემიყვარდი. მთელი სუ-
 ლით მეგობრებს ვეძუთვნი. განსაკუთრებით კი ჩემი შეხედუ-
 ლების აღამიანის გულისათვის სიცოცხლეს არ დავიშურებ. გა-
 ნა ასე არ არის, ჩემო ძმაო? ამ ჩვენს ქალაქში ხუთი, ათი ინტე-
 ლიგენტი ვართ, ერთმანეთს თუ არ გავეცნობით და მხარს
 არ დავუშერთ, რალაა ჩვენი ცხოვრება? ახლა ეს ქვეყანა მო-
 გებაზეა აგებული და წმინდა მეგობრობა არ არისო, ამზობენ,
 მაგრამ მე ამ აზრისა არა ვარ. განა ჩვენ შეგვიძლია უბრალო
 ხალხივით ვიმსჯელოთ? არც განათლება, არც ჩვენი ბუნება
 და არც შეხედულებანი არ გვაძლევენ ამის უფლებას. შენი
 არ ვიცი და მე მჯერა, რომ მატერიალურზე უფრო გალლა სუ-
 ლიერი ამბები დგას და ის აყავშირებს აღამიანებს. აბა და-
 ფიქრდი, ამ ქვეყანაზე ერთმანეთისადმი სიყვარული და ერთ-
 მანეთთან სიახლოვის გრძნობა რომ არ იყოს, მაშინ რა აზრი
 ექნებოდა ჩვენს ცხოვრებას? მხოლოდ ეს არის, ბრბოზე მაღ-
 ლა რომ გვაყენებს. ჩვენს შორის, ინტელიგენტებს შორისაც
 კი არ არის შეხედულებათა გარკვეული ერთიანობა. ყველა სა-
 კუთარ სარგებლობას დაეძებს. ამიტომ, სულიერ მეგობარს

ყოველ ინტელიგენტს ცხოვრებაზე, ადამიანებზე თავისე-
ბური შეხედულება, ასე ვთქვათ, თავისებური ფილოსოფია
აქვს. ყველა ჩვენგანს ესაჭიროება მეგობარი, რომელიც შენსას
გაიგებს, თავისასაც გაგაგებინებს. მაგრამ არ არის, არა. ჩვენს
დაწესებულებაში ათიოდე კაცი ვართ. ყველა ინტელიგენტია,
განათლებული, ჰქონიანი, მაგრამ ჩემი ჰქონია ვერავინ ვნახე,
ძაშინ, როცა სულიერ, ძმურ მეგობრობას ქვეყანას შევწირავ...
ძელ დაწესებულებაში ერთი ბიჭი იყო, მაგრამ დახე, თავს
უბედულება დაატყდა... ის ის... მგონი შენა ხარ მისი ადვოკა-
ტი. ნამდვილი ადამიანი იყო მართლაც, წმინდა გულისა. გუ-
ლითადი მეგობარიც, რომ იტყვიან, ის იყო ჩემთვის. ცილი
დასწამეს, ჩააგდეს ციხეში. რას იზამ? ასეთი ხალხია... მთლად
უდანაშაულოც არ იყო, ენას არ აჩერებდა, სულ ლაპარაკობ-
და. რამდენჯერ კუთხარი: „შვილოსან, ის დრო აღარ არის,
შენ გინდა ქვეყანა გაასწორო? მიიღე შენი ხელფასი და დაე-
ტიე შენთვის ჩუმად“... — განა ასე არ არის, ეფენდი? ჩვენც
გვაქვს ჩვენი აზრები... მე ჩემს გულში მაგაზე შორსაც ვარ წა-
სული, ისეთ რამეებს ვფიქრობ... დიახ, ეს ქვეყანა ყოველთვის
არ იქნება, მაგრამ ყველაფერს თავისი დრო აქვს... ხომ ხედავ,
ნმას არ ვიღებ! კაცმა ისე უნდა გაიარო თოვლზე, რომ კვალი
არ დატოვო... მაგრამ ახალგაზრდაა, ყურს არ მიგდებდა. პირ-
დაპირ მიდიოდა, თითქოს მარტოხელას შეეძლო ცხოვრების
ჩარჩი წალმა დაეტრიალებინა...

ბიჭო, გარსონ, თითო არაყი კიდევ მოგვიტანე!

სულ კითხულობდა და კითხულობდა; რაც წიგნებში ეწე-
რა, მართალი ეგონა და თავში იდებდა. ცხოვრებას უნდა
უყურო, ცხოვრებას. წიგნებში არაფერი ყრია... ვინ იცის,
იქნებ ჩვენც ვკითხულობთ სახლში... მაგრამ ცხოვრება სულ
სხვაა... გარემოებას და დროს უნდა მოუცადო... როცა დრო
მოვა, მე მასზე უფრო თავდადებულად გავწირავ თავს. ჩემი
შეხედულებების გულისთვის თუ სისხლის უკანასკნელი წვე-
თი არ დავღვარო, კაცი არ ვიყო. მაგრამ, ხომ ვთქვი, ამასაც
თავისი დრო აქვს.

აპ, აპ, დაიღუპა ბიჭმა თავი, დაიღუპა... ამ პატიარა ქალაქში
ხელად გაბერავენ ყველაფერს. შენთვის უნდა იცხოვრო ჩა-
მად, კუთხეში. ის კი თავისას არ იშლიდა, გააბრაზა-ჟუველ
დიდი კაცი. მერე კიდევ ვიღაც საეჭვო ხალხს დაუკავშირდა.
მაშინ მოვიხმე და ვუთხარი: „შეილოსან, ეგენი ურწმუნონი
არიან, იმით იწყებენ; რაც ბოლოსაა გასაკეთებელი“; მაგრამ
უური არ მიგდო. იმ ხალხს ორი ცრუმოწმე მოუნახეს და ჩას-
ვეს... ესეც თან მიაყოლეს...

არ დამიჯერებ, იმ დღეს დილიდან საღამომდე გიეივით
დავეხეტებოდი აქეთ-იქით. მის გახსენებაზე ცრემლები მომ-
ლიოდა. დიახ, ვიტირე! თუ გინდა, ნუ დამიჯერებ, ძმაო; ხომ
გითხარი, ამხანაგისათვის სიცოცხლეს არ დავიშურებ; განსა-
კუთრებით კი, ვინც ასე მიყვარს, იმას მტლად დავედები.
მართალს გეუბნები, თითქოს გული ჩამწყდა. არც ფული აქვს,
არც არავინ ჰყავს. დედა და ძმები მას შესცემიან ხელში. სა-
შინელი უბედურება დატრიალდა.... მე ფული არა მაქვს, რომ
მივცე... რომ მქონდეს, სულს ვანაცვალებ-თქო, ხომ გითხარი.
მაგრამ ხომ იცი... ჩვენ ჯამაგირით ვცხოვრობთ... მერე ვერა-
ვისთან ვერ მიხვალ და ვერაფერსა თხოვ... დიდი დანაშაული
აქვს... მაშინვე ჩირქს მოგცხებენ კაცს. ქვეყანას ათივე თითი
შავი აქვს... ციხეში წავედი, მაგრამ ვერ ვნახე. იცი რა, ძალიან
მიუკარებელია ის დასაქცევი ადგილი... მაგრამ რაც შემიძლია,
მინდა გავუკეთო იმ ბიჭს. ხომ გეუბნები, ამხანაგს მტლად
დავედები...

ძალიან გამიხარდა, როცა გავიგე, რომ შენ აუყვანიხარ
დამცელად. ხომ იცი, სათუთი საკითხია ძალიან, ამ საქმეს
უველა აღვიკატი ვერ გაართმევს თავს. ახალგაზრდა უნდა
იყო, ცეცხლი უნდა გეკიდებოდეს, საქმის სული უნდა იგრძნო.
პეშმარიტად, არ შევმცდარვარ. მიამბეს, როგორ მიგყავდა
დაცვა პირველ სხდომაზე (ისა, რა ჰქვიან, მე იმ დღეს ცოტა
დაკავებული ვიყავი, ვერ წამოვედი სასამართლოში, დაწვრი-
ლებით ამხანაგებმა მიამბეს), ბრწყინვალე დაცვა იყო. კიდევ
რამდენიმე სხდომა და გადაარჩენ კიდეც იმ ბიჭს.

გარსონ, მოდი ერთი, ეს საუზმე გამოგვიცვალე... დალიე,
ჩემო ძმაო, დალიე. ღმერთმანი, დარდისაგან ვსვამ იმას. რო-

გორ მეწვის გული, რომ იცოდე... ათა წელი რომ მეტენა, ასეთს, ჩემი ჰქუის კაცს, ვერ ვიპოვიდი. ისიც ბედმა ვამომტა-
ცა ხელიდან. ახლა ვფიქრობ, ჩვენ რომ აქა ვმსჯელობთ, ის
რას შვება იქ, ქვის კედლებში. ჰაი გიდი, სოფელი!..

— მაგრამ — იცი? — ეს მისთვის გაყვეთილიც არის. ცოტა
ხანს რომ ჩაჯდეს, ცუდი არ იქნება... მას სჭირდება ასეთი სი-
ლა, არა განა? რას იტყვი? თანდათან ცუდ გზას ადგებოდა.
ღმერთმა დაიფაროს და... მის მიერ არჩეულ გზას სახრჩობე-
ლაზე შეიძლებოდა მიეყვანა. კიდევ იოლად გადარჩა. სულ
დიდი ორ წელიწადს იქნება ციხეში. ეს მისთვის საჭიროა... ეს
საჭიროა მისი მომავლისათვის, სიცოცხლისათვის, მშვიდი
ცხოვრებისათვის... ჩვენი იდეისათვის არის საჭირო, გაიგე,
ჩვენი იდეის გულისათვის... ჩემო თვალის სინათლევ, შენც
თუ გიყვარს იგი, არ დაიცვა... თუ მისთვის სიკეთე გინდა,
მოეშვი, ახვნევინონ ცოტა ხანს ცხვირით. რა თქვა მუსოლი-
ნიშ? — იმისათვის, რომ კაცი გახდე, ციხეში ჯდომა უნდა გა-
მოსცადოო. ასე ხომ? ნამდვილი ვაეკაცი ყოფილა ეს მუსოლი-
ნი... როცა საზოგადოება ასეთ ტრადიკულ პირობებშია, ინტე-
ლიგენტისათვის აუცილებელია ციხეში ჯდომა. მოსამწიფებ-
ლად და ცხოვრების გასაცნობად სხვა გზა არ არის. ჩვენი მე-
გობარიც ამ შემთხვევის გამო იქნებ მოეშვას წიგნებს და გარ-
შემო მიმოიხედოს, ბრჩად სიარულს თავი ანებოს.

აკი გითხარი, თუ გიყვარს, მის დაცვას გულგრილად მოე-
კიდე, ძირამდე ნუ ჩაჲყები. როცა გაეიგე, რომ ბრწყინვალედ
გამოსულხარ, გამიხარდა, თან კიდევ მის მაგივრად გავნერ-
ვიულდი. მეც იმიტომ დაგიძახე, რომ ამაზე გვესაუბრა. ის თვი-
ოონ ნერვიულია, თავისი ლაქლაქით გააბრაზებს მსაჯულებს,
საქმეს გააფუჭებს და მიიღებს, რაც ერგება. სწორედ ერთ, ორ
წელიწადს დაჯდება... თავს რატომ იქნევ? დაცვის ფული რომ
მიიღო, გვინია უსინდისობა იქნება?.. ეს ხომ არ ავნებს მას,
პირიქით, არგებს... თუ გინდა, ნუ აიღებ იმ ფულს. ამხანაგს
ანგარიში გაუწიო და ნუ აიღებ... ბოლოს და ბოლოს რამდენი
ლირა უნდა მოეცა? თუდახუთი ლირა, არა? მე მოგცემ თცდა-
ათ ლირას, ოლონდ შენ ის დაასჯევინე! ხომ ხედავ, მე მისი
სიკეთისათვის არავითარ მსხვერპლს არ ვერიდები. ეს კი არა,

ასეთი გულითადი მეგობრის, ასეთი თანამოაზრის დაჭარებულ
საც შევურიგდები.

რაო? ოცდაათ ლირას სად ვიშოვი? საღა და, ის რომ ცი-
ხეში ჩასვეს, მისი ადგილი გათავისუფლდა, რასაკვირველია, და
მე მაქვს დავალებული მისი საქმე. ამ თვიდან ჯამაგირს გარდა
კიდევ ორმოცი ლირა მექნება...

გარსონ, თითო არაყი კიდევ!..

1935

პრეზ

ბეიშეპირის ¹⁹ ტბიდან გამოსვლისას ჩუმრას წყალს წყლის ფერი აქვს, კონიის ²⁰ დაბლობში კი სისხლის ფერი გადაჰკრავს...

თქვენ იტყვით, რომ ეს დაბლობი წითელი მიწის ფერიაო, მე კი გეტყვით, რომ ეს დედემქიონიელი ²¹ მეტმედისა და მისი ძმის სისხლის ფერია.

კონიის დაბლობზე ცის თაღი ლურჯი არაა, ყვითელია, მთლად გაყვითლებული.

თქვენ იტყვით, ქარმა მტვრის კორიანტელი დააყენაო. მე კი გეტყვით, რომ ეს კონიის ციხეში მჯდომი, გაყვითლებული ზარ მეტმედის სახის ფერია.

სტეპს ფრისილქბით თუ გადათხრი, შეიძლება მოსავლის მოყვანა. მიწა, რომელსაც კავი ვერ ერევა, ეკალსა და ორიოდე სანტიმეტრი სიმაღლის ბალახს ახარებს მხოლოდ. უწყლობისაგან გადახრუკული გულმყერდი მას უღრუბლო ცისკენ აქვს მიშეერილი.

ადამიანის ხელით გათხრილი არხი კიდევ უფრო საგრძნობს ხდის უწყლობას სტეპში. თითქოს გაბრაზებული, აქ სად მომიყვანესო, ზანტად მიედინება მღვრიე წყალი და მის მოლოდინში პირდალებულ მიწას არამც თუ აძლებს, ვერც კი ასველებს. ზეთივით გასქელებული, ბარბაცით განაგრძობს გზას.

და ამ ველზე გაბნეული, ხეებგადამწვარი და ნაცრის გროვას დამსგავსებული სოფლების ხელებდაკოერილი, მზით დამწვარი და სახედანაოჭებული მოსახლეობა წელზე ფეხს იდგამს, რომ ერთი ლუკმა პური გამოსტაცოს გაჯიურებულ მიწას.

დედემქიონი ახლოსაა არხთან. მაგრამ ბეიშეპირის ტბიდან წამოსული წყალი ისე იკლებს აქ მოსვლამდე, რომ ყანებს კი არა, ორ ციდა ბოსტანსაც კი ვერ აძლებს.

წვიმიან წლებში გლეხებს თუ გაღიმებული და თვალებ-
გაბრწყინებული სახე აქვთ, გვალვისას იჭმუხნებიან ჟული პოტკა,
ტერებულნი მისჩერებიან არხის ყვითელ წყალს. მათ იციან,
რომ მისგან სახეირო არაფერი იქნება, მაგრამ მაინც ელიან
შეველას. წვიმიანი წელიწადი კი ხუთში ერთი თუ გამოურევა.

*

დედემქიოიელი მექმედი და ზაარ მექმედი კარის მეზობლე
ბი იყვნენ. ერთი ხნისა იყვნენ, ბავშვობაში ერთად მუშაობდ-
ნენ სოფლის კალოზე, ერთად კოტრიალობდნენ მტვრიან გზაზე,
ერთად მიჰყავდათ ფერდებჩაცვენილი ძროხები მწყემსთან
სოფლის ბოლოს, ქვებს ერთად ესროდნენ არხში ბაყაყებს.

ცოტა რომ წამოიზარდნენ, ერთად დაჰყვებოდნები და დადებს
ბაზარში კარაქისა და მაწვნის გასაყიდად. ერთად მოპეტონდათ
ვირებშე აკიდებული შეშა შვიდი საათის სავალზე მოშორებუ-
ლი მთიდან და ერთად ყიდდნენ მას. და ხანდაზან, როცა ზედ-
მეტ ხუთ-ათ ყურუშს ²² გამოსტყუებდნენ უცხო და გამოუც-
დელ მუშტარს, ერთნაირ ჩითს ყიდულობდნენ სახალათედ.

ახალგაზრდობაში ერთად დადიოდნენ ქორწილებში, აცეკ-
ვებდნენ გოგოებს და ქალსაც ერთად იტაცებდნენ ხოლმე.
როგორც ცენტრალური ანატოლიის ყველა მცხოვრებს, მათაც
სიტყვაძუნწი მეგობრობა ჰქონდათ. ეს მეგობრობა ადრე და
ადრე იმაში ჩანდა, რომ ისინი ხელიხელჩაჟიდებულნი დადი-
ოდნენ; შემდეგ დადგა დრო, როცა პური კბილით უნდა გა-
მოეგლიჯათ მიწისათვის და ისინიც დადინჯდნენ. ხოლო ოჯა-
ხის ტვირთიც რომ დააწვათ, უკვე ნაკლებ ხედებოდნენ ერთმა-
ნეთს. ზაარ მექმედმა ცოლი მოიყვანა. დედემქიოიელ მექ-
მედს კი მამა მოუკვდა და დედა, დაი და თვრამეტი წლის ძმა
მისი საჩჩენი შეიქნენ.

ორი ძველი მეგობარი საღამო ხანს ხანდახან ჩაცუცქე-
ბოდნენ ხოლმე მეჩეთის კედელთან და სოფელში დაბრუნე-
ბულ ნახირს უცემდნენ. ნახევარ საათს ისხდნენ ხმაამოუდებ-
ლივ, შემდეგ ერთმანეთს გადახედავდნენ ტუჩების კუთხეებში
ლრმილმოფენილნი და შინ მიღიოდნენ.

ბოლოს, დედემქიოიელმა მექმედმა და მისმა ძმამ მუსტა-
ფამ ერთ დღეს მოიყვანეს ცოლები, რომ ოჯახს მუშახელი

შემატებოდა. რძლები თც-ოც წელს არ იყვნენ გადაცილებულნი. ისინი მიწურის ცალ-ცალკე კუთხეში მოთავსდნენ.

ცხოვრება მიდიოდა ძველებურად. ისინი ხმაამოუღებლივ ებრძოდნენ ძუნწ მიწას, რომ ერთი ლუქმა სარჩო წაეგლიჯათ.

მეგობრობის, დროსტარებისა და მხიარულების ქვალიც კალარ დარჩა მათს მეხსიერებაში, რადგან მარტო პურის მოყვანაზე ფიქრით იყვნენ შეპყრობილნი.

*

ერთ დღეს ზარ მეპმედმა, რომელიც არხის წყლითა რწყავდა თავის ყანას, შეამჩნია, რომ წყალმა თანდათან იქლო და მის ნაცვლად მალე კვითელი ტალახი გამოჩნდა. მან თავი ასწია, ჯერ არხს დააცერდა და შემდეგ კი ცოტა ზემოთ, მეპმედის ყანისკენ გაიხედა. მეპმედს წყალი გადაეგდო და თავის ყანასა რწყავდა.

ზარ მეპმედმა თავისი ექვსი წლის პატარა ბიჭი გაგზავნა. ფეხშიშველა ბავშვმა ყანის პირამდე მიირბინა და ვასძახა მეპმედს:

— მამაჩემმა შემოგითვალა, წყალი გამოუშვიო.

მეპმედს პასუხი არ გაუცია.

ბავშვმა ცოტა ხანი იცადა და მერე სირბილით წამოვიდა თავისი ყანისკენ.

მაშინ ორივე მეპმედმა შორიდან გადახედა ერთმანეთს. ბევრის მოქმედი იყო მათი მზერა. პირველ რიგში კი იმისა, რომ დღეიდან მათ შორის დაიწყო ბრძოლა, სასტიკი, შეურიგბელი. მათი თვალები სიძულვილს არ გამოხატავდნენ, მათ შორის არაფერი მომხდარა საამისო. თითოეულის გამოხედვაში ჩანდა მხოლოდ ბრძოლა წყლისა და მიწისათვის, ბრძოლა, რომელიც კუპრივით აბნელებს აღამიანის გულსა და სულს. მათს მზერაში ცოტა სინაულიც გამოსკვიდა, სინაული, გამოწვეული იქნებ იმით, რომ აუცილებელი იყო სასიკვდილო ბრძოლა, ბრძოლა არსებობისათვის, იმისათვის, რომ შერჩე ამ პატარა ნაკვეთს და პურის რამდენიმე მარცვალი გამოსტაცო უწყლობისაგან დამსკდარ მიწას. არა, სიძულვილი არ ჩანდა მათს გამოხედვაში.

მაგრამ მარტოხელა ზარ მეპმედი ვერ შეებრძოლებოდა

არ ძმას. ამიტომ ჯერ მშვიდობიანად უნდოდა ამ საქმის მოფენაზე გარება. თუმცა ისიც იცოდა, რომ ტყუილი იყო მისი გარება, წყალი ცოტა იყო და ორივე ყანას არ ეყოფოდა. ასეც მოხდა. მეპმედმა პასუხის ღირსაღაც არა სცნო მისი წინაღადება.

და ზაარ მეპმედმა დაიწყო ლოდინი. ის წავიდა თავის ყანაში, დაჭხედა არხს, რომლის ძირზეც ტალახი შრებოდა. შემდეგ ლიდხანს უყურა მეპმედს, რომელიც აქეთ-იქით დადიოდა თავის ყანაში. იქნებ ერთ ღრუბელს მაინც მივაგნოო, — ცას აპხედა ზაარ მეპმედმა და განაგრძო ლოდინი.

ყანაში ნელ-ნელა თავი ამოჰყეს სიყვითლემოდებულმა ლეროებმა. მზემ კი თითქოს სხვა საქმეს თავი დაანებაო, მიწის ამ პატარა ნაკვეთს დააცხუნა მთელი თავისი სიმხურვალე, რომ ეს რამდენიმე წვრილი, მწვანე ლეროც გადაეწვა. წვრილი ფურცლები სიცხისაგან შეწუხებული ძალლივით ქელავდნენ მცხუნვარე მზის ქვეშ.

ტანი ვეღარ აიყარეს საცოდავმა ლეროებმა; ერთი გოჯით ვეღარ ასცდნენ წყალს მონატრებულ დედამიწას.

მეპმედის ყანაში მუხლამდე ჯეჯილი იდგა. ზაარ მეპმედთან კი მეტი აღარ გაუხარიათ. და მზეც თითქოს რაღაც უხილავი გზით მხოლოდ მის ყანას უგზავნიდა მწველ სხივებს. ნააღრევად გაყვითლდა გოჯისოდენა ლეროები.

ჩუმრაში სარწყავი საქმეების სამმართველოც იყო. მას დირექტორიც ჰყავდა, მოანგარიშებიც, მოხელეებიც, მაგრამ მეპმედის ყანას არხის ერთი წყალიც კი არ გასცდენია.

და ხედავდა მეპმედ ზაარი, როგორ ყვითლდებოდნენ ნათესთან ერთად მისი ცოლი და სამოცდაათი წლის მოხუცი დედა, რომელსაც წელში ორად მოხრილს დილიდან საღამომდე თოხი ეკავა ხელში; როგორ ყვითლდებოდა მისი ექვსი წლის პატარა ბიჭი. ხედავდა ამას ზაარ მეპმედი და ფიქრობდა, ფიქრობდა და ელოდა. არაერთ იცის, რას ფიქრობს და რას მოელის სტეპში მოსახლე გლეხი.

ერთ დღეს, დილაადრიან, ზაარ მეპმედმა თოფი აიღო ხელში, წავიდა ყანაში და ამომშრალ არხში ჩაწვა. მეპმედი და მისი ძმა რომ გამოჩნდნენ, ხუთი ტყვია ერთად დაახალა მათ.

ამ მკედარ მიწაზე არაფერია უფრო ადვილი, ვიღეთ მოკე-
დე ან მოქლა ვინძე.

სირბილით მოსულ ცოლს ზაარ მეჭმედმა უბრძანა, ყანა
მრერწყა და თვალყურა ედევნებინა, რომ არავის გადაეგდო
წყალი, რადგან მეზობელ ყანაში მამავაცი აღარ იყო დარჩე-
ნილი.

ქალი წავიდა. ზაარ მეჭმედმა უკანასკნელ დარიგებას ავით
დაადევნა სიტყვები — ბიჭს უანგარიშოდ არ დაეხარჯა წყალი,
ღროდაღრო მიეკითხათ მისთვის ციხეში, არ გაენაწყენებინათ
მოხუცი დედა.

თვითონ ყანის პირას ჩამოჯდა და დიდხანს უყურა ცოლს,
რომელმაც ყანაში გადმოაგდო წყალი, შემდეგ შორს გამოჩე-
ნილ მამასახლისსა და უანდარმებს დაელოდა.

•

წითელია დედემქიოის არხის წყალი. წითელი, როგორც
მეჭმედისა და მისი ძმის სისხლი. კონიის დაბლობს ყვითლად
დაჰყურებს ცის კამარა, ყვითელი, როგორც ზაარ მეჭმედი...
ციხეში ზაარ მეჭმედთან ერთად ზის ერთი მწყემსი. მას მთელი
წლის ჯამაგირი ერგებოდა ბატონისაგან და ამიტომ არ უნდო-
და მისგან წასვლა. ბატონმა შარი მოსდო, ცხვრის მოპარვა
დააბრალა და ორი წლით ციხეში ამოაყოფინა თავი. ის ზის
მოშორებით ზაარ მეჭმედის საკნიდან, ირგვლივ ტუსალები შე-
მოქმედიან, თვალები მოუხუჭავს, თავი თდნავ უკან გადაუგ-
დია და მღერის დედემქიოიელთა სიმღერას:

მოვიდა სიკედილი და კართან ტრიალებს,
სოფერში მოფრინდა ამბავი შავი.
დასაკლავ ქრავით ამდავლენენ ქალები:
— ჰე, ხოჯავ, მოგვშორდი, გვანებე თავი;
დე, ჩვენია სისხლმა თქრიალით იდინოს,
მოყვარემ იტიროს და მტერმა იცინოს.

ზაარ მეჭმედის გული ვერ უძლებდა ამ სიმღერას და მწყემ-
სიც გაჩუმდებოდა ხოლმე, როგორც კი თვალს მოჰკრავდა მას.

ერთი ტყის ამბავი

— ტყე, ყმაწვილო, ყველაფერია ჩეენთვის, — დედა, მამა,
 ჩეენი სახლ-კარი, — დაიწყო ჩემს გვერდით მჯდომარეობა.
 ნაცრისფერი ბინდუნდი თანდათან მუქდებოდა. მზის სხივი
 უკვე აღარ ეცემოდა ქვემოთ გაჭიმულ ველს, მხოლოდ ჩეენი
 უკან გადაშლილ დიდ ტყეს გადაჭიმუნდა. ქარი მსუბუქად იქა-
 ნავებდა მზის სხივების წითელ სამოსში გახვეულ ხის კენწე-
 როებს. ცოტა ხნის შემდეგ ყოველივე გაქრა, ყველაფერი შე-
 იცვალა. ველი, რომელიც იქამდე ცოცხლობდა, მოძრაობდა,
 ხმაურობდა, მკვდარს დაემსგავსა და თეთრისა და თხელ ნისლ-
 ში გაეხვია. საჩაგიეროდ იღვიძებდა ტყე. დილას მხოლოდ
 ჩურჩული ისმოდა ხეებისა; ახლა კი ისინი საუბრობდნენ, ხმაუ-
 რობდნენ, ქანაობდნენ და ხელებს უწვდიდნენ ერთმანეთს. მარ-
 ტო ხეები კი არა, გამოცოცხლდნენ მიწას გართხმული ბალახე-
 ბიც, ხმელი ფოთლები, ბუჩქები, ხეების ტანზე შემოვლებული
 მხეიარები, ყავისფერი სოკოები და მუქი მწვანე ხავსიც კი.
 ტყის პირიდან ხმაური არემარეს ეფინებოდა. კაცს ეგონებოდა,
 დიდი ქალაქი იღვიძებს ზმორებითო. მოულოდნელად, თითქოს
 ნიშანი მისცესო, ამ აურზაურს ტყის ბინადარნიც შეუერთდ-
 ნენ. ერთმანეთში ირეოდა ფრინველის ძახილი, მხეცების
 ღმული და ფეხქვეშ გათელილი ტოტების ლაწალუწი. ველზე
 გაბატონებულ მკვდარ სიჩუმეს ღროდაღრო არღვევდა გულ-
 შემზარავი კვნესის ხმა; ამას ერთოდა ახმაურებული ტყის
 ყრუ გუგუნი და ხანგრძლივი ფშვინვა. ყოველივე ეს საშიშს
 ხდიდა სიბნელესთან ერთად გამოცოცხლებულ ტყეს.

იქვე მდგომარეობა ჩემმა ცხენმა წინა ტორები დაქრა მიწას, და-
 იჭივენია, ჩემსკენ მოაბრუნა თავი და რაღაც ოხერის მსგავსი
 ბგერები ამოუშვა. შემდეგ კი ისევ განაგრძო ბალახობა.

მოხუცი ნიდაყვებით დაყრდნობოდა მუხლებს და პაპიროსს
სწევდა. დაპრანქული ტუჩების ცალ მხარეს თავიცე დაკადებული
პაპიროსის ცეცხლი რაღაც უცნაურ სიწითლეს ჰყენდა მის
წვერს. წარამარა ახამხამებდა მოხუჭულ თვალებს და ხან თავის
ფეხის წვერებს აცერდებოდა, ხან კიდევ მე.

— ცველაფერი, ყმაწვილო, ტყეა ჩვენთვის, ტყეა ჩვენი
ავლადიდება, — განაგრძო მოხუცმა. — ტყეს საყუთარ სახლ-
ზე უკეთ ვიცნობთ და ყოველ ხეს ღვიძლ დედაზე უფრო გა-
ვუტანივართ გაჭირვებაში. ჩვენი სოფელი შეა ტყეში იდგა
და ხეები კიდლებივით ერტყა გარშემო. არც კი ვიცოდით,
რომ მის გარეთ ქვეყანა არსებობს. ბავშვობაში ხმელი ფოთ-
ლით ვტვირთავდით ჯოხებისაგან გაკეთებულ ურმებს და
მეურმეობანას ვთამაშობდით. შემდეგში ჩვენ ჩვენს მამებს
ვეხმარებოდით, ულრან ადგილებში დავდიოდით დაკარგული
პატარა ქლემების საძებრალ. იქ შეუძლებელი იყო დაჭარგვა.
სრულიად უცნობ ადგილებშიც ადვილად ვიკლევდით გზას
დამტვრეული ტოტებისა და წაქცეული კუნძების მეშვეობით.
განა დაიყარგება კაცი თავის სახლში? როცა გავიზარდეთ, მივ-
ხვდით, რომ ტყე კიდევ სხვა რამეც იყო ჩვენთვის. ის გვიმოსავ-
და ჩვენ, გვივებავდა და გვაძლევდა თავშესაფარს. უტყეოდ
ცხოვრება? — არც კი შეგვეძლო ამის წარმოლგენა...

მოხუცმა მკლავში წამავლო ხელი. თითქოს რამე დაემარ-
თაო, ხელები უკანკალებდა, პატარა უსინათლო თვალები ცრე-
მლით იევსო. შეკმუხვნილი სახე კიდევ უფრო დანაოჭებოდა.
თქმა უნდოდა რაღაცისა, მაგრამ სული ეხსუთებოდა. გაჭირვე-
ბაზე მეტყველებდა მისი სახე, ტუჩის კუთხეები, თვალები და
აკანკალებული სხეული. ამ მოხუცის ცოდვამ მეც დამწვა. ბო-
ლოს თავსა სძლია და სულმოუთქმელად წარმოსთქვა:

— ყმაწვილო, ტყე, ჩამოგვართვეს! — ეს სიტყვები ისე
უცირად იყო ნათქვამი, თითქოს ყელში გაჩერილი ბურთი
გადმოაგდოო.

— ტყე წაგვართვეს, ყმაწვილო, უტყეოდ დაგვტოვეს...
ერთი ხეც კი არ შეგვარჩინეს...

მოხუცმა ქუდი უკან გადაიწია და თხელსა და ჭალარა თმა-

ში წაიკლო ხელი. ერთ ხანს ასე იყო. მე ვხედავდი,  თუ რა ხდებოდა მის გულში, როგორ ნელ-ნელა მშვიდდებოდა იავა, როგორც საათის ქანქარი ჩერდება ხოლმე თანდათან.

შემდეგ მან გადააგდო ჩალეული პაპიროსი, რომელიც უკვე ტუჩებსა სწვავდა, წვერიდან ფერფლი ჩამოიბერტყა და, თავაუღებლივ, წყნარი ხმით განაგრძო:

— ჩვენ, რაც მამა-პაპისაგან გვინახავს, იმას ვაკეთებდათ და ისევე ვცხოვრობდით. კმაყოფილნიც ვიყავით ამით. არც კი ვიცოდით, თუ სხვა რამეც არსებობდა ქვეყანაზე, რომ საკუთარით უკმაყოფილონი ვყოფილიყავით. მთელი ჩვენი მიზანი იყო შეიღებისათვის გადაგვეცა მამა-პაპისაგან მიღებული ანდერძი და დაგვებარებინა, რომ ისინიც ისევე მოქცეულიყვნენ. არც კი გვიფიქრია, რომ ვიღაცა უცხო მოვიდოდა და ყველაფერს თავდაყირა დააყენებდა.

ერთ დღეს გავიგეთ, რომ მთავრობამ რომელიღაც კომპანიას უფლება მისცა ტყე დაემუშავებინა; ჩვენ არ ვიცოდით, რას ნიშნავდა ეს და ყურადღება არ მიგვიქცევა.

მაგრამ მალე, როცა ვნახეთ, რომ ტყის მეორე ბოლოზე ზედიზედ იქცეოდნენ ხეები, ცარიელდებოდა ადგილი, მივხვდით, თუ რა საშიშროება გვიახლოვდებოდა და შეძლებისდაგვარად შევეცადეთ დროზე აგვეცილებინა. მაგრამ ეს სენი ტყეს თანდათან უფრო და უფრო მოედო, იქცეოდნენ ძველისმველი ვეება ხეები, რომელთა წინაშეც ჩვენი უცოდინარობის გამო ვანკალებდით, ვეკრძალვოდით, როგორც წინაპრებს. დღითიდე ფართოვდებოდა მოტიტვლებული ადგილები. იმ ხშირ და დაბურულ ადგილებში, სადაც ბავშვობისას ძლიეს გავმდვრალვართ, სადაც მშის სხივიც ვერ აღწევდა, ახლა ტიტველი, მხოლოდ გათელილი ბალახითა და წვრილი ნაფოტებით მოფენილი ახოებილა იყო. ეს სენი ვრცელდებოდა და მალე ჩვენს ტყესაც მოადგა. უცხო ცულის დატრიალებას ჩვენს ტყეში ერთბაშად აღვუდექით ყველანი. ვერც ფულმა, ვერც მუქარამ ვერ დაგვათმობინა ხეები. მაგრამ კომპანიამ მასე დაგვიგო და ისეთი ოინი დაატრიალა, რომ ბოლოს ველარსად ვყიდდით ჩვენს შემას. საშენი მასალაც ხელზე დაგვრჩია და ჩალის ფასად ისევ

კომპანიას მივეცით. უმუშევრობის გამო ზოგმა ახალგაზრდამ ხისმჭრელად დაპირა კომპანიაში შესვლა, მაგრამ ჩვენ ავტორ-ძალეთ. ბოლოს კი იმაზეც დავთანხმდით, რომ ნაწილ-ნაწილ ვაძლევდით ტყეს.

ჩვენ გლეხები ვართ, ყმაწვილო, და ჭრა შორს როდი გვიჭრის. კომპანიამ გვითხრა, ტყეს უკანასკნელი სისტემის მიხედვით დავამუშავებთ, თქვენ კი ამას ვერ აუხვალოთ. იქნებ მართალსაც ამბობდა, მაგრამ აბა საღაური სამართალია ისარგებლო ჩვენი ჩამორჩენილობით ამ საქმეში და ხელცარიელი დაგვტოვო? ჩვენი გამოუცდელობა და საცოდაობა მან თავისი ქისის გასავსებად გამოიყენა. იცოდა, რომ მეტოქეობას ვერ გაფრინდით და სულ ტყუილ-უბრალოდ დაგვლუპა.

ახლა გული გვტყიოდა, როცა დავდიოდით იმ ადგილებში, საღაც ბავშვობაში და ყმაწვილეაცობაში გავივლია. მახსოვე ერთი ხე იყო ტყეში. ჩემს ახალგაზრდობაში ქალი რომ მოვიტაცი, ამ ხეს ამოთარებული ვებრძოდი ოთხ კაცს. ხის ტანს ახლაც ეტყობოდა მაშინდელი ნატყვიარი ჭრილობები. მას რომ ჭრილნენ, მოშორებით ვიდექი და ვუცქერდი. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს ხელ-ფეხსა მჭრილნენ. აბა, რა შემეძლო? ცრემლები მოვიწმინდე და ბარბაცით წამოვედი.

ყველაფერი, ყველაფერი გათავებული იყო უკვე. სიცილის თავი აღარავისა ჰქონდა. სოფელიც კი ის აღარ იყო, რაც წინათ. ჩვენ, მოხუცები, ძლიერ ვცნობდით მას, ის აღარ იყო ტყის გალავანშემოვლებული, ქვეყანის მოშორებული სოფელი. სამაზრო ქალაქისკენ მიმავალი გზის პირას, ერთ დუქანში ვიღაც უცხოს სასაღილო გაეხსნა კომპანიის მუშებისათვის და ისინიც გალეშილები დახეტიალებდნენ სოფლის ორლიბებში.

მაგრამ კიდევ დაგვრჩენოდა ხუთას-ექვსასი ხისგან შემდგარი პატარა ტყე და მთელმა სოფელმა გადაწყვიტა უსიკვდილოდ არ გაეყიდა ის, არავისთვის ჩაეგდო ხელში. ჩვენ ამითოდ უნდა გვეცხოვრა. შთამომავლობისათვის ის უნდა ყოფილიყო განსახიერება იმ ძველი, დიდი და იღუმალი ტყისა, რომლის შესახებაც მამა-პაპათაგან გაუგონიათ. ეს ტყე სოფლისთვის წარსული დღეების სახსოვარი იყო, და არც ერთ ჩვენგანს ხელი არ უნდა ეხლო მისთვის. ალბათ იმიტომ, რომ წინ წასვლი-

სა ეშინოდა და ჩვენს განრისხებაში სასარგებლოს კერაფერს
ხედავდა, კომპანიაც მაინტენაცია არ ეშურებოდა მის ხელ-
ში ჩაგდებას. მაგრამ ჩვენ ვშიშობდით, რომ ეს ღიღიზნის აქ
გაგრძელდებოდა. ასეც მოხდა: გავიგეთ, რომ ბოლო ხანებში
მათს ხე-ტყეს ჭია გაუჩნდა და დიდი ზიანი მიაყენა. კომპანიამ
მოინდომა ზარალის ანაზღაურება. ერთ ღიღას მთელი სოფე-
ლი მოირბინა ამბავმა, იმათი ხისმჭრელები ჩვენს პატარა ტყეს
მისდგომიანო. ყველა გამოცვივდა სახლიდან. ხალხი დაბნეული
დარბოდა. მეზობელთან გარბოდნენ, გამტერებულნი მიდი-მო-
დიოდნენ ქუჩებში. გამოურკვევლობამ დიდხანს არ გასტანა.
ყველა უიმედობამ მოიცა. ჩვენ ისეთ ყოფაში ვიყავით, რო-
გორც ჯარისკაცი, რომელმაც უკანასკნელი ტყვია გაისროლა
და მწარედ იღიმება გარდაუვალი სიკვდილის მოლოდინში. ეს
იყო, ყმაწვილო, უკანასკნელი გაბრძოლება მტაცებლის კლან-
ჰებში მოქცეული, ყელგამოლადრული ცხერისა, და რომ ამას
აზრი არა ჰქონდა, ესეც კარგად ვიცოდით, მაგრამ...

მოხუცი ცოტა ხანს გაჩუმდა. ძლიერი ქარი ამოვარდნილი-
ყო, შრიალებდა და ხმაურობდა ყოველი ტოტი, ყოველი ფო-
თოლი. ეს ხმები იღელვებული ზღვის შეუილსა ჰგავდა; ვება
ტალღასავით ადი-ჩამოლიოდნენ ხეებიც. ტყე საცაა თავზე ჩა-
მოგვემცევა-მეთქი, ვფიქრობდი. გუგუნი დროდადრო ძლიერ-
დებოდა, იცვლიდა ჰპინებს, ძალას ჰპატებდა მოხუცის სიტყ-
ვებს და ერთვოდა მას. მოხუცის ხმა ორჟესტრის სხვა საკრავთა
ხმისაგან ძნელად გამოსარჩევ სალამურის წკრიალსა ჰგავდა.
მან თხრობა განაგრძო:

— ჩვენ დიდი ხანი იყო ხმა არ ამოგვეღო. რაც აქამდე
მოგვითმენია, ყველაფერმა უცბათ გაიღვიძა, უცბათ ვიგრძე-
ნით მთელი სიმწარე. ამან მგლის ხროვად გადააცია ყველა,
ახალგაზრდა და მოხუცი, ქალი და ბავშვი. ხელში ცულებითა
და კეტებით მივაშურეთ ტყეს. მუშები ის იყო მუშაობას იწ-
ყებდნენ. ერთ ხეს თუ მიკარებიხართ, დედას ვიტირებთ-თქო,
ვუთხარით. ცოტანი იყვნენ და ასეთ ამბავს არ მოელოდნენ. მა-
შინვე მოკრიფეს იარაღები და ტყის პირას გავიდნენ. ჩვენც მათ
პირისპირ ჩამოვსხედით ხეების ძირას. ერთი ჩვენგანი მაზ-
რაში ვაფრინეთ კაცთან, რომელიც ამ საქმეებს განაგებდა

და ლოდინი დავიწყეთ. საღამომდე მოგვიხდა ცდა. ჩეები გა-
სუსულნი და პირდალებულნი ვუდედიდთ. მთავრობის მონარეფ
გვიან მოვიდა. მას კომპანიის წარმომადგენელიც ახლდა. იმათ
წინ ჩაგვიარეს და მუშების უფროსს დაუწყეს საუბარი.

შემდეგ, — განაგრძო მოხუცმა, — მთავრობის მოხელე მის
გვერდით მყოფ ორ ქანდარმს მიუბრუნდა, ჩვენსკენ მოუთით.
და უთხრა:

— გაპყარეთ ეგენი ტყიდან.

— თქვენ თქვენს საქმეს მიხედეთ, — მიმართა მუშებს კომ-
პანიის წარმომადგენელმა.

მაშინ მთელი გლეხობა, ქალი თუ კაცი, როგორც ერთი,
წამოვარდა ადგილიდან და ბრძან შეესია ყველას, ვინც კი
მათ პირისპირ იდგა. დატრიალდა ჯოხები, ცულები, კეტები.
საღამოს ბინდბუნდში მოჩანდა, თუ როგორ დაესია ერთმა-
ნეთს ჩრდილის მსგავსი სხეულები. ისმოდა ყრუ ახვრა-კვნესა.
სულ მალე სათითაოდ დაიფანტნენ ტყის მუშები. დანარჩენე-
ბმაც გაქცევით უშველეს თავს. ლიპიანმა მთავრობის მოხე-
ლემ ძლივს მიაღწია სოფელს. იქ ქოხში დაიმალა და კარი გა-
დარაზა.

ჩვენ კარგად ვიცოდით, რომ ამით საქმე არ გათავებულა
და ამას არ შეგვარჩენდნენ, მაგრამ სხვა აბა რა გვეძნა. ჩვენ
ჩვენი საქმე გავაკეთეთ და ახლა კი უნდა მოგვეცადა, თუ რა
მოხდებოდა.

და ყველაფერი მოხდა ისე, როგორც ველოდით:

მეორე დღეს მოვიდა გაძლიერებული ქანდარმერია, თოვით
შეპქრა ყველა, გარდა ბავშვებისა და მოხუცი ქალებისა, და
მაშრაში წაიყვანა. მთავრობის მოხელე კი გადარჩა სიკვდილს.

შემდეგ გავიგე, რომ ყმაწვილები და ქალები დილამდე
ქვას ესროდნენ იმ ოთახს, საღაც მოხელე იყო დამალული. მათ
იცოდნენ, რომ ვერაფერს გახდებოდნენ, მაგრამ სწორედ ამის
გამო იყვნენ გაცოფებულნი და თავგანწირულნი; ამოქოლვას
უპირებდნენ... ასე უნდოდათ დაეშოშმინებინათ საკუთარი გუ-
ლისწყრომა საკოდავებს!

მოხუცი გაჩუმდა. ამასობაში ქარიც ჩამდგარიყო, ტყიდან
მსუბუქი ხმები მოისმოდა. თითქოს ატლასის ზეწარს დაატა-

რებს ვინმე ხის კენჭეროებზეო, ისე შრიალებდა ტყე. ფრთხოებულ
ბის შარიშური პგავდა ცარიელ ოთახში ამღერებულ პიანი-
ნოს ჰანგებს, როცა ძნელად გაარჩევ ხოლმე ცალკეული სიმის
მიერ გამოცემულ უცნაურ წკრიალს. ვეება დევივით იძინებდა
ტყე და ეს სუნთქვა იყო მისი.

მოხუცმა ახალ პაპიროსს მოუკიდა, წამოლგა და მძიმე ნა-
ბიჯით გასწია, ვინ იცის, საით. მეც ჩემს ცხენს მოვახტი და ჩუ-
მად შევერიე მძინარე ტყის კუპრივით სიბნელეში.

1930

მტკრი

ღამე იყო. ცრიდა. იგი მოასფალტებულ გზაზე მიაბიჯებდა. შავი ზოლიანი შარგალი მსუბუქად ეცემოდა ლაქის ახალ პრიალა ფეხსაცმელს. პალტოს განიერი საყელო მაღლა ეკეცა და სქელ ხელთათმანიანი ხელები უკან შემოეწყო.

დაფიქრებული მიღიოდა და უაზრო თვალებით იყურებოდა ფეხებზე და ფეხსაცმელებზე, რომლებიც წამდაუწუმ ხან მაღლა იწვევდნენ და ხან ისევ მსუბუქად ეშვებოდნენ სველ ასფალტზე... „როგორ ჰგავს ცხოვრება ამ ლაქის ფეხსაცმელს! — ფიქრობდა იგი. — ჩაც დღეები გადის, ჩვენც ამათსავით ვიცვითებით, განზე ვიღრიცებით, ვმახინჯდებით და ბოლოს საქმისათვის გამოუსადევარი ვხდებით“.

ეს აზრები, რომ უნდოდა, ისეთი გონიერული არ გამოუვიდა და ტუჩები მოპრუწა. გაახსენდა, რომ წელან პოკერი ითამაშა ერთი ამხანაგის სახლში და ოცდაათი ლირა მოიგო.

— ის ქალი რომ არ მჯდარიყო ჩემს გვერდით, უფრო მეტის მოგება შემეძლო, — წაილაპარაკა მან, — გაბედულად თამაშობდა თავისი ქმრის ფულების იმედით და თან კიდევ ჩემს ქალალდში იცქირებოდა.

მან ისევ იგრძნო პუდრის მძიმე, მაგრამ სასიამოვნო სუნი, ოდეკოლონისა და ქალის თმის სურნელი, და ნერწყვი გადაყლაპა.

რა კარგია, მაგრამ რა სულის შემაწუხებელია ცხოვრება! დღისით სამსახური, იოლი სამუშაო... ბევრი ფული... საღამოს შშვენიერი საჭმელი, ხანდახან კინო... ჩაი... პოკერი... შემდეგ ძილი... შესანიშნავი იყო ყველაფერი ეს, მაგრამ ამ გასართობ საქმიანობაში, რომელსაც მთელი დღე უნდებოდა, იდამიანი

မაინც ვერ გაქცეოდა სიცარიელის გრძნობას. რაღაცა-ჟლიდა, მუდამ უმოქმედობდა მისი რომელიღაც მხარე.

ახლა, შინ რომ ბრუნდებოდა, ის კვლავ გრძნობდა პშ-სიცარიელეს. „ეს დღე მშვენივრად გავატარე, ოცდაათი ლირაც კი მოვიგე, — ფიქრობდა და მაინც უკვირდა, რომ მის არსებაში დარჩა რაღაც დაუკმაყოფილებელი. — ასეთი ცხოვრება, ხშირი უძილობა, ნერვებს აფეჭებს აღბათ“.

თავის სახლს მიადგა, ბაღის კარს ფეხი გაპქრა და ყვავილნარებს შორის მიმავალ, კენჭებით მოფენილ ბილიქს დაადგა. ღამლამობით მუდამ უკანა პატარა კარიღან შედიოდა სახლში. მას არ უნდოდა გაედოიძებინა მოსამსახურე, რომელიც წინა კართან იწვა, საღარბაზო ოთახის ახლოს. და თუმცა საწოლი ოთახიც იქიდან უფრო ახლოს იყო, ის მაინც უკანა კარს იყო მიჩვეული.

თავაწეული მიაბიჯებდა. კარს რომ მიუახლოვდა, ხელი ჯიბეში ჩაიყო, გასაღები ამოილო და წინ გაიხედა.

ძლიერ შემკრთალი ადგილზევე გაშეშდა: ვიღაცის ჩრდილი გაუნძრევლად ატუზულიყო კარების სიღრმეში.

ხელი ჯიბისაკენ წაიღო. რევოლვერი არ აღმოაჩნდა. ჩრდილი უეცრად შეინძრა.

ახალგაზრდა საყვირლად და გასაქცევად მოემზადა, მაგრამ ჩრდილმა თითო ტუჩებზე მიიღო და — სუთ, წარმოთქვა ჩუმალ.

ეს ისე ბუნებრივად, ბრძანების გარეშე, მაგრამ ამავე დროს ისეთი რიხით იყო ნათქვამი, რომ ახალგაზრდა უნებურად შეჩერდა და ყურადღებით გაიხედა იქით.

ჩრდილი მიუახლოვდა:

— ცოტა ჩამძინებია. არ იფიქრო, რომ ცუდი განზრახვითა ვარ მოსული... ღამის გასათევი არა მაქვს!

მაშინ სახლის პატრონმა ყურადღებით შეათვალიერა ეს უცხო კაცი და გაკვირდა: ის არც მათხოვარსა ჰევდა და არც მაწანწალს. საქმაოდ კარგად ეცვა, ჰალსტუხიც ეკეთა, ერთი სიტყვით, ეფენდი იყო.

ახალგაზრდა ცდილობდა მშვიდად მოეჩვენებინა თავი; მან ჩაუარა უცხოს და გასაღები გაუყარა კარებში.

შემდეგ უცბათ შეჩერდა შეშინებული: „ძალიან ჩემია და-
ვუჯერუ ამ კაცს“, — გაიფიქრა მან და ცოტა ხანს იღვა, თით-
ქოს რაღაცა უნდა მოეფიქრებინა.

უცხომ ზანტად გადადგა რამდენიმე ნაბიჯი, შეჩერდა და
ახალგაზრდა კაცს მოუბრუნდა:

— ნებას ხომ არ მომცემთ, რომ ეს ღამე ბალის რომელიმე
კუთხეში გავატარო?

ეს თქვა და ისამნის პატარა ბუჩქისკენ გადადგა ნაბიჯი.
სახლის პატრონმა უკან მოიხედა და უცნობს შეხედა. სახე-
ზე ტოტებისა და ფოთლების ჩრდილი ედგა და-კარგად არ ჩან-
და, მაგრამ ხმა ჰქონდა ისეთი, რომ ყოველგვარ შიშა და იჭვს
ჰქონტავდა.

უცბათ ელვასავით გაქრა რაღაცამ თავში. „ნაცნობი
ხმაა“, — დაშვიდებით გაიფიქრა მან. რომელილაც მეგობრის
ხმას აკონტავდა.

მან კიდევ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა წინ. წვიმას გადაე-
ლო, ლრუბლები ერთმანეთს მისდევდნენ. ხის ტოტებს შორის
გამოლწეული გვიან მოსული ნახევარმთვარის სხივები ალაგ-
ალაგ ანათებდა უცნობის სახეს.

— თუ ნებას არა მრთავთ, წავალ, — თქვა უცნობმა და
გარშემო მიმოიხედა.

მაგრამ მასპინძელს მისი ნათქვამი არ ესმოდა. ტოტებს შო-
რის გამოლწეულ მთვარის სხივებს სტუმრის პირი და ნიკაპი
გაენათებინა. მას ეცნაურა ეს კბილები და ტუჩები, რომლის
კუთხეები ქვევით იწევდა ხოლმე ლაპარაკის დროს.

დაიღუნა, რომ სახეზე შეეხედა უცხოსათვის. იმან უკან
დაიხია.

მაშინ ჰქითხა:

— თქვენ ესა და ეს არა ხართ?..

იმან ხელი მიიღვა პირზე.

— ჩუმად... ისა ვარ! როგორც კი დაგინახე, გიცანი, მაგრამ
არ მეგონა, თუ შენც გაგახსენდებოდი...

სახლის პატრონმა მის წინ მდგომს მაჯაში წაავლო ხელი
და თვისეკენ, სინათლეზე გამოსწია.

— ძალიან ცოტათი გამოცვლილხარ, — უთხრა მან... —
არა... ძალიან გამოცვლილხარ, — დაუმატა მან შემდეგ...
თუმცა სახის ნაკვთები არ შეგცვლია თითქოს, ტუჩებიცა და
ცხვირიც ისეთივე გაქვს... განსაკუთრებით ტუჩები... თუმცა
როგორ გითხრა, დაბერებულხარ თითქოს; მავრამ ეს სიბერეც
არ არის, ჩემზე უფრო ახალგაზრდად გამოიყურები... ერთი
სიტყვით, რაღაც სხვანაირი ხარ. სახეზე, გარედან კი არა, შიგ-
ნიდან შეცვლილხარ თითქოს... ღმერთო, რა არეულად ვლაპა-
რაკობ, ძმაო...

სტუმარი მსუბუქი ღიმილით უსმენდა.

— შენც შეცვლილხარ ცოტა... — უთხრა მოსულმა.

კარებს მიუახლოვდნენ. სახლის პატრონი სტუმარს მიუბ-
რუნდა:

— გარეთ სიგრილეა, შინ შევიდეთ!

სტუმარმა გაიცინა და წაილაპარავა:

— ჩემი სახლში შევვანა სახიფათოა

მასპინძელი უცბათ შეჩერდა. ისევ გაახსენდა წელანდელი
იჭვები. ეს შეამჩნია ამხანაგმა.

— არა, ძმაო, — უთხრა მან, — არ გაგეურდავ, ოღონდ
პოლიცია მეძებს...

მასპინძელმა დაკვირვებით შეხედა თავის ამხანაგს და სი-
ცილით უთხრა:

— ვინ იცის, რა საქმეები დაატრიალე... წამო, ერთი მომი-
ყველი.

ბნელი დერეფანი გაიარეს, კიბეს აჟყვნენ და დარბაზში
შევიდნენ.

სახლის პატრონშა სინათლე აანთო.

ტუჩებზე ღიმილმოფენილმა სტუმარმა იქაურობას თვა-
ლიერება დაუწყო.

ოთახი საკმაოდ კარგად იყო მოწყობილი. ზედმეტი არა-
ფერო ჩანდა, მაგრამ ნივთები იყო ცოტა მიმობნეული. საწერ
მაგიდაზე მიყრილ-მოყრილი ქაღალდები მოწმობდა, რომ მა-
თი პატრონი უცოლოა. ჩანდა, რომ მოსამსახურესაც აქრძა-
ლული ჰქონდა ოთახის დალაგება. იატაქზე პატარა ხალიჩი ეგო,
იქვე იყო დაბალი სკამები და ორი განიერი დივანი, ქუთხეში

ტანტი იდგა. ფანჯრებზე კრემის ფერი ტიულის ფარდები
ექიდა.

— თორმეტი წელი იქნება, არა? — დაიწყო მასპინძელმა.

— დიახ, რაც სასწავლებელი დავამთავრეთ, მერე აღარ
გვინახავს ერთმანეთი.

— რა ჩაიდინე, რომ პოლიცია გეძებს? ერთ დროს გავიგე,
რომ სახიფათო აზრებით იყავი გატაცებული და სამსახურიდან
დაგითხოვს.

— რა ჩავიდინე და... შენთვის აღვილად მისახვედრი საქ-
მება!

— ქვეყნის გასწორებას ფიქრობ, განა?

— თქვენ მოვალე ხართ გჯეროდეთ, რომ ქვეყანა გაუს-
ტორებელია!

ერთი წუთით გაჩუმდნენ. ისინი ცალ-ცალკე სავარძელში
ჩასხდნენ. სახლის პატრონმა რადიო ჩართო. ცოტა ხნის შემ-
დეგ მოისმა თითქოსდა შორიდან მომავალი მსუბუქი მუსიკის
ხმა.

ორივე ხმაამოუღებლივ უსმენდა. რომელილაც ოპერის
ბოლო ნაწილს გადმოსცემდნენ. როცა სარტყამი ინსტრუმენ-
ტების სილრმიდან მომავალი ხმები ნელდებოდა, მოისმოდა
სალამურის ხმასავით ტებილი ჰანგები და ორივეს თბილი
ნიავივით ეფონინებოდა სახეზე.

სტუმარს იატაქზე დაფენილი ხალიჩისათვის მიეპყრო თვა-
ლები. სახე ძველებურად უღიმოდა, ოღონდ ეს არა პგავდა
წელანდელ ღიმილს, კედელივით რომ აღმართულიყო მის
ირგვლივ და არავის აკარებდა. ეს იყო ბავშვის გაღიმებასავით
წმინდა და მიმზიდველი ღიმილი.

მან ნელა ასწია თავი და ამხანავს მიმართა:

— რა მშვენიერია, არა? ოთხი წელია მუსიკა არ მომისმე-
ნია!

— რატომ?

— შემთხვევა არ მომეცა!

რაღიოში ხანგრძლივი ტაში მოისმა, შემდეგ გერმანული
ლაპარაკი მოჰყვა; მასპინძელმა რადიო გამორთო.

ოთახში უეცარი სიჩუმე გამეფდა.

ორივემ ერთმანეთს შეხედა და გაიღიმა. ერთი წუთით
გაიღვიძა გრძნობამ, რომელიც თორმეტი წლის წინათ ცოცხ-
ლობდა მათში. მათ მეგობრულად გადახედეს ერთმანეთს:

სახლის პატრონი აღგა, მიუახლოვდა სტუმარს, ხელი მხარ-
ზე დაადო და უთხრა:

— მიამძე!

— შენ მომიყევი!

— ხომ ხედავ... ჩვეულებრივი გზით ვიარე და ასე თუ ისე
რაღაცას მივაღწიე!

— შენ ასე ძალიან ხარ დარწმუნებული, რომ ნორმალური
გზით იარე?

— რატომაც არა? ვცდილობდი, საჭირო კაცი შევიქენ და
წინ წავიწიე!

— შენი წინსვლისა არ ვიცი... შეიძლება ნორმალურიც
იყო... მაგრამ განა ასე გჯერა იმ გზისა, რომლითაც იარე? ან
კიდევ იმისა, რომ საჭირო კაცი შევიქენ?

მასპინძელმა არ უპასუხა. სტუმარმა განმეორებით ჰკითხა
მას:

— ხომ გესმის, რისი თქმაც მინდა?

— ცოტათი მესმის.

— დაკვირვებისარ თუ არა იმას, რაც გაგიყეთებია, რასაც
სასარგებლოს უწოდებ, ეტაპებს, რომელიც დღემდე გაგიყლია
და გზას, რომელზედაც შენს შემდეგ სხვებმა უნდა გაიარონ? მიგიქცევია ყურადღება, ვასთვის და რამდენად იყავი სასარ-
გებლო?

სახლის პატრონმა შეშფოთებით გაიქნია ხელი და სიცილით
წარმოსთქვა:

— მოეშვი, ძმაო, მაგ ღრმააზროვან ლაპარაკს.

მაშინ სტუმარიც ფეხშე წამოდგა:

— არავითარი ღრმააზროვანი ლაპარაკი ეს არ არის, —
თქვა მან, — ერთხელ რომ გაიგებ, მერე ისეთი ნათელი და
ხელშესახებია, რომ... მაგრამ კარგი, დავანებოთ თავი... თუმ-
ცა თუ აღამიანი ერთხელ დაფიქრდა ამაზე, მე მგონი, შე-
უძლებელი იქნება, თავისუფლად ჩაჯდეს ამ განიერ სავარ-
ძელში.

— შენ მაგ აზრებამდე იქნებ იმისმა შურმა მიგიყვანა, რომ
ასეთი განიერი სავარძლები არა გაქვს?

ამ სიტყვებზე უცრად შეიცვალა მისი ამხანაგის სახე.
ტუჩის კუთხეებს მსუბუქი ღიმილის ნაცვლად ბრაზი მოეფინა:

— შენ კარგად იცი, მე რომ ტვინისათვის აზროვნება ამე-
კრძალა და თვალებისთვის — ჰვრეტა, არ გამიძნელდებოდა
ისეთი ადგილის დაკავება, როგორიც შენა გაქვს.

— არ ვიცი... სასწავლებელში შენ პირველი იყავი!

— ახლა?

— ახლა სულ სხვადასხვა ვართ!

ეს სიტყვა უცრად წამოსცდა, მაგრამ მერე მიხვდა, თუ
როგორი სიმართლე თქვა. მასა და ძველ მეგობარს უკვე აღა-
რიაფერი აკავშირებდათ. მორიცებული, მეცალინი და უშმა-
კო ბიჭის ნაცვლად, რომელსაც სიტყვის თქმისა რცხვენოდა
და ხმამოულებლივ, ყურადღებით ისმენდა იმასაც კი, რასაც
არ ეთანხმებოდა, ახლა მის წინ იდგა ჯიუტი და მტკიცე აზრე-
ბის მქონე მედგარი ადამიანი. ხშირწამწამიანი, თბილად
მომზირალი, მიმზიდველი შავი თვალები ახლა დროდადრო
ცივად და დამამცირებლად შესცეროდნენ მასპინძელს. სახ-
ლის პატრონმა ვერ გაუძლო ასეთ გამანადგურებელ ცერის,
თავი განზე მიაბრუნა, შემდეგ შეეცადა სტუმრისათვის თვა-
ლებში შეეხედა და უთხრა:

— დაღლილი ხარ, წამო, საწოლს გიჩვენებ!

— ესე იგი შენ ბედავ და სახლში მაწვენ?

— რატომ გინდა, რომ შეურაცხყოფა მომაყენო?

სტუმარს პასუხი აღარ მიუცია. ნელ-ნელა წამოდგა.

მათ ხმა არ ამოუღიათ, დარბაზიდან გავიდნენ და კიბეები
ჩაიარეს. მასპინძელმა შემოსასვლელი კარების გვერდით
ოთახი გააღო და უთხრა:

— აქ დაწეჭი... ჩემი ოთახია. მე ზევით დაეწები ტახტზე.
სტუმარი ჩუმად შევიდა ოთახში.

— ძილი ნებისა, — წარმოსთქვა მან, ხელი კარებისკენ
წაილო, მაგრამ შეჩერდა და ამხანაგს მიუბრუნდა:

— მოდი ერთი გადაგეხვიო. იქნებ მეტი ვეღარც ვნახოთ
ერთმანეთი.

— რატომ? განა ხვალ აქ არ იქნები?

— მე ადრე ავდგები და წავალ ჩუმად. არ ივარგებს, თუ გაიგეს, რომ შენს სახლში გავათე ღამე. მოდი ერთი გვეკრო, ხომ იცი, რომ წინათ ძალიან მიყვარდი...

„ახლა?“ — უნდოდა ეკითხა მასპინძელს, მაგრამ ვერ გაბედა.

ერთმანეთს გადაეხვივნენ, გადაკოცნეს. ორივეს ცრემლი მოერია თვალში.

— ძილი ნებისა! — გაიმეორა სტუმარმა.

— ძილი ნებისა!

კარი ნელა მიიხურა.

მძიმე-მძიმედ აღიოდა კიბეზე. თავს ისე გრძნობდა, თითქოს რაღაცამ გადაინაცვლაო მის თრგანიზმში: რომელიდაც აღგილი დაცარიელდა, თუ რაღაცამ სხვა აღგილი დაიკავა.

„განა შეიძლება იყოს სიმართლე მის მიერ ნათქვამ სიტყვებში? — იფიქრა მან. — არა მგონია... განა მთელი ქვეყანა სულელია? აღამიანი უცნაური ქმნილებაა... თუ რამე ჩაიდვა ერთხელ თავში, მაშინ უჭირანესიც კი ასე გასულელდება!“

ისევ დარბაზში შევიდა და რადიო ჩართო. ინგლისის რადიოსადგური ძველთაძველ საცეკვაო მუსიკას გადმოსცემდა. ისარი აქეთ-იქით გადასწია — ლენინგრადიდან ინგლისურად გადმოცემული ლექციის გარდა ვერაფერს მიაგნო. მაგიდას მიუჯდა.

ძილი არ ეკარებოდა. გარეთ გავიდა; კარადიდან შალის საბანი გამოილო, ტახტზე დააგდო. თავი ისე ჰქონდა დამშიმებული და დაბნეული, თითქოს გრძელი და დამლელი საუბარი ჰქონდა. ნამდვილად კი ისაუბრესო არც ითქმოდა.

მას თვალშინ ედგა ამაყი და მომლიმარი სახე ამხანაგისა, რომელიც თითქოს ეუბნებოდა: რატომ მალაპარაკებ ამ ყველა-სათვის ნათელ ჰეშმარიტებასო.

გაბრაზებული იყო ამხანაგზე. მან ქვა ჩააგდო მისი სულის დადგარ წყალში და ააფორიაქა. „ამ თავხედ ძველ მეგობარს, — ფიქრობდა იგი, — არავითარი უფლება არ ჰქონდა დაერღვია მყუდროება, რომელიც უკვე რამდენიმე წელიწადია დაუბრ-

კოლებლად მიედინება განსაზღვრული წესის მიხედვით, კარგად დაქოქილ მანქანასავით“.

— წავალ, გავალვიძებ და შევედავები, — თქვა შან.

ქვევით ჩავიდა. ამხანაგს ეძინა. სინათლე აანთო, მაგრამ მძინარეს მაინც არ გაეღვიძა. მისმა გამომეტყველებამ გააკვირდა მასპინძელი. ეს თითქოს ის სახე არ იყო, რომელიც წელან, ზევით, გაბრაზებული ცივად შეპყურებდა მას. ლოგინზე იწვა ახალგაზრდა. იგი ოდნავ ხვრინავდა. სახეზე ბედნიერების ღიმილი გადაჰქონდა. განა შეიძლებოდა გეფიქრა, რომ ეს ძძინარე იყო ავანტიურისტი, საზოგადოების მტერი, რომელიც პოლიციას ემალება?! იმ წუთში იგი ნამდვილად სიყვარულის სიზმარს ხედავდა.

გაღვიძება ვერ გაუბედა. ისევ თავის ოთახში დაბრუნდა. შემდეგ კვლავ დაფიქრდა იმაზე, რომ მათ შორის არაფერი თქმულა, გარდა რამდენიმე უაზრო და გადაკრული სიტყვისა. თავისთვის რომ განაგრძო ამაზე ფიქრი, ჩიხში მოემშვედა. ამის გახსენებაზე იგი კანკალმა აიტანა. ე. ი. ამხანაგის ნათქვამი მართალი იყო. ოდნავი დაფიქრებაც კი მოსვენებას უკარგავდა.

მან გადაათვალიერა მაგიდაზე დაწყობილი გაზეთები, ერთ ადგილას მესამე გვერდზე შეაჩერა თვალი და ყურადღებით წაიკითხა.

იქ მოხსენიებული იყო ამხანაგის გვარი. ეწერა, რომ მას გაძლიერებით ეძებს პოლიცია და მალე დააპატიმრებს კიდეც, რადგან მისი კვალი მიგნებულია.

რამდენიმე სტრიქონში ჩამოთვლილი იყო მის მიერ ჩადენილი დანაშაულებანი. გაზეთი იტყობინებოდა, რომ ამ კაცმა კარგი განათლება მიიღო და იძლეოდა იმედებს, რომ სამშობლოს გამოადგებოდა. მაგრამ ამის ნაცვლად დღეს იგი საშიშროებას წარმოადგენს სოციალური წყობისათვის, საზოგადოების მტერია.

· მან დიდხანს. უყურა ამ სტრიქონებს და შემდეგ მძიმედ წაიბურტყუნა: — მტერი!

მან ახლა დაინახა, რომ ამხანაგი მართლაც მტრის თვალით უცქეროდა მას და სხვა არაფერი.

„ერთ დღეს მან და მისმა მსგავსებმა რომ ჩაიგდონ ჩალა-
უფლება ხელში...“, — გაიფიქრა მან და შეკრთა. მასთან შენ-
ვედრის ფიქრისაც კი ეშინოდა.

შემდეგ გული მოუვიდა, რომ ასე ეშინია საცოდავი კაცისა,
რომელიც პოლიციას გამოქცევია და აქ, მის სახლში იმა-
ლება.

— ბრიყვი, — წარმოსთქვა მასპინძელმა, — არ იცის, რომ
ძალა მათ ხელში არ არის!

დიახ, ძალა მის ხელში იყო და მთელი სახელმწიფო, პო-
ლიციით, ეანდარმერიით, სასამართლოთი, ბანკებითაც კი, სკო-
ლებითა და გაზეთებით მას იცავდა.

უეცრად მან სიახლოვე იგრძნო ამ დაწესებულებებთან და
ასევე სწრაფად გადაავიწყდა ამხანაგი. მისი ხატება მალე გაქ-
რა ნისლსა და ღამის სიბნელეში.

იგი ფანჯარასთან მივიდა და ქუჩაში გაიხედა, რომ
გული მოსცემოდა. ქუჩის კუთხეში პოლიციელი ბოლოსა
სცემდა. მაშინევ გააღო ფანჯარა, რომ მისთვის დაეძახნა. სა-
ნამ მისი სტუმარი მვევით იყო, ის მშვიდად ვერ დაიძინებდა.
„მაგრამ რომ დავიყვირო, ხომ შეიძლება გაიღვიძოს“, — გაი-
ფიქრა მან და უკან დაბრუნდა. ისევ გადაშალა გაზეთი. წელან-
დელი ადგილი მონახა და ერთხელ კიდევ წაიკითხა.

— პოლიციას მისი კვალისათვის მიუგნია, — წაილაპარაკა
მასპინძელმა. — ვაი თუ ჩემს სახლში იპოვნონ?

იმ წუთში მცენები, ციხეები და სასამართლოები წარმოუ-
დგა თვალწინ, გარშემო მიმოიხედა. ფიქრმა, შეიძლება გამო-
ვეთხოვო ამას ყველაფერსო, შეაკრთო და კინაღამ მის გარ-
შემო ნივთებს ჩაებლაუჭა.

არა, მეტს აღარ მოითმენდა. ცალი ხელი ნელა წაუვიდა
ტელეფონისაენ, მეორე ხელით აბონენტთა წიგნი გადაშალა,
ნომერი მოძებნა და დარეკა.

ტელეფონთან მოსულ მორიგე კომისარს ყველაფერი
უმშო. მილი რომ დაკიდა, თავი ისე იგრძნო, თითქოს ეს-ეს
არის გაეღვიძაო. ხელები თავში წაივლო და ოთახში დაიწყო
სიარული.

ათასნაირმა ფიქრმა გაუელვა. „დიდი უსინდისობა ჩაიდგი-
5. საბაპათინ ალი

ნე, — ეუბნებოდა იგი თავის თავს, — შენს სახლში შემოიზინული კაცი გაეცი. მაგრამ მტრის დამალვა ხომ ჩემი დამცველების ღალატია”, — ფიქრობდა იგი.

რაც დრო გადიოდა, მით უფრო ვერ ძსვენებდა აღგილზე. მას გაასენდა, თუ რა რწმენით, მეგობრულად და გულწრფელად აკიცა წელან ამხანაგმა. ლოყებში ხელი იტკიცა, მეტი ველარ მოითმინა, ქვევით დაეშვა მის გასაღვიძებლად; გაიქცა, მოდიანო, — უნდოდა დაეყვირა.

კიბეები სწრაფად ჩაირჩინა და ქვედა სართულში ჩავიდა. შეაღო ხაწოლი ოთახის კარი, საღაც ამხანაგს ეძინა. ადექიო, — უნდოდა დაეყვირა, მაგრამ სიტყვა ყელში გაეხირა.

უცბათ რაღაც ფიქრმა შეაჩერა:

ეს კაცი, რომელსაც ახლა ბავშვივით სძინავს, ადგება თუ არა, მაშინვე მიხედება უველაფერს. გამანადგურებელი ღიმილით და ფოლადივით პრიალა თვალებით გადმოჰქედავს მას, ის კი უნდა დამცირდეს, დამცირდეს და განადგურდეს მის თვალში.

ამისმა წარმოდგენამ შეაკრთო მასპინძელი. ის ათრთოლდა, თითქოს უკვე გრძნობდა თავისი ამხანაგის უშიშარ, დამცინავ, ამაყ გამოხედვას. მის წინაშე ასე დამცირებული სახით წარდგომა ხომ მისი სიტყვების დადასტურება იქნებოდა.

დრო გადიოდა.

ორი, ერთმანეთის საწინააღმდეგო გრძნობით შეპყრობილი ახალგაზრდა კარებში იდგა და აღარ იცოდა რა ექნა. იგი დასცემოდა თავის ამხანაგს, რომელიც გაუხდელად წამოწოლილიყო ლოგინზე და შევიდ ძილს მისცემოდა. ხანდახან წინ წალგამდა ნაბიჯს მის გასაღვიძებლად, მაგრამ აქვე გაახსენდებოდა ამხანაგის ძალა და ვაეკაცობა მიუხედავად ასეთი გაჭირვებისა, და საკუთარი არარობა, დამცირებული მდგომარეობა. იგი უკან იხევდა, ოფლში იწურებოდა, თუმცა დიდი და გავლენიანი ხალხი მისი დამცველი იყო.

გარედან ფეხის ხმა მოესმა. მან რამდენიმე ნაბიჯი გადადგა წინ და მძინარეს მხარზე ხელი დაადო.

ამ დროს ქუჩის კარებზე ჩუმი კაკუნი გაისმა. მან სასწრაფოდ მიირბინა და კარი გააღო. ოთხი კაცი — ორი სამოქალაქო



ტანსაცმელში გამოწყობილი და ორიც პოლიციელი შემოვიდა ოთახში.

მასპინძელმა მოსულებს ოთახის ნახევრად ღია ქარი უჩვენა, თვითონ კი აჩქარებული ნაბიჯებით ჩუმად გაემართა კიბისაკენ და სირბილით ავიდა ზევით.

1935

მოხეტი აღე დასი

I

— ახალი თეატრალური დასი ჩამოსულია!..

ეს ამბავი ისე სწრაფად მოედო დაბას, როგორც ცნობა მობილიზაციის შესახებ.

საღამოს პირზე ქუჩაში დადიოდა ვირზე შემჯდარი, შელებილი ჯუჯა. ცალ ხელში ზარი ეკავა, მეორეში — ვეება აფიშა. უკან ბავშვებისა და ყავახანაში მომუშავე ბიჭების გრძელი კუდი მისდევდა.

ჩინარებიან წყაროზე მოსული ქალები თავთავიანთ ჭურჭლებზე ჩამომსხდარიყვნენ და წყევლიდნენ არტისტებს, რადგან ჯერ ერთი დასიც არ იყო წასული, რომ უკვე მეორე მოვიდა.

პროკურორი დაფიქტდა, როგორი ზომები მიეღო ამ საზიზღარი და სამარტვებინო ცეკვებისა და წარმოდგენების წინააღმდეგ.

ბრმა ვეისელინის დუქანში თავმოყრილი მოქეიფენი უკვე ლაპარაკობდნენ ქალების სილამაზეზე, რომლებიც ჯერ არც კი ენახათ.

ინტელიგენტი ახალგაზრდები მოედანზე, აფთიაქის წინ სკამზე ისხდნენ და მსჯელობდნენ, თუ რამდენად ფასეული იყო ამ დასის ხელოვნება.

საქანცელარიო ნივთებით მოვაჭრემ რამდენჯერმე მაგრად შეიგინა; მას გაახსენდა აღრინდელი დასი, რომელმაც მუჟაო გამოართვა დეკორაციისათვის და ისე წავიდა, რომ ფული არ გადაუხდია.

ყველა მოცლილი იყო, ყველას უნდოდა რაღაც საქმე გასჩენოდა და ამიტომ მეტ-ნაკლებად ყველა დაინტერესდა.

უანდარმერიის სამაზრო სამმართველოს ყოფილი პოლ-პოლკოვნიკის, სამაზრო არქიტექტორის ნალვაში — ქვის სა-თეატრო შენობა დამთავრებული არ იყო, მაგრამ შიგ წარმოდ-გენის მიცემა შეიძლებოდა. იქაურ დიდქაცობას აღრე გაეცსო ლოეები.

პირველი ლოეა კაიმაყამისა²³ იყო.

ეს ახალგაზრდა, რომელმაც სამოქალაქო მოხელეების სკოლა ახლახან დაამთავრა, შეკოდერიდან²⁴ იყო წარმოშობით. მას ჰქონდა ყველაფერი, რაც მისი წრისთვისაა დამახასიათე-ბელი: პედანტობა, თავმომწონეობა.

სიარული იცოდა, რომა... თავი მაღლა ეჭირა და ჯოხს მაგ-რად აკაკუნებდა ქვაფენილზე.

ის დარწმუნებული იყო, რომ ჰკუიტ ყველასა სჯობდა... მაზრის ექიმებთანაც კი ისე ლაპარაკობდა, როგორც პროფე-სორი ლექციაზე.

ვერ წარმოედგინა, რომ არსებობენ პატიოსანი აღამიანები. მისი აზრით, ყველა ქალი გარყვნილია, ხოლო რაც შეეხება კაცებს, ისინი ან ამავე სენით არიან შეპყრობილნი, ან კიდევ ჭურდები არჩან.

მის გვერდით უანდარმერიის უფროსი ზის, მისივე თანა-სოფლელი. რა საზიზლარი ადამიანია, რომ იცოდეთ... ის ეხმა-რება და უახლოვდება ყველა ახალმოსულ მოხელეს მხოლოდ იმისათვის, რომ ღამ-ღამობით ღრეობა მოაწყონ და ვახშამი ვამოს ოჯახის ქალებთან.

ორი სიტყვის ერთად გადაბმა არ შეეძლო და კრებებზე გამოსვლა კი გატაცებით უყვარდა. ყოველი ეროვნული დღე-სასწაულის დროს მთავრობის მოედანზე აღიოდა შემაღლებულ აღგილის და საათობით ყბედობდა.

— დიახ, მოქალაქენო... დიახ... ეს ქვეყანა... დიახ...

მაზრის უფროსი და ის რატომლაც ძალიან შეთვისებული იყვნენ.

მეორე ლოეა პროექტორს ეკუთვნიდა. იგი აბისინიელი იყო უპრის რაიონიდან. ის ყურს უგდებდა მიწათმოქმედების

განყოფილების უფროსის ნამდობს ღორების წინააღმდეგ ჩატარებულ ლონისძიებათა შესახებ, თავს უქნევდა და დრო წამოიძახებდა:

— მართლა, ეფენდი? გასაკვირია...

არც დანარჩენი ლოები იყო ცარიელი.

ადგილობრივი ფინანსთა ინსპექტორი საგზაო ხარჯების შემცირების ხელოვნებით იყო ცნობილი. სქელი მუცელი ლოების მოაჯირისათვის მიეყრდნო და ქვემოთ იხედებოდა, ორი პოლიციელის თანხლებით საროსკიპოდან მოყვანილ ქალებს უცემოდა.

გაზეთის რედაქტორი მეზობლებთან საუბარში იყო გართული. იგი ყვებოდა თუ რა შინაურულად იყო სახელმწიფო მოღვაწეებთან; დეპუტატებს „შენ“-ობით ველაპარაკებით.

მუნიციპალიტეტის წევრები დროდადრო გამოდიოდნენ დერეფანში, ულვაშებზე ხელს გადაისვამდნენ, ლაბლაბს ჩაიგდებდნენ პირში და ისევ დარბაზს მიაშურებდნენ. ამ მაზრაში კონტრაბანდით შემოტანილი საყენეოს არაყი იცოდა.

ლოებებში ისხდნენ ახალგაზრდა ოფიცირებიც. ისინი გულმოდგინედ ათვალიერებდნენ ქალაქის დიდებულთა ქალიშვილებს; ქვევი იყვნენ მხიარული მასწავლებლები.

დანარჩენ ხალხს ქვევით მოყარა თავი; აქ იყვნენ მოვრალებიც. ვიღაცა კვანის კაკალს აქნაწუნებდა; ვიღაცას კი მეზობლისათვის საყელოში ეტაცნა ხელი და ბუტბუტებდა:

— სოქვი, მოვწევთ ხომ... ხომ? ხომ მოვწევთ?

მეორეს კი ხელი ჩაევლო მისთვის და ცდილობდა გარეთ, სუფთა ჰაერზე გაწყვანა.

III

ფარდა გაიხსნა...

რამდენიმე კაცმა სიმღერა შეასრულა.

უკანასკნელად რომ გაიღო ფარდა, მაყურებლების წინაშე მოცეკვავე სიუზანა წარსდგა.

ატყდა ტაშის გრიალი. კლარნეტის, უდისა²⁵ და საყვირისაგან შემდგარი ჯაზის ჰანგებზე დაიწყო ციკვა. ეტყობოდა,

ცეკვა იცოდა, მაგრამ ტლინკების სროლისათვის მარნცვერ
დაენებებინა თავი. უცნაურად გრეხდა ფეხებს და ხელის ჭრა-
დებული მოძრაობით მხარზე გადაიყრიდა ხოლმე თვალებზე
ჩამოშლილ შეღებილ თმებს.

მას რამდენჯერმე გაამეორებინეს ნომერი, რომელსაც ტა-
შის კვრა, ბუქნა და სტვენა ახლდა.

ფარდა რომ დაიხურა, ყველა აღფრთოვანებული იყო. პრო-
კურორტი სამიწათმოქმედო განყოფილების უფროსისაკენ და-
ხარა:

— ჰეშმარიტი ხელოვანია... ასე არ არის, ეფენდი?.. —
წარმოსთქვა მან და ჩვეულებისამებრ დაიქნია თავი.

შესრულებული იქნა რამდენიმე დუეტი, კვარტეტი. შემ-
დეგ გამოჩნდა ხმაჩახლეჩილი ქალი, რომელიც მუცელში
ურტყამდა მის წინ მდგომ ჯუჯას და მღეროდა:

დამიჯერე განა, პეტ სულელო, პა, პა, პა...

ბოლოეს ჩაგრიზი ტვინში, პა, პა, პა...

საფინანსო განყოფილების გამგე სიცილით კვდებოდა;
მუცელით მისწოლოდა მოაჯირს და ისე არყევდა, თითქოს გად-
მონგრევას უპირებსო.

ესეც გათავდა.

თხუთმეტი წუთის შესვენების შემდეგ საშინელი ტრაგე-
დიები და მხარული კომედიები უნდა დაწყებულიყო.

IV

კომიკმა რაპმიმ სცენის უკანა კარიდან გამოიხდა და წა-
მოიძახა:

— უჰ, ეს რა თოვლია?..

შემდეგ უკან მდგომ მსახიობს ვიქტორიას მიუბრუნდა:

— რა ცუდი მხარეა! სამი დღის წინ რა ამინდი იყო. ახლა
კი დახე, როგორ თოვს!..

მან ნელა მოხურა კარი, მიმოიხედა. არავინ იყო. რაპმიმ
ხელი მოჰკიდა ვიქტორიას, თითქმის კინომსახიობივით ლამაზ

ქალს, თავისკენ მიიზიდა, გადაეხვია... და მის ფერმერთა ალბორის მიაგნო...

ოთხი წელია ერთად არიან...

რაპი შეილი იყო სამხედრო კაპელმეისტერისა, რომელიც თვითმოქმედებას გადაუვა და შეაგზაზე მიანება თავი სამხედრო სამსახურს.

ვიქტორია იზმირელი მდიდარი ებრაელის ქალიშვილი იყო. მამამისმა, ალბათ გაკოტრების გამო, თავი მოიკლა. ვიქტორიამ ბევრი იხეტიალა; ბოლოს, ამ დასში შევიდა და წლების განმავლობაში მოიარა მთელი დასავლეთი ანატოლია.

ერთხელ ედრემითში ²⁶ შეხვდა რაპის, რომელიც წარმოდგენებს მართავდა თავისი საცოდავი დასით.

ამ თმაწითელმა, მწვანეთვალება, ლამაზმა, ცოტა მოსულელო კომიქტა ის თავის დასში ჩარიცხა.

მათ შეივარეს ერთმანეთი, მაგრამ ეს სიყვარული არ იყო ისეთი, რომელიც იცვლებოდა დასში ყოველი ახალი მსახიობი ქალის გამოჩენისთანავე.

რაპის ის აღარ გამოჰყავდა მომლერლად; პიესებსა და კომედიებში პატარა როლებს აძლევდა.

ვიქტორია ძალიან თვალში საცემი იყო იმ შეღებილი აქტრისების გვერდით, იმდენადაც კი, რომ რამდენიმე დღის წინათ წარმოდგენის ყველაზე უფრო დრამატიულ მომენტში ვიღაცამ „ვაშაო“, დაუძახა და თავისი ოქროს საათი ესროლა სცენაზე.

რაპი ერთი წუთითაც არ იშორებდა ქალს. სხვა აქტორებთან ლაპარაკის ნებას არ აძლევდა. ვერ იტანდა იმასაც კი, რომ სხვას ეცეირა მისი ოქროსფერი თმებისათვის, ლამაზი პირისახისათვის...

სიხარულისაგან ტირილი ერეოდა რაპის, როცა ეხვეოდა ვიქტორიას სავსე ტანს, უმშერდა მის გამჭვირვალე პირისკანს, რომელზეც მოლურჯო ნაზი ძარღვები მოუჩანდა. ორივემ იკოდა, რომ მათი ცხოვერება ცხოვრება არ იყო... მაგრამ ეს მოხეტიალე მსახიობობა ძსეთი რამაა... თუ ერთხელ ჩაგითრია, მერე ადვილად ვერ მოეშვები... ისევეა, როგორც ყომარი, პაპიროსი. შიმშილობენ, ლამეებს ფუნდუქების ცივ ოთა-

ხებში ათევენ, ყველას სძულს ისინი, ყველა მათ ამცირებს, შეგ-
რამ მაინც ვერ ეშვებიან...

მასხარაობასა და სასცენო იმპროექტაციას ეწირება უმაღ-
ლესი ხელოვნება, მომგებიანი საქმიანობა.

V

— მზადა ხართ? — იკითხა რაპმიმ და სცენაზე შევიდა.

— მზადა ვართ! — უპასუხა ტირანის როლების შემსრუ-
ლებელმა მიუნირმა და ყურში ჩასჩურჩულა:

— გახსოვს, რაპმი, რამდენიმე ხულიგანი, წინა რიგებში
რომ ისხდნენ, ხმაურობდნენ, იგინებოდნენ...

— ამ საღამოს ხომ არ არიან? მე არ დამინახავს.

— რასაკვირველია, შენ ვერც დაინახავ... ორი-სამი კაცი
გარეთ დაეხეტება, დანარჩენები შიგნით ბნელ კუთხეებში
მიმალულან... დიდი მისვლა-მოსვლაა, მაგრამ... ცოტა ფრთხა-
ლად თუ ვიქებით, ურიგო არ იქნება...

— უპატრონო ქვეყანაში ხომ არა ვართ, შვილოსან?..

მიუნირი წავიდა. რაპმი შეწუხდა... მაგრამ შეეცადა, ყუ-
რადლება არ მიექცია; ეჭვიანი კაციაო, იფიქრა და გაიცინა...

წარმოდგენა დაიწყო.

კარგადაც მიმდინარეობდა.

რაპმი სცენაზე იყო.

ვიქტორია რაპმის ეალერსებოდა.

ნამიკ ქემალის²⁷ „საცოდავ ბავშვს“ უჩვენებდნენ.

— ჩემო საყვარელო მამა, ჩემო საყვარელო, — ამბობდა
ვიქტორია.

უცბათ ირგვლივ ყველაფერი აირია...

რამდენიმე დამბაჩა გავარდა ზედიზედ. დარბაზში და სცე-
ნაზე ჩაქრა რადიუმის ლამფები, შეიქნა ყვირილი. ზოგი ში-
შისაგან ყვიროდა, ზოგს კი ცხელი ნავთი გადასხმოდა და ის
აყვირებდა.

ყველა ხელს პკრავდა ერთმანეთს და გარბოდა...

რაპმი პალტოს ჯიბეში ელექტრონის ფარანს ეძებდა, რო-
ცა უეცრად ვიღაცამ რევოლვერის ტარი ჩაჰურა თავში.

გონს რომ მოვიდა, სცენა პოლიციელებსა და უანდარმებს
გაევსოთ. მან ფეხზე წამოდგომისთანავე დაიყვირა: რა გამომარტინოდა
— ვიქტორია, სად არის ვიქტორია?

პროკურორმა გააჩუმა რაჭმი, რათა საქმის ვითარებაში
გარევეულიყო.

— თქვენი ახსნა-განმარტებაა საჭირო, თუ როგორ მოხდა...
ხომ გასაგებია?

VI

იმ ღამეს რაჭმის დილამდე არ დასძინებია... ვიქტორია და
სიუზანა არსად ჩანდნენ.

მაგრამ სიუზანა მალე მოგიდა. ვერაფერს გახდნენ და გა-
მოუშვეს.

— ფრჩხილებით დავაკაწრე სახე, — ყვებოდა სიუზანა. მას
ვიქტორიაც უნახავს გულწასული მექოთნის შეილის მკლა-
ვებზე.

ძლიერს გაათენა ის ღამე რაჭმიმ. გარიერაუზე უანდარმე-
რიის უფროსთან წავიდა. მაგრამ არავინ დახვდა გარდა ჯა-
რისკაცისა, რომელიც იქაურობას პგვიდა.

გარეთ თოვდა. რაჭმიმ გაიარ-გამოიარა. ყავახანაში შევი-
და. გამოვიდა... დრო არ გადიოდა.

დიდმა საათმა მოედანზე ცხრაჯერ დაჰკრა...

რაჭმი კოჭებამდე თოვლში მიღი-მოდიოდა...

საათმა ათის ნახევარი დარეკა...

ათიც შესრულდა...

გამოიჩინდა უანდარმერის უფროსი, ქურქში გახვეულიყო,
ჩექმები ეცვა, ხელში წვეტიანი ჯოხი ეჭირა.

რაჭმი მისკენ გაიქცა. ის-ის იყო მიუახლოვდა, რომ უანდარ-
მერის უფროსმა საყვედური დაუწყო:

— ხომ ხედავთ, რა გვიქენით წუხელ, გაგვიჩინეთ სახლა-
ფორთო!..

— ჩვენ, ეფენდი?

— დიახ, თქვენ. ყველაფერი თქვენი წინდაუხედაობის
ბრალია.

— რატომ, ეფენდი? ჩვენ რა შეგვეძლო გვიქნა?

უანდარმერიის უფროსმა აღარ უპასუხა.

— განა მდევარი არ დაადევნეთ ჯერ?.. — იყითხა რაჭმიშ.

ამასობაში ისინი ოთახში შევიდნენ. უფროსმა გაკვირვებით
შეხედა მას:

— რა მდევარი? ასეთ ამინდში?

რაჭმი გაშტერდა:

— როგორ, ხელს არ ახლებთ იმათ?

— მოიყვანენ!

— როდისლა? როცა თავისას იზამენ, არა? მერე რაღა
აზრი აქვს...

უანდარმერიის უფროსი ფეხებს იშრობდა ცეცხლზე.

— ერთი გარეთ გაიხედე, შენ წახვალ ასეთ ამინდში?

— წავალ, ორი უანდარმი გამაყოლეთ და წავალ!

— კარგი, გეყო, ბრიყვო! — წაიბუტბუტა უფროსმა.

აღშფოთებული რაჭმი გაცოფდა და იყვირა:

— კარგი, მაგრამ თქვენ ხომ თანამდებობის პირი ხართ,
რომელმაც წესრიგი უნდა დაამყაროს ამ რაიონში! განა თქვენ
არ ჩაგაბარათ ყველამ თავისი ცხოვრება და ნაშესი? განა არ
ფიქრობთ იმაზე, რომ პასუხს მოგონვენ? ეს ხომ სიმხდალეა,
რასაც თქვენ ჩადიხართ!

— გუშაგო!.. — იყვირა უანდარმერიის უფროსმა.

გუშაგი შემოვიდა.

— გაიყვანეთ ეს კაცი გარეთ!

— ახლავე, ეფენდი! — უპასუხა გუშაგმა და რაჭმის მიუბ-
რუნდა:

— გაბრძანდით!

— ნუ დამღუპავთ, კაპიტანო, — დაუწყო რაჭმიმ ხვეწნა,—
ლვთის გულისათვის, ნუ დამღუპავთ. მხოლოდ ერთი უანდარ-
მი... მე ფეხით წავალ. მხოლოდ ერთი ცხენოსანი უანდარმი მო-
მეცით, ერთად წავალთ.

— გააგდეთ გარეთ!

გუშაგმა ხელი მოჰკიდა რაჭმის.

იგი ბარბაცით გავიდა.



რაჲმი თითქოს სიზმარში იყო. რა ექნა? ვისთან შისულიყო
ამ უცხო ადგილას?

მაგრამ ხომ იყო იქ ხელისუფლება? ხელისუფლება, რო-
მელიც ამბობდა, ჩვენ გვაბარია ხალხის პატივი და თავისუფ-
ლებაო.

— უჲ, მართლა, — წარმოსთქვა მან, — მაზრის უფროსთან
არა ვყოფილვარ. მას ვეტყვი, შევეხეწები, დავემუქრები
კიდეც.

წავიდა.

— ეფენდი, სალამოს თქვენც იქ იყავით, ერთი ქალი მოგვ-
ტაცეს, მდევარს თუ გაუშვებთ...

— კარგი, კარგი, უანდარმერიის უფროსს მივწერ!

— ეფენდი, მე ვიყავი მასთან, გარეთ გამომაგდო. ასეთ
ამინდში მდევარს ვერ გავაგზავნითო. ვეხვეწე, ვიყვირე, ყური
არ მათხოვა.

— ჰოო...

მაზრის უფროსი დაფიქრდა. უანდარმერიის უფროსს თავი-
სი მიზეზი აქვს ალბათ, რომ მდევარი არ დაადევნა. მან ფანჯა-
რაში გაიხედა — მართლაც გიყივით ტრიალებდა თოვლი.

— კარგი, თქვენ წაბრძანდით. მაგ საქმეს მე მოვუკლი!

— დიღი მადლობა, ეფენდი.

რაჲმი დაწყნარებული გამოვიდა — მაზრის უფროსი დან-
მარებას დაპპირდა. რაჲმიმ შუა დღემდე დაპყო ფუნდუქში.
მერე ისევ მაზრის უფროსს მიაშურა და შევიდა მასთან.

— გაუშვით მდევარი, ეფენდი?

— უჲ, შეხე როგორ დამავიწყდა!

— მაშ როგორ იქნება, ეფენდი?

— იცი რა, ტყუილად წუხდები, ისინი ალბათ მოიყვანენ
რამდენიმე დღეში.

— მაგრამ ამ რამდენიმე დღეს... როგორ შეიძლება ამის
მოთმენა?

— არა, გენაცვალე, ალბათ ქალიც თანახმა იყო. აბა, შეხე,
მეორემ როგორ უშველა თავს და მოვიდა...

— გულწასული ყოფილა, ეფენდი.

— კორია.

— ჩვენ აქ ტყუილად ვლაპარაკობთ, ეფენდი, და დროუ ჭიშ
მიღის.

მაზრის უფროსი გაბრაზდა. ძალიან გაბრაზდა. განა მასთან,
მაზრის უფროსთან შეიძლებოდა ასეთი სისულელის ლაპა-
რაკი?

— ტყუილად ვლაპარაკობთ? იცით თუ არა თქვენ, რას
ამბობთ?.. საქმე გინდა გაგვიჩინო ვიღაც კახპას გულისათვის!

ამან გააბრაზა რაპმი:

— კახპა... კახპა, ჲა? ბატონი მაზრის უფროსო, ის იმათ-
ზე უფრო პატიოსანია, ვინც თქვენ წესიერად მიგაჩნიათ!..

ამ სიტყვებმა მთლად გააცოფა მაზრის უფროსი.

— უზრდელო, არ გავუშვებ მდევარს!..

როგორ? მაშ მდევარს არ აღევნებს?.. ნეტავ დაეცლია
მისთვის, რატომ ელაპარაკა ასე უხეშად... ახლა გამოსასწორე-
ბელი იყო ყველა ეს შეცდომა:

— ეფენდი, — მიმართა მან მაზრის უფროსს, — მაპატიეთ,
ეფენდი, ძალიან ავლელდი... ჭეუა დავკარგე. ის ყველაფერია
ჩემთვის, მე უიმისოდ ვერაფერს გავაკეთებ. თქვენც ხომ ახალ-
გაზრდა ხართ; თქვენც იცით, რა არის სიყვარული... მისი მდგო-
მარეობა რომ გამახსენდება, ჭეუიდან ვირყევი. გთხოვთ, ბა-
ტონი მაზრის უფროსო. ბრძანეთ თუნდაც ორი უანდარმი გაგ-
ზავნონ.

— ამინდი გამოვიდეს და თუ მანამდე არ მოვიდა, მაშინ
შევაკითხვინებთ საპოლიციო განყოფილებებს.

— ვერ შოვიცდი, ამდენს ვერ მოვიცდი, გავვიუდები ნამდ-
ვილად, — თხოვნით გაიშვირა რაპმიმ ხელები. — ო, ეფენდი,
თუ თქვენ განკარგულებას გასცემთ მის მოსახებნად, ვილო-
ცებ თქვენზე... — რაპმის ხმაში ტრაგიკული ჰანგები გამოე-
რია, — თქვენ წმიდანი იქნებოთ ჩემთვის, ეფენდი, თქვენ...

— ეს რა გულის გამწყალებელი ვინმე ყოფილა! — იყვირა
მაზრის უფროსმა. — ახლავე დავუძახებ გუშაგს!

ბევრს ეცადა რაპმი, მაგრამ ამ კაცის გული ვერ მოიგო.
ცრემლების წმენდით გავიდა გარეთ.

მაზრის უფროსი სკამის ზურგს მიეყრდნო და თავის უფლად
ამოისუნთქა.

— კიდევ კარგი, რომ ველაპარაკე უანდარმერიის უფროსი.
რისი გულისათვის ავუტეხო ჩემს თავს უბედურება და ვსდიო
ისეთ ხალხს, როგორიც მექოთნის ვაჟია.

VIII

რაპმიმ საღამომდე იხეტიალა ქალაქში, სანამ შესაფერ ფა-
სად რამდენიმე დღით იქირავებდა ცხენს. მარტო უნდა წასულ-
იყო ვიქტორიას საძებრად. რაპმის გათენებისათვის აღარ
მოუკდია, გზას გაუდგა.

ის იყო ქალაქს გასცდა, რომ დაღამდა კიდეც. მან მიაშურა
ქალაქიდან მოშორებით მდებარე დასახლებულ ადგილს, საი-
თაც, როგორც, მას უთხრეს, გამტაცებლები წავიდნენ. აღარ
თოვდა. გამოჩნდა მთვარე, — სუსტად ანათებდა რუხი ღრუბ-
ლების საფარიდან. ტრიალ მინდორზე პქროდა ქარი, მიწიდან
მოხვერტილი თოვლი სახეში სცემდა მხედარს.

რაპმი მაგრად გაეხვია პლაშჩში, მაგრამ ფეხებზე მაინც
სციოდა. მან ფეხით გადაწყვიტა სიარული. ჩამოხტა ცხენიდან,
ალვირს წავლო ხელი და განაგრძო გზა. ირგვლივ აღარაფერი
იძეროდა.

დროდადრო შეჩერდებოდა ხოლმე და ყურს მიუგდებდა
სიჩუმეს, მაგრამ საკუთარი საათის ტიკტიკის გარდა არაფერი
ესმოდა... თოვლით დაფარული მინდორი ბორბლის ნაკვალე-
ვით იყო დასერილი. ნაკვალევი მოაგონებდა დალურჯებულ
ენებს მიცვალებულის ხელზე.

„ოჰ, ღმერთო, რამსიგრძე გზაა“, — ფიქრობდა რაპმი. უკვე
სამი დღეა გზაშია. პური ძლივს იშვია ღარიბი გლეხებისაგან.
გზის საკითხავად სოფლის ღარიბ სკოლაში შედიოდა, სადაც
მასწავლებელს სკამის ნაცვლად ფეხზე დაყენებული აგური
ედგა, მოწაფეები კი მბეუტავ ბუხართან მიყუეულნი უსმენ-
დნენ გავეთილს.

შეა დღისას რაპმი უკვე ფიჭვნარში მიაბიჯებდა. ხელში
ჩემოლვერი ეკავა და მგლების ყმუილს უგდებდა ყურს. ამ
დროს შორიდან ცხენის ფეხის ხმა მოისმა.

ცოტა ხნის შემდეგ გორაკზე ოთხი-ხუთი ცხენოსანი გამოჩნდა. რაპმი განხე გადგა და დაელოდა. როცა მოახლოვდნენ, დაინახა ისინი, ვისაც ეძებდა. ერთ მათგანს ვიქტორია ეწვა უნაგირზე. რაპმიმ მათკენ გაიწია. ამის დანახვაზე ცხენოსნებმა სწრაფად შეაყენეს თოფები.

— არ გაინძრე!..

შესძახეს მათ. მოახლოვდნენ. მათ შორის რაღაც დავა ატყდა. ბოლოს ერთი მათგანი ჩამოხტა ცხენიდან, იარაღი აჟარა რაპმის და ისევ მოაჯდა ცხენს. მათ თოვლზე დააგდეს გულწასული ვიქტორია და ოთხით მოკურცხლეს იქიდან.

მათი შავი ნაბდის კალთები ფრიალით მიეფარა თეთრად მოპენტილ ნაძვებს. რაპმი დაფიქრდა. რა ექნა? — უნდა დაბრუნებულიყო.

რაპმიმ ხელში აიყვანა ვიქტორია, მოაჯდა ცხენს და მძიმედ გაუდგა გზას. არ ციოდა. ტყიდან რომ გამოდიოდა, მზემაც გამოყო თავი. ზამთრის თბილი და სასიამოვნო მზის სხივები მინდორს ეფინებოდა. ირგვლივ ისეთი თვალწარმტაცი სანახაობა იყო, რომ კაცს თავისი თავი მარმარილოს სასახლის ოქროს ბოძებიან თაღქვეშ ეგონებოდა.

IX

მაზრას ოთხი დღის შემდეგ, შუალამისას მოაღწიეს. დალლილ-დაქანცულები და გაყვითლებულები ყელამდე ტალახში იყვნენ ამოსვრილნი... თოვლი დნებოდა. გზები ატალახებული იყო და ისინიც წებოიან ქაღალდზე მიერული ბუზებივით მოფორთხავდნენ.

ფუნდუქში რაპმიმ თავისი ხელით გახადა ვიქტორიას და ლოგინში ჩაწვინა. ხელით დაუზილა დაბუჟებული ფეხები.

პატარა ოთახში, საღაც თუნუქის ღუმელი იდგა, მთელმა დასმა მოიყარა თავი.

— ყოჩაღ, რაპმი, — შესძახოდნენ აქეთ-იქიდან, — ჩვენ კი გვეგონა, რომ საჩხებრად ჭახვედი.

რაპმიმ უამბო ცველაფერი; უამბო, თუ როგორ მოიყვანეს მათ ვიქტორია ქაღაქამდე და დაგდეს თოვლში... როგორ გულ-

ცავად ილებდნენ მას სოფლებში, სადაც ლამის გასათევად
უნდოდა დარჩენა... მოყვა იმასაც, თუ რა უქნეს მაზრისა და
უანდარმერის უფროსებმა.

— ახლავე წავიდეთ, — თქვა რაპმიმ. — ამ დასაღუპავ
ადგილას დარჩენა არ შეიძლება.

X

გაიარა ორმა დღემ. რაპმი ბაზარში იყო წასული შუადღი-
სას, რომ სამგზავროდ ეყიდა რამე. მას უანდარმი მიუახ-
ლოდა:

— მაზრის უფროსს ქალბატონ ვიქტორიას ნახვა უნდა,
რაღაცეცი აქვს საკითხავი, — უთხრა უანდარმმა.

ვიქტორიას ფანჯრისათვის მიეყრდნო თავი და შორეულ
მთებს გასცემეროდა; მან მექანიკური მოძრაობით მოიკრიბა
ძალ-ლონე. ის მიხეული იყო კომისარების, უანდარმერის
უფროსებისა და კაიმაჯამების გამოძახებას. ამ შემთხვევის
გარდა რამდენი დამცირება გადაუტანია, რამდენჯერ მჯდა-
რა მიწის იატაკიან საკანში...

XI

მაზრის უფროსი მარტო იყო ოთახში.

— რაც მოხდა, დავივიწყოთ, — მიმართა მაზრის უფროს-
მა, — ალაპმა იცოდეს, რომ ყველა დაისჯება.

კაცი, რომელმაც თავდაპირველად მდევარიც კი არ გაგ-
ზავნა, ახლა ინტერესს იჩენდა და დაწერილებით ეკითხებო-
და ყველაფერს. ამის მიზეზი მხოლოდ ვალის მოხდა იყო.

მას მზრუნველობა უნდა გამოეჩინა, რომ არ ეთქვათ,
დამნაშავეებს ხელი დააფარა და ბოროტმოქმედება მიჩქმა-
ლაო. მით უმეტეს, რომ ქალი აქ იყო და ამ შემთხვევის ყვე-
ლაზე უფრო ხმაურიანმა მომენტმა უკვე ჩაიარა.

რაც უფრო გრძელდებოდა მათი საუბარი, მაზრის უფრო-
სი გრძნობდა, რომ რაღაცა ემართებოდა. ის თვალს ვეღარ
აშორებდა ვიქტორიას ფერმერთალ სახეს და მუქ ლურჯ

თვალებს. „მშვენიერი რამ ყოფილა“, — ამბობდა ის თავზე-
თვის.

უინს, დაუოკებელ ეინს გრძნობდა ქალისადმი.

კაიმაკამი სავარძლიდან წამოდგა და სკამზე ჩამოჯდა ქა-
ლის გვერდით. ულონოდ დაკიდებულ მკლავებში უნდოდა
წაევლო ხელი ვიქტორიასათვის.

ნეტავ რატომ არ იხევდა უკან? ალბათ იმიტომ, რომ ის
ბატონ-პატრონი იყო ამ მაშირისა. ვის შეეძლო ანგარიში მოე-
თხოვა მისთვის? განსაკუთრებით ამგვარი აქტრისას გულის-
თვის!..

სახეზე ალმური მოედო. ძარღვებში სისხლი კი არა, ვულ-
კანური ლავა უჩქეფდა თითქოს. აღარაფერი ემორჩილებო-
და, კანკალებდა, ტუჩებს იკვნეტდა კბილებით. აღარ იცოდა
რა ეტვია.

— შენ თუ ასეთი ლამაზი იყავი, არ ვიცოდი, თორემ მე
თვითონ წამოვიდოდი მდევრად. — ბუტბუტებდა კაიმაკამი.
მან მხარზე დაადო ვიქტორიას ხელები, რომ მათი თრთოლა
შეეჩერებინა... .

ბოლოს მისმა მოთმინებამ საზღვარი გადალახა. ის მაგრად
მოეხვია ვიქტორიას მკლავებს.

— მოდი, მოდი, — ამბობდა ის, — გავთავდი კაცი!..

კაიმაკამი ახალგაზრდული ვნებით ჩაეხვია ქალს და,
ათრთოლებული, ხან ფერმქრთალი, ხან კი აჭარხლებული
ტუჩებით დაუკოცნა კისერი.

თავისუფლად დარჩენილი ცალი ხელით ვიქტორია შის მო-
შორებას ცდილობდა და ყეიროდა: — რასა შვრებით, ხომ არ
გაგიჟებულხართ, რასა შვრებით?

მაზრის უფროსმა ხელში აიყვანა ქალი და ოთახის მეორე
ბოლოში პაირებდა წასკლას ტახტისაკენ. ქალმა ხელები
გაითავისუფლა. და ამ დროს მოხდა ის, რასაც ვერ არმოიდგენდა კაიმაკამი:

ქალმა თეთრი, სუსტი ხელი მაღლა წაიღო... და ზედ კაიმა-
კამის ცხვირ-პირზე დაუშვა.

კაიმაკამმა ხელი მოისვა მრგვალ ლოყაზე დამჩნეულ
წვრილი თითების ნაკვალევზე და მაგიდისკენ გახტა.

მაზრის უფროსი გაშრა, გაბრაზდა, გამხეცდა და გაცოფდა
ისე, როგორც ცოფდება მხედართმთავარი, რომელიც დარწ-
მუნებულია გამარჯვებაში და მოულოდნელად კი თავს დაესხ-
მიან; გაცოფდა ისე, როგორც მშიერი ძალლი, რომელსაც პი-
რიდან გემრიელი ხორცის ნაჭერი გამოსტაცეს.

ზომ არიან ისეთი დაბიანები, რომლებმაც არ იციან რა
არის ლირსება, კეთილშობილება, და თუკი მათს თავმომწო-
ნეობას და თვითგმაყოფილებას შეეხება ვინმე, მაშინ თავისივე
სისუსტე ძლევთ და ისე ბრაზდებიან, რომ თავსა კარგავენ.

ის ძალიან ცდილობდა მშეიღი ყოფილიყო, ზომიერება
შეენარჩუნებინა, მაგრამ თვალები ერთი წერტილისათვის
მიეპყრო და მაინც იმას ფიქრობდა, რაც შეიძლება მაგრად
ეძია შური ამ სილის გამო.

კაიმაგამმა გაბრაზებით სტაცა ხელი საწერ-კალამს და
აკანკალებული ხელით რამდენიმე სტრიქონი დაწერა.

მან მსახურს უბრძანა საჩქაროდ დაეძახნა ყარაულის
უფროსისათვის. ყარაულის უფროსის მოსვლისთანავე კაი-
მაგამმა ქალალდი გაუშვირა:

— ეს ქალი წაიყვანეთ, — უთხრა მან, — პროსტიტუციას
მისდევს აქ, მექოთნის ვაჟთან ერთად მთაში გაქცეულა. ჯერ
ექიმს აჩვენეთ და შემდეგ საროსკიპოში წაიყვანეთ.

ვიქტორია გააგიუა ზედიზედ გადამხდარმა ამდენმა უბედუ-
რებამ.

— ფრთხილად იყავით, — მიაძახა კაიმაგამმა ყარაულის
უფროსს — პასუხს ავებთ, იცოდეთ!

ცოტახნის შემდეგ უანდარმერიის უფროსი შემოვიდა
ოთახში. კაიმაგამმა მას ყველაფერი უამბო.

— იგემოს როგორ უნდა სილის გარტყმა მაზრის უფრო-
სისათვის... — გაბრაზებით ჩაილაპარაკა მან, კბილები გააქრა-
ჭნა და წვრილი ხმით დაუმატა: — ჩვენს ხელში არ არის?!.
მე მას ვასწავლი ჰქონას...

XII

ამ უკანასკნელმა შემთხვევამ თავზარი დასცა რაჭმის, წო-
ნასწორობა დაუკარგა. იგი შეშლილიყოთ დადიოდა ქუჩაში.

მიდიოდა ყოველ გამელელთან და უცვებოდა თავის გასაჭიროს,
შეცოდებასა და დახმარებას სთხოვდა.

რამდენი ღამე გაატარა მან კაიმაკამის ქარებთან ტირილსა
და ძალლივით წემუტუნში... რამდენ ღამეს ელოდა უანდარ-
შერის უფროსს და კალთებს უკოცნიდა... რამდენჯერ ეცა-
და საროსკიპოში შესვლას, რამდენი ლანძღვა და პანღური
ერგო მორიგე უანდარმისაგან.

თეატრალურმა დასმა უკვე რდევევა დაიწყო. მხოლოდ
რამდენიმე კაცს არ უნდოდა თავიანთი ძველი პატრონი ამ
მდგომარეობაში მიეტოვებინა; ისინი ცლილობდნენ დაერწ-
მუნებინათ რაპმი, რომ აქედან წასულიყო.

საღამო იყო, ბინდისას სახლში მიმავალი კაიმაკამი რაპმის
შეხვდა:

— ისევ შენ?

— ვიქტორია დამიბრუნე. ვიქტორია დამიბრუნე და აქ
ერთ საათსაც არ მოვიცდი, — უთხრა რაპმიმ და უცბათ საყე-
ლოში წაატანა კაიმაკამს ხელი.

— თუ არ მომცემ... მაშინ... იცი, რა... მაშინ მოგვქლავ...
აი ამ ხელებით... მოგახრჩობ... სიამოვნებით... პირმღიმარე
მოგვქლავ... რომ იცოდე, რა სასიამოვნო იქნება შენი მოკვლა...
ხვალ მე სამმართველოში მოვალ შენთან... თუ ვიქტორიას
იქ ვნახავ, არას გერჩი, არა და...

რაპმიმ ხელები გაშალა, რაღაც საშინელი ჟესტი გააკეთა...
და სწრაფი ნაბიჯით გაუჩინარდა ქუჩაში.

კაიმაკამი გაქვავდა. ამ თვალების პატრონი შეასრულებდა
თავის სიტყვას. უეპველად გიყი იყო, დიახ, სულელი.

გარდა ამისა, იღნიშნულმა შემთხვევამ მითქმა-მოთქმა გა-
მოიწვია ხალხში...

რაღაც უნდა ელონა, რომ ერთბაშად ბოლო მოელო ყოვე-
ლივე ამისათვის...

კაიმაკამმა გაიცინა. მისმა გოგრა თავმა, რომელშიც ფაბ-
რიკასავით მუშავდებოდა გაიძვერული აზრები, ეს საშუალე-
ბაც გამონახა:

მეორე დღეს, მოხეტიალე აქტიორის რაპმი ბეის დასი,
როგორც გამომწვევი რამდენიმე უბედური შემთხვევისა და

მიზეზი მაზრაში ატენილი უწესრიგობისა, ფურგონზე დასკვეს
და ორი უანდარმის თანხლებით გააძევეს მაზრის ცაზღვრე-
ბილან...

XIII

ფურგუნი ყრუ და შემაწუხებელი რახრახით მიიწევდა
ტალახიან გზაზე. მოღრუბლელი და უსიამოვნო ამინდი იყო.
ველი, რომელზეც ალაგ-ალაგ წყლის გუბეები დამდგარიყო,
მაგიდაზე გადაფარებულ ჭუჭყიან მუშამბას მოაგონებდა
ქაცს. ღრუბლებით მოფენილი ცის თაღი დაბალი ჭრივით
ადგა სველ დედამიწას და უსიამოვნო სურათს ქმნიდა.

თოვლის თეთრ საფარქვეშ მოქცეული წითელმიწა ნიაღა-
გიანი მთები ანთებამოდებულ სისხლიან მუწუკებად ეჩვენე-
ბოდა რაპმის.

შუადღისას იუზუმჯუს²⁸ ჩუხჩუხიც მოისმა.

— მდინარე ადიდებულა, — თქვა მეფურგუნებ, — ხილის
ჯებირები ალბათ ნიაღვარმა წაიღო, წყალი თუ დიდია, ვერ
გადავალო.

ახლოს მივიღნენ: წყალს საქმაოდ დაეკლო. ფურგუნი
ხიდზე შევიდა. მის ბორბლების ქვეშ ირყეოდნენ ხიდის ფიც-
რები. ფურგუნი რყევით განაგრძობდა გზას. ხიდის ქვეშ ხმაუ-
რით მიექანებოდა მდინარე. მისი მღვრიე და გამძვინვარებუ-
ლი წყალი ლოდებს ეხეთქებოდა, ქაფდებოდა, ქაფი გრძლად
იწელებოდა და მალე იკარგებოდა კიდეც. უკვე შუა ხიდზე
იყვნენ... უცბათ ყალყზე შედგნენ ცხენები. თავაწეულები
ხილის ნაპირისკენ მიიწევდნენ. ფურგონში აურზაური ატყდა.

როგორ მოხდა არავინ იცის, ფურგონმა თან გაიყოლია
საუბარში გართული ორი უანდარმი და ხილიდან გადავარდა.
მღვრიე წყალმა შთანთქა ისინი.

XIV

ერთ დღეს კაიმაკამი თავის ოთახში იჯდა და საროსკიპოს
ექიმისაგან მიღებულ წერილს კითხულობდა: ვიქტორია
ტუბერკულოზით არის დაავადებული და საავადმყოფოში
ვაგზავნითო, — იწერებოდა ექიმი.



ამ დროს მასთან ვიღაც კოჭლი კაცი შევიდა. ეს იქნა ერთა ეანდარმთაგანი, დასახიჩრებული, ერთადერთი ადამიანი, რომელიც იმ უბედურ შემთხვევას გადაურჩა. საავადმყოფოდან ახალი გამოსული იყო. დივნის ერთ კუთხეს მიეყრდნო დასუსტებული.

— ეფენდი, დარდად ჩამყვება, — თქვა მან და მთელი ამბავი მოუყვა.

მან თქვა, რომ ის უბედური შემთხვევა იმგვარად როდი მოხდა, როგორც ეს მოთხრობილი იყო: ხიდზე რომ მიღიოდნენ, ფურგონში მჯდომთაგან ერთი თმაწითელი კაცი გადმოხტა, ხელი სტაცა აღვირს, მაგრად ჩაებლაუჭა და მიუხედავად კოფოზე მჯდომისა და ცხენების წინააღმდეგობისა, მდინარისკენ გადაითრია ყველა.

— შენ ეგ ნამდვილად შიშისაგან მოგეჩვენა, — უპასუხა კაიძაკამმა და თან უთხრა, ასეთი ლაყბობისათვის თავი დაენებებინა, თორემ ჭორების დაყრისათვის იქნებ პასუხიც მოეთხოვათ. ერთი სიტყვით, უმჯობესია ენა გააჩეროო, — უთხრა კაიძაკამმა.

1928

ორი ცოლი

ეს ორი დღე იყო, რაც ქერიმ აღა სულ ველარ დგებოდა ლოგინიდან. აგერ ორი კვირაა, სუსტადა გრძნობდა თავს, ფეხზე ძლივს იდგა, მაგრამ შინ მაინც ვერა დგებოდა. მოუსვენარი კაცი იყო. ხან ყავახანაში იჯდა ფეხმორთხმული, კვნესოდა და აქეთ-იქით ირწეოდა; ხან კიდევ გაჭირვებით მოაჯავებოდა ვირს და ვენახისაკენ გასწევდა. ვენახში ქერიმ აღა დამპალ მარცვლებს აცლიდა ჯერ კიდევ უმწიფარი ყურძნის მტევნებს, ან კიდევ ხმელ ფოთლებს აშორებდა ალუბლის ხეებს. დაღლილ-დაქანცული და ავაღმყოფობისაგან კიდევ უფრო დაუძლურებული ქერიმ აღა საღამოს ბრუნდებოდა შინ, გზაში შეახურებდა ხოლმე; თვალში ჩინი ეკარგებოდა; ვაბრუებული თავდავიწყებაში იყო წასული, თავს ძლივს იყავებდა და, რომ არ გადმოვარდნილიყო ვირიდან, კისერში ებლაუჭებოდა ცხოველს.

ახლა კუჭის აშლილობა უწყალებდა გულს. ქერიმ აღამ ერთხანს ისრიმი ყურძნის წვენი სვა და იმედი ჰქონდა, რომ ეს უებარი წამალი რამეს უშველიდა. როცა ამან არ გაჭრა, ყავის სმა დაიწყო ყურძნის წვენთან ერთად, მიუხედავად იმისა, რომ ყავა ძვირი იყო.

ყურძნის წვენმა და ყავიმ ვერ უშველა ქერიმ აღას; ვერა-ფერი უშველეს სხვა წამლებმაც, რომლის ძალაშიც იჯილრმად იყო დარწმუნებული.

— მტკივა, გადატეხილივით მტკივა, ნაწლავებს მიხეთ-ქავს, — ოხრავდა ქერიმ აღა და ჭამდა ალუბალს ან მწვანე ვაშლს, მაგარსა და უმწიფარს. მაგრამ სენი კიდევ უფრო უძლიერდებოდა.

ბოლოს, ორიოდე დღის შემდეგ, როცა მოხალული ცერც

ვი შექამა, ქერიმ აღას მუცელი გაებერა ისე, რომ ხელს
ვერ მიაკარებდი. ის იწვა გულაღმა შუა ოთახში დაფენილ
თხელ ლეიბზე. ფანჯრის დარაბები მჭიდროდ იყო ჩაკეტილი,
სინათლე მხოლოდ კარებიდან აღწევდა. ავადმყოფს წარამა-
რა მისდიოდა გული და ისევ იქრეფდა გონებას. ძალიან გახ-
და. ხმელი საწოლისაგან ძვლებიც კი სტკიოდა. ქერიმ აღა
ნაღვლიანად შესცეროდა ოთახის კუთხეში გორად დაწყო-
ბილ ქეჩის ლეიბებს. „ამ ლეიბზე წოლა სჯობია“, — ფიქ-
რობდა ის, მაგრამ ცოლების თხოვნაზე ქერიმ აღა მუდამ
ერთსა და იმავეს პასუხობდა — გავაოხრებო, და ნებას არ
აძლევდა რბილი ლეიბი დაეგოთ მისთვის.

— ქერიმ აღა, მოდი ორ ლეიბს დაგიგებ, ნუ გენანება,
საფლავში ხომ არ უნდა ჩაიტანო, — ეუბნებოდა უფროსი
ცოლი ჰაჯერი, რომელსაც ორმოცდახუთი წელი გაეტარებია
მასთან.

ქმრის უარზე ჰაჯერს გული მოსდიოდა, მაგრამ როცა
დაუფიქრდებოდა, რომ ახლანდელი ფასების მიხედვით ასეთი
ლოგინი 30-40 ლირა ლირდა, წყნარდებოდა.

დღეს ჰაჯერი ვენახში წავიდა სამუშაოდ. უმცროსი ცოლი
ესმა სარეცხს რეცხდა. ქერიმ აღა მარტო იყო დარჩენილი.
ფიქრები მოსვენებას არ აძლევდა. დროდადრო ოთახში გა-
მოჩნდებოდა ესმა და რაღაცას გაიტანდა ხოლმე. ის ფეხა-
რეფით დადიოდა, მაგრამ ჩუმადაც რომ არ ევლო, ქერიმ აღა
მაინც ვერ შეამჩნევდა, რა გაიტანა ცოლმა.

„ნუთუ მოვიდა ჩემი აღსასრული?“ — ფიქრობდა ქერიმ
აღა. როცა ადამიანი სიკვდილის მოახლოებას გრძნობს, იგი
ემზადება მის შესახვედრად, აწესრიგებს ყველა საქმეებს,
ამბობს სად უდევს ფული და შშვიდად ტოვებს ამ ქვეყანას...

უეცრად ქერიმ აღამ მწვავე ტკივილი იგრძნო კუჭში. წა-
მოდგომა სცადა, მაგრამ ძალ-ლონემ უღალატა, ხენეშით დაე-
ცა ზურგზე და გონება დაჰპერგა.

კიშკარში ძლიერი ბრახუნი გაისმა: ქერიმ აღამ გონი
მოიკრიფა. ქვემოდან ვიღაცის ხმა ისმოდა.

— ვინ არის? — იკითხა მან.

ქერიმ აღას ხმა ძლივს ისმოდა; პასუხი ესმამ გასცა:

— კაპვეჯის ²⁹ ქალიშვილია, ერთი გალათა ბლუზბლა
მოგვყიდეთო.

ქერიმ აღა ისევ წამოიწია ასადგომად და ყრუდ წარმო-
სთქვა:

— მიეცა ოც ყურუშიად!
ქვემოთ ისევ ლაპარაკი გაიბა. გაისმა ესმას ხმა:
— ამას მხოლოდ თხუთმეტი ყურუში წამოულია თან!
— არა, ოცი! — უპასუხა ქერიმ აღამ და ხვენეშით დაა-
ყოლა: — მაჩვენე, რომელი კალათაა!

ესმა ზევით ავიდა. ქერიმ აღამ კალათს ხელი მიადო და
წარმოსთქვა:

— აქამდე ჩაუყარე!
როცა გოგო გავიდა და კარი მიიხურა, ქერიმ აღამ თხუთ-
მეტი ყურუში ქისაში ჩადო და ისევ თავქვეშ ამოიდო.
აი დაბრუნდა ჰაჯერიც და ვირი ეზოში დააბა.
ორლობეში ბავშვების ღრიანცელი ისმოდა.
ჰაჯერმა ზემოთ აიტანა ვენახიდან მოტანილი კონად შეკ-
რული ვაზის ფურცელი და ქმარს უჩვენა.
ქერიმ აღამ თვალებით გაზომა შეკვრა და მერე ცოლს
უთხრა:

— წაიღე ხვალ ბაზარზე და ორ ქალალზე ნაკლებად არ
გაყიდო. ყველაფერი მეწვის... — მიუბრუნდა ქერიმ აღა ეს-
მას. — ერთი შარბათი მომიმზადე მუავე ბექმეზიდან...

ესმა ქვევით ჩავიდა. მალე მობრუნდა:
— დოქში აღარ არის მუავე ბექმეზი, მოიტა გასაღები,
მარნიდან ამოვიტან.

— როდის მოასწარით დალევა? წყლის მაგივრად სვიმთ,
თუ რა ამბავია? ტქბილი ბექმეზიდან მომიმზადე.

— ტქბილიც გათავდა. მოიტა გასაღები, რომ გეუბნები.
— გაგიხმეთ ხელები, არ მოგცემთ.

ქალებმა იქაურობა მიალაგეს და ქვევით ჩავიდნენ. სიბ-
ნელეში ორითდე ნამცხვარს და წინა კვირიდან მორჩენილ
მაწონს შეექცნენ. ესმას სამი წლის ბიჭმა ნეჯათმა კიდევ
მოითხოვა საჭმელი. ქერიმ აღას ნებართვის გარეშე მას ერთი
მუჭი ალუბალი მისცეს.

როცა კვლავ ავიდნენ ქერიმ აღასთან, მოხუცს გონება
დაპყაროდა და იკრუნჩხებოდა.

საქართველოს
სამართლებრივი კულტურული მუზეუმი

— კვდება? — იკითხა ესმამ.

— უსათუოდ მოქვდება... ის ხომ უკვე ბებერია! — უპა-
სუხა ჰაჯერმა და საბანი გაუსწორა ავადმყოფს.

— სამოცდაათისა იქნება?

— იქნება... ჯერ კიდევ ჩემს შერთვამდე ცხონებულმა
მისმა პირველმა ცოლმა ორი ვაჟი დატოვა; ერთი ჯარში
წაიყვანეს, მეორე კი ახლაც ციხეში ზის... ჩემი შვილი რომ
ცოცხალი ყოფილიყო, ახლა უკვე ორმოცი წლისა იქნე-
ბოდა.

ესმამ ვერაფერი გაიგო ხეირიანად და გაჩუმდა.

ნეჯათი თავის ლეიბზე იწვა.

ოთახში მთლად დაბნელდა, ესმამ ნავთის ლამპა აანთო.
ისინი ერთ ხანს ხმაამოულებლივ ისხდნენ, შემდეგ ჩააქრეს
სინათლე და მიწვნენ თავთავიანთ კუთხეში.

შეაღმისას ოთახში ხროტინი მოისმა. ჰაჯერს მაშინვე
გაეღვიძა და ესმასთან მიცოცდა.

— ადექ, შვილო, ადექ! ქერიმ იღა ალაპს სულს აბარებს!
მაგრამ ახალგაზრდა, ოცდასამი წლის ესმას მაგრად ეძინა.

— ადექ, შვილო, — დაუყვირა ჰაჯერმა. — ადექ და
კვარი აანთე. მგონი ძალიან ცუდად არის!..

ნეჯათს გაეღვიძა და ტირილი მორთო. ავადმყოფი ისევ
განაგრძობდა ხროტინს.

ბავშვის ტირილზე ესმასაც გაეღვიძა:

— რა ამბავია, — იკითხა მან, — ბავშვს მოუვიდა რამე?

— არა, შვილო... კაცს დაემართა რაღაცა!

ესმა მთქნარებით წამოდგა ადგილიდან და ლამპის საძებ-
რად წავიდა. მან ფეხი წამოსდო ავადმყოფის ლეიბს და შიშა-
საგან შეჰყვირა. ესმა ოთახში ჩამოწოლილმა სამარისებურმა
სიჩუმემ შეაშინა. ავადმყოფი აღარ ხროტინებდა...

— მოქვდა?

— აბა რა ვიცი, შვილო, აანთე სინათლე!

ესმამ აკანკალებული ხელით მიაგნო ისანთს, ლამპის სი-
ნათლემ ახალგაზრდა ქალის ნიკაპი და შემდეგ მძინარე თვა-

ლებიც გაანათა, ჰერზე მისი ვეება ჩრდილი შეირხა. ოთაწმი ყოველივეს, თვით ჰაჯერის დაუგარცხნელ ჭაღარა თშმაც კი ბრინჯაოს ფერი დაედო. ლოგინზე წამომჯდარი ესმა თვალებს იფშვნეტდა. ნეჯათს ჩასძინებოდა, მას აქეთ-იქით გადაეყარა ჭუჭყიანი ფეხები და ნახევრად ლია პირით მძიმედ სუნთქვადა.

ქერიმ აღა უძრავად იწვა. სახე ისეთი მკრთალი ჰქონდა, რომ ლამპის სინათლემაც კი ვერ გამოაცოცხლა. მხოლოდ გადაბრუნებული თვალების გუგები ანათებდნენ მკრთალად, როგორც სადათის ღილები.

ესმამ ყვირილი მორთო და კარგისაკენ გაიქცა, მაგრამ ლოგინიდან წამომხტარმა ჰაჯერმა კალთაში წატანა ხელი და გააჩერა.

— გაჩუმდი! რასა ყვირი. აი მოკვდა კიდეც. წამო, პირი დავუმუშოთ.

— არ შემიძლია, ჰაჯერ ძალო!..

— სანამ ცოცხალი იყო, შე ჩემდა კირად მოვლენილო, ძალიან ეხვეოდი?! ახლა კი რა, მიცვალებულთან ახლოს მისვლისა გეშინია?

შიშით შეპყრობილი ესმა გამწარებით ეხვეწებოდა ქალს:

— ჰაჯერ ძალო, მე ხომ ძალით გამათხოვა მამაჩემა.

ესმა გაჩუმდა, თითქოს პასუხს ელისო, და ისევ კარისაკენ გაიწია, რადგან ჰაჯერი უკვე მიცვალებულის გარშემო ფულუსებდა და მისთვის აღარ მოუხედავს:

— მე წავალ და მეზობლებს ვეტყვი!

— მეზობლების რა საქმეა?.. ახლა რომ წახვიდე და ხალხი ფეხზე დააყენო, შენ თუ გვინია, ქერიმ აღა გაცოცხლდება?

ჰაჯერი ჩაცუცქდა ქმრის გვერდით და თვალები დაუხუჭა. სასიკვდილო აგონიის დროს მოხუცს ფეხები მოეკეცა და აღარ სწორდებოდა. ქალი ორივე ხელით აწვებოდა მუხლებს, მაგრამ, როგორც კი აიღებდა ხელს, მუხლები ისევ ზევით იწევდნენ.

ესმაც იქვე ჩამჯდარიყო და ფართოდ დაღებული თვალებით ხან ჰაჯერს შესცემოდა, ხან კიდევ მიცვალებულს.

ესმა ოცდასამი წლისა იყო, მაგრამ მკვდარი აღამიანი ასე
ახლოს არასდროს ენახა.

ჰაჯერი რაღაცას ეძებდა ქერიმ აღას უბეში, მაგრამ ვერა-
ფერი ნახა, შემდეგ ცოტა გვერდზე გადატრიალა მიცვალე-
ბული და ახლა ზურგის მხარეს დაიწყო ჩხრეკა.

— აქ არის, — წაიბუტბუტა მან.

— რა იპოვნე? — ჰეითხა ესმამ, მაგრამ მოხუც ქალს პა-
სუხი არ გაუცია. მას ფართო ქამარი ეკავა ხელში და კბილე-
ბით ნასკვების გახსნას ცდილობდა, მაგრამ უკბილო იყო და
ვერაფერს გახდა.

— შენ გახსენი, — მიუბრუნდა ესმას და ქამარი გაუწო-
და: — მე ხომ კბილები არა მაქვს.

ესმამ ქამარი გახსნა. ლოგინზე ორი ერთად აცმული გასა-
ლები დავაძრდა. ჰაჯერმა აიღო გასალები და კარებისკენ გაე-
მართა, მაგრამ იქვე ესმას მიუბრუნდა:

— კარგი, შენც წამოდი, შვილო! გავალოთ ზანდუკი და
ვნახოთ, რა უდევს შიგ. თორებ ხვალ თუ მისი რძალი მოვიდა,
ჩვენ არაფერს გვარგუნებს.

ესმა გამოცოცხლდა.

— როგორ თუ არ გვარგუნებს? — მან ნეჯათისკენ გაიშ-
ვირა ხელი. — ვანა ეს ბავშვი მისი არ არის? მას ვერავინ ჩამო-
ართმევს უფლებას.

— შეს შესახებ ხომ არავინ არაფერი იცის... შენ ხომ
კანონით ჩაწერილი არა ხარ. ნეჯათს არავინ დაუმტკიცებს
მემკვიდრეობის უფლებას.

ესმას არა სჯეროდა:

— მაშ ეს ბავშვი ვიღასია? ყველამ იცის, რომ... ის ხომ
უკანონოდ არ არის შობილი?

შეწუხებული ესმა უკან გაჭყვა ჰაჯერს. ქალებმა ზანდუკი
გახსნეს. შიგ რამდენიმე ხალათი, შალის უილეტი, ვერცხლის
სათუთუნე, კაჟიანი თოფი და სამყენი დანა იდო. ბევრი ქექეს,
მაგრამ ფული არსად ჩანდა.

— ალბათ მიწაში დამარხა, — წარმოსთქვა ჰაჯერმა.

— მართლაც, ნამდეილად მიწაში დაფლა!

— კი, მაგრამ, სად?.. შენთვის არაფერი უთქვამს, შვილო?

— არა, არაფერი.

— სამწუხაროა. შენ ახალგაზრდა ქალი ხარ, დამტკიცნდა გამოგეტეხა როგორმე, სადა აქვს ფული დაფლული. ესმამ თავი დახარა.

— წავიდეთ ზევით და მისი ტანსაცმელი გავჩხრიყოთ, — სთქვა ჰაჯერმა.

ქერიძ აღას ტანსაცმელში ორი ცხვირსახოცი, ვერცხლის ჯაჭვიანი საათი და ჩვიდმეტიოდე ლირა აღმოაჩინეს. ჰაჯერი გამრაზებული იყო, რომ ვერაფრისათვის მიეგნო:

— ორმოცი წელიწადი ვიტანდი გაჭირებას... კიდევ რომ აიკიდა ახალი ტვირთი, ხმა არ ამომიღია. მე და შენ ისევე მოგვიწდება ჯაფა ყანასა და ვენაბში, როგორც მის სიცოცხლეში... მოღი, შვილო, ეს ფული მაინც გავიყოთ!

ჰაჯერმა რვა ლირა ესმას მისცა, ცხრა თავისთვის დაიტოვა, საათიც თვითონ ირგუნა.

ქალებმა ხელახლა დაიწყეს მიცვალებულის ჩხრეკა; ლეიბის ქვეშაც ბევრი ეძებეს, ჰერშიც, მაგრამ ვერაფერს მიაკვლიეს.

დაღლილ-დაქანცულმა და მტვრით მოთხუპნულმა ესმამ უარი თქვა განეგრძო ძებნა.

— ჰაჯერ ძალო, იქნებ არც კი ჰქონდა ფული?

— აა ეგ ტურების ლუკმა, როგორ შეიძლება არა ჰქონდა! რაც მე ცოლად გავყევი, მის შემდეგ წელი არ გამიმართავს, სულ ვშრომობ, თვითონაც მუშაობდა და აი შენც უკვე ექვსი წელია მუშაობ. სად წავიდა ყველაფერი ეს? ალებალი და ყურძენი რომ არ ვიანგარიშოთ, მარტო ხორბალში ყოველწლიურად რვაას ლირას იღებდა...

ბოლოს ჰაჯერიც მოქანცა ამდენმა ძებნამ. ხელი წამოავლო ყველაზე დიდ გასაღებს, რომელიც კი მიცვალებულის ტანსაცმელში აღმოჩნდა, და ესმას მიმართა:

— კარგი, გვეყო, ჩავიდეთ ქვემოთ, გავალოთ საქუპნაო, გავიკეთოთ საჭმელი და ლავაშებიც დავაცხოთ... ლასწყვევლოს ღმერთმა, — ორმოცი წელია მასთან ვცხოვრობ, მუდამ ვირივით ვმუშაობდი და ერთხელაც არ მიჰამია საძლომად... ერთხელ არ შევლაპარაკებივარ, — კარგი-მეთქი, ვფიქრობდი,

მოკვდება ერთ მშენიერ დღეს და მთელი ქონება მე დამზადება-მეთქი... ამან კი, ამ უღმერთომ, თან წაიღო ფული, ბუტბუტებდა თავისთვის ჰაჯერი.

— რას მიყურებ, — მიუბრუნდა შემდეგ ესმას, — ვიხარია, რომ ახალგაზრდა ხარ? მაგრამ აბა ვის უნდიხარ უკანონო შვილით? რატომ ამან პარა ფიქრობ?.. წამო, გამოვიტანოთ რაც არის და ერთი კარგად გავძლეთ.

ქალები ქვევით ჩავიდნენ და საკუჭნაო გააღეს; გამოიღეს ფქვილი, ერბო, ბექმეზი და კიდევ ბევრი სხვა რამ; შიგ არა-ფერი დაუტოვებიათ, თუკი რამ მოჰყვათ ხელში, სულ ამოიღეს. დაანთეს ცეცხლი. ორი დამშეული ქალი დილამდე აღიარ გამოსულა იქიდან; აცხობდნენ, ხარშავდნენ, ჭამდნენ. ცოტა ხნის დასკენების შემდეგ ისევ იხარშებოდა და ცხვებოდა რალაც. დროდადრო ისინი საუბრით იქცევდნენ თავს, მწუხარებით იხსენიებდნენ ქერიმ აღას, ისევ აკეთებდნენ საჭმელს და შეექცეოდნენ.

მალე გათენდა კიდეც, მაგრამ მათ ადგომის თავიც აღარა ჰქონდათ. ეზოს წინ საქონელმა ჩაიარა ბლავილით და ისინიც მიხვდნენ, გათენებულა, დროა ავდგეთ და სოფელს შევატყობინოთ მომხდარი ამბავით.

წამოდგნენ და ზედა სართულში ავიდნენ. ჰაჯერმა რაღაც ჩვრები მოიხვია თავზე; ესმამ მძინარე ბავშვი დაიკავა ხელში; გაცვივდნენ გარეთ. ტიროდნენ და მოთქვამდნენ ხმამაღლა, რომ ახლომახლო ყველას გაეგო. . .

— ოხ, ღმერთო, — ყვიროდა ჰაჯერი, — დაგვტოვა... დაგვტოვა... უდროოდ დაგვტოვა...

ესმას ხმა მთელს სოფელსა წვდებოდა:

— ვაი, ჩემო ნეჯათ, ჩემო სამი წლის ობოლო ბიჭი!.. — მოთქვამდა ესმა და არწევდა ხელში აყვანილ ბავშვს, რომელსაც ის იყო გაღვიძებოდა. და რაც ძალი და ლონე ჰქონდა ღრიალებდა.

შისქვილი

გინახავს თუ არა შენ, მეგობარო, ოდესმე, როგორია წისქვილი შიგნით?

აუცილებლად უნდა ნახო... გაფქვილული კედლები, ჰერთან გაჭრილი პატარა ფანჯრები და სქელ ბოძებზე დაყრდნობილი შავი ჰერი... შემდეგ დიდასალი მოწყობილობანი, ვეება ქვები, ღარები, მოქანავე გამტვერილი ღვედები... კუთხეში ერთმანეთზე დახვავებული ხორბლით, სიმინდით, ქერითა და სხვა მარცვლეულით სავსე ტომრები. მის გასწვრივ თეთრ ტომრებში ჩაყრილი ფქვილი...

დოლაბის გარშემო ღრუბლად დაფრინავს თბილი წვრილ-წვრილი ფიფქები. იქვე მოწყობილი პატარა თავსახურავი რომ ახადოთ, ქვემოდან ცივი წყლის ნისლის მსგავსი შეეფები მოგხვდებათ სახეზე...

იმ სხვადასხვა ხმებზე რაღას იტყვი, მეგობარო, რომლებიც ყოველი კუთხიდან მოდის და ყურს კი ერთ დიდ ტალღასავით სწვდება? ზემოთ ხის ღარიდან ჩამონადენი წყალი აღვის ხებში მოშრიალე ზამთრის ქარივით ზუზუნებს; ღვედების ტაშისკვრას ატირებული დოლაბის ხან წყნარი, ხან კი ძლიერი ქვითინი ერთვის... ისმის წისქვილის განუწყვეტელი ჭრიალი...

მე თუმცა დიდი ხნის წინათ მაქვს ნახული ასეთი წისქვილი, მაგრამ ხელახლა მისი ნახვა აღარ მინდა.

იცი თუ არა შენ, მეგობარო, რა არის სიყვარული? გყვარებია ოდესმე ვინმე?..

მყვარებიაო, მეტყვი! ლამაზი თუ იყო შენი სატრფო? ადამი შენც უყვარდი... და ალბათ ბევრჯერ გადაწვევისას მას... ლამღამობით წვდებოლი და ჰელინიდი, არა? სასიაშოენოა ქალის კოცნა, განსაკუთრებით თუ ახალგაზრდაა ის.

მაგრამ თუ სატრფოს არ უყვარდი... მაშინ რაღას შვრებოდი? ტიროდი ღამღამობით?.. გზაზე ელოდებოდი, რომ მისთვის შენი გაფითრებული სახე გეჩვენებინა, გრძელ და თავის შესაცოდებელ წერილებს სწერდი, არა?..

მაგრამ, მიუხედავად ამისა, მეორედ შეყვარება შენთვის არც თუ ისე ძნელი გამხდარა. ადამიანს თავდაპირველად თითქოს თავისი თავისა რცხვენია, მაგრამ იცი რა? — ჩვენი უდიდესი ხელოვნება ის არის, რომ თავის გამართლება ვიცით ხოლმე. ის, რასაც სინდისის ქენჯნას უწოდებენ, ერთ კვირაზე მეტს არა გრძელდება. ამის შემდეგ უმდაბლესი საქციელის, მკვლელობის ჩადენისთვისაც კი გამოინახება საპატიო მიზეზები.

დიახ, შემდეგ მესამე, მერე მეოთხე შეიყვარე და წავიდა ასე.


ძალიან კარგი, მაგრამ ეს სიყვარულია განა, ჩემო მეგობარო?.. ქალის კოცნა, მისი სურვილი სიყვარულია?..

შეგიძლია შიშველ-ტიტეელმა მოირბინო ქალაქის ქუჩები?.. შეგიძლია ხელში დანა აიღო, მკლავებზე და ფეხებზე კუნთები დაიჭრა, შემდეგ მდინარეში გადახტე და გაცურო?

გაქვს იმდენი გამბედაობა, რომ მოქალაქე მოკლა? შეგიძლია მინარეთზე ახვიდე და იყვირო ისე ძლიერად, რომ მთელს ქვეყანას გააგონო?

სიყვარულს შეუძლია ასეთი რამ ჩაგადენინოს? მხოლოდ მაშინ ვიტყვი, რომ გიყვარს...

რა შეგიძლია შენ მისცე სატრფოს — გული, ხომ? ძალიან კარგი. მეორეს? ისევ გული? მესამესა და მეოთხესაც გული, ხომ? გეყოფა, მეგობარო, განა რამდენი გული გაქვს?.. იცი რა, ეს ყველაფერი ცარიელი სიტყვებია. შენი გული თავის ადგილზეა და შენ მას ხან ვის აძლევ და ხან ვის... მეტადი რომ გაიჭრა, ეგ ხორცის ნაჭერი ამოაღო და სატრფოს დაუგდო წინ, ამ მაშინ ითქმის, გული მივეციო...

თქვენ სიყვარული არ შეგიძლიათ, ჩემო მეგობარო,  თქვენ, ქალაქში მცხოვრებნო და სოფლის მკვიდრნო; თქვენ, ერთმანეთის მბრძანებელნო... ერთმანეთის მოშიშარნო და ერთმანეთის მტრებო... თქვენ არ შეგიძლიათ სიყვარული. სიყვარული მხოლოდ ჩვენ ვიცით: ჩვენ — დასავლეთის ქარივით თავისუფლად მოხეტიალებმა; ჩვენ — ბოშებმა, რომლებიც საკუთარი თავის გარდა არავისა ვცნობთ.

ყური მიგდე, მეგობარო, ერთი ბოშას სიყვარულის ამბავს გიამბობ.

*

ერთხელ, როცა თოვლმა დწობა დაიწყო, მთელი ბანაკი — ოცამდე ქალი, კაცი და ბავშვი, ოთხი ცხენი და ორი იმდენიც ვირი — ედრემთისკენ დაიძრა.

სულისშემაწუხებელი და ჩვენთვის სრულიად ზედმეტა ზამთრის შემდეგ თბილმა მზემ და ახლად ამოყრილმა ბალახშა ყველა ჩვენგანი უცნაურად გამოაცოცხლა. დარბოლნენ მოკლეპერანგიანი პატარა ბავშვები, უთავბოლოდ ყვარლდნენ და თხრილში კოტრიალობდნენ შარაგზის გასწვრივ.

ყმაწვილეაცები ქამანჩასა და კლარეტს უქრავდნენ, ქალიშვილები სიმღერებს დასძახოდნენ წერიალა ხმებით. ასე ლევდნენ ისინი გზას.

მე კი არემარეს ვათვალიერებდი და ვეძებდი სოფელს ან დასახლებულ ადგილს, სადაც ჩვენი დადგომა შეიძლებოდა.

შუადღისას თვალი მოვყარი ზეთისხილის შავ ხეებს შორის აღმართულ ღია ფერის ჩინარისა და ალვის ხეებს. იქ პატარა წისქვილი იდგა. წყალუხვი მდინარე პატარა ტირიფებს შორის მიედინებოდა, ვიწრო და ქვიან კალაპოტში შედიოდა, აქედან კი ხის ოთხ ღარში ნაწილდებოდა.

დიღრონი ჩინარები ფარავდა სიღრმეში ჩაფლული ძველი წისქვილის შავ კრამიტიან სახურავს და წინა მხარეს გაშლილ მოედას უჩრდილებდა.

წისქვილის ქვეშ შხუილით გამონადენი აქაფებული წერა
ლი, რომლის ხმაურიც ხეების შრიალს ფარავდა, ორ ჩარგად,
ჩამწერივებულ ახალგაზრდა ალეის ხეებს შორის მიეღინებო-
და და მალე იქვე გაშლილ ლერწმიანში იკარგებოდა.

აქ დაბანაება ცუდი არ იყო. გლეხები წამდაუწუმ მიმო-
დიოდნენ დატვირთული ვიჩებით, ეს კი იმის მანიშნებელი
იყო, რომ წისქვილი მუშაობდა. წისქვილიდან ერთ სათოფე-
ზე სოფელი მოჩანდა თეთრი მინარეთით.

კარვები ჯერ კიდევ გამართული არ გვქონდა, რომ ათმა-
ჯამ ^{თა} კლარნეტი აიღო ხელში, ცალ ფრთა გამოღებულ ვეე-
ბა კართან მივიდა და დაკვრა დაიწყო.

შიგ მყოფმა გლეხებმა გაიგონეს მუსიკის ხმა და კარის
ზღურბლთან შეგროვდნენ. მეწისქვილეც მათ შორის ჩამომჯ-
დარიყო, თეთრ წვერზე ხელს ისვამდა და გულგრილად იცქი-
რებოდა.

იცი, მეგობარო, თუმცა გლეხები ჩივიან, რომ ქათმებსა და
ხბორებსა ვპარავთ, მაგრამ მაინც ვუყვარვართ.

გლეხებმა ერთი ქილა ხორბალი შეაგროვეს და ათმაჯას
მისცეს. მეწისქვილემ კიდევ ორი ქოთანი მაწონი დაუმა-
ტა ზედ.

ამ გულთბილმა მიღებამ გამბედაობა შეგვმარტა და ჩვენც
ზეთისხილის ხეებს შორის გავმართეთ კარვები.

*

საქმე კარგად მიღიოდა. ქალები ახლომახლო სოფლებში
ადგილად ყიდდნენ ნედლი ტირითისაგან დაწნულ კალათებს,
ხოლო ჩვენს მუსიკოსებს ნახევარი დღის სავალზე მოშორე-
ბულ სოფლებშიც კი ეძახდნენ ქორწილში.


ათმაჯა, რასაკვირველია, პირველი იყო...

შენ ჯერ აღბათ არც კი შეხვედრიხიარ ათმაჯას მსგავსს.

ერთობ დიდებული ახალგაზრდა იყო: შავვერემანი პირის-
კანი, სახეზე ჩამობნეული ნახშირივით შავი თმები და შავი
თვალები...

შემდეგ ცხვირი... გრძელი, წვეტიანი, ოდნავ ქვევით მოხ-
რილი ცხვირი...

ამის გამო შევარქვით ჩვენ მას ათმავჯა.

მხარებეჭვანიერს მუდამ ამაყად ეჭირა თავი არაბული ცხე-
ნივით და არც სისწრაფეში ჩამოუვარდებოდა მას. 

უველა ბანაქში ლაპარაკი იყო მის ვაუკაცობაზე, სილამა-
ზეზე და დაკვრაზე. ის, ჩემო მეგობარო, უველა სხვა ბოშასა-
ვით არ უკრავდა. მან ნოტები იცოდა, ქალაქის სკოლაში
ესწავლა; მგრძნობიარეც იყო... ის რომ უკრავდა, ასე გვგო-
ნებოდა, ფილტვებიდან კი არა, გულიდან ამოდის სუნთქვაო.

ღამძამობით მარტო მოიკალათებდა ხოლმე ნის ძირას.
ჩვენ კი კარვების წინ გამოვიდოდით, თავდალმა დავწვებო-
დით, თავს მიწაზე დავდებდით და უსმენდით...

სატრიფო მას არა ჰყავდა. არც ჩვენ მიერ გავლილი თურქ-
მენთა სოფლების ლოყაწითელ ლამაზმანებსა და არც წვრილ-
ტეხა ბოშა ქალიშვილებს ერთი წუთითაც არ მიუპყრიათ მისი
ყურადღება.

თუმცა დაკვრის დროს მის დიდრონ თვალებში უველას
გვინახავს დასავორებლად მომზადებული ცრემლის წვეთები,
რომლებიც უმალ შრებოდა მის შავგვრემან ლოყებზე და
ველარ ასწრებდა მისი თვალების ცეცხლის ჩაქრობას. მას არ
უყვარდა ბევრი ლაპარაკი, შაგრამ როცა ლაპარაკობდა, მა-
შინაც არ გვეტყოდა თავის გულისნადებს. რას გრძნობდა, რას
ფიქრობდა? რა აკავშირებდა მას ამ ქვეყანასთან? არც ერთმა
ჩვენგანმა არ იცოდა ეს. იქნებ ვინმე უყვარდა და ამიტომ
უკრავდა ასე მწველად, ასეთი გრძნობით? ან იქნებ სულაც
არავინ უყვარდა და ამიტომ?

დროდადრო დიდხნობით გადაიქარგებოდა ხოლმე. ამბობ-
დნენ, სხვა ბანაქებში დადის, ქალაქში უკრავს მდიდარი ბე-
გების ლხინშიო.

ქალაქელი ბატონები დამოყერებას სთავაზობდნენ, მაგ-
რამ მას ჩვენთან ერთად ხეტიალი, ქორწილებში ჩვენთან
ლხინი ერჩია.

•

ჩვენ თითქმის ყოველ საღამოს ვიყრიდით თავს წისქვი-
ლის წინ. ვერთობოდით. მეწისქვილე კმაყოფილი იყო, რად-

გან არაფერსა ვთხოვდით. ის და მისი ქალიშვილი ჭილოფს
გაშლილნენ დიდი ჩინარის ქვეშ, ფეხმორთხმით სხდებოდნენ
და ყურს გვიგდებდნენ.

მეტისქვილის ქალიშვილი მთელი სოფლის თვალი იყო.

მრგვალი სახე პქონდა, სქელი ტუჩები და წელამდე ნაწ-
ნავები.

მაგრამ ყოველთვის ფერმკრთალი იყო და გამოხედვაც
მუდამ გაშტერებული პქონდა, თითქოს მის გარშემო მყოფ
საგნებს საერთო არაფერი პქონდათ მასთან. ტუჩის კუთხეებში
მოფენილი ღიმილიც ნაძალადევი გამოუდიოდა.

ეს საწყალი გოგონა ხეიბარი იყო, — პატარაობისას
მარჯვენა ხელი წისქვილის ბორბალში მოჰყოლოდა.

ხელის ნაცვლად ახლა წელზე მიმაგრებული ცარაელი
სახელო ქანაობდა.

ამიტომაც იყო, რომ ერიდებოდა ადამიანებს.

წარმოგიდგენია, რას ნიშნავს ლამაზი ქალისთვის ცალ-
ხელობა? ის ვერ ერეოდა გოგონებში, რომლებიც ტიტველნი
ბანაობდნენ მდინარეში; ყოველთვის იძულებული იყო დაე-
ფარა თავისი ნაკლი...

იგი არც საღამოობით ვინმეს სახლში თავმოყრილ ქალი-
შვილებს უერთდებოდა, რადგან ვერც საყვირზე დაუკრავ-
და და ვერც კოვზებს დაიჭერდა თითებს შორის საჩხაუნებ-
ლად.

გასაგებია, რომ მთელმა მისმა ბავშვობამ გაუთავებელ
მწუხარებაში გაიარა; ქედელზე მიყრდნობილი, სურვილით
აღსავსე თვალებით შესცემოდა თავის ტოლ ბიჭებს, რომ-
ლებიც თრითინებივით დახტოდნენ ხეებზე, ემასხრებო-
დნენ ერთმანეთს; ან კიდევ გოგონებს. რომლებიც წისქვილის
წინ წუწაობდნენ თავიანთ ტოლ ბიჭებთან.

ახლა უკვე შეჩვეული იყო ყოველივე ამას. მან იცოდა,
რომ მისთვის მიუწვდომელია ბევრი რამ ადამიანური და ამი-
ტომ არც არაფერი სურდა.

იგი საათობით იჯდა ხოლმე წისქვილის კართან გამართულ
ქვის სკამზე და ნახევრად მოხუჭული თვალებით შესცემო-
და ქათმებს, რომლებიც მიწაში იქექებოდნენ, ან კიდევ ვეება

ჩინარის მთრთოლავ ფოთლებს. მისი გამოხედვა  საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ცენტრი

პგვრიდა ადამიანს.

ღამე მოჰყვებოდა ხოლმე მამამისს, მის გვერდით მოიყალათებდა და ჩვენ გვიცქერდა.

სიტყვა რომ აღარ გავაგრძელო, ჩემო მეგობარო, ჩვენს ამაყ და შეაცრ ათმაჯას მეწისქვილის ეს ქალიშვილი შეუყვარდა.

უცხო ფრინველი, რომელიც არ იმდაბლებდა თავს, რომ ფარშავანგებისა და ხოსტებისათვის შეეხედნა, ფრთამოტეხილი ცხრატყავას მსხვერპლი გახდა.

ვაი მე, რომ ამ საქმეში ძალიან გვიან გავერკვიე. მე რომ გავიგვე, ცეცხლი უკვე სახურავს მოსდებოდა... თორემ აღრევე ავირიდი ბანაკს და სხვა აღვილზე გადავიყევანდი...

ათმაჯა აღარავის ელაპარაკებოდა, ქორწილებზე არ დადიოდა, მარტო იჯდა ზეთისხილის ქვეშ და უკრავდა. ის აღელვებული იყო, გოგოს მიშტერებოდა და ოხრავდა...

ჩვენც ვგრძნობდით, რომ სინანულის მეტი აღარაფერი დაგვრჩენოდა.

ოხვრა და კენესა დასჩემდა, ოხვრა, რომელიც აღმოხდება ხოლმე ჩაძირულ გემთან შეჯახებულ ვეება ტალღას ან კოცონის გარშემო მყვირალ ცეცხლთაყვანისმცემლებს.

ათმაჯამ ფრთები დაპყარა, ჩემო ძმაო, და თანდათან კარგავდა ფერს. ის ხშირად დადიოდა მეწისქვილესთან სოფელში და ქვის სკამზე იჯდა იმ გოგოს გვერდით; ან კიდევ ახლომახლო კლდეებზე დაატარებდა მას. ამის შემყურე მივხედი, რომ აღარ შეიძლებოდა ასე გაგრძელებულიყო...

ერთ ღამეს მოვიხმე ათმაჯა, ხევის ბოლოს წავედით და ალვის ხეებს შორის ჩავსხედით.

ქვებზე სწრაფად პოწანწყარე წყლის ჩუბჩუბისა და ბაყაყების შორიდან მოსული ყიყინის გარდა არაფერი ისმოდა.

ის თავდახრილი იჯდა და არ მექიოხებოდა, რატომ მოვიხმე, რის თქმას ვაპირებდი

ხელი მხარზე დავადე, ათმაჯამ თვალები ასწია.

— შეყვარებული ხარ! — ვუთხარი მე.

— კი... — მიპასუხა.

— რა უნდა ქნა?..

ათმაჯამ ვარსკვლავებით მოჭედილ ცას ახედა, თითქოს პასუხს ეძებს ჩემს შეკითხვაზეო, დიდხანს უყურა და უცბათ მომიბრუნდა:

— შენ ჩვენი ბანაკის თავი ხარ, — მითხრა მან, — ჩემზე ბევრი გივლია, გამოცდილება მეტი გაქცს, ყველა ბოშაზე უფრო მეტი იცი. შენ უნდა გამოგიტყდე...

ათმაჯა ისევ მაღლა იყურებოდა, თითქოს ვარსკვლავებს ესაუბრებაო:

— მე ის მიყვარს. არც მიფიქრით, რას გაპირებ. შენ იცი, როგორი სიყვარული მეცოდინება მე, რომელსაც ყური არ მითხოვებია, როცა მდიდარი ქალები მეძლეოდნენ; შვიდი სოფლის მფლობელი მოსულა ჩემთან და უთხოვია: ჩემი ქალი შვილი შენი გულისათვის ლოგინადაა ჩავარდნილი, დავივიწ-ყებ, რომ ბოშა ხარ და საკუთარი შვილევით გულში ჩაგიკრავ, ოღონდ მოდი, მოდი და ჩემი ქალიშვილი გადაარჩინეო. მე პასუხი არ გამიცია და ჩემს გზას გავდგომივარ; ახლა კი ეს ცალხელა გოგო მიყვარს.

მასაც ვუყვარვარ. მოდი-მეტქი, ერთად გავიქცეთ; მან მწარედ გაიცინა: მე ხომ შენი ღირსი არა ვარ, გეციდები ვანაო, — მითხრა ტირილით. მე ავუხსენი, თუ როგორ მიყვარს, — შენ მკლავის ნაცვლად გულს მაძლევ-მეტქი, ვუთხარი, განა გული მკლავზე ნაკლები ღირს-მეტქი?

თვალები ცრემლით აევსო. არ შეიძლებაო, მითხრა. აბა იფიქრე, ყოველი შენი დანახვისა უნდა მრცხვენოდეს, სულ თავჩალუნული უნდა ვიყო, გინდა, რომ ასე დამამცირო? თავი დამანებე, მე მეცოდინება, რაცა ვარ და ჩემს მოხუც მამასთან დავრჩებით. შენც ამ მხარეში მეტს ნუღარ გამოჩნდები. შენ დამავიწყე ჩემი ნაკლი და მშვენიერი სიზმრები მაჩვენე. სიკვ-დილამდე არ დაგივიწყებ, ოღონდ ნუ შეეცდები დამარწმუნო იმაში, რაც არ შეიძლება მოხდეს. თუ ნამდვილად გიყვარვარ, ახლავე წალი აქედან!

ათმაჯამ ერთი ამოიოხრა და მიწას დააშტერა თვალები.

— ვფიქრობ, რომ შევერთდეთ, ეს ორივესთვებს მართლაცდა ტანჯვა იქნება. მუდამ ვიგრძნობთ, რომ ჩვენ შორის გაუგებარი და სულისმემხუთველი ატმოსფეროა. თუ ის გულს არ გამიხსნის, წმინდა გულით არ მომეალერსება და მის თვალებში მუდამ ამოვიკითხავ საყვედლს — ცოდვა არა ნარ განა, ჩემი გულისთვის რატომ დაიღუპე შენი ახალგაზრდობაო, — მაშინ რა ვქნა? ყოველი ჩემი სიტყვა გააღიზიანებს; თუ გავბრაზდი, ეწყინება; დაფიქრებული თუ ვიქენი, არც ის მოეწონება; თუ მივესიყვარულე, იფიქრებს, რომ მეცოდება; თუ გადავეხვიე, ტკივილს იგრძნობს მოჭრილ ხელში, და... წავა ასე...

ნუ მკითხავ, რას ვიზამ და საით წამიყვანს ეს ამბავი; მე უკვე ლონე აღარა მაქვს, არც ჰქუა მიჭრის, არც აზრი: მაქვს მხოლოდ სიყვარული, სიყვარული, რომელიც მიშისაკენ მეწევა, როგორც ტყვია მისგან დაკოდილს... შენს ათმაჯამს აღარ ძალუდს ფრთხების შერხევა!..

გაჩუმდა უკანასკნელი სიტყვები ისე მწარედ აღმოხდა, რომ კიდევ რამდის კითხვა კი არა, დაწყინარებაც ვერ გავბედე-რა შეიძლებოდა მეთქვა მისთვის ასეთ მდგომარეობაში; ისიც ისეთ დღეში იყო, რომ აღარაფერს გაიგონებდა.

ხელი გაეუყარე და კარავთან მივიყვანე.

საქმე თანდათან გაუარესდა. მე მაშინებდა ათმაჯამს შდგომარეობა. მაგრამ შველა აღარ შეიძლებოდა. გადავწყვიტე საქმე ნებაზე მიმეშვა და დავწექი. მთელი ღამე მესიზმრებოდა ათმაჯამა. ის ხელებგაშლილი იდგა დიდი ჩინარის ქვეშ და მოუთმენლად ელოდა. დიდი სიხარული ეხატა ტუჩის კუთხეებზე. მისკენ მორბოდა ოდნავ ლოყაშეფერილი მეშისქვილის გოგონა. მაგრამ სწორედ იმ დროს, როცა ისინი ერთმანეთს უნდა გადახვეოდნენ, მათ შორის გაჩნდებოდა რაღაც უცნაური მოჩვენება; დატრიალდებოდა, გაიზრდებოდა და ერთმანეთს აშორებდა მათ.

*

ძლიერი ქარით გადარეკილი ლრუბლის თეთრი ქულებივით მისდევდნენ დღეები ერთმანეთს. ვგრძნობდით, რომ ამას

აუცილებლად დიდი ქარიშხალი უნდა მოჰყოლოდა. ყველას, თითქო ყველას ეშინოდა რაღაც უბედურებისა. მოელი ბანა-
კი მძიმე უმოქმედობას მოეცა.

მოხუცი და გამოცდილი ბოშა ქალები შელოცვებს კით-
ხულობდნენ, ყველა კეთილ თუ ავ სულს უხმობდა საწყალი
ათმაჯას დასახმარებლად. ლოყებჩაცვენილი და თვალებგაშ-
ტერებული დადიოდა ათმაჯა. მის დანახვაზე ახალგაზრდები
თავსა ხრიდნენ, ქალიშვილებს კი ფერი ეკარგებოდათ და ტუ-
ჩებაკანკალებულნი თვალს აყოლებდნენ.

ვერაფერი გადაეწყვიტათ ვერც ქალს, ვერც კაცს, ახალ-
გაზრდას თუ მოხუცს. მოხეტიალე ქარს თითქოს თან წაეხვე-
ტა მოელი ჩვენი გონება და ყველა გაოგნებული დავეტოვე-
ბინეთ.

•

ერთ დღეს ათმაჯა მომიახლოვდა.

— ამ საღამოს წისქვილში მოვიყრით თავს, — მითხრა
მან, — მე მოველაპარაკე მოხუცს!

მსუბუქი წვიმა ცრიდა. სავსებით შესაძლებელი იყო, რომ
საღამოს დიდი თავსახმა ყოფილიყო. ეს ათმაჯასაც ვუთხარი.

— წისქვილში დავუკრავ, — მიპასუხა მან.

— წისქვილი ღამეც მუშაობს და აბა იმ ხმაურში...

ათმაჯამ უცნაურად გამიცინა:

— ნუ გეშინია, ქლარნეტს იმ ხმაურშიც მოგასმენინებ.
ჯერ არც ისე დამსუსტებია სუნთქვა.

საღამოსათვის წვიმამ მართლაც იმატა.

გაღმა გორაქზე მოფენილ მუხნარს ზედიშედ ურტყამდა
ელვა. მსხვილი წვეთები უცხო ხმაურით ათამაშებდა ზეთის-
ხილის შავ ფოთლებს.

•

ყველამ წისქვილში მოვიყარეთ თავი. ჭერზე ჩამოკიდე-
ბული მოქანავე ორი ნავთის ლამპა მერთალ შუქს აფრქვევდა
გარშემო. განუწყვეტლივ ტრიალებდა დოლაბი და დამტვე-

რილი ღვედები. ჩვენი ხმაური სახურავზე დაცემული წვეთე-
ბის ხანმოკლე რაკუნს ერთოვოდა. ამ საშინელ ჰანგებს პექა-
ქუხილი აბოლოვებდა.

მეწისქვილე და მისი ქალიშვილი კედელთან ისხდნენ
სკამზე. მოქანავე ლამპები უცნაურ ჩრდილებს ათამაშებდა
გოგოს სახეზე.

წერილმა ხმამ მოულოდნელად დაფარა მთელი ხმაური:
უკრავდა ბნელ კუთხეში მიმჯდარი ათმაჯა.

მე, მეგობარო, იმ ლამეს მოსმენილს სიკვდილის შემდეგაც
ვერ დავივიწყებ.

გარეთ თანდათან ძლიერდებოდა ავდარი, ქარი აგურის
კედლებს უტყალაშუნებდა თავის სველ მათრახს. მოდიდებუ-
ლი წყალი ხის ღარებიდან გადადიოდა და შხუილით ეცემო-
და მიწაზე.

შიგნით განუწყვეტელი ენერგიით ტრიალებდა ქვები.
ტყაპუნებდა გიჟურად მოსრიალე ლვედები. ჭრიალებდა ხის
ბორბლები. ყოველივე ამას ახშობდა მგზნებარე ხმა, რომე-
ლიც ხან თხოვნას გამოხატავდა, ხან კი ბდლვინავდა სიბრაზი-
საგან, შემდეგ გაჩუმდებოდა და მერე ისევ იქექებდა ძველე-
ბურად.

წისქვილის ბინდბუნდში ათმაჯას შავი და ბრიალა თვა-
ლები უძრავად შესცემეროდნენ ახალგაზრდა გოგოს, რომე-
ლიც დაბნეული მიმჯდარიყო კუთხეში და დიდრონ თვალებს
ახამხამებდა.

ათმაჯა ისეთ რაღაცებს უკრავდა, ძმაო, რომ ჩვენი სიტყ-
ვებით იმის გადმოცემა ძნელია....

ეს ჰანგები ხანდახან ალერსიანი იყო, როგორც დედის
თბილი მზერა, მაგრამ იქვე იქცეოდა უდაბნოს ქარად, რომე-
ლიც ცხელ ქვაშის ფანტავდა ირგვლივ, ხან კიდევ დანასავით
გვესობოდა გულში.

•

გაისმა უკანასკნელი და მკეთრი ჰანგი. მე დავინახე, რო-
გორ წამოდგა ათმაჯა ფეხზე. რამდენიმე ნაბიჯი გადმოდგა
და კლარნეტი სადღაც კუთხეში ისროლა.

ყველამ წამოიწია და შეშფოთებული თვალებით დაუწყეს ცქერა. მან უკან გადაიწია სახეზე ჩამოყრილი შავტ-თმები, ღრმად ჩაცენილი თვალებით იქაურობა შეათვალიერა და მეწისქვილის ქალიშვილს მიაშტერდა. დიდხანს უყურა, დიდ-ხანს...

ის წუთი ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება, მეგობარო; გარეთ ქარიშხალმა იმატა, კედლები ზანზარებდა, კრამიტს ქარი დააფრიალებდა, ხოლო წისქვილი, ეს უზარმაზარი ცხოველი, ტრიალებდა, ღრიალებდა და ათმაჯა, ლამპის მკრთალ შექშე ჩვეულებრივზე უფრო დიდი, იდგა, როგორც აჩრდილი. თვალები ახალგაზრდა გოგოსათვის მიეპყრო. აუტანელ სიმწარეს ძნელად საცნობი გაეხადა მისი სახე. აჩქარებული სისხლი საფეოქელს აწვებოდა. ათმაჯა კბილებით იკვნეტდა გაფითრებულ ტუჩებს. სამეტყველოდ მემართული მისი ბაგები მალე დუნდებოდა, თითქოს სატირლად ემზადებიანო.

ეს სურათი მხოლოდ ერთ წამს გაგრძელდა. მან თვალები დახუჭა და წაბარბაცდა, მაგრამ მაშინვე მოიკრიბა ძალა, კი-დევ ერთხელ მიმოიხედა, თითქოს შველს ელის ამ საშინელი ტკივილისგანო და თოფნაკრავივით ისკუპა იმ კუთხისაკენ, სადაც ცოფიანივით ტრიალებდა ბორბალი და ღვედები.

სულის მოთქმამდე ყველანი ერთ ადგილზე გავშეშდით, მერე კი გივებივით აყვირებულნი მივცივდით მას.

სამწუხაროდ, ჩემო მეგობარო, უკვე გვიან იყო. ათმაჯა ჯადვა ჩვენსკენ მოემართებოდა. ჩემი საქმე გავაკეთეო, მეტყველებდნენ მისი თვალები.

მას მარჯვენა ხელი აღარ ჰქონდა, მხრიდან ღარიუით გადმოსჩქეფდა სისხლი. რამდენიმე ნაბიჯიც გადმოდგა, შეირხა და ჩვენს ფეხებთან ჩაიკეცა.

*

ესეც შენ, ჩემო მეგობარო, შეყვარებული ბოშას ამბავი. გაზაფხულზე, როცა ყვაეილები იფურჩქნება, კარგია საღმე შორს წყლის პირას იჯდე შენს საყვარელ არსებასთან, რომელსაც ყვავილივით საამო სურნელი ასდის, ეხვეოდე და ჰკოცნიდე, ჰკოცნიდე, ვიდრე დაიღლებოდე...

ჩვენს შორის იყოს, და, არც ის არის ცუდი, როცა თვალ-
ცრემლიანს გინდა ამხანაგს უამბო, რომ მთვარის შუქზე დი-
ლამდე კართან უტრიალებ გულქვა სატრფოს, რომელიც შენს
დანახვაზე თავს იბრუნებს ხოლმე.

მაგრამ, ჩემო მეგობარო, ნამდვილი სიყვარული იმას
ჰქვია, როცა კაცისათვის აუტანელია ჰქონდეს ის, რაც მის
საყვარელ არსებას აკლია და მოიშორებს კიდეც...

1929

ცხელი წყალი

ბინდუნდში სოფლის ბოლოს ორი უანდარმი მიუახლოვდა. ისინი ცხენიდან ჩამოხდნენ, აღვირები მათ შესახვედრად გამოსულ ყავახანის მოსამსახურეს გადასცეს და ზლაზვნით გაუდგნენ გზას. სოფლის ორლობეებში არავინ იყო. შორიდან ძრონის საცოდავი ბლავილი ისმოდა. ტირიფის ტოტებში მსუბუქად შრიალებდა ქარი. სოფლის დასავლეთით გორაკებზე მოფენილი ტყე თავზე ჩამოწოლილი ღრუბლებივთ ქანაობდა.

უანდარმები ყავახანაში შევიდნენ და ჩუმად რამდენიმე სიტყვა უთხრეს მეპატრონეს; შემდეგ გამოვიდნენ და პირდაპირ სოფელს მიაშურეს. სახლები ბნელში იყო ჩაფლული...

ისინი სოფლის მეორე ბოლოს, ტყის პირას მდებარე პატარა სახლს მიუახლოვდნენ. ჩანდა, რომ ხმაურს ერიდებოდნენ. უანდარმები მიადგნენ ლობეს, რომელიც გარს ერტყა სახლს, ფეხის წვერებზე შედგნენ და განათებულ ფანჯარაში შეიხედეს. ოთახში ქალი იყო. იგი იატაქზე ჩაჩოქილიყო და სუფს ჭამდა. რამდენიმე ნაწნავად დაწნული თმა ზურგზე ჰქონდა გადაყრილი. ღროდადრო ფანჯრისკენ აპარებდა მზერას.

— ჰა ეგ ლორის ცოლი, ისე ზის, თითქოს არაფერი იცოდეს! — წაილაპარაკა ერთმა უანდარმა.

— ეს მეოთხედ მოვდივართ. ვერც ერთხელ ვერ დავიჭირეთ. თითქოს არც ახლა ჩანს ისმაილი, მაგრამ მაინც ვნახოთ! — წარმოსთქვა მეორემ.

ლობის კარს ხელი ჰქონდა შევიდნენ. ერთმა ბალის უკანა მხარე მოიარა; მეორემ კარებზე დააბრახუნა.

ოთახში სიჩუმე იყო. მხოლოდ ადგილიდან წამომდგარი ქალის კაბის ფართო კალთების შრიალის ხმა მოისმა.

— ვინ არის? — იკითხა შიგნიდან ახალგაზრდა სმაბ
— გააღე... ისმაილს ვეძებთ!

ახმაურდა დირე, ქალმა კარები გააღო.

— მობრძანდით, ეძებეთ, ისმაილი შინ არ არის. ამას წინათ რომ იყავით, მაშინაც გითხარით. ვაზაფხულს აქეთ ისმაილი არ მოდის. აი უკვე ოთხი თვეა.

— გაჩუმდი, — დაიყვირა უანდარმმა, — ორი დღის წინ აქ ყოფილა. ჩვენ ამბავი მოგვივიდა!

ქალმა ხმადაბლა გასცა პასუხი:

— ტყუილია, ეფენდი, ტყუილი! რაც ის ამბავი შეემთხვა, მერე ამ მხარეში არც კი გამოჩენილა. ვინ იცის, საით წავიდა! იქნებ დაიღუპა კიდევ მთებში!

უანდარმმა კარადა გააღო, ლოგინი იშალა, შემდეგ გარშემო მიმოიხედა. სახლი ამ ერთი ოთახისა და დერეფნი-საგან შედგებოდა. დერეფნიში ზეითუნის ზეთის დოქი, პურის გასაშლელი ფიცაზი და კიდევ რაღაც საგნები ელაგა. ოთახი ცოტა უფრო განიერი იყო. ცალ მხარეს ხალიჩა ეფინა, ზედ გაშლილი ყურანი იდო.

უანდარმმა გადაწყვიტა მშვიდობიანად შესდგომოდა საქმეს და ქალს მიუახლოვდა:

— ყური მიგდე, ემინე, — დაიწყო მან, — უარზე ნუ ხარ. მაგ ბიჭის გამო შენ კარგი არაფერი მოგელის. მთავრობა ამას არ შეგარჩენს. საკითხავი გვაქვს მასთან. შენ რას დაეძებ სხვის სიკვდილს? ოლონდ იტყვი, რომ მან სიმთვრალის გამო კი არ მოკლა, არამედ საკუთარი თავის დასაცავად. კარგი, მაგრამ მთაში რაღას გარბოდა? სასამართლო ხომ არსებობს ქვეყანაზე? ხომ არ შექამნენ, აქაოდა აღას ვაჟი მოკლათ! სიმართლით რაც ერგება, იმას მოიხდის და გამოვა. ხომ გეუბნები, ნუ მალავ, გვითხარი სად არის, სად გაიქცა ამ საღამოს. ახალგაზრდაა, ნუ გეცოდება... აბა, ემინე, ჩქარა გვითხარი, ისმაილი ხომ აქ იყო ამ ცოტა ხნის წინათ? ვინ შეატყობინა ჩვენი მოსვლა?

— ხომ გითხარით, რაღას ჩამაცივდით! ოთხი თვეა ისმაილი არ მინახავს!..

— ემინე, ეს ამბავი ცუდად გათავდება. არც ჩვენ მოვდი-

ვართ აქ ჩვენი სურვილით. ასისთავს, როგორც ვითხარით, ლაპარაკი არ უყვარს; თუ ახლაც ხელცარიელები დავშენებთ, ჩვენი საქმე ცუდად იქნება. ვინ იცის, რომელ მთაშე გაგვაგზავნის სადარაჯოდ.

თვალებდახრილი ქალი დუმდა.

უანდარმებმა ერთმანეთს გადახედეს. შემდეგ მიუახლოვ-დნენ ერთმანეთს და წაიჩირჩიულეს:

— ნეტავ მართლა შეატყობინეს? — თქვა ერთმა.

— ახლა გავიგებთ... — ეშმაქური ღიმილით უპასუხა მეორემ და ისე დაიქნია ხელი, თითქოს უნდოდა ეჩვენებინა, რომ ასეთ საქმეებში გამოცდილი იყო.

— გააღე ეგ კარი, — უყვირა მან ქალს და ხელი ოთახის ქუთხეში, პატარა ხის კარისკენ გაიშვირა.

ქალი ერთ ხანს შეჩერდა, შემდეგ იქითქენ წავიდა და ხის დირე გამოსწია. კარი თვითონ გაილო. კარს უკან პატარა ოთახი იყო რიტუალური განბანისათვის.

შიგნით არავინ ჩანდა. მეორე უანდარმმა გაკვირვებით გადახედა ამხანაგს:

— მაშ სად არის? — წაიბუტბუტა მან.

— ჩუ, — იყო პასუხი.

უანდარმმა შიგ პატარა ხის სკამს და გამურულ ჭურჭელს მოჰკრა თვალი, ახლოს მივიდა და ხელი ჩაჰყო.

— ეს ცხელი წყალი რაღაა? — წამოიძახა მან და სასწრაფოდ ამოილო დათუთქული თითები.

— არაფერი.

— როგორ თუ არაფერი, — წარმოსთქვა მან და კმაყოფილების ღიმილმა გადაუარა სახეზე.

— წყალი უნდა გადამესხა, — წაილულლერა გაწითლებულმა ქალმა.

— ქვეყანაშე ღმერთი აღარ არის, ვის აბრიყვებ? შენი ქმარი აქ არ არის და ამ შუალამისას წყალს ვისთვის ამზადებ?

— საუკეთესო ხერხია, — მიუბრუნდა ის ამხანაგს. — ვინმე გაცცეულის სახლის ჩხრექისას პირველად განსაბან ოთახში შევიზედავ.

მან უეცრად მელავში ხელი სტაცა ქალს და უყვირა:

— უარი არ გაგივა უკვე. თქვი, სად არის ისმაილი? უკა-
ლი საქმაოდ ცხელია, ესტ იგი ახლა გაიპარა, აქედან შორის არ
არის. თუ არ იტყვი, რაც მოგივა, შენს თავს დააბრტლე!

გაფითორებული ქალი ხელის განთავისუფლებას შეეცადა.
— არ ვიცი, — ხმის კანკალით წარმოსოდება მან.

უანდარმმა ხელი უშვა ქალს და ოთახში დაიწყო სიარუ-
ლი. მეორე კედელს მიყრდნობოდა და ქალის გულმკერდის
აჩქარებულ მოძრაობას უყურებდა.

უანდარმმი, რომელიც ოთახში დაბორიალობდა, უეცრად
შეჩერდა; ამხანავს ხელით მოუხმო და ქალისთვის გასაგონი
ხმით უთხრა:

— ისმაილი ნამდვილად შორს არ არის, იმისათვის თუ არ
მოვა, რომ ჩევნ ჩაგვიპარდეს, თავისი ცოლის პატიოსნების
გადასარჩენად მაინც მოვა. მე ახლა ემინეს ხელს ვტაცებ და
ხალიჩაზე დავაგდებ, — ჩუმად დაუმატა მან. — თუ დაიყვირა,
როგორ იქნება ისმაილმა მოითმინოს, აღგება და მოვა. შენ
კარებთან დაუდარაჯდი და მკვდარი ან ცოცხალი დაიჭირე...
თუ არ დაიყვირა... ეჭ, მაშინ რაღას იზამ, ერთხელ შენცა სინ-
ჯე...

ქალი გაყვითლებულიყო და კანკალებდა. ქვედა ტუჩის
სისხლის დენამდე იკვნეტდა. აქეთ-იქით მიმოიხედა, ოთხი
კედლისა და ორი უანდარმის გარდა არაფერი იყო.

თვალებგაბრწყინვებულმა უანდარმმა, რომელმაც წელან
ცხელი წყალი შეამჩნია, მაჯაში სტაცა ხელი ემინეს და ოთა-
ხის კუთხისკენ წაათრია. მეორემ თოფი აიღო ხელში და გა-
რეთ გავიდა.

მაგრამ ვერც ერთმა და ვერც მეორემ სიტყვა ვერ დააც-
დენინეს ქალს. მიუხედავად ყოველივესი, მას ერთხელაც არ
დაუყვირია, არ უთხოვია შველა.

უანდარმებს სახეზე სასიამოენო მოთენთილობა ეტყო-
ბოდათ, შინაგანად კი ოდნავ ღელავდნენ. მათ მალე აიკიდეს
მხარზე თოფები და როგორც კი წავიდნენ, ემინეც ჩუმად გა-
მოვიდა გარეთ, პარვით გაჰყვა ღობეს და ტყეში მიიმალა.

ისმაილმა დილამდე იცადა შორიახლოს, ხეებს ამოფარე-
ბულმა, და გათენებისას წამოვიდა. ოთახში ჯერ კიდევ ენთო

სინათლე. იგი ჩუმად მიუახლოვდა სახლს და ოლელვებული
შევიდა გამოლებულ კარებში.

სახლში არეულობა იყო. ლამპაში ნავთი გამოლეულიყო
და ალი ძლიერდა ბეუტივდა. შიგნით არავინ იყო.

ისმაილი კარების წინ დადგა და დაუსტეინა. სოფლის
მხრიდან თოთხმეტი წლის ბიჭი გამოჩნდა. იგი სირბილით
მივიდა ისმაილთან, თან განზე იცქირებოდა. ისმაილმა სასწ-
რალოდ გაგზავნა ბიჭი ქვემოთ, ყავახანისკენ... „თუ ემინე უან-
დარმებმა წაიყვანეს, მაშინ რა ვქნა?“ -- ციქრობდა ისმაილი.
მაგრამ ბიჭი მალე დაბრუნდა და უამბო, უანდარმებს არავინ
წაუყვანიათ, შუალამისას ცხენებზე შესხდნენ და ცენტრისკენ
გაეშურნენ.

მაშინ სოფლიდან მოსულ რამდენიმე კაცთან ერთად ის-
მაილმა ბევრი ეძება ემინე, ყოველ სახლში იკითხეს, ტყეც
დაიარეს. ბევრი იძახეს — „გოგო, ემინე... სადა ხარ?“ — მაგ-
რამ არც იმ დღეს და არც მას შემდეგ ემინეს შესახებ არსაი-
დან არაფერი გაუგიათ.



დაგადეგის მოწმობა

საღამოს ციხეში ხალხი მოიყვანეს. სულ ორმოცდაათამდე კაცი იქნებოდა. როცა დავინახეთ, რომ ამდენ ხალხს ორი უხიშტო ეანდარმი მოჰყვა, მივხვდით — ისინი საგზაო ბეგარის გადაუხდელობის გამო მოხვდნენ აქ.

ტუსაღები ჭიშკარში შევიდნენ და ეზოში ჩამწკრივდნენ. ერთმა ყარაულმა სია ამოიკითხა. მოსულნი კედელთან ჩასხდნენ და ხმაამოულებლივ ლოდინი დაიწყეს.

შესახედავად ძალიან დამწუხებული იყვნენ. შარვლები ნაფლეთ-ნაფლეთ ეკიდათ და ბევრ მათგანს ფეხზე უხეში ფეხსამოსის მსგავსიც კი არაფერი ეცვა.

ტანზე ქქლემის მატყლისაგან შოქსოვილი, დაფლეთილი ფარაჯა ემოსათ, ქვეშ კი გახუნებული, დაგლეჯილი და მთლად დაკერებული პერანგები. გაქონილი ქუდები ზოგს მარჯვნივ და ზოგს მარცხნივ ლოყაზე ჰქონდა ჩამოფხატული. კეპებიდან მუქ ყვითელ მუყაოს გამოეყო თავი.

გვერდით მოგდებული შალის აბგებიდან შავი პური, ქადა და ზოგან მწვანე ხახვის ფურცლებიც მოჩანდა.

დიდხანს იცადეს, რადგან არავის უთქამს, რომელ საკანში წასულიყვნენ და რა გაეკეთებინათ. დროდადრო რაღაცას გადასჩურჩულებდნენ ხოლმე ერთმანეთს. როცა რომელიმე

თანასოფლელი ტუსალი მიუჯდებოდა ახლოს, ზანტარ პასუ-
ხობდნენ, ხანდახან კი სახეს მიიბრუნებდნენ, სადღაც შორის
იცქირებოდნენ და აგრძნობინებდნენ, რომ სრულებითაც არა
სიამოვნებდათ ამ საუბრის გაგრძელება.

მართლაც უცნობ ტუსალებზე უფრო თანასოფლელებისა
რცხვენოდათ. მათ ძალიან ემძიმებოდათ გზის ფულის გადა-
უხდელობის გამო ციხეში ჯდომა, რადგან აქ მკვლელობის
ან რამე სხვა მძიმე დანაშაულის გამო ისხდნენ ხოლმე.

ახალმოსულთა შორის ერთი მოხუციც იყო. შესახედავად
სამოცხე მეტი წლისა ჩანდა და საგზაო ბეგარა და სხვა თით-
ქოს არ უნდა შექმებოდა. ხელები დამსკდარი ჰქონდა და
ძარღვიანი. წელში ორად იყო მოხრილი; ასადგომად ჯოხი
უნდა შეეშველებინა და მაშინაც კი კედლისკენ მიდიოდა მი-
საყრდნობად.

ხმელ, მოგრძო სახეზე რამდენიმე ლერი ბალანი უჩანდა.
დაცვენილი და თხელი თეთრი თმის ქვეშ დალაქავებული
კანი მოუჩანდა.

ტანზე სხვებზე უარესად ეცვა. წელზე შემოკრული პატ-
რონტაში, რომელსაც ალბათ სამოცი წლის ვარამი ჰქონდა
გადატანილი, გაცვეთილიყო, დამსკდარიყო და სიფრიფანად
იყო ქცეული.

მოხუცს მივუახლოვდი. სიბერისაგან დაწვრილებული თვა-
ლებით შემომხედა. იფიქრა, გვერდს ამივლისო და ისევ განზე
გაიხედა.

მის გვერდით ჩავცეცედი.

— გამარჯობა, პაპა, — მივმართე მე.

მობრუნდა და შემომხედა. თვალებში განცვიფრებამ გაუ-
ელვა და საჩქაროდ მიპასუხა:

— გაგიმარჯოს!

— მალე გასულიყო აქედან, — ვუთხარი მე, როგორც
ყველა ახალმოსულს ეუბნებიან ხოლმე.

— გმადლობთ, — მიპასუხა მოხუცმა და ისევ დახარა
თავი. პაპიროსი ამივიღე და მივაწოდე. აკანკალებული ხელით
გამომართვა; შემდეგ პატრონტაშიდან თუნუქის პორტინგარი
ამოილო და გახსნა. შიგ ცოტაოდენი თამბაქოს მტვერი და
8. საბაჟათინ ალი

პატრუქებანი კვესი ედო. აშეარად ჩანდა, რომ ეს ჯერ ვიდევ
ჯარისკაცობის ღროიდან პქონდა შემორჩენილი. რამდენჯერ-
მე მაგრა ჩამოჰქრა კვესი, შემდეგ პატრუქი გაასწორა
და ისევ დაჰქრა. არაფრით არ ინთებოდა. ამასობაში ანთებუ-
ლი ასანთი გაუშოდე; პაპიროსს ცეცხლი მოუკიდა და მაგ-
რად მოქაჩა.

მე ისევ ვკითხე:

— რა დაგიშავებია, პაპა?

— რა დანაშაული, შვილო, საგზაო გადასახადი ვერ მი-
ვეციო!

— რამდენი წლისა ხარ, განა?

— რა ვიცი, ოთხმოცისა უნდა ვიყო!..

— მერე ეგ როგორ იქნება? სამოცს გადასულებს საგზაო
გადასახადს არა თხოვენ...

— მე კი მთხოვენ და...

— შეცდომა უნდა იყოს.

— შეცდომა არ არის, შვილო, — მიპასუხა მან და განა-
გრძო:

— ოთხი ვაჟი მყავდა. ერთი ციხეში მოხვდა მკვლელობი-
სათვის და რვა წლის ჯდომის შემდეგ მოკვდა. ორი ჯარში
გაიწვიეს, ერთი კი ეანდარმი იყო. ყაჩალებმა დაჭრეს და და-
კოჭლდა. აწლა სოფელში ცხოვრობს, მე შემომცერის ხელებ-
ში. სხვა ვაჟებს შვილები არ ჰყავდათ. ამას კი ერთადერთი
ვაჟი ეყოლა. ისიც ციებამ მოკლა რვა წლისა. ოცი წელი
იქნება, რაც მოკვდა. იმ დღიდან ვცხოვრობთ მე და ჩემი კოჭ-
ლი ვაჟი. ჩემი მოხუცი ქალი და კოჭლის ცოლი ყანასა ხნავენ
და თესენ. მე კალოზე ვეხმარები. კოჭლი კი ფანჩატურზე ზის
და ბოსტანს დარაჯობს. ასე, ძლივს მოვათრევთ სულს. სამი
წლის წინათ ჩემი ბატონმა მდინარის სათავესთან რომ
ყანა გვაქვს, იმის დაპატრონება მოინდომა. ვიყვირეთ, ვიკიც-
ლეთ, არაფერი გამოვიდა. შვილი ხეიბარი მყავს, მე არაფერი
შემიძლია. ჩემის სიმართლეს ჩვენ თვითონ ვერა ვსდიეთ. იძუ-
ლებული შევიქენით ხელისუფლებას მიღდგომოდით. სასა-
მართლო ორ წელიწადს გრძელდებოდა... ჩვენ, მართალია,
არავითარი საბუთი არა გვქონდა, მაგრამ მთელმა სოფელმა

იცოდა, რომ ის მიწა მამა-პაპიდან ჩვენი იყო. ეს არაერთ ხავს. ბატონშა კი ცრუმოშმეები მოიყვანა და საქმე მოყენდა. სასამართლოს ღრის დაბადების მოწმობა მთხოვეს, სად უნდა მეპოვნა? რაც ჯარიდან დაგბრუნდი, მერე სახელმწიფო დაწესებულებასთან საქმე არ მქონია. ვეძებე, ვეძებე, არ არის... შემდეგ ჩვენი კოჭლის გარდაცვლილი ვაერი დაბადების მოწმობა ვიპოვე. სახელად იმასაც მეპმედი ერქვა. ესეც ხომ დაბადების მოწმობაა-მეთქი და ვილაიეთში ვაჩვენე.

სასამართლოში არაფერი გამოვიდა. ვილაიეთში აქეთი იქთ სიარულში ყანა უპატრონოდ მიგვრჩა. ექვსი თვის შემდეგ სოფელში გადასახადის ამკრეფნი მოვიღნენ, საგზაო გადასახადის მოვალეთა შორის მამასახლისმა მეც ამომიყითხა. შეცდომა იქნება-მეთქი და ყურადღება არ მივაქციო. ჩამდენჯერმე კიდევ მოვიღნენ. არ მივეცი. ოცი წელია თავისუფალი ვარ საგზაო გადასახადიდან.

ამჯერად გადასახადის ამკრეფნი უანდარმთან ერთად მოვიდა. საგზაო გადასახადის არგადამხდელთა შორის მეცწამომიყვანეს. ოთხმოცი წლისა ვარ-მეთქი, მაგრამ ყურის დამგდები არავინ იყო. მმართველთან მივედით, დავთარში ნახეს და ჯერ ოცდაცხრა წლისა ხარო, მითხრეს. ცოდვას ნუ ჩადიხართ, მე შემომხედეთ, ჩემს წვერს შეხედეთ-მეთქი, ვუთხარი. არაო, დამემუქრნენ, შენი მოწმობა აქ არის, შენი მისამართიც ვიცითო. ჯიბეში რომ ქალალდი მქონდა, მავეცი, ისიც 29 წელს უჩვენებდა. მაშინ კი მოვედი გონს, მაგრამ რა მექნა? თუ კიდევ ბევრს შეგვაწუხებ, შენზე საქმეს ალვძრავთო, მითხრეს. მეც ხმა არ ამომილია. ექვსი ლირა რომ მქონდა, მივცემდი და გათვალდებოდა საქმე, მაგრამ ასეთ ღრიში მქვესი ლირა სად უნდა იშოვნო? ალბათ ასე გვიწერია-მეთქი; ავდექი და წამოვედი.

მე სიცილი დავიწყე:

— ეე, პაპა, გაგონილა ადამიანმა შვილიშვილის მეტრიკა მიითვისოს?

მან უიმედოდ ჩაიქნია ხელი:

— ვითომ რა მოხდა ისეთი? — ჩაიბუტბუტა მოხუცმა. — განა ყველა ქალალდი მთავრობისა არ არის?

„სიცოცხლის მჩხვალი“

ასიეს ტკივილები ნაშუადლევს დაეწყო. ქევრი მიატოვა და მაშინვე სახლში წამოვიდა. იბრაჟიმი კალოდან საღამოს ბინდ-ბუნდში დაბრუნდა შინ. ხარებს ბოსელში რომ აბამდა, თვალი მოჰკრა ბავშვების გროვას, რომელთაც მისი სახლის წინ თავი მოეყარათ. ბოსლის კარები არ გამოუკეტავს, ისე გაიქცა სახლისკენ, მაგრამ ქალებმა არ შეუშვეს. დაბალჭერიანი ოთახი სოფლის ქალებით იყო სავსე. ბიცოლა მაკბულე, რომელიც ჯერ კიდევ გარეთ გადაეღობა იბრაჟიმს, ეუბნებოდა:

— შენ წადი... ეს მამაკაცის საქმე არ არის! — იბრაჟიმშა ზურგი აქცია ბიცოლას და დაბნეული იდგა. ის კი განაგრძობდა: — ასე ადვილად არ გათავდება ეს ამბავი!.. ქოფრი-უქიმიერ ას ბებიაქალსაც შევატყობინეთ...

იბრაჟიმმა სახე მაკბულესაკენ მიიბრუნა. თვალებში ჩახედა მოხუცს, უსიტყვოდ ეკითხებოდა რაღაცას.

მაკბულეს არც უფიქრია, თუ რის თქმას აპირებდა ის და თავისისთვის წაიბუტბუტა:

— თხოომეტი წლის, თითოსოდენა გოგო მოიტაცე და წამოიყვანე... ალბათ, ღვთის ნება იყო..., მაგრამ რა დროს ფეხმძიმობა იყო? გასწი, შენც წადი ქოფრიუქიმიში და ბებიაქალი წამოიყვანე... ჩვენი ბიჭი წავიდა, მაგრამ იმის ნათქვამზე იქნებ არ წამოვიდეს.

იბრაჟიმი, გახარებული იმით, რომ ამ გაჭირვებისას ასიეს გამოაღებოდა, სულ სირბილით გასცდა სოფელს. ჯერ კიდევ ქოფრიუქიმის კალოებამდე არ მიეღწია, რომ თვალი მოჰკრა ბებიაქალს, რომელიც ჯოხით ხელში მოაბიჯებდა და ყოველ დაბიჯგებაზე მტვერს იყენებდა. გვერდით პატარა ბიჭი მოსდევდა. იბრაჟიმი გაწითლებული და თავდასრილი, დამნაშა-

ვესავით დადგა გზაზე და ლოდინი დაუწყო. ბებიაქალმაც
შეამჩნია იგი, ოცი-ოცდაათი ნაბიჯის მანძილზე შეტერდა,
დააღო თავისი უკბილო პირი და რაღაცას უძახოდა იბრაჟიმს;
მოახლოვებისას პირდაპირ მუცელში ატაკა ჯოხი და უთხრა:

— ალაპის ნებით, ახლავე მოვალოვინებ... ჩემს მსუბუქ
ხელს მოელი ქვეყანა იცნობს. დედაშენმაც ძალით გაგაჩინა,
მაგრამ დახე, როგორ გაიზარდე, ვაჟაცი შეიქენ, — შემდეგ
პატარა ბიჭს მიუბრუნდა:

— გაიქცი, უთხარი მარილშეყალი მოამზადონ.

იბრაჟიმი უშმოდ მიუძღვდა ბებიაქალს. საკე მთლად
გაწითლებოდა. იგი ხომ ჯერ ცხრამეტი წლისაც არ იყო და
იჩდენი გამოცდილებაც არ ჰქონდა, რამდენიც სოფლის სხვა
ბიჭებს, რომლებმაც ჯარი რომ მოიხადეს, სოფელში დაბრუ-
ნების პირველსაც საღამოს დათვრნენ და ჩხუბი ატეხეს.
ახლაც კი, როცა დაფიქრდებოდა, უკვირდა — როგორ მოი-
ტაცა მან შარშან ასიე. უფრო კი თვითონ ასიე ჩააცივდა. ახლა
რომ არ ეფიქრა — ქალის სიტყვის ავყევი და შევცდიო, ამი-
ტომ არ უნდოდა ხოლმე ამის გახსენება. იბრაჟიმი პატარა
იყო, როცა მამა გარდაეცვალა. დედა კი ამ ერთი წლის წინათ
მოუკვდა და მარტოხელა დარჩა. საჭირო იყო ვინმე, ვინც
მასთან ერთად იმუშავებდა ხუთიოდე ქცევა მიწაზე, ჭამდა
ბურღულის ფაფას, დილაობით ძროხას მოწველიდა და
მაწონს შეადედებდა. სწორედ ამ დროს გამოჩნდა მათი მე-
ზობლის კარა პალილიანთ თბოლი ასიე, რომელიც ყოველ
გავლა-გამოვლაზე უღიმოდა იბრაჟიმს. ცოლად მომეცითო,
რომ ეთხოვა, ქვეყნის ხარჯი დასჭირდებოდა. „მოვიტაცებ
და ის იქნება“, — გაიფიქრა მან და ასეც მოიქცა. უკვე ერთი
წელია ბედს აღარ ემდურის, მაგრამ ის კი აღარ მოსწონდა,
რომ ასიეს ამ გახურებულ კალოობას უნდა მოეშობიარებინა.

როცა ბებე-ქალი ოთახში შევიდა, ასიემ უფრო უმატა-
ყირილს. მისი ხმა კალოზე ისმოდა. იბრაჟიმი კარებთან ქვა-
ზე ჩამომჯდარიყო, ხელში ბებიაქალის მსხვილი ჯოხი ეჭირა
და მიწას ჩიჩენიდა. ასიეს ყოველ წამოძახილზე იგი ერთს
წამოხტებოდა ხოლმე, მაგრამ არ იცოდა, რა ექნა და ისევ

დაჯდებოდა. გაბრაზებული იბრაჟიმი დაიხარა, ქვას დაჯლო
ხელი, გარშემოხვეულ ბაჟუებს ესროლა და თან მიიყვარა:

— დამეკარგეთ აქედან, თქვე ძალისშვილებო!

რა დრო იყო, მან კარგად არც კი იცოდა, მაგრამ საღამოს
ლოცვის ხანი უკვე გასულიყო. ასიეს ხმა აღარ ისმოდა. ცოტა
ხნის შემდეგ ბებიაქალი გამოვიდა. უჯოხობის გამო იგი მაკ-
ბულეს დაყრდნობოდა. იბრაჟიმი წამოხტა და მათკენ გადადგა
ნაბიჯი. ბებიაქალი ახლა იბრაჟიმს დაეყრდნო და უთხრა:

— ვერა მშობიარობს, შვილო. ვერაფრით ვერ მშობია-
რობს. ბავშვი დიდია, მენჯი კი ვიწრო აქვს. ურემშე დავაწ-
ვინოთ და ქალაქს წაიყვანე, სხვა გზა არ არის...

იბრაჟიმს ახლაც არაფერი უფიქრია. თითქოს ქმაყოფილ-
მა იმით, რომ საქმე გაუჩინეს, ბოსლიდან ხარები გამოიყვანა
და ურემში შეაბა. ქალებმა ასიე ლოგინიანად გამოიყვანეს და
ზედ მოათავსეს.

ძველებურად აწითლებულმა და თავდახრილმა იბრაჟიმმა
ბებიაქალს პკითხა:

— ბავშვი ალბათ მოკვდა, არა?

— არა, ღმერთმა დაგიფაროს. თუმცა რა ვიცი, ეგ მხო-
ლოდ ალაპის ნებაა. ტკივილები შეუწყდა, დანარჩენი კი ექიმ-
მა იცის.

გზას გაუდგნენ. სამიოდე საათი იარეს. როცა ქალაქი გა-
მოჩნდა, ინათა კიდეც. ასიე ჩუმად იყო. ჩაცვენილ შავ თვა-
ლებს აქეთ-იქით ატრიალებდა, თითქოს ცაზე რაღაცას
ეძებსო.

როცა შუა ქალაქში დიდ მდინარეზე გადებული ხიდი გა-
დაიარეს და საავადმყოფოს კარებს მიაღვნენ, საქმაოდ გათე-
ნებულიყო, მაგრამ ქუჩაში არავინ ჩანდა. იბრაჟიმმა ურემი
მოშორებით დააყენა. საავადმყოფოს კარებზე დაკაუნება ვერ
გაბედა და გადაწყვიტა მოეცადა, სანამ თვითონ გაიღებოდა.
ნელ-ნელა სხვა სოფლებიდანაც მოგროვდნენ ავადმყოფები.
ზოგი ცხენით ჩამოსულიყო, ზოგი ვიზით, ზოგიც ურემშე და-
ეწვინათ. ყოველ მათგანს ახლდა ცოლი ან ქმარი, დედა ან
შვილი. მათ ქუჩა გაევსოთ. ზოგი კვნესოდა, ზოგი კი გულწა-
სული ეგდო. იდგნენ და ელოდნენ, კაცი ხმას არ იღებდა.

საავადმყოფოს კარი რომ გაიღო, ყველამ ერთად ძლინ-დომა შიგ შესვლა. იბრაჟიმიც მთში გაერია და მთელი სახით იცდიდა ექიმის კართან. წესრიგის დამცველი არავინ იყო. საავადმყოფოს მთავარი ექიმი, ქირურგი, რომელიც სახით თათარს ჩამოგავდა, ორმოცდახუთი წლისა იქნებოდა. თხუთ-შეტი წელიწადია იგი თვითონ აღებს მისაღები ოთახის კარს, თვალს მოავლებს ავადმყოფებს, თითქოს ისეთს ეძებს, ვისაც მეტად კირდება მისი დახმარებაო, მერე ხელით. ანიშნებს ვინ-მეს და შიგ შეიყვანს. როცა იბრაჟიმის ჯერი მოვიდა, გარეთ აღარავინ იყო.

დაღლილი ექიმი მოწყვეტილი დაეშვა სკამზე. ამ საავად-მყოფოში ის იყო ყოველგვარი სენის მკურნალი. ეს ექიმი სულ მცირე ფასად მკურნალობდა შინაგან დაავადებებს. თვალისა და ყურის ექიმები კი სამხედრო ჰოსპიტლიდან მოდიოდნენ, მაგრამ თვის პირველი რიცხვების გარდა აქ როცა მოეხასია-თებოდათ, მაშინ მოვიდოდნენ, მთავარ ექიმს მიესალმებო-დნენ და ისევ მიდიოდნენ. კლინიკურ მკურნალობას არ აწარ-მოებდნენ, რადგან ეშინოდათ, რომ სერიოზული ავადმყოფის გამოჩენისას ვალდებული იქნებოდნენ დაეჭვინათ იგი და შემ-დეგ კი ყოველდღე ენახოთ.

მთავარი ექიმი ყოველ დილით სინჯავდა მისი კარის წინ თავმოყრილ ავადმყოფებს, რომელთა რიცხვი ასამდე ადიოდა. იგი ცდილობდა ყველაფრისათვის გამოენახა წამალი და ხში-რიად ტრასოძიდან მოყოლებული ბებიაქალობასაც კისრუ-ლობდა. უცოლო იყო და ამიტომ საავადმყოფოში ცნოვრობ-და. მთელ ღამებს პალატების შემოვლასა, სამედიცინო წიგ-ნების კითხვასა და გერმანული ენის შესწავლაში ატარებდა. მხოლოდ სიჯიუტის გამო იგი ცდილობდა არ ჰგვანებოდა სხვა ექიმებს და ყოფილიყო ისეთი კეთილშობილი, როგორებსაც წიგნებში „აღამიანის მსახურს“ უწოდებენ. კოლეგებისაგან ასეთი განდგომა გახდა მიზეზი მის წინააღმდეგ მიმართული ინტრიგებისა; რადგან საავადმყოფოში, და ისიც მარტონელი ცხოვრობდა, ეშინოდა ჭირებისა და ორმოცდაათი წლისაზე ნაკლებს არც მოსამსახურე ქალსა და არც მედიცინის დას სამ-სახურში არ იღებდა. იგი არც ავადმყოფის უკან გაბრუნე-

ბას იყო ჩვეული. ყოველივე ამის გამო ჭალაქში მას „მეტეის კოლოფისა“ და თავის გამოჩენის მსურველი „ცოლეშეცხვირის“ სახელი გაუვარდა. ოთახი პატარა ჰქონდა; ღვინოს არა სვამდა და არც პაპიროსს ეწეოდა; ამიტომ ფულიც ცოტა ეხარჯებოდა. სამაგიეროდ თავისი ჯამაგირით იგი ყიდულობდა უცხოურ წიგნებსა და უურნალებს, ნაწილს კიდევ იმის შეძენას ანდომებდა, რასაც საავადმყოფოს ბიუჯეტი ვერ აუდიოდა. ამის გამო იგი ბოროტი ენების სალაპარაკო გამხდარიყო და ქურდიაო, ამასაც კი ამბობდნენ. ყველა დარწმუნებული იყო, რომ 90—100 ათასი ლირა მაინც ექნება ბანქში შენახულიო.

უველაფერი ეს ესმოდა ექიმს. მან იცოდა, რომ სულელად თვლიდნენ ისინიც კი, ვინც მის ნამდვილ საქმიანობას კარგად იცნობდა. მიუხედავად ამისა, იგი მაინც მტკიცედ განაგრძობდა თავის საქმეს. ყოველივე ამას ის აკეთებდა არა მაღალი იდეალებისა და ადამიანებისადმი ღრმა სიყვარულის გამო, არამედ სხვის ჯიბრზე. მას ავადმყოფურად სძულდა ყველა და მზად იყო თვით იმ ავადმყოფისათვისაც კი, ვისთვისაც დიდი ამაგი გაეწია, ეთქვა: „თქვენც რომ ხელსაყრელი მომენტი შეგექმნეთ, სხვებსავით უნამუსო გახდებით... მე კარგად ვიცი ეს, მაგრამ, რადგან თქვენნაირი არა ვარ, ამიტომ ჩვეულებრივზე უფრო მეტად ვასრულებ ჩემს მოვალეობას“.

— შენ რა გტკივა, შვილო? — იყითხა ექიმმა და თვალები იბრაჟიმს მიაპყრო.

— მე არაფერი, ეფენდი... მხოლოდ ჩემს ოჯახობას... ვერ იმშობიარა და... მოვიყვანე. გარეთაა, ურემში. შენ უნდა გვიშველო რამე, — უპასუხა იბრაჟიმმა.

ექიმი თოფნაქრავით წამოხტა ზეზე. იბრაჟიმი შეშინებული უყურებდა მის გაყვითლებულ უწვერო პირისახეს.

— ეფენდი, — ხმა უკანქალებდა იბრაჟიმს, — ორი ბებიაქალი ვერაფერს გახდა... ერთი ჩვენებური და მეორე კიდევ სხვა... ვერაფერი უშველეს... ახლა აქ მოვიყვანე... უარს ნუ მეტყვი!

ექიმმა ძალა მოიკრიფა, ყვითელ სახეზე გესლიანმა ღიმილმა გადაურბინა:

- ვწუხვარ, რომ უკან უნდა გაგაბრუნო, შვილო! 

 — შემიბრალე, ექიმო, სოფელში მისვლამდე წლები გადაშე
 დალევს სულს.
- შეიძლება ეგრეც იყოს, მაგრამ მე მაინც ვერ მივიღებ.
- ფეხსაცმლის ძირებს დაგიკცნი, ექიმო...
- სწორედ მაგან ჩაგაგდოთ თქვენ ამ მდგომარეობაში, —
 უპასუხა ექიმმა. დამცინავმა ღიმილმა, რომელიც არ შორდე-
 ბოდა მის სახეს, სულ მთლად დაბნია იბრაჟიში.
- აბა რაღა ვქნა ახლა, ეფენდი?
- წაიყვან ცოლს და კერძო სამშობიაროში მიიყვან სად-
 გურის ქუჩაზე! თუ ფული გაქვს, შვილიც გეყოლება, თუ არა
 და ურემს სამშობიარო სახლთან დააყენებ. შენი ცოლი კვნე-
 სა-ყვირილით ან თვითონ მოიმშობიარებს იქვე ურემზე, ან
 კიდევ გზაში, სოფელში დაბრუნებისას. თუ ვერ მოიმშობია-
 რა, მოკვდები. გამიგე თუ არა?
- იბრაჟიმმა იფიქრა — ნუთუ ეს ის ექიმია, გლეხები „მამას“
 რომ ეძახიანო — და მის წინ მდგომს გაკვირვებით შეხედა.
 ექიმმა შეამჩნია და იბრაჟიმს მიმართა:
- რატომ გიყვირს? სიმართლეს გეუბნები. ქალურ დაავა-
 დებათა მკურნალობა ამიკრძალეს, კარგად გამიგე თუ არა? მე
 მხოლოდ ქირურგი ვარ, ხელ-ფეხს ჭრი, სხვა არაფერი გამე-
 გება.
- ყვითელ სახეზე მოფენილი ღიმილისაგან ლაპარაკის დროს
 ტუჩის კუთხეები ქვევით იწევდნენ, რაც სრულებით არ უხ-
 დებოდა. მრავალი წლის განმავლობაში ასობით ქალისათვის
 გაუკეთებია ოპერაცია და ნაყოფი ამოულია. მაგრამ ახლა
 ამტკიცებენ, რომ უფლება არა აქვს ჩაერიოს იმ საქმეში, რაც
 მის მოვალეობას არ შეადგენსო. მართალია, საავადმყოფოში
 არ არის ქალურ დაავადებათა ექიმი, მას მაინც უფლება არა
 აქვს ხელი მოპერიდოს ისეთ საქმეს, რომელიც მის კომპეტენ-
 ციაში არ შედის და საფრთხეში ჩააგდოს ადამიანების სი-
 ცოცხლეო. ქალ ქში ახლახან გახსნილ. სამშობიარო სახლის
 პატრიონმა მუთხა ჯანკურთარანმა მოქალაქეთა ჯანმრთელო-
 ბის ვითომდა დაცვის საბაზით უყველივე ეს ვალის მოახსნა.
 რომ არ მოუსმინეს, მაშინ ჯანმრთელობის სამინისტროს

შეატყობინა და გარდა ამისა ანკარაში მისწერა სიმამრის, რომელსაც იქ რაღაც დიდი დფგილი უჭირავს. სიმამრმა ქსა უმხრა ჯანმრთელობის დაცვის მინისტრს, რომელიც ოდესალაც, სიმამრის გუბერნატორობის დროს, მასთან ჯანმრთელობის დაცვის დირექტორად მუშაობდა. მინისტრმა კი ხალხის ასეთი საშიშროებიდან დასაცავად გაფრთხილება მისცა საავადმყოფოს მთავარ ექიმს.

ამ ამბებს რომ გაიხსენებდა, პრაზმორეული ექიმი წონას-შორობას კარგავდა:

— ასეა, შვილო, — უთხრა მან იბრაჟიმის, — ჩენ არა გვყავს ისეთი ექიმი, რომელიც შენს ცოლს რაიმეს უშველის. ამიტომ სამშობიარო სახლში წაიყვანე და ექიმ მუთენა ჯანკურთარანს სთხოვე, იქნებ იაფად მიმხედოს შენს ავადმყოფს.

შემდეგ იბრაჟიმს ზურგი შეაქცია და ფანჯრიდან ცას დაუწყო ცქერა. იბრაჟიმი მაინც არ ეშვებოდა:

— შენ ხომ ხარ, ეფენდი. მე სხვა არ მცირდება... შენ გენაცვალე, მიშველე რამე!

ექიმი ძლივს იყავებდა თავს:

— ხომ გითხარი, რომ არ შემიძლია-მეთქი, შვილო! — წარმოსთქვა მან გაბრაზებით, კარი მაგრად გაიჯახუნა და თავის ოთახში ჩაიკეტა.

იბრაჟიმი ნელა გამოვიდა დერეფანში. აქეთ-იქით მიიხედა, თითქოს ეძებდა კაცს, რომელიც ჰქუას ასწავლიდა და რჩევა-დარიგებას მისცემდა. მაგრამ ბუზების გარდა, სხვა სულიერს ვერ მოჰკრა თვალი. ისინი ბზუილით ეხეთქებოდნენ ბალში გამავალ ფანჯრებს.

ექიმი მუთენა ჯანკურთარანი კარგი გარეგნობის ოცდა-თხუთმეტი წლის კაცი იყო, ქერა ხუჭუჭა თმა ჰქონდა და ოქროს სათვალეს ატარებდა. დაბალი და ტკბილი ხმა ჰქონდა. ექიმმა ასიე ქუჩაში, ზედ ურემშე გასინჯა და იბრაჟიმს უთხრა:

— ავადმყოფი აქ იყოს, შენ მე წამომყევი, — და საავადმყოფოში შევიდა. იგი იდაყვებით მაგიდას დაეყრდნო, ცისფერი თვალები ფანჯარას მიაპყრო და ანგარიშს შეუდგა. მერე იბრაჟიმს მიმართა:

— ოთხას ლირად მოვამშობიარებ შენს ცოლს, ძმა, ძალიან რთული და საპასუხისმგებლო ოპერაცია უნდა გვავავეთო. ასა ყველა ექიმი კი ვერ იზამს... იფიქრე, აწონ-დაწონე და პასუხი მომიტანე.

იბრაჟიმი განცვითოდა. გამოვიდა ოთახიდან და ასიესკენ გაიქცა. სწორედ იმ დროს ასიემ საშინელი ყვირილი ასტეხა; იქნებ იმიტომ, რომ მას ხელახლა დაეწყო ტკივილები; ან კადუც ვინ იცის, იქნებ მიხვდა, რომ უკან დაბრუნება მისთვის სასიკვდილო იყო და შიშმა შეიპყრო. გამვლელებმა მოიყარეს თავი, იბრაჟიმმა ურემი მოაბრუნა და სამშობიარო სახლთან გააჩერა პატარა მოედანზე. შემდეგ უღლიდან ხმამოუღებლივ გამოხსნა მარცხენა ხარი, ბაზარზე გაიყვანა და ასოციათ ლირად გაყიდა. იგი საჩქაროდ დაბრუნდა სამშობიარო სახლში. ასიესთან არც კი მისულა, პირდაპირ ექიმთან შევიდა ოთახში და ფული მაგიდაზე დაუწყო:

— აჲა, შენი ჭირიმე, ასიეს მეტი ლოდინი აღარ შეუძლია. ისე მოახერხე, რომ ბავშვი არ დაშავდეს!

ჯანკურთარანმა ფული სათითაოდ გადათვალა და ხელი წაჟრია.

— ბავშვი ხომ არა ხარ? განა საკეისრო გაკვეთა შეიძლება ასოციათ ლირად გაკეთდეს? წაილე შენი ფული და ბებიაქალთან წადი!

— ბებიაქალი რას მიშველის, ეფენდი. ცალი ხარი გავყიდე, ამდენი მომცეს.

ამ დროს ფანჯარაში ასიეს ყვირილიც შემოისმა. იბრაჟიმს შიშმა გადაურბინა სახეზე. ექიმის ტუჩები ღიმილშა დასერა:

— მეორე ხარი და ურემიც გაყიდე, იქნებ მოგიგროვდეს ოთხასი ლირა.

— რასაც გინდა მოგცემ, ექიმო, ყველაფერი შენი იყოს, ოღონდ ასიეს მეტს ნუდარ აყვირებ...

— მოიცა, გენაცვა, თუ ხარები და ურემი არ ელირა ამდენი?.. კიდევ ორას სამოცდაათი ლირის ხელწერილი დამიწერე... სანამ მე ოპერაციას მოერჩები, შენ ფული იშოვე. წადი, ნუდარ აყოვნებ!

მან საჩქაროდ დაწერა ხელწერილი და იბრაპიმს თითო დაა-
დებინა ხელმოწერის ნიშნად.

როცა გულწასული ასევე საოპერაციო ოთახში გადაყავ-
დათ, იბრაპიმმა ქვეშაგებდაფენილი ცალხარიანი ურმით ბა-
ზარს მიაშურა. მაგრამ ამ ჯერად ყოველივე ამაში ას ორმოც-
დაათ ლირაზე მეტს არავინ იძლეოდა. მარჯვენა ხარი ბებერი
და მჭერე იყო. მუშტრები საჭიროდაც ას სცნობდნენ სმენა
გაესინჯათ მისთვის. — დაბერებულია და ასი ლირაც არა
ღირსო, — ამბობდეს ისინი. იბრაპიმი ამასაც დათანხმდა და
მუჭში მაგრად ჩაბლუჯული ფულით სამშობიაროში დაბრუნ-
და. ერთმა მომვლელმა ცოლის გადარჩენის ამბავი ახარა. ექი-
მი დერეფანში შეხვდა მას. იბრაპიმმა მაშინვე ფული გაუ-
წოდა:

— მეტი არ მომცეს, ექიმო, დანარჩენი მაპატიე!

— ეს რაღას ნიშნავს? მე აქ საქველმოქმედო დაწესებუ-
ლება კი არა მაქვს! აბა შეგვხედე, ოფლი წულწურით ჩამო-
გვდის, ოპერაცია ერთ საათს გაგრძელდა, ცოლი სიკვდილს
გადაგირჩინე.

— ბავშვი?

— ბავშვი მოკვდა. კიდევ ცოტა რომ მოგეცადა, დედამი-
სივ საიქიოს წავიდოდა.

— მაშ ბავშვი მოკვდა! ბიჭი იყო?

— ბიჭი იყო... მერე რა? მომავალი კარგად გიმუოფოს,
ორივენი ახალგაზრდები ხართ. შენ ახლა გასწი, ნუღარ დგე-
ხარ, სოფელში წადი და დანარჩენიც იშოვნე... კიდევ ას ოცი
უნდა მომიტანო.

— სად ვიშოვნო, ეფენდი!.. პირდაპირ აღარ ვიცი.

მუთენა ჯანკურთარანის ტკბილი ხმა უეცრად გამოიც-
ვალა:

— ეს რას ნიშნავს? კაცის მოსატყუებლად ხომ არ მოხ-
ვედი? მე ბევრი ლაპარაჟი არ მიყვარს. ხუთი დღის შემდეგ
შენი ცოლი გასაწერი იქნება. ას ოცს მომიტან და ცოლს წაიყ-
ვან. უფულოდ არ გაგარან და ყოველ დღეში კი თხუთმეტ
ლირას გამოგართმევ!

იბრაპიმმა ას ოცი ლირა ვერ შეაგროვა და ჯანკურთარან-

მა მართლაც არ გაატანა ცოლი. ერთი კვირის შემდეგ მოსულ
იბრაჰიმს მან ცოლის ნახვის ნებაც არ მისცა და უფლებულია
კიდეც:

— ახლა შენ ას სამოცდახუთი ლირა გმართებს ჩემი. ხვალ
ას ოთხმოცი იქნება, ზეგ კი ას ოთხმოცდათხუთმეტი. ფულს
თუ არ მოიტან, ცოლს ვერ გაგატან. გამეცალე ახლა აქედან!

ასიეს დედინაცვალმა და მაკბულემ გადაწყვიტეს მისი ძა-
ლით წამოყვანა, მაგრამ ისინი გამოაგდეს სამშობიარო სახ-
ლიდან. კიბეზე ჩამოსულ ასიეს კი ორი მუშტი უთავაზეს და
ლოვინში ჩააწვინეს. ასეთი რამ რომ აღარ განმეორებულიყო,
ტანსაცმელი ჩამოართვეს და ჩაკეტეს.

იბრაჰიმმა ერთი დღით კიდევ მიატოვა ისედაც დაგვიანე-
ბული პურის ლეწვა და ჯანკურთარანს მიაშურა:

— მთელი ჩემი მოსავალი რომ გავყიდო, ეფენდი, და ამ
ზამთარს მშეირი დავჯდე, ორმოცდაათ ლირასაც კი ვერ შე-
ვაგროვებ... შენ გენაცვალე, მომეცი ასიე და წავალ.

— შენ ბევრსა ლაპარაკობ, — იყიდო ჯანკურთარანმა, —
თვეენ, გლეხები, საერთოდ ყველანი მატყუარები ხართ... კაცი
არ უნდა ენდოს თქვენს ნათქვამს. სანამ ორას ოცდახუთ ლი-
რას არ მოიტან, ცოლს ვერ წაიყვან!

— ექიმო, ბავშვი ხომ მაინც მოქვდა... ოთხასი ლირა რა-
ღაში მოგცე?

— მე შენი ხელწერილი მაქვს. დანარჩენი დღეებისაც
თხუთმეტ-თხუთმეტი ლირა გმართებს... აქ არავითარი ხრიყი
არ არის... აიბარგე აქედან!

იბრაჰიმი კვლავ ასიეს უნახავად დაბრუნდა სოფელში.

ოპერაციის შემდეგ თხუთმეტმა დღემ გაიარა. ჯანკურთა-
რანი არავის შენახვას არ აპირებდა მუქთად, მას თანდათან
იმედი ეკარგებოდა, რომ იბრაჰიმი შესძლებდა ფულის შოვნას
და მოტანას, ამიტომ დაითხოვა სამშობიარო სახლის ერთი
მოსამსახურე და მის ადგილზე ასიეს დააწყებინა მუშაობა.
ასიე ჯერ კიდევ არ იყო მოტლად მოქეთებული. ტანზე ეცვა
ამერიკული ნარმისაგან შეკერილი გრძელი ქვედა საცვალი და
მოკლესახელოებიანი პერანგი. ასე ჩაცმული იგი დილიდან
საღამომდე იატაქს სწმენდდა, საფურთხებლებს რეცხდა და
ნაგავს ეზიდებოდა.

რაგდენიმე დღის შემდეგ მაქტულებ და ასიეს დედინაც-
ვალმა კვლავ გადაწყვიტეს მისი გაპარება, მივიღნენ სამორჩი-
რო სახლში და, თითქოს ესაუბრებიან, წინსაფრის ქვეშ და-
მალული ტანსაცმელი გადასცეს. მან საპირფარეშოში გადაიგ-
ვა ტანსაცმელი, მოიღო თავსაფარი და როცა ერთად გამოდი-
ოდნენ, მოსამსახურე ქალმა, რომელიც მიხვდა, ვიღაც იპარე-
ბაო, ზედ ქუჩის კუთხეში სტაცა ხელი ასიეს. შეიქმნა დიდი
გაწევ-გაპირევა. შუაში გაჩერილ ასიეს აქეთ-იქით ეწეოდნენ.
იგი გამწარებული ყვიროდა. სწორედ ამ დროს მოვიდა ერთა
მედიცინის და და თავსაფარი გადაპხადა ასიეს. ამის შემდეგ
მოხუც ქალებს რაღა შეეძლოთ. მათ თავი გაანებეს ჩხუბს
და ხმამაღალი წყევლა-კრულვით გაშორდნენ იქაურობას.

მეორე დღეს იბრაჟიმი დილით ადრე პოვიდა სამშობიარო
სახლში. წინ დაუდგა ექიმს და დღემდე გაუგონარი მაღალი
ხმით უთხრა:

— ექიმო, კალო უპატრონოდ დამრჩა, ოჯახი ამერია, მი-
თხარი, ცოლს მატან თუ არ მატან?

ჯანკურთარანს ცოტა არ იყოს შეეშინდა, მაგრამ არაფე-
რი შეიმჩნია. ქალალდებში დაიწყო ქექვა და თავაუდებლივ
უპასუხა იბრაჟიმს:

— ორას ორმოცდაათ ლირას მომიტან და ცოლს წაიყვან!
მეტი არ მინდა!

— მაშ შენ ახლა ასიეს არ მატან, არა?

ჯანკურთარანმა ხმას დაუწია:

— ხომ გითხარი, ძმაო, უფულოდ ცოლს ვერ გაგატან-
მეთქი!

— თუ ასეა, გყავდეს, შენი იყოს. განა სოფელში სხვა ქა-
ლები არ არიან! ღმერთმა მოგახმაროს! — გაცხარდა იბრაჟიმი,
კარები მოიჯახუნა და გამოვიდა. ორ ნაბიჯზე, კედელთან
მომლოდინე ასიე არც კი შეუმჩნევია, ისე ჩაირბინა კიბეები
და წავიდა.

*

ასიემ მუშაობა შუალამისას მოათავა. საპირფარეშო და
სამზარეულო მიალაგა და დერეფნის ერთ ბოლოში ფარდით

გადალობილ კუთხეს მიაშურა. იატაქზე გაშლილ ლოგინშე წა
მოწვა და ჭუჭყიანი, უპირო საბანი დაინურა. ფარდაში დერე-
ფანში მდგარი ღამის ლამპის მკრთალი სინათლე იჭყიტებო-
და... ასიეს მაყვალიერით შავი თვალები თითქოს რაღაცას ეძე-
ბენ თეთრ ჭერზეო — ახლაც ისე წრიალებდნენ, როგორც ამ
რამდენიმე ხნის წინათ, როდესაც ის აქეთ შოჰიავდათ ურემში
შოლარე, საშოში მჯვდარი ბავშვით.

ასიე უეცრად წამოხტა, თავის მხარეს მოქცეული პატარა
ფანჯარა გამოალო და ძირს გადაიხედა. კაცნახევრის სიმაღლე
იქნებოდა. მას დიდხანს აღარ უფიქრია, ფეხშიშველი და საც-
ვლების ამარა პირდაპირ ბაღში გადახტა... ტუჩებზე მუჭი რომ
არ მიეფარებინა, საშინელი ყვირილი აღმოხდებოდა პირიდან.
თვალთ დაუბნელდა საშინელი ტკივილისაგან, რომელზაც და-
ნასავით დაუარა მუცელსა და მხრებში. იგი ქუჩაში გავიდა;
მუცელი ხელით ევირა, ნელ-ნელა დაადგა სოფლის გზას.

ქალაქებრეთ გზა დიდი მდინარის ნაპირს მიჰყვებოდა.
რაც უფრო შორიდებოდა ასიე ქალაქს, მით უფრო მატულობ-
და შეუილი მდინარისა, რომელიც გველივით მიიკლაქნებოდა
ჩაბნელებულ ტირიფებს შორის. მისი ხმაური ადამიანების
ხმაურს ჰგავდა. მოსახვევებში იგი ხან მატულობდა, ხან კი
მიშვნარდებოდა ხოლმე. ასიეს თანდათან უნელდებოდა
ტკივილების ატანა, ორად მოკეცილი მიაბიჯებდა გზაზე.
ასიემ ნაბიჯს აუჩქარა. წინ წახრილი მიღიოდა და მდინარის
ჩუხჩუხთან ხმაშეწყობილი იმეორებდა: „განა სოფელში სხვა
ქალები არ არიან!“. მისი ხმა გაღმა გორაქებამდე აღწევდა.
ასიე ძლიერსა მიაბიჯებდა. ჭრილობიდან გაღმონაცონი სისხ-
ლით დასველებულ ფეხებს სილა ეკრობოდა, მიწას მისი შავი
ნაფეხურები აჩნდებოდა.

სოფლის განაპირას რომ მივიდა, მეტი ველარ შესძლო
და მუხლებში ჩარგო თავი: „განა სოფელში სხვა ქალები არ
არიან!“ — ბლაოდა ასიე. მის ყვირილზე მთელი სოფელი გა-
რეთ გამოცვივდა. ახლოს მივიდნენ, ასიე მიწაზე გორავდა. იგი
სასწრაფოდ წაიყვანეს, მაგრამ საწყალ ასიეს დილამდე აღარ
მიუღწევია...

კედელი

დიდხანს ვიჯექი ციხეში, რომელიც ზღვის პირას ქალაქის გალავანში იყო მოქმედებული. გალავანს ტალღები ეხეთქებოდნენ, გუგუნებდნენ ქვის კედლებში მოწყვდეულნი და შორი გზისაკენ გვიხმობდნენ. კედელს იქიდან ამოფრენილი ზღვის ფრინველები, რომელთაც სველი ბუმბულიდან წურწურით ჩამოსდიოდათ წყალი, გაკვირვებული იჭყიტებოდნენ რკინის გისოსში და უმაღ შორდებოდნენ იქაურობას.

უდიდესი სიკეთეა ტუსალისათვის ჩასვა ისეთ ციხეში, რომელსაც არავითარი ურთიერთობა არა აქვს ქვეყანასთან. თავისუფლებასთან ისე ახლოს ყოფნა, რომ ხელით სწვდებოდე მას, ამავე დროს ნიშნავს იცოდე, თუ რა შორსა ხარ მისგან. განა მცირე სასჯელია ყურს უგდებდე ათიოდე ნაბიჯით მოშორებულ ზღვას, უდიდესი თავისუფლების მოციქულს, და თან იძულებული იყო მხოლოდ წარმოიდგინო ის და ციხის სქელ კედლებს მიაშტერდე?! განა უკეთესი არ არის ჩაგერი ტონ ისეთ ადგილას, სადაც ამოოხერის გარდა არაფერი გაგონებს თავისუფლებას, ვიდრე უყურებდე ფრინველებს, რომლებიც აქეთ-იქით დანავარდობდნ ამ დახშულ ადგილას, პურის ნამცეცებს კენკავენ, შემდეგ კი ფრთების ტყლაშუნით გადაევლებიან კედლებს და ლალად შეინავარდებენ ზეცაში?!

საპყრობილე, სადაც მე ვიჯექი, განგებ ისე იყო მოწყობილი, რომ ყველაფერი, ყოველი ბერა წუთით თვალწინ დამიხატავდა თავისუფლებას და ისევე მალე აქრობდა მას. კედლებზე ამოსული პატარა ხეები, ხავსიანი ქვებიდან გადაკიდებული ყვითელი ყვავილები გაზაფხულობით მთელი სიმწარით მიღვიძებდა ხელფეხშეკრულის ფიქრებს. უსასრულო ცაზე

შედივით დინჯად მოცურავე ღრუბლები ჩემს უკანასკნელ
სიმშვიდეს — თავდავიწყებასაც კი მართმევდნენ.

აქ მონაყოლი ყველა ამბავიც ხომ წარსულსა და ზარდასტუ-
ფალ ცხოვრებას ეხებოდა. ყველა აქ მოსული თითქოს ასრუ-
ლებდა სიცოცხლეს, იგი ქრებოდა მისი მეხსიერებიდან. თუ
აუცილებლობა მოიტანდა ცხოვრებაზე საუბარს, მაშინაც კი
ისე ზარტად ჟვებოდნენ, რომ ადამიანი ძძულებული იყო შეე-
წყვიტა ეს მტანჯველი თხრობა.

მხოლოდ ერთმა თმაგათეთრებულმა ტუსაღმა მიამბო შემ-
თხვევა, რომელიც მისი ციხეში მოსვლის პირველ წლებში
მომხდარიყო. ეს იყო ერთი ყაჩაღის ამბავი.

მაგრამ ჯერ სატუხალოს კედლების შესახებ მოგახსე-
ნებთ.

ეზოს ოთხი მხრით შემორტყმული კედლების იქით კიდევ
იყო რამდენიმე სქელი კედელი. ერთ დროს აქაურობა ქალა-
ქის შიდა სასახლეს წარმოადგენდა. ახლა კი სახეგაყვითლე-
ბული, წვერმოშვებული და ქვეყანას მოწყვეტილი ადამიანე-
ბი დაეხეტებიან იმ ბაღში, სადაც საუკუნეების წინ ახალგაზრ-
და ტყვე ქალები დადიოდნენ და ალბათ იმავე თავისუფლე-
ბაზე შეყვარებული, თვალებაპყრობილი ყურს უგდებოდნენ
ზღვას. ეს სქელი კედლები მათ უცხო თვალისა და მტრისა-
გან დასაცავად იყო ამოყვანილი.

ალაგ-ალაგ ჩამოშლილი და სხვადასხეა ბალანით დაფარუ-
ლი კედლების დასავლეთ კუთხეს ახლა უკვე ნგრევა დაე-
წეო.

ერთ დღეს ზემოხსენებულ თეთრომიან მოხუცთან ერთად
დანგრეულ კედელს გათვალიერებდი. წერაქვის დარტყმისა-
გან ნაკერანაჭერ ცეიოდა კირი. რვა მეტრის სიგანის კედლის
ნანგრევი საკმაოდ გრძელი იყო. მოხუცი ტუსაღები, რომელ-
თაც ნება პქონდათ გარეთა ბაღის ამ მხარეს გამოსულიყვნენ,
ამ ნანგრევის ყურებით ერთობოდნენ დილიდან საღამო-
მდე.

ნახევრად გამსკდარ კედელთან ვიყავით, როცა გვერდით
ხმაამოულებლივ მდგომი მოხუცი ჩემსკენ გადმოიხარა:

— ერთ დროს მე ამ კედლიდან ვაპირებდი გაქცევას! —
მითხრა მან.

ინტერესით შევხედე. იგი ბალის ერთ მხარეს მღვაწოდ კომშის გამხმარი ხისაკენ წავიდა. ერთმანეთის გვერდით ჩავალებით. ის თვალს არ აშორებდა დანგრეულ კულელს და თხრობას განაგრძობდა:

— ჩემი ციხეში მოხვედრის პირველ წელს ამ კედლების ძირის ხის დუქნები იყო. ზოგი ტუსალი იქ დურგლობას, მოქანდაკეობასა და ოქრომჭედლობას მისდევდა; გაკეთებულ ნივთებს გარეთ მყოფ კომისიონერებს აძლევდნენ, რომ მათ ნავსადგურში მოსულ გემებზე გაეყიდათ. ჩვენც, მე და ჩემმა ციხის ამხანაგმა, სახლიდან ცოტაოდენი ფული მოვატანინეთ და აი ამ დანგრეული კედლის წინ დუქანში მუშაობას შევუდებით. წყნარი ხალხი ვიყავით და ამიტომ ციხის უფროსიც გვმფარველობდა. მაგრამ ვერც ეს საქმე და ვერც მოვება ვერ გვავიწყებდა თავისუფლებას. აბა იფიქრე, ორივე ოც-ოცა წლისანდ ვიყავით. გარეთ ყოფნისას ადვილად ვერავინ წამოგვკრავდა ხელს. როცა ერთი კაბპის გამო უბეჭდურება შეგვემთხვა და აქ მოვხვდით, ვერც კი წარმოვედგინა, რომ რამდენიმე დღეზე მეტს დავრჩებოდით ციხეში. მაგრამ გონის მხოლოდ მაშინ მოვედით, როცა დანაშაული დაგვიმტკიცეს და თხუთმეტ-თხუთმეტი წლის პატიმრობა აგვიდეს. უფრო სწორად, მაშინ დავკარგეთ ჭკუა. მაგრამ რას იზამ? ოთხივე მხრივ კედლებია. იქნებ გვაპატიონ, სასჯელი ბოლომდე განარადენ კაცს მოუხდია-თქო, ვამბობდით და თავის დამშეიდებასა ვცდილობდით.

ერთ დღეს წებოს ვადულებდით დუქნის კუთხეში. ქვაბის ქვეშ ამოდებული შესა კედლის ქვის მოხვდა; მომეჩვენა, თითქოს ქვა აღგილიდან შეინძრა. ცეცხლი და ქვაბი მაშინვე გადავიტანე იქიდან. ქვის გაცივებისათვის აღარც კი მიცდია. ცოტაოდენი კირი ჩამოვანგრიე. ქვა მიწაზე დაეცა. დავიკუზე და შიგ შევიხედე. თვალებს აღარ ვუჯვერებდი: შორს სინათლე მოჩანდა. მაშინვე ამხანაგს დავუძახე; ისიც მიწაზე გაწვა და ცქერა დაუწყო. მერე მე მომიბრუნდა:

— ამ ხერელიდან გარეთ გასვლა თუ ძნელი არ იქნა, ახლავე გავიქცეთ!

— უნდა ვიფიქროთ ამაზე, — ვუპასუხე მე. სიტრონილე

გვმართებდა. სალამომდე ვერაფერი გავაკეთეთ, წინ და უკან
დავდიოდით.

ზოგ ლამეს, როცა ბევრი საქმე გვქონდა, ყარაულს ხუთ-
ათ ყურუშს ვაძლევდით და დუქანში ვრჩებოდით. ის კი შე-
მოწმებისას აღნიშნავდა, რომ ჩვენ ადგილზე ვართ. იმ სალა-
მოს, როცა საყვირის ხმა გაისმა და ყველა თავისი ოთახისკენ
წავიდა, ჩვენ არაბ ყარაულს ოცდახუთი ყურუში და ერთი
მუჭა თრიაქი მივაჩეჩეთ.

— ციხიდან რომ გახვალთ, ბანკირები იქნებით, ღმერთ-
მანი, — იხუმრა მან და წავიდა. დაღაძებამდე კაკლის ჯირკი
ვთალეთ ხელებითი.

ყველა დაწვა; მე ლამპა კუთხეში მივიტანე და ქვა გამო-
ვიღე. ჩემი ამხანაგი ფანჯრიდან მორიგე ყარაულს უთვალ-
თვალებდა. ის ურჯულო არაბი ჩვეულებრივ თრიაქს მო-
წევდა და იძინებდა ხოლმე, მაგრამ ახლა ამ ღორს სიარული
ჰქონდა იტეხილი. მე ნახვრეტში გავდევრი, მეორე ბოლოში
ხერელი მოჩანდა. მთვარე არ ანათებდა. იქაურობას მუქი
მწვანე ფერი ედო. კიდევ ცოტა წავიწიე. ზურგით ქვებს ვეხა-
ხუნებოდი, კისერში კირი მიცვიოდა. მცირე მანძილი გავიარე.
უეცრად თავისუფლება ვიგრძენი. ხელით მოვსინჯე იქაურო-
ბა; მივხვდი, რომ გაშლილ აღგილზე ვიყავი, ხელების ფათუ-
რით წამოვდექი-ფეხზე.

სამი ნაბიჯი სიგანე და სამიც სიმაღლე ჰქონდა ამ აღგილს.
ფეხზე დგომა მხოლოდ თავდახრილს შემეძლო. კედელს მა-
ვეურდენი და შვებით ამოვისუნთქე. ხოხვისას საქმაოდ
დავლლილიყავ. ცოტა ხანს ვიყავი ასე, დუქნის მხრიდან ხმაუ-
რი მოისმა, ნახვრეტიც ჩაბნელდა. პირველად შემეშინდა,
შემდეგ დავინახე, რომ ჩემი ამხანაგი მოდის. თითქოს აქაც
ვინმე ყურს გვიგდებსო, მე ჩუმად მივმართე მას:

— არაბმა ყარაულმა დაიძინა?

მან წამოიწია აღგილიდან და მიპასუხა: — დაიძინა მგონი.
ნახევარი საათია იღარ დადის.

ის ჩემზე უფრო ძნელად მოხოხავდა. ბოლოს ჩემამდეც
მოვიდა.

— ეს რა ადგილია? — მაშინევ მკითხა მან; ხელური გვ-
დელს მოუსვა და ჩაიღლაპარაკა:

— ეჭ, ირგვლივ ნესტია!

სიბნელეში ხელით მოვძებნე ჩემი ამხანაგი, თითები რაღაც
სქელ ტომარას შეეხო. ახლა მივხვდი, თუ რატომ უკირდა მას
ასე ხოხვა.

დღისით ტომარა ეპოვა და შიგ თავისი ულუფა ჩემწყო
მხოლოდ, რომ შესამჩნევი არ ყოფილიყო. ვინ იცის, იქნებ
ერთი ორი დღე ვერავინ ვნახოთო. მე სულ არ მახსოვდა საქ-
მელი, მას კი არ დავიწყებოდა და თან წამოელო. ცოტა ხანს
დაისვენა. — აბა, ახლა მაგრად იყავ, — მივმართე მე. ის ჩემ
წინ დაწვა და ხერელისკენ წაიწია, რომელიც ახლა კიდევ
უფრო ახლოს გვეჩენებოდა. მეც მიწაზე გავწექი და მოვემ-
ზადე უკან გასაყოლად. იგი უეცრად შედგა და — აქ არ გაის-
ვლებაო, — მითხრა. მას თავი ახლოს ჰქონდა მიტანილი
ხერელთან და ჩუმად ლაპარაკობდა, რომ მაღლა მოსია-
რულე უანდარმს არ გაეგონა. ბგერები ქვებსა და მის ტანსაც-
მელს შორის იკარგებოდა. მე წამოვდექი, ისიც უკან გამო-
ხოხდა.

— ნახერეტი დავიწროვდა, — თქვა მან, — ერთი ქვაა, ის
უნდა გამოვილოთ; მერე ისევ განიერია!

ერთხელ კიდევ გავიარე ეს ძნელი გზა და დუქანში დავ-
ბრუნდი.

ამის შემდეგ რიგრიგობით შევდიოდით ხერელში და ვმუ-
შაობდით. ხმაური რომ არ ყოფილიყო, ჩაქუს არა ვხმარობ-
დით, მხოლოდ კირს ვანგრევდით გარშემო და ქვის ადგილი-
დან დაძრას ვცდილობდით. ნახევარი ნაბიჯიც კი არ იყო იმ
ხერელამდე, რომელიც გარეთ გაგვიყვანდა... — ოღონდ ეს ქვა
გამოვეაღებინა! — ვამბობდით ჩენ.

თვალი შეჩვეული იყო სიბნელეს და ხერელის იქითა მხა-
რეს კარგად ვარჩევდით. გაღმა მეორე კედელიც მოჩანდა,
ძალიან დანგრეული. მასში გაძრომა აღვილი ჩანდა. წინათ
დაბელი ბიქები ბატქნებს რომ იყიდნენ, იქ აბინავებდნენ.
შემდეგში ყველა კედელი შეაკეთეს.

ამგვარად ჩვენ სამ-ოთხჯერ შევძეერით და გამოეძვერით.

ბოლოს მე შევედი, ასე ნახევარი საათი ვიმუშავე; ქვა სილა—
თან ერთად ჩემსკენ გადმოგორდა. სიხარულისაგან გიესადა—
ვემსგავსე. ჩემს ამხანაგსაც, რომელმაც ხმა გაიგონა, მოთში—
ნება აღარ ყოფნიდა. ხელი მაგრად შემოვჭიდე ქვას და უკან—
უკან წამოვიდე. განშე გადავაგორე და ხერელთან გავჩნდი.

მუშაობის დროს ხერელში არც კი გამიხედია. ახლა რომ
მივუახლოვდი, ვხედავ — თენდება.

ხელა გავყავი თავი და წინ, დაახლოებით ორმოცდაათი
ნაბიჯის მანძილზე, კოშკზე მორიგე უანდარმის ჩრდილს მოვ—
კარი თვალი.

ოფლში ვიყავი გაწურული; ნელ-ნელა უკან დაბრუნდი.

— დავილუპეთ, ვერ გავიქცევით!.. — ვუთხარი ამხანაგს.

მას ჯერ გაეცინა, შემდეგ თვითონ შეძვრა ხერელში. მაგ—
რამ მაღვე ისიც დაბრუნდა. ვიდექით და თვალებით ვზომავ—
დით ერთმანეთს.

— ეს ღამე გავიდა. სხვა დროს გავალთ, თუ ალაპმა ინე—
ბა, — ვთქვი მე.

მაგრამ კაცისათვის, რომელიც ასე ახლოს იყო თავისუფ—
ლებასთან, თავი ჰქონდა შიგ ჩატვული და ფალებშიც შეს—
ცემიროდა, ძალიან ძნელია უკან დაბრუნება. ამხანაგმა თავი
გაიქნია:

— სხვა დროს კი არა, ამაღამ წავალთ!

— ეს ღამე უკვე გავიდა, დლესა-თქო, თქვი! — ვუპასუხე
მე.

— კარგი, დლეს წავალთ!

თავდაპირუელად არც მე ვიყავი უკან დაბრუნების მომხრე,
მაგრამ ამის საჭიროებას რომ უუხსნიდი, ის არა და ჩემი თავი
კი დაფარწმუნე. ბოლოს და ბოლოს ჩემს სიტყვებს ისე დავუ—
ჯერე და ისე შემეშინდა, რომ — შენ თუ გინდა წადი, მე
დაერჩები, უანდარმის ტყვიას თავს არ მოვაკვლევინებ-მეთქი,
ვიყვირე და სასწრაფოდ გამოვხოდი დუქნისაკენ. მან მომა—
ძახა:

— ნუ წახვალ, ბიჭო, სანამ კარგად არ გათენებულა, ბალა—
ხებში გავძრებით!

მაგრამ ჩემმა გულმა იმ დასაბრმავებელი შიშისაგან ისეთი

ცემა დაიწყო, რომ ტანსაცმელშემოხეული ძლივს მოვალე
დუქნამდე, ქვა თავის აღგილას ჩავდგი და გათენებასა და საკ-
ნების გალებას დაველოდე.

იმ დილას, მოვანანებით, ყველაფერი გამოაშვარავდა. დუ-
ქანი ყარაულებითა და უანდარმებით გაივსო. მე შიშისა და
განცვიფრებისაგან სულელს დავემსგავსე. ქვა გამოილეს. გა-
მოჩინდა ხვრელი. დაიკუზნენ, გაიხედეს. მეორე ბოლოზე მო-
თავსებული ხვრელი ახლა დიდად გამოიყურებოდა. არავინ
მოჩინდა. ერთმა უანდარმა მაუზერი გაპყო და ორჯერ გაის-
როლა. ტყვიები კედელს მოხვდა და ხმა გამოსცა. მაშინვე და-
ცალეს ყველა დუქანი, კედლები გასინჯეს და ის ნახვრეტი,
საიდანაც ჩვენი ამხანაგი გაიქცა, ორივე მხრივ ამოლესეს. ამის
შემდეგ დუქნის გახსნა და მისთანობანი აერთალული იქნა.

მე ბევრი არ მომხვედრია, რადგან არ გავტეულვარ. ცი-
ნის უფროსს, ყარაულის უფროსსა და პროკურორსაც კი შე-
ვეცოდე... თორემ ჯოხის კუმით მომქლავდნენ...

თმაჭალარა ტუსაღი ცოტა ხანს გაჩუმდა. თვალება ნახევ-
რად მოხუჭა, თითქოს რამეს იხსენებსო. მე არც მიყურებდა,
ისე ნაწყვეტ-ნაწყვეტ ისროდა სიტყვებს:

— ეჲ... რა სისულელე ჩავიდინე, რა სისულელე. განა-
უანდარმის ტყვია თხუთმეტ წელიწადზე უარესაა? შიშის გა-
მო ჩემი ახალგაზრდობა დავღუპე. ის კი... ვინ იცის ახლა სად
არის. აქეთ მეტი აღარ გამოჩენილა. შორეულ ქვეყანაში და-
სახლდა ნამდვილად, იქ, საღაც მას არავინ იცნობს. ჭკვიანი
კაცი გამოდგა... ალბათ ოჯახსაც მოეკიდა. რომ მომენტომე-
ბინა, მეც მასთან ერთად შემეძლო ყოფნა. მაგრამ წუთიერმა
შიშმა... იმ დასაღუპავმა შიშმა...

სახის კუნთები დასჭიმოდა მოხუცს; ჩემს სიცოცხლეში
არ მენახა კაცი, რომელსაც ასე სძულდა თავი, საკუთარ თავზე
მოსდიოდა გული. დღითიდღე დაგროვილი ზიზლი თანდათან
სიძულვილში გადადიოდა. წარამარა იპურჭყებოდა და ამით
რჯერებდა გულს, საკუთარი სიმხდალით გაგულისებული.

მოპირდაპირე მხარეს მუშებს საკმაოდ დაედაბლებინათ
კედელი. ჩვენ ფეხზე წამოვდექით და იქითკენ წავედით. სწო-
რედ ამ დროს ხმაურით დაგორდა რამდენიმე ქვა.



მუშები უკან გადმოხტნენ. ჩემს თანხმლებს გაელიმა.

— მე რომ გითხარი, იმ ცარიელ აღვილს მიადგნენ; — ალ-ბათ, კედლის შუა ადგილზე რომ სიცარიელეა... მე იმ დროიდან ბევრი ვითქიქრე, მაგრამ ვერ მივხვდი, რისთვის იყო ეს გაეთხებული. ვინ იცის წინათ აქ, კედელში, იქნებ გზები და კარები იყო?

მუშები ამასობაში იმ ხერელს მიუახლოვდნენ, სადაც ქვები ჩაცენილიყო და შიგ იცქირებოდნენ. კიდევ რამდენიმე შვა გადადეს განხე. უცრად, მათს სახეზე საშინელი გამომეტყველება გაჩნდა. თვალებზე ხელებაფარებულნი სასწრაფოდ მოშორდნენ ხერელს.

გარშემო მყოფნი და მათ შორის მეც და ჭაღარა კაციც იქითქენ გავეშურეთ, დაბალ კედელზე ავძვერით და ხერელს მივუახლოვდით. უველა გარს იყო შემოხვეული და უხმოდ იცქირებოდნენ ქვევით. ხალხი მივწი-მოვწიეთ, ახლოს მივდით და გადავიხედეთ:

უცრად ვიგრძენი, რომ ვიღაცამ მაგრად ჩამჭიდა ხელი, თან ნერვიულად თრითოდა.

იქ, ქვევით, ნესტიან ქვებზე, რომელთაც ასწლობით არ მოხვედრიათ მზის სხივი, აღამიანის თეთრი ჩონჩხი იყო გართხმული.

ერთმანეთს დაშორებულ ძვლებთან ერთი წყვილი ძველი ფეხსაცმელი ეგდო, იქვე ტომარაც მოჩანდა.

თავი აეწიე და ჩემს გვერდით მყოფს შევხედე. მას ისევ ეპირა ჩემი ხელი და ძველებურად კანკალებდა.

სახე მთლად გაყვითლებოდა და სიკვდილს გადარჩენილი აღამიანის გამომეტყველება მიეღო.

ძპლლი

ზაფხულის ცხელი დღე იდგა. მზე განშე იყო გადახრილი. ნაშუადღევი ახლოვდებოდა, მაგრამ არსალ იძვროდა მინდვრის გაყვითლებული ბალახი. კოჩისარის ტბიდან ამ დროს ყოველთვის უბერავდა ხოლმე ქარი და აქა-იქ მტვრის ღრუბლებში ახვევდა თვალუწვდენელ ველს. დღეს კი ნიავიც არ ჰქონდა.

მინდვრის ექლიან ბალახში ჩაწოლილიყვნენ ხუჭუჭბეჭვიანი ცხევრები, ძილმორეულ, ნახევრად მოხუჭულ თვალებს ახამხამებდნენ და თეთრ, მუჭის ოდენა უძრავ ღრუბლებს გასცემუროდნენ პორიზონტის აღმოსავლეთით.

შორიახლო გორაქშე მეცხვირის ორი, ერთი მეორეზე დიდი და ჭრელი ძალლი იწვა. იქიდან კარგად ჩანდა მთელი ფარი. მართალა, ისინი მძინარეებსა პგვანდნენ, მაგრამ დროდადრო ყურებს ცეცეტდნენ, თითქოს ელექტროდენმა დაუარაო, პატარა თვალებს სწრაფად მოავლებდნენ ფარას, ისევ დახუჭავდნენ და დაღლილ თავებს ნელა დაუშვებდნენ წინგაშვერილ თათებზე.

მწყემსი უფრო მომაღლო გორაქშე წამომჯდარიყო. იგი ჯოხშე დაყრდნობილი თვლემდა და გასცემროდა ბორბლების ღრმა და პარალელური ნაკვალევით დაღარულ ანქარა-კონის შარაგზას, რომელიც მისგან სამასიოდე ნაბიჯით იყო მოშორებული.

გზაზე ათამდე წყვილი ნაკვალევი იყო. ისინი, თანდათან ღრმავდებოდნენ, მათი შეა ნაწილი ავტომობილების ძირს ედებოდა. ამიტომ მანქანები გვერდს უკლიდნენ ხოლმე. ახლა ახალ აღვილას ჩნდებოდა ბორბლების ნაკვალევი.

ახალგაზრდა მწყემსი ფიქრობდა იმაზე, თუ დროთა განმავლობაში როგორ შეიძლებოდა გამრავლებულიყო ეს დაგრე-

ხილო პარალელური ღარები. იგი ხედავდა როგორ თანდათან
ფართოვდებოდა ფქვილის მსგავსი მტვრით საკე ორმოვნები,
რომლებიც ქარის ამოკრისას მტვრის ღრუბლებისგან ავარ-
დნილი კორიანტელით უერთდებოდნენ ერთმანეთს და თანდა-
თან სერავდნენ და იკავებდნენ მთელ მინდორს.

„მაშინ, — აჩბობდა ის თავისთვის, — იღა უსათუოდ გა-
ყიდის თხებს“. ჯერ ახლაც თხები საათობით დახეტიალობ-
დნენ და ეკლიანი ბალახის გარდა ვერაფერს პოულობდნენ.
გაზაფხულშე ამოსული დაბალი და თხელი ბალახი მაშინვე
შეიქმნებოდა ხოლმე და თხებს ისლა რჩებოდათ, რომ აქა-იქ
ამოსული და უდროოდ გაყვითლებული ბუჩქები ეღრღნათ.
მაგრამ, როგორც ჩინდა, ეს მათზე არ მოქმედებდა: ამ უვარ-
გისი ბალახის მიუხედავად გრძელი ბეწვი აძრეშუმს მიუგვ-
დათ; მათ თვალებში კმაყოფილება და სიზანტე ეხატებოდათ.

მწყემსი მარტო იმაზე როდი ფიქრობდა, რომ საავტომო-
ბილო გზა მთლად მოიცავს ველს და თხებს საკვები იღარ
დარჩებათ. მას სხვა ფიქრებიც მოსდიოდა თავში:

„თუ აღამ თხები გაყიდა და მე გზას გამიყენა, ჩემს წლიურ
გასამრჯელოს მთლიანად მომცემს, ნეტავ?“

წელიწადში თორმეტი ლირა ერგებოდა. პური და მაწონი
აღასი იყო, მაგრამ ორი წელიწადია ათი ფარაც არ მიუღია.—
ფული რად გინდა? — ეუპნებოდა აღა, — ჩემთან იყოს,
ერთად მოვცემ!

მწყემსი შიშველა დადიოდა, მაგრამ ქველ შარვალ-ხალათს
მისცემდნენ ხოლმე და იშორებდნენ თვითიან.

„ორი წლის ჯამაგირი ერთად თუ ავიღე, კარგი იქნება,
მაგრამ, ვინ იცის!“ ეჭვით გაიწინა მწყემსმა თავი.

თვრამეტი წლისა თუ იქნებოდა. ხორბლისფერი სახე ჰქონ-
და, ლია წაბლისფერი თმა, თაფლისფერი თვალები. ცოტა წინ
წამოწეული კბილებისა და თვალებზე ჩამოშლილი წარბების
გამო არ ითქმოდა ძლიერ ლამაზიაო, მაგრამ ისეთი სიღინჯე
და სერიოზულობა ეხატა სახეზე, რომ კაცს მოეწონებოდა.

„მოხუცი დედა რომ არ მყავდეს, ქალაქს წავიდოდი და
ხეთ-ათ ყურუშს გავაკეთებდი“. მაგრამ არც ეს ეჩვენებოდა
შესაძლებელ ბედნიერებად: მას გაახსენდა რამდენიმე კაცი,

რომლებიც ქალაქს წავიდნენ, სამი-ოთხი წელი დაჰყვეს იქ
და კიდევ უფრო უბედული, დატანჯული და შეიძლებოდნი
დაბრუნდნენ. ისინი ყვებოდნენ, რომ იქ ტვირთსა ზიდავდნენ,
შავ სამუშაოს გარდა ვერაფერს შოულობდნენ. დღეში თუ
ოცდახუთ-ოცდაათ ყურუშს გამოიმუშავებდნენ, თავს მდიდრე-
ბად თვლიდნენ. ღამეს გარეთ, ქუჩაში ათვედნენ და სოფლის
ცხელი საბძლები სანატრელად ჰქონდათ გამხდარი.

„რა ვქნა?“ — ეკითხებოდა მწყემსი თავის თავს.

მას შემდეგ, რაც დედამისს მინდვრად მუშაობა აღარ
შეეძლო, ახალგაზრდა მწყემსს სულ ასეთი ფიქრები უტრია-
ლებდა თავში. მაგრამ უიმედობა იპყრობდა, როცა ხედავდა,
რომ სხვაც ასეთ მდგომარეობაში იყო.

მაგალითად, ერთი მისი ნათესავი ოამდენიმე წლის წინათ
იზმირს წავიდა და ერთ-ერთ ფაბრიკაში მუშად დადგა. პირ-
ველ ხანებში ამბავი მოჰქონდათ, რომ საქმე კარგად მიუდიოდა.
მაგრამ ერთ დღეს ცალფეხა დაბრუნდა სოფელში. ფეხი მან-
ქანაში მოჰყოლოდა. ხელში ორმოცი-ორმოცდაათი ლირა
შეუჩეჩებიათ და თავიდან მოუშორებიათ. ფული რომ შეძოე-
ვამა, სოფელში ვეღარ წამოვიდა. კონიაში წავიდა სამათხოვ-
როდ. იქ თურმე მუნიციპალიტეტი არ ასვენებდა. საწყალი
ცუდ დღეში ჩავარდა.

სოფელში დარჩენა და სამუშაოს პოვნა შეუძლებელი იყო.
მცირე მოსავლიანი მიწის საყიდლად უნდა ათი წელი გემუ-
შავა, ხოლო ერთი ულელი ხარის პატრონი რომ გამხდარიყა-
ვი — თხუთმეტი. თუმცა ამის შემდეგაც საეჭვო იყო, რომ
შენი ცხოვრება უფრო დატებებოდა: არც მიწისა და ერთი
უღელი ხარის პატრონები იყვნენ უკეთეს დღეში. ერთი წელი
რომ გვალვიანი გამოერეოდა, ისინიც სხვა გლეხებივით მთაში
მიდიოდნენ ბალახის საქმელად. ამას ზედ ერთვოდა ისიც,
რომ ხარები შიმშილით ეხოცებოდათ ან კიდევ ჩალის
ფასად ყიდდნენ. მწყემსი, გლეხების აზრით, კიდევ უკეთეს
მდგომარეობაში იყო, რაღაც აღა შიმშილობის დროს თავის
პურსა და მაწონს აქმევდა; ერთ დღეს იქნებ ფულიც მიეცა;
ვინ იცის?

— კარაბაშ!

ძაღლმა მაშინვე თავი აიღო, წამოიწია და პირდაპირ იქით
გაიხედა, საიდანაც ხმა მოესმა; ნელ-ნელა დაჭიმა ფეხები და
სწრაფად გაჩნდა მწყემსთან.

მეორე ძაღლი ადგილზე წამოიწია და თავი მწყემსისკენ
მიაბრუნა. არ უჩქარია, რადგან მას არ ეძახოდნენ, გულმოლ-
გინედ იბერტყავდა ბეწვზე მიკრულ ბალახსა და მტვერს.

კარაბაში ერთ ნაბიჯზე გაჩერდა მწყემსის წინ. ბეწვიან
კუდს ჰაერში ათამაშებდა და მომლოდინე თვალებით შესც-
ეროდა.

მწყემსმა ხელი გაიშვირა, წინა ფეხში მოჰკიდა ძაღლს და
თვაისკენ მოსწია. სამ ფეხზე მოხტუნავე კარაბაშმა თავი
იღლიაში ამოსდო პატრონს და გაიზმორა. მისი მსხვილი ტანი
კმაყოფილებისგან თრთოდა, კუდს ისე იქნევდა, რომ აქეთ-
იქით წვრილ-წვრილი ხოროშები ცვიოდა.

მწყემსი და მისი ძაღლი ხმაამოუღებლივ შესცეროდნენ
ერთმანეთს თვალებში. ჩანდა, მათ კარგად ესმოდათ ერთმა-
ნეთისა და ღრმა აიყვარულით იყვნენ დაკავშირებულნი. მწყემ-
სის წინ წამოწეულ თეთრ კბილებში გამონადენი წყნარი
სუნთქვა ძაღლს სახეზე ეფინებოდა და მისი ფაფუკი ენაც ისე
თრთოდა, თითქოს ამ ჰაერს ისრუტავსო.

მარცხნივ გორაკზე ფეხზე წამომდგარი მეორე ძაღლი, რო-
მელიც გრძნობდა, რომ ახლა ფარისთვის თვალყურის დევნე-
ბა მხოლოდ მის კისერზე იყო, უცბათ მოწყდა ადგილს და
ყეფით დაეშვა ქვევით. მწყემსმა და მის კალთაში ჩაწოლილ-
მა კარაბაშმა იქითქვენ მიატრიალეს თავი.

შორს; ანკარის მხრიდან, მტვრის კორიანტელი მოემართე-
ბოდა. მოახლოებისას აღმოჩნდა, რომ ავტომობილი იყო.
ახლა მწყემსთან მყოფი ძაღლიც ქვევით დაეშვა და გზის,
უფრო სწორად, გზების ნაპირზე ჩავიდა. ორივეს თავი წინ
გაეშვირათ, ყეფდნენ და ულოდნენ ხმაურით მომავალ მტერს.
მათ შორის მანძილი რომ შემცირდა, პირდაპირ მანქანისკენ
გაექანენ; თხებმა ამ ღროს განსაცვიფრებელი გულგრილობა

გამოიჩინეს. მათს გრძელ და დაგრეხილ რქებში ბრწყინვადა
უკვე საქმაოდ დაბლა დასული მზის სხივები.

ავტომობილი ძალების მიახლოვებამდე გაჩერდა. თეთრ
მტვერში აღვილად შეიძლებოდა გაერჩიათ დიდი და გადა-
ხურული მანქანის ღია ლურჯი ფერი.

ძალებში ცეცხალი უკლეს. ისინი მწყემსმა მოიხმო. ორივე
ზანტად მოშორდა იქაურობას.

ავტომობილის წინა კარი გაიღო და გარეთ შავთმიანი და
წვრილულვაშა ახალგაზრდა გამოვიდა. მან მწყემსს ხელი
დაუქნია, მოდიო.

ეს ახალგაზრდა ინუინერი იყო. განათლება კოლეჯში და
შემდეგ ამერიკაში მიეღო. სამშობლოში ერთი წლის წინ
დაბრუნებულიყო. გავლენიანი ნათესავების დახმარებით მოქ-
ლე ხანში რომელიდაც ბანკის ერთ-ერთი სექციის უფროსი
გამხდარიყო და ხელფასიც 500-მდე ლირა ჰქონდა. ის უკმა-
ყოფილო არ იყო ამ აღვილისა, რომელსაც საერთო არაფერი
ჰქონდა მის განათლებასთან. გაპრიალებული მაგიდის ერთ
მხარეს დაწყობილი მათემატიკური წიგნები არ კმარიდა იმის
დასადასტურებლად, რომ მათი პატრონი განათლებული კაცი
იყო. იგი რამდენიმე საათში ამთავრებდა ფინანსიურ ოპერა-
ციებს და დანარჩენ დროს კლავდა ინგლისური უურნალის
თვალიერებაში, რომელიც ალბათ უკვე ერთი სამჯერ მაინც
ექნებოდა ნახული.

ექვსიოდე თვის წინათ ის ბანკის ერთ-ერთი დიდი მოხე-
ლის ქალაშვილს დაეჭინდა. ახლა უფრო უკეთესად შეიძლე-
ბოდა თავისუფალი დროს გატარება.

მანქანა, რომელიც მან იყიდა და საცოლესთან ერთად და-
სეირნობდა, ერთადერთი იყო ანკარაში. ცველა გამვლელი გან-
ცვიფრებული შესცემერდა გაპრიალებულ და ვეება მანქანას,
რომელიც უხმოდ გამოჩნდებოდა ქუჩის ერთ კუთხეში, სრია-
ლით გაინავარდებდა და მეორე ბოლოში გაუჩინარდებოდა.

დღეს კონიაში მიდიოდა მეგობარი ინუინრის სანახავად,
რომელმაც მასავით ამერიკაში მიიღო განათლება.

მას საცოლე ახლდა. მათთან იყო სასიდედროც, რომელ-

ზაც უხერხსულად მიიჩნია ქალიშვილის მარტო გაშვება და თან
გაპყვა. სიახლით კმაყოფილი ახალგაზრდა ქალი სულ კისკე-
სებდა. მტვრისა და რყევისაგან შეწუხებული დედამისიკებ
ბუზღუნებდა.

მანქანიდან გადმოსულმა ინეინერმა მწყემსს დაუძახა და
აქეთ-იქით დაიწყო სიარული, რომ დაბუჟებული ფეხები
დაესეენებინა.

ნაცრისფერი შალის სპორტული ტანსაცმელი ეცვა, თავზე
იმავე ფერის ქუდი ეხურა. გალიფეს ყაიდაზე შეკერილი შარვ-
ლის ქვეშ მოუჩანდა ჭრელი წინდები და ცხვირმრგვალი ბეჭ-
ვიანი ფეხსაცმელი. როგორც ყველას, ვისაც საკუთარი მან-
ქანა ჰყავს, მასაც ფეხსაცმელზე ბეზზინისა და მანქანის ზეთის
ლაქები აჩნდა, მარჯვენა ფეხსაცმლის ძირი კი გახვრეტილა
იყო იქ, სადაც ფეხი გაშს ებჯინება ხოლმე.

ინეინერმა გაიარ-გამოიარა, მანქანასთან გაჩერდა, ხელები
გვერდითი ქარის ღია ფანგვარას დააყრდნო დ თავის საცო-
ლეს მიმართა:

— საიდან მოგივიდა თავში ამ მწყემსთან საუბარი?

ახალგაზრდა ქალმა მხრები და თვალები შეათამაშა და
უთხრა:

— მაინტერესებს, მე ხომ გლეხი არასდროს მინახავს.

იქვე მჯდომი დედამისი თავმოუბრუნებლივ ჩაება ლაპა-
რაკში: — ეგ რა მიზეზი! არ გინახავს განა ანკარაში, ბაზარ-
ზე, ქუჩაში?

— ა! ისინი განა გლეხებია, მუშებია... მე კი ასეთი მწყემ-
სის ნახვა მინდა, მერე ციქნებსაც მინდა მოვეფერო...

— აქ ციკნები არ არის, — უთხრა ინეინერმა, — სულ
ბებერ-ბებერი თხებია.

ყოველი სიტყვის წარმოთქმაზე, მოძრაობასა და გამოხედ-
ვაზეც კი ამ ქალს სხეულის ნაწილები უკროოდა. ნახევრად
ხელოვნური და ნახევრად ნერვიული მიხვრა-მოხვრით იგი სა-
საცილო სათამაშოს მოგაონებდათ.

— რა მოხდა მერე, — წამოიძახა მან უქმაყოფილო წვრი-
ლი ხმით, — თუ ვთქვი, რომ გაეჩერდეთ, მე ასე მომეხასიათა
და ამიტომ ვთქვი! რა კარგად წვანან თხები!

ამ დროს მწყემსიც მიუახლოვდა. ძალები კი თავის იღ-
გილზე დაბრუნდნენ და ფარას დაუწყეს თვალთვალი.

ახალგაზრდა ინჟინერმა მწყემსს მიმართა:

— ახლოს მოდი! სადაური ხარ?

მწყემსმა ხელით ველის ჩრდილოეთით განლაგებული სოფელი უჩევნა.

— იქაური ვარ!

— ეს თხები შენია?

— არა, აღასია!

— ყოველ დღე აქ დადიხარ და აძოვებ?

მწყემსმა შეათვალიერა მის წინ მდგომი. უნდოდა გაეგორატომ ცკითხებოდნენ ამას; შემდეგ მხრები აიჩეჩა და წაიბუტბუტა:

— რა ვიცი, სადაც მოგვიხდება, იქ მივდივართ. — მწყემსი უხერხულად გრძნობდა თავს, რადგან იძულებული იყო ინჟინრის სხვა ამგვარ კითხვებზეც ეპასუხა. განსაკუთრებით წუხდა, რომ ვერ გაეძედა თქვევა: „რას მცკითხებით ჩემი საქმიანობის ამბავს, წადით, თქვენს საქმეს მახვდეთო“. იქითაქეთ იცქირებოდა და ავტომობილსაც შეავლებდა ხოლმე თვალს.

ამ დროს შიგნით მსხდომთაც გამოალეს ქარი, მანქანიდან ახალგაზრდა ქალი გადმოხტა, მას თეთრი, დაბალქუსლიანი ფეხსაცმელი ეცვა. უკან დედამისი მოჰყვა. იგი ორავე ხელს იველიებდა და მძიმედ გადმოდიოდ. მოხუცი ქალის სახეზე უქმაყოფილება იხატებოდა: „რატომ ვკარგავთ აქ დროს, — ფიქრობდა იგი, — რას არ მოიფიქრებენ ეს ბავშვები“.

ახალგაზრდა ქალი თავის საქმროს მიუახლოვდა, თითები გადახლართა და კისერზე ჩამოექიდა მას. შემდეგ მწყემსს მიმართა:

— აქეთ მომხედე, მწყემსო, — უთხრა მან, — შენ საცოლე გყავს?

ეს სიტყვა მწყემსს რამდენიმე წლის წინათ წაკითხულ ზღაპრებში შეხვედროდა, მაგრამ ვერ გაეგო და ახლაც გაკვირვებით შეეკითხა:

— ეგ რაღას ნიშნავს?

ქალიშვილმა საქმროს შეხედა; ინჟინერმა განუმარტა:

— საცოლე ან დანიშნული, ასეთი წითელლოყება სატრ.

უოა... — და მის მხარზე დაყრდნობილ ქალბშვილს ლოკაში
წაავლო ხელი.

საქართველოს
სახელმწიფო მუზეუმი

მწყემსს უსიამოვნოდ შეეჭმუხნა სახე:

— სადაურ საცოლეზე მელაპარაკები, საკუთარ მუცელს
ძლივს ვიძლებთ.

— მდიდარი ქალი გამონახე, ვინმე იღას ქალიშვილი.

მწყემსს პასუხი არ გაუცია. თვალებდაჭყეტილი შესცეკე-
როდა უფროს ქალბატონს. იგი არახვეულებრივად დააინტე-
რესა ამ კრელად გამოწყობილმა ქალმა, რომელსაც ოქროს-
ფრად შელებილი ხუჭუჭა თმა პქონდა, ყურებზე ოქროს მტევ-
ნებივით საყურე ეკიდა, თვალის ქუთუთოები ლურჯად შე-
ფერადებინა, ლოყები კი წითლად. მწყემსი უცქერდა და თვა-
ლი ვერ მოეშორებინა.

ინეინერი ხედავდა, რომ მისი შეკითხვები უპასუხოდ რჩე-
ბოდა. იგი შეიძყრო სურვილმა „ხალხს, გლეხობას დაახლო-
ვებოდა“; უფრო სწორად, მას ანერვიულებდა მწყემსის სი-
დინჯე და რწმენა საკუთარი თავისაღმი, მას უნდოდა მისი
გაღიზიანება და უფროსის ტონითა და აშკარა საყვედლერის
კილოთი მიმართა მწყემსს:

— რატომ პასუხს არ მაძლევ? შეხე, ჩვენ რა ინტერესით
გვპყრობით. შენ ჩვენი სოფლელი ძმა ხარ, ჩვენც ხომ სოფ-
ლიდან ვართ გამოსულნი!

— ვისი გვარისა ხართ? — ინტერესით იყითხა მწყემსმა
ინეინერი ჯერ ვერ მიხვდა, მერე კი განაგრძო:

— არა, ძმაო, ეგრე კი არა; ჩვენც შენსავით სოფლელები
უართ, ჩვენი წინაპარი გლეხია. ყველა ერთნი ვართ-მეთქი,
იმის თქმა მინდა.

მწყემსმა სამივეს თვალი მოავლო: — ვერ გავიგე, —
ცივად უპასუხა ინეინერს და ისევ მის სასიღედროს მია-
შტერდა.

ინეინერს უკვე აშკარა შური დაეტყო:

— საით იყურები ეგრე? — მიმართა მან მწყემსს.

— საით უნდა იყურებოდეს, — უპასუხა სასიღედრომ, —
თვალებით მჭამს პირდაპირ; მხეცია თუ რა არის?

მწყემსს მთლად გაუფართოვდა თვალები, როცა ქალმა

პირი დაალო და გამოუჩნდა კაუჩუკის, ფაიფურის, ოქროსა
და რამდენიმე გრძელი, ჩაყვითლებული კბილი.

ინტერვიუს უნებურად გაეცინა. მწყემსმა უკან მოიხედა.
ჩანდა, მოსწყინდა ეს საუბარი. ამ დროს ინტერვიუს გაახსენდა
თავისი საზოგადოებრივი ვალი ესაუბრა ხალხთან, სწორად
გზა ეჩვენებინა მათვეის და დაიწყო:

— ური მიგდე, ძმაო, ოქვენ ჯერ ძალიან ჩამორჩენილე-
ბი ხართ. აბა გვიყურე, ჩვენ თქვენი გულისათვის მოვდივართ
აქ, რომ გესაუბროთ, თქვენი დარღი და ვარამი შევიტყოთ.
ოქვენ კი, იმის ნაცვლად რომ გვისმინოთ, განშე იყურებით.
მე მინდა გავიგო, რა გაწუხებს? მთელი გული უნდა გადამი-
შალო. მე შენი ძმა ვარ, ასე არ არის?

მწყემსი მთლად გაწითლებულიყო. მთელი ამ საუბრიდან
ვერაფერი გაეგო და ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს რაღაც
ეწყენინებინოს ინტერვიუსათვის.

ის კი განაგრძობდა:

— მე ინტერვიუს ვარ. შენთვის ვმუშაობ. შენ გლეხი ხარ,
ჩემთვის მუშაობ. განა შეიძლება, რომ ერთმანეთს ვერ გავუ-
გოთ?

კიდევ უნდოდა ბევრი რამ ეთქვა; მართლა შეწუხებული
იყო. გრძნობდა, რომ აცეილებლად უნდა ელაპარაკა
მწყემსთან. მაგრამ მისთვის გასაგები ენა ძნელი გამოსანახი
იყო, თან კიდევ თურქულიც არ იცოდა საკარისად, ამიტომ
სიტყვას შუაზე წყვეტდა ხოლმე.

მწყემსმა უარყოფის ნიშნად ორ-სამჯერ გაიქნია ხელი და
წაიბუტბუტა:

— მე არაფერი მითქვამს, ეფენდი, ვანა რამე ცუდი ჩავი-
დინე?

ინტერვიუს საცოლემ ვერაფერი გაიგო ამ უცირად შეცვლა-
ლი საუბრისა და შეწუხედა. დედამისს თვალი ჩაუკრა და ყმა-
წვილ კაცს ხელი ჩავლო:

— წამო, ჩემო ძვირფასო, წავიდეთ!..

ინტერვიუს გვლავ გაალო პირი რაღაცის სათქმელად,
მაგრამ სიტყვა ვეღარ იპოვა. სასწრაფოდ მანქანასთან შივიდა

და მოტორი აამუშავა. მანქანა შეინძრა და მტვრის ტრუში
განვეული სწრაფად გასრიალდა.

მწყემსი წუთით მისთვის დღემდე უცნობმა სევდამ შეი-
პყრო. მას ვეღარ გაერქვია, მართლა უსამართლოდ ხომ არ
მოექცა სტუმარს და ხომ არ გააბრაზა იგი? „ალბათ მართლა
ველური ვარ“, — ფიქრობდა მწყემსი.

ინუინერი საშინელმა გულისწყრომამ მოიცვა. უბრალო
მწყემსთან ასე ჩბილად საუბრის შემდეგ თავისი წმინდა ლირ-
სება შებლალულად ეჩვენებოდა. ნაცვლად ძმობისა და მეგობ-
რობისა, რომლის გამოჩენასაც იგი ასე ცდილობდა წელან-
დელ საუბარში, ის ახლა ხედავდა იმ დიდ განსხვავებას, რო-
მელიც მწყემსსა და მას შორის იყო.

— მათგან არასოდეს დადგება ადამიანი, — წაილაპარაკა
მან.

ინუინერი საცოლის ყვირილმა გამოაფხიზლა. მან განზე
გაიხედა და დაინახა, რომ ორი ძალლი ყეფით უახლოვდებოდა
ავტომობილს. ხელი მაშინვე უკანა ჯიბისკენ წაიღო. შემდეგ
შეჩერდა, დაფიქრდა. მას საჭიროდ ეჩვენებოდა იმის გაკეთე-
ბა, რასაც წელან ქვეცნობიერად პირებდა. ზოგი სხვა მოსაზ-
რება რომ არა, ახლა იარაღს აღმართ მწყემსის წინააღმდეგაც
გამოიყენებდა. მამისგან დარჩენილი პატარა მაუზერი ფანჯა-
რაში გაჟყო და კრელ ძალლს ლია ხახაში ესროლა. შემდეგ
გაზს უმატა და თავის მანქანიანად მოეფარა მტვრის კორიან-
ტელს.

გრძელბეჭვიანი კარაბაში გზის პირას დაგორდა და იქვე
დარჩა უძრავად. მეორე ძალლი იქვე იდგა, ფეხები წინ გაეშ-
ვირა, თითქოს წასასვლელად ემზადებაო. მწყემსმაც მიირ-
ბინა, დაიჩოქა და საყვარელ მეგობარს თავზე გადაუსვა ხე-
ლი. წელანდელი სევდა ნამდვილმა ღრმა მწუხარებამ შეცვა-
ლა. მას არავთარი ურთიერთობა და სიახლოე არ ჰქონდა ამ
გამვლელებთან. ის ხედავდა მხოლოდ, რომ მათ მოაშორეს
საყვარელი არსება და ცრემლმორეული ეალერსებოდა
ძალლს.

მეორე ძალლიც თავისი ძმის სახეს ყნოსავდა. ახლა გრძელ-

ბეჭვა და უცოდველთვალებიანი თხებიც წამოიშალნენ. ისინი
გაკვირვებული გასცემეროდნენ პორიზონტზე ამდგარი მტვრის
კორიანტელს. თხები ნელ-ნელა თავს იყრიდნენ მკვდარი ძაღ-
ლის გარშემო. ჩამავალი მზის წითელი სხივები თხების პრია-
ლა ზურგზე ციმციმებდა.

თვალის ოპერაცია

იმ ხანებში უმუშევარი დავდიოდი. მდგმურად ვიდექ ჩემს ნათესავთან, რომელსაც კერძო საავადმყოფო ჰქონდა ანკარაში. მე მორცხვად შევდიოდი სახლში საავადმყოფოს ზედა სართულზე და კუთხეში მიმჯდარი ვკითხულობდი წიგნს. ძალიან მაბრაზებდა აქაური განებივრებული ბავშვების ყოფა-ქცევა და ჩემი ნათესავის მუდმივი დარიგება, რომელიც ასე იწყებოდა: „თქვე დეგენერატებო“... ყოველივე ამას ხან ღიმილით და ხან კი დაღვრემილი ვხვდებოდი ხოლმე.

ფული არ მეხარჯებოდა, რადგან საჭმელს იმათთან ვკამდი, ღამე იქ მეძინა და ჩემი სარეცხიც იქ ირეცხებოდა. მაგრამ ფული მაინც მჭირდებოდა: პირი ხომ უნდა გამეპარსა და ხანდახან უურნალი მეყიდა. სწორედ ამიტომ თარგმნას მივყავ ხელი; საავადმყოფოს ექიმებს ვუთარგმნიდი მათვეის საჭირო პატარ-პატარა წერილებს. იმ დღეებში ერთი ექიმისათვის ათ გვერდიან სტატიას ვთარგმნიდი გერმანული წიგნიდან, რომელსაც „ქალის ფიზიოლოგია და პათოლოგია“ ეწოდებოდა. თითო სტრიქონში თითო ყურუში მერგებოდა. სხვა დროს ორმოც-ოთხმოც ყურუშადაც მითარგმნია ვეებერთელა ფორმის თითო გვერდი; ხან კიდევ ორნახევარ ლირად ვთარგმნიდი უურნალის შვიდ-ჩვა გვერდიან სტატიას. თვითონ ექიმები ვიზიტში იმ დროს 5-10 ლირას იღებდნენ, მე კი სამი დღე ვანდომებდი თარგმნას, ლექსიკონებში ვეძებდი სპეციალურ ტერმინებს და ასეთ სამუშაოში ორნახევარი ლირის გადახდაც არ ემეტებოდათ, მუდამ დაკლებასა ცდილობდნენ. და აი ერთ დღეს მათი ჯავრი ვიყარე. ყოველ შემთხვევაში მე ასე მიმაჩნია. ერთი წუთით, მაგრამ მაინც ვიგრძენი ჩემი გამარჯვება. უფრო სწორი რომ გითხრათ, მე განხე ვიდექი და

უცქერდი, რა დამცირებულ მდგომარეობაში იყვნენ ისახი. მართალია, ექიმები ცოტა დაიბნენ, მაგრამ თავიანთ სასაცილო მდგომარეობას მაინც ვერ მიხვდნენ. თუ რაში იყო საჯეშე, ამასაც გაიმბობთ.

იმ ხანებში ვიღაც დიდ კაცს თვალი ასტრივდა. ავადმყოფი ბევრმა ანკარელმა თვალის სპეციალისტმა ინახულა, სტამბოლიდან პროფესორები ჩამოვიდნენ. დადგენილი იქნა, რომ იმ ფრიად ანგარიშგასაწევ პიროვნებას თვალის ერთ-ერთ სერიოზული დაავადება აქვს: თყალის გუგა ერთგან გამსკდარიყო და ადგილიდან იყო დაძრული. დაავადება ძალიან საშიში იყო და მისი განკურნება მოკლე ხანში არ შეიძლებოდა. მხოლოდ ხუთი-ექვსი წლის წინათ მეტად ფაქიზი ოპერაციის გზით უცდიათ ასეთი დაავადების მკურნალობა და, როგორც ექიმები ამბობდნენ, შედეგიც კარგი მიუღიათ; მას აქეთ ჩვენში ასეთი ფაქიზი და საშიში ოპერაცია არ გაკეთებულა და ახლა იმ ცდის ჩატარებას და ისიც დიდი თანამდებობის პირზე ვრცელდებოდა, ჩვენი ექიმი ხელს ვერა ჰყიდებდა. საჭიროდ მთხნიერ მოეწვიათ სტამბოლში მყოფი გერმანელი ებრაელი პროფესორი. გერმანიაში ასეთი ოპერაცია მას მრავალჯერ ჰქონდა გაკეთებული და ახლაც თანახმა იყო გაჭირვებიდან ეხსნა ეს დიდი კაცი. ჩვენმა სპეციალისტებმა და პროფესორებმა ამ საქმის მოვარება და მთელი პასუხისმგებლობა თვითონ იკისრეს და სრულიადაც არ შერცხვენიათ იმისა, რომ ამ პროფესორის წინაშე ნაძალადევი ხელოვნურობით უნდა დაეჭირათ თავი. მათ ჩვენი საავადმყოფოს მთავარი ექიმის ოთახში მოიყარეს თავი. დროდადრო მეც იქ ვიმყოფებოდი. იმათ კარგად იცოდნენ, რომ არ შეეძლოთ მდგომარეობის შეცვლა და მოურიდებლად ლაპარაკობდნენ:

— ეს რას ნიშნავს, ეფენდი? ნუთუ კაცი არ არის ამ ქვეყანაში, რომ ეს ოპერაცია გააკეთოს?

— განა შეიძლება არ იყოს, ბატონო ჩემო? თურქეთში ეს ოპერაცია არ გაკეთებულა... შესაძლებელია ასე იყოს! მაგრამ ყოველ ჩვენგანს ევროპაში ყოფნისას არა ერთხელ გაუკეთებია ეს ოპერაცია. ლიტერატურასაც ხომ სისტემატურად ვადევნებთ თვალს.

— აღარ ვიცი, როდის გადარჩება ეს ქვეყანა ასეთ სა-
სირცხო მდგომარეობას.

— ეს პროფესორი კარგი თვალის ექიმია. გერმანიიდან
ვიცნობ. მეცნიერი კაცია, ოლონდ თეორეტიკოსი. განსაკუთ-
რებით თვალის პათოლოგიური კვეთის სპეციალისტია. მის
გაეთებულ ოპერაციაში ვჰქვი არ მეპარება.

— უცხოელთა მეცნიერული ღირებულების უარყოფა,
ბატონი ჩემო, თავშიც არ მოგვივა, მაგრამ იმ პირობით, რომ
მათი მოქმედების არეც განსაზღვრულია და ისინი ყოვლის-
მცოდნენი არ არიან. მაგალითად, ესა და ეს (აქ სხვა გერმა-
ნელი ებრაელი პროფესორის გვარი ლასახელეს) მსოფლიო-
ში განთქმული ოპერატორია, მაგრამ მხოლოდ გულმკერდის
დარგში; ლაპარატომიაზე რომ მიღვეს საქმე, რომელიმე ჩვენი
ასისტენტის ფასადაც არ ეღირება.

— არა მგონია. ეს კაცი ყველაფერში ნამდვილად დიდი
ოპერატორია. მაგრამ ის თავს გადამხდარია უბედურებამ და-
ღუბა. ეს რომ არა, მასზე უკეთეს ოპერატორს ვერ დამისახე-
ლებდით. საუერბრუხის ტოლი იყო და თან ახალგაზრდა.

— რა მოუვიდა ნეტავ?

— არ იცით? საწყალი მსოფლიო ოშში იყო სამხედრო
ექიმად. თხრილში მის გვერდით ყუმბარა გასკრა და ხუთი
კაცი დამარხა. ოთხი კაცი მომკვდარა, მხოლოდ ის ერთი გა-
დაურჩენიათ. მას შემდეგ ხშირად შეტევები აქვს ხოლმე. მა-
გალითად, შუა ოპერაციის დროს ავადმყოფის გაკვეთილ მუც-
ლის ლრუში ჩაყრის მაკრატლებს, დანებს, პინცეტებს და
მიღის.

მე განცვითრებული ვუყურებდი ამ სიტყვების მთქმელს.
და როცა გავიგე, რომ ამ ნიჭიერ პროფესორს ასეთი რამ
ემართება, გავიფიქრე — „ვინც მისი დანის ქვეშ დაწვება,
ავადმყოფი კი არა, გმირია“.

ერთი დღით ადრე, ვიდრე თვალმტკიცან დიდ კაცს ოპერა-
ციას გაუკეთებდნენ, სტამბოლში მყოფი ეს პროფესორი ან-
კარაში ჩამოვიდა. შუადღის შემდეგ ორი-სამი ანკარელი
თვალის ექიმი და სტამბოლიდან ადრე ჩამოსული ორი პრო-
ფესორიც საავადმყოფოს მთავარი ექიმის ოთახში ისხდნენ და
საუბრობდნენ:

— ვერ უყურებთ იმ ყოყოჩას? დილით ჩამოვიდა **და/ჯე-**
ჩაც საჭიროდ არ მიიჩნია, რომ საქონსულტაციოდ მოვიდეს,
გვესაუბროს.

— ეგენი ურჯულოებია, გენაცვა. მატარებლიდან ჩამოსვ-
ლის შემდეგ თუ აბაზანა არ მიიღო და თავისი ნაზი სხეული
არ დასვენა, განა მოვა ისე!

— არა, ეგ არ არის მიზეზი. ადამიანებად არ გვაგდებს და
ის არის.

• ექიმები რომ ასეთ ტკბილ საუბარში იყვნენ გართულნი,
მე ერთ კუთხეში ვიჯექი და გერმანულ სამედიცინო უურნა-
ლებს ვათვალიერებდი. კრებულში, რომელსაც სახელად
„ერთკვირეული სამედიცინო გაზეთი“ ერქვა, ჩემი ყურად-
ლება ოთხნახევარი ფურცლის მოცულობის წერილმა მიიპ-
ყრო. ეს იყო სტატია: „ორიოდე სიახლე თვალის ოპერაცია-
ში“. ყურადღებით დავიწყე მისი კითხვა.

რამდენადაც მე გავიგე, ზოგიერთ ტექნიკურ მხარეზე,
ოპერაციაში ზოგი აუცილებელი ცვლილების შესახებ იყო
საუბარი; მაგალითად, აღნიშნული იყო, რომ თვალში შესვლა
უნდა არა ამა და ამ წერტილიდან, არამედ სხვა ადგილიდან;
ხანდახან ბუდის გასაკვეთად უნდა ვიხმაროთ არა ესა და ეს,
არამედ სხვა ნომერი იარაღო.

უურნალი ხელში ავიღე და სიცილით მივუახლოვდი ექი-
მებს:

— შეხეთ, ბატონებო. აქ ერთი წერილია, შეიძლება გამო-
გადგეთ.

მაშინვე ხელიდან გამომართვეს უურნალი, ჩარგეს თავი
და წაკითხვას შეეცადნენ. გერმანული ძალიან ცუდად იცო-
დნენ და ვერაფერი გაიგეს, მაგრამ ისეთი გამომეტყველება
ჰქონდათ, თითქოს მიხვდნენ მის არსა და მნიშვნელობას.
ერთი მათგანი მე მომიბრუნდა:

— მოდი ერთი, საღამომდე გვითარგმნე ეს წერილი!

— ვეცდები, ოღონდ, იცოდეთ, ორას ლირას გამოგართ-
მევთ.

ერთმა ექიმმა, რომელიც მიჩვეული იყო ჩემს მიერ ასეთი
წერილების იაფად თარგმნას, სახეში შემომხედა, ხომ არ

ხუმრობსო. როდესაც მიხვდა, რომ სერიოზულად ვამბობდი, მომიბრუნდა და — ხომ არ გაგიებულხარო, — მითხოვა.

— მართალი ხარ, — კუთხარი მე. — აქამდე დიდ სისულელეს ჩავდიოდი, კეთილი ინებეთ და... ასეთ შემთხვევებში... — ჯავრი მინდოდა მეყარა.

მათ გასაღიზიანებლად უურნალი ხელში ავიღე, ზოგიერთი ადგილი წავუკითხე იმ წერილიდან და მოკლე შინაარსიც ვუამბე. ხვალ ოპერაციაზე მიღიხართ, ამის ცოდნა ყოველთვის გამოგადგებათ-მეთქი, კუთხარი. მათ საჭიროდ აღარ ცნეს ჩემთან ამაზე ლაპარაკი და წერილს მიუსხდნენ. ისინი ერთმანეთს ეხმარებოდნენ წაკითხვაში და ცდილობდნენ რამე გაეგოთ. ეშმაკური ღიმილით მე სულ უკულმა განვუმარტავდი მათ მიერ ამოცნობილ შინაარსს; იმათ ხელახლა დამიწყეს ვაჭრობა. ბოლოს, როდესაც ჩემი ნათესავი, საავადმყოფოს პატრონიც მათ მხარეს დადგა, დაეთანხმდი საღამომდე ას ლირად მეთარგმნა ეს სტატია. ორმოცდაათი ლირა წინასწარ გამოვართვი, ზემოთ, ჩემს ოთახში ავედი და შევუდექი საქმეს.

როგორც ყოველთვის, მე ხუთი-ექვსი ლექსიკონის დახმარებით შევუდექი თარგმნას, სპეციალურ ტერმინებს ჯერ ფრანგულად ვეძებდი, შემდეგ თურქულად, და საღამოს თთი საათისათვის თარგმნა დავამთავრე. ექიმები დარბაზში ბეჭიქსა² თამაშობდნენ. მათთან მივედი; თარგმანის კითხვას ყველამ გულმოდგინედ დაუწყო ყურის გდება. ზოგიერთი სიტყვა და გამოთქმა მათაც შეასწორეს სამედიცინო ენის შესაბამისად, შემდეგ ერთად მოიყარეს თავი; კითხულობდნენ ნელ-ნელა და თან კამათობდნენ.

მათი საუბრიდან მე გავიგე, რომ წერილი ნამდვილად მნიშვნელოვანი იყო.

— ეს სტატია, — თქვა ერთმა მათგანმა, — პროფესორ-საც ვაჩვენოთ. ხვალ რამე სისულელე არ ჩაიდინოს.

— არ გინდათ, — ჩაერია გრძელცვირა, შავგვრემანი, ხმაჩახლეჩილი პროფესორი. — ძეელი პროფესორია და ეს როგორ არ ეცოდინება. უნდა იცოდეს; ხვალ გვიჩვენოს, რა შეუძლია და შემდეგ ვნახოთ...

ექიმებმა ერთმანეთს გადახედეს, ცოტა კიდევ ისაუბრეს
და დაიშალნენ.

მეორე დილით ისევ მთავარი ექიმის ოთახში შოთარეს
თავი. ამჯერად ებრაელი პროფესორიც მათ შორის იყო. იგი
სუსტი და ტანდაბალი კაცი იყო. მის ყოველ მოძრაობას და
ხმის ამოღებას სიმფრთხალე ეტყობოდა. რომელიმე ასის-
ტენტს რაიმე უაზრო შეკითხვაც რომ მიეცა, იგი ცდილობდა
სახეზე გულთბილი გამომეტველება მიეღო, მიუბრუნდებო-
და ყოველ მათგანს, დიდხანს ესაუბრებოდა მორიდებით და
დაბნეული იქნებდა ხელებს.

ოპერაცია შუადღის შემდეგ უნდა გაეკეთებინათ. მთელი
საუბარი ავადმყოფობის წვრილმანებსა და ოპერაციის სიძ-
ნელეს ეხებოდა. პროფესორის ჩიქორთული თურქული და
ჩვენი ექიმების კიდევ უფრო უარესი გერმანული და ფრან-
გული ხშირად საჭიროდ ხდიდა ჩემს ჩარევას საუბარში. ბო-
ლოს გრძელცხვირა შავგვრემანმა პროფესორმა გადაწყვიტა,
რომ მოვიდა მისი ჯერიც და ჩახლეჩილი ხმით თქვა.

— ბატონო პროფესორო, მარცხენა თვალს თუ მკვეთთ,
რომელი მხრიდან უნდა დავიწყოთ?

ამ შეკითხვის შემდეგ ცხარე კამათი გაიბა: ჩვენი ექიმები
წუხანდელი სტატიის იმედით კითხვებს უსვამდნენ პროფე-
სორს. ებრაელი პროფესორი თვალის ოპერაციაში მაღებუ-
ლი კლასიკური მეთოდის შესახებ უამბობდა მათ, მაგრამ
ესენი ისევ იმ სტატიაში ამოკითხულ ხერხებს უპირისპი-
რებდნენ.

მოხუც პროფესორს ისედაც მრავალი ტანჯვა და უბედუ-
რება ჰქონდა გამოვლილი. შიში და მორიდება მას შემდეგ
დასჩემდა, რაც იძულებული იყო თავისი სახლ-კარი მიეტო-
ვებინა და აქ შეფარებინა თავი. დაჩაჩანაკებული პროფესო-
რი ახლაც უხერხულად გრძნობდა თავს და ხან ერთ ექიმს:
მიუბრუნდებოდა, ხან კი მეორეს. მის ყოველ მოძრაობას
ეტყობოდა, რომ გაურბოდა ექიმებთან უსიამოვნებას და ცდი-
ლობდა თავაზიანად გაეცა ყველასათვის პასუხი.

— როგორ იქნება, ექიმო, — ეკითხებოდა ერთი ჩვენი
ექიმი; — ამ იარაღის ხმარებას ესა და ეს საფრთხე ახლავს,

— დიახ, დიახ, მართალია, — პასუხობდა მოხუცი პროფე-
სორი და გულმოდგინედ უქნევდა თავს.

რაც უფრო შორს მიღითდა ეს საუბარი, მე პროფესორის
სახეზე განცვიფრების ნაცვლად კმაყოფილების ღიმილს ვამჩ
ნევდი. ძალიან ვწუხდი, რომ ჩვენები ასე ათიოდე საათის წინ
შეძენილი ცოდნის პოზიციებიდან უტევდნენ ამ კაცს. კუთხეში
მოვიკალათე, მაგრამ მალე ისევ მივიჭრი მათთან. გერმანელი
პროფესორი მის გარშემო შეგროვილთა თავდასხმებს აშკარა
კმაყოფილებით პასუხობდა. ბოლოს მან მხარზე ხელი დაადო
ერთ უდროოდ თმაგაცვენილ, მსუქან, ჭრელთვალება ექიმს.
რომელიც ყველაზე უფრო თავხედურად ეპყრობოდა და
თქვა:

— ვერ წარმოიდგენთ, როგორ მიხარია, რომ თქვენ ასეთ
დასკენებამდე მისულხართ ამ ოპერაციის საკითხში. ამ სა-
შიში ოპერაციის დროს დღემდე ხმარებულ მეთოდებს მუდამ
როდი მოჰქონდა სასურველი შედეგი. ახალი გზების პოვნა
იყო საჭირო. თქვენ მართალი ხართ, თქვენ მართალი ხართ! —
შემდეგ პროფესორმა ხმას დაუწია, სათითოოდ შეათვალიერა
მის ირგვლივ მყოფნი და განაგრძო:

— აი ხომ ხედავთ, როცა სერიოზულად მუშაობთ ერთსა
და იმავე საკითხზე, შედეგებიც ერთნაირად სწორი გამოდის.
ხანგრძლივი ცდების შედეგად მეც იმ დასკვნამდე მივედი,
რომ ამ ტიპის ოპერაციაში საჭიროა მთელი რიგი ცვლილებე-
ბის შეტანა და დღევანდელ ოპერაციასაც მთლიანად ამ ახალი
ხერხებით ხავატარებ.

ჩვენს ექიმებს თვალებში გამარჯვების ნაპერშეკალი უე-
ლავდათ და სანამ ისინი განცვიფრებით შესცეროდნენ ერთ-
მანეთს, პროფესორმა, ისევ შეშინებული იერითა და ჩუმად,
დააყოლა:

— მე ყველაფერი ეს „ერთკვირეული სამედიცინო გა-
ზეთის“ უკანასკნელ ნომერში დავბეჭდე, მაგრამ, ხომ იცით,
ებრაელი ვარ, და ხელს ვერ ვაწერ ხოლმე.

მანქანის მძღოლი

ჩვენ ვიდექით გზის პირას ილდიშელიდან ²³ სივასში ²⁴ გი-
 მავალი მანქანის მოლოდინში. ბნელდებოდა. ღამის მატარებ-
 ლისათვის ცდას ჩვენ გვირჩიეს მანქანით წავსულიყავით სივას-
 ში. და აი შევ საათნახევარი იყო, რაც გზასთან ვიდექით და
 იმედით გავყურებდით გზაზე დამდგარ მტვრის კორიანტელს.
 „რა ნელა მიდის დრო“, ვფიქრობდით ჩვენ, რადგან ჯერ კიდევ
 არსად ჩანდა მანქანები, რომლებიც ამ მხარეში „ძალიან ხში-
 რად“ დადისო. ბოლოს, უკვე მთლად ჩამობნელებული იყო,
 როცა მტვრის კორიანტელში ორმა სინათლემ გამოანათა. მან-
 ქანა ახლოვდებოდა. ჩვენ ყვირილითა და ხელების ქნევით
 გავედით შუა გზაზე. დაიწყო მძღოლთან ვაჭრობა და სულ
 მალე თითოს ორმოცდაათ ყურუშად ნება დაგვრთო მის გვერ-
 დით მოგვეყალათებინა.

მძღოლი უხალისოდ იძლეოდა პასუხს ჩვენს შეკითხვებზე.
 გამოირკვა, რომ მან-სამი დღის წინათ გადაზიდა ტვირთი
 ერბააღან ²⁵ თურხალაში ²⁶ და ახლა თურხალადან სივასში
 შაქარი მიაქვს ტომრებით. მე უკან მოვიხედე, — მანქანაზე
 მთასავით ეწყო სავსე ტომრები. უცბათ მომეჩვენა, თითქოს
 თეთრ კრისტალებს მოვკარი თვალი და გული ამერია. მაგრამ
 აქ შაქარი არაფერ შუაში იყო, მანქანა გვანჯლრევდა. მე
 მძღოლს მივუბრუნდი:

— მგზავრები კიდევ გყავს?

დიდი ხნის დუმილის შემდეგ მძღოლმა თავი დამიქნია და
 მიპასუხა:

— სამი ქალი, იქ უკან სხედან ტომრებზე.

ამ დროს მძღოლის თანაშემწეც ჩაება საუბარში; ისიც
 შემოთ იჯდა ტომრებზე, წინა მხარეს:

— ამ ქალებს ჩვენ გზაში წამოვეწიეთ, არ წამოვიყვანა
დით, მაგრამ ფული წინდაწინ მოგვიცეს.

ამასობაში მანქანა რამდენჯერმე შეხტა ორმოებზე; მძღო-
ლის თანაშემწემ ლაპარაკი შეწყვიტა და გამაფრთხილებლად
შესძახა:

— უსტა!

მძღოლს ეყვინოთებოდა; ცალი ხელით თვალები მოიფშვნი-
რა, მეორეთი კი მაგრად ჩაებლაუჭა საჭეს.

ჩვენ ვერაფერს მივხვდით და ერთმანეთს გადავხედეთ.

— ნუ გაგიკვირდებათ... ორი ლამეა არ სძინებია, დღეს
უკვე მესამე ლამეა... — დააყოლა თანაშემწემ.

მანქანა უეცრად შეჩერდა. წინ, რამდენიმე მეტრის მოშო-
რებით, ფარების სინათლეზე წყარო გამოჩნდა. მძღოლმა
დაიძახა:

— რაჰმი, წალი ერთი წყალი მოიტანე მოტორისათვის...

თანაშემწე მანქანიდან გადმოხტა; ჩვენ დავინახეთ კაცი,
რომელსაც ეს-ეს არის ველაპარაკებოდით. თმები და წამწა-
მები მტკრით ჰქონდა დაფარული, სახე კი მტკერში აზელილი
ოფლითა და მანქანის ზეთით მოთხუპნოდა.

რაჰმიმ კურჭელი წყლით გაავსო, ჩაასხა რადიატორში და
მძღოლს მიუბრუნდა:

— მზად არის!

თანაშემწე ძალიან დაღლილი იყო, მაგრამ მის ცისფერ
თვალებში მაინც გამოკვიოდა უდარდელი გამომეტყველე-
ბა, რომელიც, ალბათ, არასდროს არა ქრებოდა მის გამო
ხედვაში.

ნახევრად მთვლემარე, თავშაქინდრულმა მძღოლმა ძლივს
წამოწია თავი:

— ა? მზად არის? კარგად დაუცვი თავი?

— ყველაფერი რიგზეა, უსტა, — უპასუხა რაჰმიმ.

— ერთხელ კიდევ ნახე! — უთხრა მძღოლმა და კისერ-
მოწყვეტილივით ჩაეიდა თავი.

რაჰმიმ კიდევ ერთხელ შეამოწმა ხუფი და ხმამალლა წარ-
მოსთქვა აშკარად დამცინავი ხმით:

— ყველაფერი რიგზეა, უსტა, ყველაფერი!

მძღოლმა იგრძნო, რომ სხვა ჩარა აღარა ჰქონდა, გავირებით აიღო თავი და მანქანამ გზა განაგრძო. მძღოლს თანდათან უძნელდებოდა ძილის დაძლევა. მე შევეცადე გადაკრული ლაპარაკი დამეწყო:

— ამ გზაზე ხშირად ხდება ავარია?

ზემოდან რაჭმის დამცინავი ხმა მოისმა:

— არც ისე...

იქვე მჯდომმა ქალმა წვრილი ხმით იქითხა:

— რა ადგილს დაიმტვრა აქ საფინანსო განყოფილების უფროსის ცოლი?

— გავიარეთ, მგონი!

— ჯერ არც კი მივსულვართ, — გაუსწორა მძინარე მძღოლმა.

— რა მოხდა, როგორ დაიღუპა? — მივმართე მე მძღოლს, რომ არ დასძინებოდა.

მან ცალი ყბით გამტა პასუხი:

— ის ქალი, თუ სიმართლე გინდათ, ნერვიული იყო...

საუბარში რაჭმიც ჩაერია: — ყოველთვის ეუბნებოდა მძღოლებს: თქვენ მე დამღუპავთ, ამ ორმოწე ნელა გადაიარეთო!

• მძღოლი გამოცოცხლდა:

— ერთხელ სივასში მიმყავდა. გზაში ორმოცჯერ მაინც გამაჩერებინა მანქანა. გავივლით თუ არა ცოტას, ატყდება ყვირილი: „გამაჩერეთ, ძალიან მანჯლრევს, თავბრუ დამეხვა, გამაჩერდეთ ცოტა ხანს“...

— კი, მაგრამ კატასტროფა როგორდა მოხდა? — შევაწყვეტინე მე.

პასუხი მის ნაცვლად ისევ რაჭმიმ გამცა:

— ისა და მისი ქმარი სივასიდან ბრუნდებოდნენ ჩვენებიანთ ქოსას მანქანით... მანქანა ძველი იყო!.. წინა დღეებში მარჯვენა ბორბალი მოძერა, მძღოლმა მავთულებით მიამაგრა. სივასში სარემონტოდ იღარ დარჩენილა და უკან გამოსწია თავისი მგზავრებით.

— კი მაგრამ მუნიციპალიტეტი რას - აკეთებს, არა სინჯავს? — ვკითხე მე.

— მუნიციპალიტეტი — მხოლოდ ჩვენს დაჯარიშებაშია
მარჯვე, როცა სალარო გამოუცარიელდება ხოლმე და ფული
არა აქვს, რომ მოხელეებს ჯამაგირი მისცეს. ისე კი მათ ჩვენ-
თან არაფერი ესაქმებათ.

ერთ ხანს სიჩუმე ჩამოვარდა. მძღოლს ისევ ძილი მოერია.
თხრობა რაჭმიმ განაგრძო:

— პოდა, უფროსის ცოლი ძალიან განერვიულდა, გზაში
რამდენჯერმე გაუჩერებინებია მანქანა, როგორც ჩანს,
გრძნობდა საცოდავი, რომ მანქანა მთლად წესრიგში არ იყო.
ისა და მისი ქმარი წინ ისხდნენ მძღოლის გვერდით. აი ისე,
როგორც ახლა თქვენ!

ეს შედარება მე არაფრად მეპრიანა: ტანში შიშის ქრუან-
ტილმა დამიარა.

— უფროსის ცოლი კართან იჯდა. როგორც კი რამე რა-
კუნს გაიგონებდა მანქანაში, მაშინვე ყვირილს მორთავდა
ხოლმე: — გააჩერეთ! — მანქანაში რაღაცა ტკაცანი მოისმა.
შეშინებულმა ქალმა მანქანის კარი გამოაღო და ისკუპა...

— ბორბლებში მოყვა? — ვიყვირე მე.

— არა, უფრო უარესი... ბორბალი გასკდა. მანქანა
ვერდხე გადაიხარა და ქალიც ქვეშ მოიტანია.

რაჭმი გაჩუმდა, ცოტა ხნის შემდეგ კი ასე დაასრულა ეს
შეავი:

— იქვე განუტევა სული საწყალმა... მთლიანად დაბეგვი-
ლი იყო!

საუბარში ერთი ჩვენი თანამგზავრი ქალიც ჩაერია:

— ამბობენ, ქმარმა პიჯაკი გადააფარა და დიდხანს იტი-
რაო.

ერთ ხანს აღარავის ამოულია ხმა. მანქანა ხტომა-ხტომით
მიიწევდა წინ. უეცრად შევამჩნიე, რომ გზა გაუჩინარდა და
წინ ბნელი სიცარიელე გამეფდა. მე ხელი წავატანე საჭეს და
მარცხნივ მივატრიალე... მძღოლს გამოელვიძა და სწრაფად
დაამუხხრუჭა მანქანა.

— რა იყო, გზას ავცდით?

ავტომანქანის ფარების სინათლეზე გამოჩნდა დაპალი ბალახით დაფარული მინდორი, პირდაპირ ჩვენ წინ ღრმა თრმო იყო... შარაგზა მარცხნივ იყო დარჩენილი.

მე თავი ვეღარ შევიცვე და ვიყვირე:

— საოთ იცქირები, კინაღამ მანქანა გადააბრუნე!

— არაფერი არ მომხდარა, — იმართლებდა მძღოლი თავს.

მალე მძღოლი ისევ თვლემას ებრძოდა... საწყალს მესამე ლამე იყო არ ეძინა; ხელები უკანკალებდა. ბოლოს თხოვნით მოგვმართა:

— თუ შეიძლება გავჩერდეთ აქ, ერთ ათ წუთს წავიძინებ.

მე დავთანხმდი, მაგრამ ჩემი ამხანაგი ჯიუტი გამოდგა:

— არ შეიძლება! მაგან რომ ახლა დაიძინოს, ხვალ შუალედებდე არ გაიღვიძებს, განვაგრძოთ გზა!

მანქანა გაჩერდა; მოისმა მძღოლის ხმა:

— რაჲმი... წყალი ჩასხი!

გზის პირას წყარო მორაკრაკებდა. მძღოლის ნახეერად დახუჭული თვალები თითქოს ყველაფერს ამჩნევდნენ, ყველაფერს, პატარა წყაროებსაც კი. მანქანა წარამარა ჩერდებოდა.

— რაჲმი...

მოისმა ღამის სიბნელეში ეხოს გამოძახილი, რაჲმი გზის პირას წყაროს ექცებდა. მან ჭუჭყიანი ორმოდან მუჭით მოაგრძოვა ჭურჭელში წყალი, ცოტა ხანს რადიატორთან იფუსფუსა და შემდეგ დაიყვირა:

— მზად არის, უსტა!

მასაც ძილი მორეოდა, ფეხი ერეოდა.

ახლა უკვე მაგრად ჩასძინებოდა მძღოლს და გაღვიძებას არ ფიქრობდა. ქუდის ქვეშ ჩამოშლილი, მტვრისაგან გათეთრებული თმები საჭეშე გადმოყრილიყო. იგი უგრძნობელივით იყო, თითქოს თავში დაერტყათ რაიმე.

თანაშემწემ ისევ გაიმეორა:

— ეი, უსტა, მზად არის!

მე მივცვდი, რომ რაჲმის ყვირილი არაფერსა შველოდა და მძღოლის გაღვიძება დავიწყე:

— გესმის... უკვე ცოტაღა დარჩა!

— ადექ, წყალი შეიშხაპუნე, გამოფხიზლდები, — უორა
ჩემთა ამხანაგმა.

მე არ ვიცოდი რამდენი იყო დარჩენილი, მაგრამ მძღოლის
გამხნევება მინდოდა.

უკი შეინძრა და მანქანის კარი გამოაღო. ფეხები ეკეცე-
ბოდა. ბორძისით მიუახლოვდა ოზმოს ნაპირს. ცოტა ხანს
იდგა. შემდეგ ნელ-ნელა დაუშვა მიწაზე, რაღაც გაუგებრად
დაიქნია ხელები, — ხუთი წუთი დამაძინეთ, — წარმოსთქვა
ბუზღუნით და მტვრიან შარაზე გაიშხლართა.

მე და ჩემი ამხანაგი ვეღარაფერს გავიწყობდით. ერთმა-
ნეთს გადავხედეთ. ვიცადეთ ათი, — თხუთმეტი, ოცი წუთი.
რაპიმი ბიდონი თავის ადგილზე დადგა, თვითონ კი მაღლა მო-
კალათდა ტომრებზე. მისი ხმა აღარ ისმოდა. ჩვენი თანა-
მგზავრი ქალებიც დუმდნენ. მოისმოდა მნილოდ წყაროს
რაკრაკი, რომელიც ხმელ ბალახებს შორის მიიკვლევდა
გზას.

არ ვიცი, რამდენ ხანს ვიდექით აქ. შორიდან მოტორის ხმა-
ური მოისმა. გორაკებს უკან მანქანის შუქი გამოჩნდა. მძღოლი,
რომელსაც თითქოს ისე მაგრად ეძინა, რომ ზარბაზნის გრია-
ლიც ვერ გააღვიძებდა, სასწრაფოდ წამოხტა, თვალები მოიფ-
ჟენიტა და მოულოდნელად მანქანაში აღმოჩნდა. მე განცვიფ-
რებით ვკითხე:

- რა მოხდა?
- მანქანა განზე უნდა დავაყენო, შემხვედრი მოდის.
- საიდან გაიგე?
- ქვეყანა რომ დაიქცეს, ვერაფერს ვიგრძნობ, მაგრამ მო-
ტორის ხმას, მკვდარიც რომ ვიყო, მაინც გავიგონებ.

ჩვენ წინ მანქანამ ჩაიქროლა და მტვრის კორიანტელში
გაგვხვია. ჩვენც გავუდექით გზას რყევისა და ბენზინის სუნი-
საგან გაბრუებულნი. განქანამ აღმართი აირა და ისევ გა-
ჩერდა.

- ამხანაგმა პირი ჩემსკენ მოიბრუნა:
- გაიხედე, სივასი გამოჩნდა, ფეხით წავიდეთ.
- მან კარი გამოაღო. მანქანის შუქზე ერთი ლირა ამოვილ
ჯიბიდან და მძინარ მძღოლს მივმართე:

— გამომართვი, თორემ ისე წავალ.

მან ძლიერ წამოსწია თვი; ჩემს სიტყვებს მასზე არავითა-
რი გავლენა არ მოუხდენია, მძიმედ გამომიწოდა წელი და
წაიბურტყუნა:

— კარგად იყავით, ეფენდი!

მძღოლს ფული წელიდან გაუვარდა და ფეხებთან დავარ-
და. მე მანქანას ავხედე, საღაც შაქრით სავსე ტომრები ეჭყო,
და ხმადაბლა დავიძახე:

— რაპმი!

პასუხი არავის გაუცია. ირგვლივ სიჩუმე იდგა. შაქრით
დატვირთულ, გამტვერილ მანქანას დაღლილ-დაქანცულ
ხალხთან ერთად ეძინა. მხოლოდ მოტორის ხმა ისმოდა. ეს
ხმა ბალახში მოშრიალე მწყრების შარიშურსა ჰგავდა. აეტო-
მანქანის ფარების გრძელსა და მთრთოლავ შუქზე ჩვენი გი-
განტური ჩრდილები გრძლად წაწოლილიყვნენ თვალუწვდე-
ნელ უკუნეთში. თანდათან ავუჩქარეთ ფეხს და გავშორდით
რქაურობას.

შორთოხალი

ღმდებოდა, როცა გემი ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთის ერთ-ერთ ნაესაღურს მიუახლოვდა. ინ ადგილას, სადაც ცოტა ხნის წინ მზე ჩაესვენა, ზღვა და ლრუბელი ერთ-მანეთში იყო შერწყმული და ტავრის²⁷ თოვლიან მწვერვალებს ალისფერი არშია მოსდებოდა. გემი პატარა იყო და უხეში. უკანა ნაწილით ლრმად იჯდა ჭყალში, ცხვირი მაღლა უწია და ისე მიიწევდა წინ. ძველისძველი ძრავი მასავით დახავებულ კიდობანს ციებ-ცხელებით შეპყრობილსავით ახ-ტუნებდა.

ნახევარი საუკუნის მანძილზე ხშირი ხეხვა-წმენდისაგან გათხელებული გემბანის ფიცრები, რომლებშიც ფისს გაშოე-ეონა, ისე აღი-ჩადიოდნენ, როგორც სიცხეში გვერდზე წამოწოლილი, გაძვალტყავებული, მქელავი ძალლის ნეკნები.

ერთი საათი იყო, რაც მტეირთავი ისმაილი გაუნძრევლად იდგა საჭესთან; შიშველი ფეხები არშინის სიგანეზე გაედგა უა თვალები ნაესაღურისაკენ მიეპყრო. მისი მნახველი ითიქ-რებდა — სუნთქვაშეკრული მესაჭე რაღაც საშინელ უბედურებას მოელისო; თითქო საცაა აფეთქებისაგან პატარი ავარ-დება მის წინ გადაშლილი ქალაქი ჩამავალი მზის სხივებისაგან აპრიალებული ფანჯრებით ან კიდევ ზღვაში რაღაც ვეება ცხოველი გამოჩნდება და გებს შთანთქავს.

მაგრამ ისმაილი ასეთს არაფერს ფიქრობდა. მისი ოცნება დასტრიალებდა სტამბოლში, ბეშიქთაშის²⁸ ერთ-ერთ შორეულ უბანში, დარჩენილ პატარა ვაეს, რომელიც ამ ორი კვირის წინ დაიბადა, სწორედ იმ დღეს, როცა ისმაილი უკანასკნელ რეისში მიემგზავრებოდა. სახელად მუსა დაარქვეს

ბაბუას პატივსაცემად, რომელიც შარშან დაიხრჩო, როცა მოტორიანი ნავით მანგალისათვის ნახშირი მოჰქონდა ^{შეღებების 30} მხრიდან. და ახლა ისმაილი თავისთვის ჩუმად ბუტჭურებდა:

— მუსა დენიზერ!.. მუსა დენიზერ!

და რაც უფრო ხშირად იმეორებდა ბავშვის სახელსა და გვარს, ბიჭი მით უფრო იზრდებოდა მის თვალში. გემი უახლოვდებოდა ნავსადგურის ახლო მდებარე ბრტყელ კუნძულ ადაჯიქს, რომელზეც ციხის ნანგრევები მოჩანდა. აქ ისმაილმა საჭე მარჯვნივ მიატრიალა და წაილაპარაკა:

— უნდა ვასწავლო იმ მამაძალლს, იმას!

თვითონ უსწავლელი იყო, მაგრამ ცოლი „განათლებული“ ჰყავდა: რამდენიმე წელი სკოლაში ევლო და სხვა გოგოებთან ერთად ეტანებოდა წერა-კითხვებს. ყოველი რეისიდან დაბრუნებისას ისმაილი ყიდულობდა „ქოროლლუს“⁴⁰, მივიღოდა შინ, დაიბანდა, შემდეგ გაწერს ცოლს გაუწვდიდა და თვითონ ბალიშებზე მოკალათებული სმენად გადაიქცეოდა. მისი ცოლი ჰაირიე ჰაფიზივით⁴¹ იქნევდა თავს და გაუკირვებლად კითხულობდა. პირველ რიგში წაიკითხავდა სურათების ქვეშ მოთავსებულ წარწერებს, შემდეგ მოთხრობებს, სტატიებს და ცნობებს. ფელეტონებს უფრო ცოცხლად კითხულობდა. ამ დროს ისმაილს ტუჩებზე რაღაც უცხო იერი ეფინა და ესმოდა თუ არ ესმოდა, დროდადრო გადაიხარხარებდა ხოლმე. იმ ადგილებს, რომლებიც ომს შეეხებოდა, გაამეორებინებდა; შემდეგ უთავბოლოდ მოყვებოდა გემზე მგზავრებისა თუ სახლში მიმავალი ჯარისკაცებისგან გავონილ ამბავს. „საქმე ვერ არის კარგად, ჰაირიე“, — დააყოლებდა ბოლოს და გაჩუმდებოდა. ეს სიჩუმე იმის ნიშანი იყო, დროა ვეამოთო; ცოლიც მაშინვე წამოხტებოდა და შეუდგებოდა სუფრის გაშლას.

ნავსადგურს უკვე კარგა მიახლოებული იყვნენ და ისმაილი თვალს არ აშორებდა მას. ამ დროს ზურგიდან ფეხის ხმა და ვიღაცის ბოხი, ხრინწიანი ლაპარაკი მოისმა:

— მე წომ არ დამინახავს! — ეს გემის კაპიტანი იყო.

— კარგად გავხედეთ ღურბინდით! მე ისე მეჩვენება, რომ

ორივემ წინ წაიწია კაპიტანის ხიდზე, დურბინდები მოი-
მარჯვეს და დიდხანს ათვალიერეს ნავსადგური და რიგებად
ჩამწერივებული სატვირთო ბარაკები. დაბალი ტანის, სახე-
წითური, თმაქალარა და ცხვირჩაშულებილი კაპიტანი სწო-
რედ წიგნებში აღწერილი ზღვის მგელი იყო. ხმა ნაწყვეტ-
ნაწყვეტად ამოსდიოდა ყელში და თვალის უპეებიდან ლო-
კებზე გამუდმებით ცრემლი ჩამოსდიოდა. თვალები შუდამ
დასივებული ჰქონდა. მეორე კაპიტანი, პირიქით, გრძელი,
ყვითელი და გამხდარი კაცი იყო. ქუდი ყურებამდე ჰქონდა
ჩამოფხატებული, მაზარის საყელო აკეცილი, თუმცა თებერ-
ვალში აქ სიცივე არ იცოდა.

— ვერა ვხედავ, — წარმოსთქვა კაპიტანმა.

— ცოტა კიდევ მივუახლოვდეთ და დაინახავთ!

— ჩვენ კი ვუახლოვდებით, მაგრამ ბნელდება... — ჩაი-
ხითხითა მან და მეორე კაპიტანს გვერდში ხელი წაჟრაა:

— გული ნუ მოგდის!.. ნავსადგურში მივალთ და გავი-
გებთ! თუ რამეა, აგენტზე ადრე მოვლენი!

კაპიტანმა და მისმა თანაშემწერმ საუბრით ჩაუარეს წინ
ისმაილს. ახალგაზრდამ ცალი თვალით გააცილა მიმავალნი:—
ალაპსა ვთხოვ, რომ არ გაგიშართლოთ! — ჩაილაპარაკა მან.
დღეს ეს მესამე ვახტა იყო მაშინ, როცა იგი ძირითადად ამ-
წებზე მუშაობდა. ერთი ნავსადგურიდან მეორეში მისვლამდე
მისი საქმე ძილი იყო. მაგრამ ამჯერად სამ მეზღვაურს ერთად
დააწყებინა ციებ-ცხელება და კაპიტანმაც ისკანდერუნში ⁴²
ყოფნისას საჭიროდ არ დაინახა ახალი მეზღვაურის დაქირა-
ვება. ისმაილი უკმაყოფილო იყო, რადგან ღუზის დაშვების
შემდეგ მას მთელი ღამე უხდებოდა მუშაობა. დილამდე უნდა
ესმინა განუწყვეტელი — ვირა! მაინა! ვირა! მაინა! ⁴³ — და
აღესრულებინა ალაპის ნება.

საქმაოდ ჩამობნელებული იყო, როდესაც გემი ნავსად-
გურს მიუახლოვდა. ნაპირზე კანტიკუნტად ენთო სინათლე.
მეორე კაპიტანი ისევ სამეთაურო ხილთან მივიდა და ღუზის

ძრავებმა მუშაობა შეწყვიტეს. ერთ ადგილზე განერებული გემი წყლის დინებას ებრძოდა და მძიმედ ქანაობდა. უეირად გემის გარშემო ნავების მოელმა ჯგუფმა მოიყარა თავი, ისინი ქვემოთ დაშვებულ კიბეს არ მიჰყარებიან; ცოტა განშე იდგნენ. მხოლოდ ორი ნავი მოიწევდა გემისქნ; ერთ მათგანში, რომელიც სანაპირო სანიტარული სამსახურის სამმართველოს ეკუთვნოდა, ფეხზე იდგნენ პოლიციელი და ვიღაც მოქალაქე; მეორეში სავაჭრო აგენტი იჯდა — ისინი პატარა დროშებათ იყაფავდნენ გზას და გემს უახლოვდებოდნენ. მათ ფეხდაფეხ მოჰყვათ ერთი სხვა ნავიც. ჩასუქებული, სახეწითელი კაცი მკვირცხლად მიადგა კიბეს და ზემოთ ასვლა დაიწყო. წარბეზშე ქუდჩამოფხატულმა კაპიტანმა, რომელიც ამ დროს ქვემოთ იცქირებოდა, ხელი გაჰქრა თანაშემწეს:

— მოვიდა! შენ დარჩი... აქ ოცდახუთი ნავერთა დასატოვებელი... მე კაიუტაში მივდივარ.

წითელი ხავერდით მოქედილი პირველი ქლასის კაიუტა ხალხით იყო სავსე. აგენტი ვიწრო მაგიდაზე დახრილიყო, მგზავრებს ბილეთს უშინჯავდა, გემის მდივანთან ერთად კონსამენტების ⁴⁴ ორდერებსა და სხვა ქაღალდებს ამოწმებდა და თან კაიუტის მსახურს ყავს უკვეთდა. გემზე საქმისათვის ამოსული ვიღაცებს ეჩურჩულებოდნენ. მგზავრობისაგან გაპუკყიანებული ხალხი ინტერესით შესცემროდა მდიდრულად მორთულ ქალებსა და მოუსვენარ ბავშვებს.

ჩასუქებული, სახეწითური კაცი ხელისცერით, გვერდულად გაძვრა კარებში და თვალი მოჰქრა კაპიტანს, რომელიც ერთ კუთხეში მიმჯდარიყო და ფანჯარაში იცქირებოდა. წელან სამეთაურო ხილზე დაინახა იგი და ხელიც დაუქნია, მაგრამ ამას ეტყობა ვერ შეუმჩნევია. და ვიღრე უწესრიგოდ დაყრილ ფუთებსა, ყუთებსა და თავმოყრილ მგზავრებში გააღწევდა, კაპიტანი უკვე კაიუტაში ჩასულა და კუთხეშიც მოუკალათნია.

— მახე დაუგია და იცდეს ეგ ლორის შვილი! — წაილა-

პარაკა მოსულმა; შემდეგ სქელი ტუჩები მოილოვა, მნიშვნელი გამომეტყველება მიიღო და იქითკენ გაეშურა:

სარიცხვა
სამართლება

— როგორა ხარ, ბატონო კაპიტანო?

— ოოო! გამარჯობა, ოსმან იგით... ახალი რა იცი? დაჯექ ერთი, ვისაუბროთ! — ისე წამოიძახა კაპიტანმა, თითქოს მოულოდნელად შეხვდა დიდი ხნის უნახავ მეგობარსო.

ოსმან იგითი გულის ფანცქალით მივიდა ახლოს და ისე ფრთხილად ჩამოჯდა ტრიალა სკამზე, თითქოს ნაკვერჩხლებზე ჯდებაო; შემდეგ ნერწყვი გადაყლაპა, ღრმად შეისუნთქა ჰაერი და დაწყო:

— შენი დახმარება გვეირდება, კაპიტანო, — წარმოსონება შან და ამოისუნთქა; — სამი ათასი ყუთი ფორთოხალი მაქვს! ერთი კვირაა, გაგზავნა ვერ მოვახერხე!

კაპიტანმა ნახევრად მოჭუტა დასივებული თვალები, კაიურაში მყოფნი შეათვალიერა და წაიდუდუნა: — ისკანდერუნში დიდიალი საქონელი დაგვხვდა, ორი დღე ველოდეთ... გემი დატვირთულია...

სტუმარს კაპიტნის უკანასკნელი სიტყვები არ გაუგონია:

— მერე რა, ხომ მშეიდობით მოხვედით!

— მოვედით და ალაპის წყალობით მშეიდობითვე წავალო!

— ალაპშა ინებოს, ალაპმა ინებოს... და ამ ჩემ სამი ათას ყუთსაც...

კაპიტანს ეს სიტყვები თითქოს არც კი გაუგონია:

— სულ მძიმე საქონელით დატვირთეთ... არ ვიცი, სტამბოლს როგორ მივალწევთ... ამ ღროს ზღვა ცუდია ხოლმე... — განაგრძო მან და შემდეგ თითქოს თავისთვის ბურტყუნებსო, დააყოლა:

— გემიც რომ არ ვარგა... ეს ძველი ქალამანი... ოთხი წელია არ შეკეთებულა... ნამდვილად ალაპი წყალობს ჩვენს ცოლ-შვილს...

ოსმან იგითს მთლად ალმური მოედო სახეზე; ის იყო წარმოსონება — ეს ჩვენი ფორთოხალიო... — რომ კაპიტანი ზეზე წამოდგა და უპასუხა:

— თუ ალაპმა ინება, მეორე ჩეისზე წავილებ!..

— კარგი, ბატონი კაპიტანი, ნუ მეხუმრები, თუ როგორ გწამს! თხუთმეტი დღეა, რაც ფორთოხალი ყუთებში დავის. ათი დღეა ნაპირზე აწყვია, ამ დილას სატვირთო კარჭაპჩე და-ვაწყობინე, საცაა გემს მოადგება!

კაპიტანმა თვალის უპეებიდან ჩამონადენი ცრემლი ხელის ზურგით შეიწმინდა, შემდეგ დიდხანს იფხანა პირისახე და უთხრა:

— ოსმან იგით, შენი ხათრისთვის რამდენიმე ას ყუთს წავიღებ, ოღონდ იმათაც ტრიუმში ჩავაწყობ, სხვა აღგილი არა მაქვს.

— მაგას ნუ იზამ, კაპიტანი, ტრიუმში ფორთოხალს რა უნდა, ხომ დალპა დილამდე!

— ეგ ჩემი საქმე არ არის! — წარმოსთქვა კაპიტანმა, წამოდგა, დარბაზიდან გავიდა და თავისი კაიუტისაკენ გაე-შურა.

ოსმან იგითმა თავი გაიქნ-გამოიქნია, ცოტა ხანს იღგა, შემდეგ თვითონაც სწრაფი ნაბიჯით გავიდა გარეთ და ბარ-ბაცით აირა სამეთაურო ხილის კიბეები. ზევით რომ ავიდა, იქ მოსეირნე მეორე კაპიტანს წააწყდა, განზე გაიხმო და საქ-მის კითარება აუხსნა:

— შენი ჭირიმე, ერთი ამ საქმეში დამეხმარე... ნუ დამ-ლუპავს... — უთხრა ოსმან იგითმა და ზურგზე ხელი მოუთა-თუნა.

— ღმერთმანი, არ ვიცი, ვცდი, — უპასუხა მეორე კაპი-ტანმა და კაპიტნის კაიუტაში შევიდა.

ამის შემდეგ დაიწყო ვაჭრობა, რამაც ალბათ ნახევარ საათს გასტანა. მეორე კაპიტანი წარამარა შედი-გამოლიოდა და ამ სახეირო საქმის მოგვარებას ცდილობდა. ბოლოს გადა-წყვიტა, რომ ნაცვლად ექვსი ყურუშისა თითო ყუთის გადა-ზიდვაში სამოცდაათი ყურუში იეღოთ. ოსმან იგითი ქვემოთ ჩავიდა, საზღვაო აგენტთან და გემის მდივანთან ოპერაცია მოათავა და სამოცდაათი ყურუშის ანგარიშით მეორე კაპი-ტანს სამი ათასი ყუთის გადაზიდვაში ათას ცხრაას ოცი ლირი ჩააბარა.

ამასობაში კარჭაპიც მოსულიყო და ფორთოხლის ყუთებს

უკვე გემზე აწვდიდნენ. ამწე დილამდე მუშაობდა. მეზღვაურ
ასმაილ დეხიზერს სტამბოლელი ცოლისაგან ნასყავლი გამპარა
თული ლაპარაკისათვის თავი მიენებებინა და ნამდვილ რი-
ზეს კილოზე ილანძლებოდა. სამეთაურო ხილზე მდგომა
ახალგაზრდა სტაკორმა კაპიტანმა აღარ იცოდა რა ექნა და
გაშტერებული შესცეროდა ოსმან იგითს, რომელსაც ზღვაში
გადავარდნილი ორი ყუთი ფორთოხლის გამო ერთი აურზაუ-
რი აეტეხა. დილის სინესტისაგან შეწუხებულ გემბანის მგზავ-
რებს სკელი საბნები და პალტოები თავზე წამოეხურათ, ახე-
ლებდნენ და კანკალებდნენ. გემბანის გაზიფთული ფიცრები
მძინარი კაცებით, ქალებითა და ბავშვებით იყო მოფენილი.
ერთ ჯარისკაცს ფარავდა მხარზე გადაეგდო, მიაბიჯებდა მძი-
ნარეთა შორის და საპირფარეშოსაკენ მიიჩქაროდა; თეთრ-
წვერა, ხმელ კაცს საბანი ზურგზე მოეხვია და პაპიროსს აბო-
ლებდა:

წინა მხარეს მოძრაობა შეიქნა. გაისმა ზარის ხმა. გემი
ლუზიდან იხსნებოდა. ცოტა ხნის შემდეგ ისევ ქშენით ამუ-
შავდა ძრავები და გემმა ხელახლა დაიწყო რიტმიული რყევა.
გემის ცხვირი, რომელიც გუშინ მაღლა იყო აშვერილი, ამჯე-
რად კარგა ღრმად იჯდა წყალში და სამხრეთ-დასავლეთისკენ
მიმართულიყო. დაბალი და სქელი მილიდან ამონადენი შავი
ბოლი გრეხილად მიემართებოდა იქით, საიდანაც სულ მალე
მზეს უნდა ამოეყო თავი.



იმ დღეს შუადღის შემდეგ კაპიტანი და მისი თანაშემწე
ხელში დურბინდებით წამდაუწუმ ცის ტარნობს გასცერო-
დნენ. ასე გაგრძელდა მეორე და მესამე დღესაც. დროგამოშ-
ვებით უფროსი მექანიკოსიც მოდიოდა და ისიც სამხრეთ-
დასავლეთით და სამხრეთით იცქირებოდა; ყველა ერთად რა-
ლაცას ეძებდა, რაღაცას ელოდა. ისინი მოკლე წინადადებე-
ბით ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს:

— არის რამე?

— არაფერი ჩანს!

— დასავლეთი ჩაბნელებულია, თითქოს დასავლეთის
ქარი აპირებს ამოვარდნას!

— არა მგონია, ამ დღეებში სამხრეთის ქარია მოსალოდ-
ნელი!

— რაც იქნება, იყოს!

— ზღვამ რომ ლელვა დაიწყოს?

— ეეს, რაც ბედად გიშერია, ის უნდა მოხდეს!

— ალაპი მოწყალეა, ყველაფერი კარგად იქნება!

მესამე დღეს, შუადღისას, დასავლეთი შავად მოიბურა.
უფროსი მექანიკოსი კვლავინდებურად გემბანზე იყო. ის მა-
შინვე კაპიტანისკენ გაიქცა:

— მადლობა ალაპს, სამხრეთის ქარი იქნება... ალაპმა ინე-
ბოს და ძალიან ძლიერი ნუ იქნება!

ამ საუბრისა და სიცილის დროს სახის სქელი კანი უნაოჭ-
დებოდა. ნაოჭები მოკლედ შეკრეჭილ ჭალარა თმამდე აღწევ-
და. დაახლოებით ნახევარი საათის შემდეგ ზღვამ თამაში და-
იწყო: თბილმა, მაგრამ ძლიერმა ქარმა ანდებს შორის სტვენა
გამართა. კიბის მხრიდან მოვარდნილი ტალღა გემბანზე გად-
მოდიოდა და გეზავრებს ასველებდა. ისინიც ბალიშებით, კა-
ლათებითა და ჩემოლნებით ხელში აქეთ-იქით დარბოდნენ. ყველგან
ფორთოხლის ყუთები ეწყო და ძნელი იყო გადახუ-
რული ადგილის მიგნება. ქარისა და ტალღებისაგან თავის
დასაცავად ყველა გემბანის მეორე მხარეს იყრიდა თავს. და
იმიტომ გემიც კიდევ უფრო იხრებოდა მარჯვნივ. გარშემო
უჯვე კარგა ბნელოდა. ერთ კუთხეში შეგროვილ ქალებს პი-
რიდან ასაქმებდა; ბავშვებს ტირილი გაებათ; კაიუტებში
შეიფ მგზავრებსაც საჭმლისათვის თავი მიენებებინათ და
კუთხეში მიყუეულიყვნენ; დერეფანში ხანდახან გამოჩნდე-
ბოდნენ მთერალებივით ბარბაცით მიმავალი, თმაგაჩეჩილი
ქალები.

უფროსი მექანიკოსი და მეორე კაპიტანი პირველი კლასის
დარბაზში შესულიყვნენ და თითქოს თავიანთ თავს ელაპა-
რაკებიანო, აღელვებულნი რჩევა-დარივებს აძლევდნენ
გეზავრებს:

— მდგომარეობა ძალიან ცუდია... რა ვიღონოთ, არ ვიცი...

ეს ხომ გემი არ არის!.. ტვირთიც ბევრია... სულ მძიმე რაღა/ ცეკვა... — გაიძახოდნენ ისინი და არეულობა შექმნიდნენ/ ხალხში.

— ჩარქჩი⁴⁵ ბეი, — მიმართა ცოტა ხნის შემდეგ მეტრე კაპიტანმა მექანიკოსს, — ტვირთი ზღვაში თუ არ გადაყყარეთ, საქმე ნამდვილად ცუდად არის!

— ღმერტმანი, არ ვიცი, კაპიტანო, — უპასუხა მექანიკოსმა. — ჩექნი⁴⁶ ძრავი ხომ ყოვლად უვარვისია... კაპიტანს მოველაპარაკოთ!

მგზავრების წინაშე წარმოდგენილი ამ დავის შემდეგ ორივე ზემოთ ავიდა კაპიტანთან. გადაწყდა, რომ ზღვაში ყველაზე მძიმე ტვირთი — ფორმონხალი გადაეყარათ. მეორე კაპიტანის მეთვალყურეობით ორას ორმოცდათი ყუთი ზღვაში იქნა გადაყრილი. და გემის მდივანმა აუცილებელი ფორმალობის დაცვით ავარიის ოქმი შეაღგინა. ასეთი ზუსტი საბუთი საჭირო იყო იმისათვის, რომ ვაჭარ ისმან იგითს შესძლებოდა სამი ჰაასი ყუთი ფორმონხლის ღირებულების მიღება საღაზღვევო საზოგადოებიდან.

მეორე დღეს შუადღისათვის ქარიშხალმა იქლო და საღამოსთვის ყველაფერი დაწყნარებული იყო. კიდევ რამდენიმე დღის წყნარი და მოსვენებული მგზავრობის შემდეგ ლამის რვა საათზე გემი სტამბოლში შევიდა და სირქეჯის ნაპირს მიადგა. გემიდან გადმოსულ, ჩქარი ნაბიჯით მიმავალ მგზავრებს შორის მეზღვაურებიც მიღი-მოდიოდნენ და სატვირთო განყოფილებებს ხსნიდნენ. ამ დროს ვიწრო კიბეზე ჯიქავ-ჯიქავით ამოდიოდა ვიღაც დაბალი ტანის, სახენაყვავილარი, ცხვირწაწვეტილი კაცი, რომელსაც ქურქიანი პალტო ეცვა-იგი ავიდა გემზე და პირდაპირ კაპიტანის კაუტაში შევიდა. მეორე კაპიტანი და გემის მდივანიც იქ იყვნენ.

— მშეიღობით მოსულხარ, სუვარი ბეი, — მიმართა მან კაპიტანს. — სააგენტოდან გავიგე, ისმან იგითის ფორმონხლი წყალში გადავიყრიათ. რა უშავს, კარგად ვიყოთ, თორემ... საბუთები ხომ წესრიგშია?

— ჩევნები წესრიგშია, — უპასუხა მდივანმა და ერთალების მთელი დასტა უჩვენა. — ხვალ სააგენტოში წავალ და დანარჩენსაც მოვაწესრიგებთ.

— ჰალილ ეინლი, — დაიწყო კაპიტანმა ბოხი ხმით, — როგორა ხარ? შენი საქონლის დანაკლისმა, მართალი, გიოგხია, ძალიან შემაწუხა. მაგრამ რას იზამ? სხვა ვაჭრის ტვირთს უკრ გადაეყრილი. ოსმან იგითის ფორთოხალი სულ ბოლოს დავტვირთე, უცელაზე ზემოთ ის ეწყო, შენ უფორთოხლოდ დარჩი. ახლა უკვე მომავალ პარტიას უნდა დაელოდო!

— გემზე სხვა ფორთოხალიც გაქვს? — ჰკითხა ჰალილ ეინლიმ.

— რამდენიმე ათასი ყუთი დორთიოლის⁴⁶ საქონელი გვაქვს. ისკანდერუნილან წამოვილეთ!..

ჰალილ ეინლიმ ფლიდურად ჩაიცინა:

— სხვა, სხვა, გენაცვალე... მაგას არ გეკითხები. ჩვენთვის რამჲ გაქვს თუ არა?

კაპიტანს გამომეტყველება ახლაც არ შეუცვლია, ერთი გადაიხარა და:

— ეგ აღვილია, შენ ტრანსპორტი შზადა გაქვს?

— მოვიდა კიდეც!

კაიუტის კარი მაგრად ჩაიქერეს; ისევ დაიწყო ვაჭრობა. და 2 750 ყუთი ფორთოხალი, რომელიც თითქოს ზღვაში გადაყარეს, სინამდვილეში კი ხელუხლებლად ეწყო გემზე, ხელახლა მიჰყიდეს ჰალილ ეინლის. თითოეული ყუთი, რომელშიც თოჭმოც-ოთხმოცი ფორთოხალი ეწყო, სამ მანეთად იანგარიშეს, თუმცა სინამდვილეში ერთი ყუთი ფორთოხალი თავის ყუთიანად ოთხმოცდა ათი ფარა ჯდებოდა. ნავსაღვურში, სადაც ის იტვირთებოდა, ას ოთხმოცი ყურუში ღირდა, სტამბოლში კი, გადაზიდვის ხარჯიანად, მისი ფასი ორას ორმოცდა ათი ყურუში იყო. მაგრამ ასეთ წვრილმანზე ისინი არც შეჩერებულან. მათ 2 750 ყუთის ფასი — 9 250 ლირა ნაღდი ფული გამოართვეს ჰალილ ეინლის. შემოსავალი ამ რეისისა, რომელმაც ერთ თვეს გასტანა, ოსმან იგითის მიერ ფორთოხლის გადაზიდვაში მოცემულ 1 920 ლირასთან ერთად, 10 070 ლირას შეაღვენდა. მაგრამ როცა ბოცმანსა და მესაჭესაც მის ცემდნენ წილს, მაშინ ეს ციფრი ასე თვალის მომჭრელად აღარ ჩაითვლებოდა.

ჰალილ ეინლის წასვლის შემდეგ მეორე კაპიტანმა, უფ-

როსმა მექანიკოსმა, გემის მდივანმა, მთავარმა მსახურმა და
ამასობაში გემშე ამოსულმა სააგენტოს თანამშრომელმა კუთხით
პიტის ჭაიუტაში მოიყარეს თავი.

რეისში გასცლის დღეს, როგორც კი გები ნავსადგურში
შევიდა, ისმაილ დენიშერი — ბავშვი მეყოლაო — და მეორე
კაპიტანს დაეთხოვა. სწორედ ამიტომ მას მონაწილეობა არ
მიუღია იმ ფორთოხლის გადმოტვირთვაში, რომელიც ოსმან
ივითისათვის თითქოს წყალში გადაყარეს და ჰალილ ეინლის
კი მიჰყიდეს. ამწესთან სრულიად ახალგაზრდა, გამოუცდელი
მეზღვაური იდგა.

მაგრამ ისმაილ დენიშერი ვერაფრით ვერ წასულიყო, გე-
მის მდივანს ელოდა. წინა რეისზე, ბავშვის დაბადებაზე გა-
წეული ხარჯების გამო, ავანსი აეღო და ახლა რა პირით ან
რა უფლებით უნდა ეთხოვა ხელახლა. მაგრამ ასე ხელცარიე-
ლიც ვერ დაბრუნდებოდა. რაც არ უნდა მომხდარიყო, ორნა-
ხევარი ლირა მაინც უნდა წაეგლიჯა.

მდივანი რატომლაც არსად ჩანდა. თითქმის ერთ საათს
ელოდა; მისი ოთახის კარიც გამოალო, შიგ შეიხედა, მაგრამ
არავინ იყო. ბოლოს ერთ მსახურს ჰკითხა, თვალი ხომ არსად
მოგიყრავსო.

— კაპიტნის კაიუტაშია, მაგრამ იქ ვერ შეხვალ, საქმე
აქვთ! — უპასუხა თეთრხალათიანმა ახალგაზრდამ. ისმაილმა
ნახევარი საათი კიდევ იცადა. შემდეგ ფრთხილად ავიდა ზე-
მოთ. ფეხის ყოველ გადადგმაზე ხუთ-ხუთ წუთს ჩერდებოდა
ხოლმე და წინ წასვლას ვერ ბედავდა. ბოლოს, კაპიტნის ხი-
ლამდე მიეიდა და კიბის თავზე ბოძივით დაერწო. კაპიტნის
კაიუტიდან, რომელიც ხუთ-ექვს ნაბიჯზე იყო მოშორებული,
ხმა გამოდიოდა. მეორე კაპიტნის წვრილი და ხრინწიანი ხმა
კაპიტნის ყრუ და ნაწყვეტ-ნაწყვეტ წამოსროლილ შეძახი-
ლებში ირეოდა; შიგნით საკმაოდ ცხარე დავა იყო გამართუ-
ლი; დროგამოშვებით ვიღაცა მაგიდაზე ურტყამდა ხელს, იღე-
ბოდა კარი, და ვიღაცა გარეთ გამოსვლას ლამობდა, მაგრამ
მაშინვე უკან აბრუნებდნენ. ისმაილი ცოტა ხანს კი იდგა, მაგ-

რამ მალე შიშმა აიტანა და წასასულელად კიბეზე ჩადგა ფრხი. სწორედ ამ დროს ფართოდ გაიღო კარი და კაიუტიტან გამონათებული ყვითელი სინათლის შუქზე კაპიტნის დაბალი და ჩასხმული ტანი გამოჩნდა. ცალი ფეხით კიბეზე მდგომი ისმაილი ერთ ადგილზე გაქვავდა. კაპიტანი პირდაპირ მისკენ მოდიოდა. კიდევ რამდენიმე ნაბიჯი და ისმაილს მიადგა. იგი რაღაცას ბუტბუტებდა და ქშინავდა. სველი თვალები ამ სიბრნელეში კიდევ უფრო დაწერილებოდა. მან დაინახა, რომ ვიღაც იღვა, თუმცა კი არ უცენია და ახლოს მისვლისთანავე მკლავში წაავლო ხელი.

— ეს უყურებ ამ ძალის შვილებს, — წამოიძახა მან ჩახლეჩილი და ყრუ ხმით, — ციხეში უნდათ ჩამაგდონ!

ამ დროს კარებში მეორე კაპიტნის ყვითელი თავიც გამოჩნდა:

— ბატონო კაპიტანო, ერთი წუთით, დაგვდეთ პატივი! კაპიტანი მიბრუნდა და დაიყვირა:

— თავი დამანებეთ, რაც გინდათ, ისა ჰქენით, მე არ ვერევი მაგ საქმეში.

შემდეგ ისმაილს მიუბრუნდა და გულში მუშტის ცემა დაიწყო:

— მთელ პასუხს მე ვაგებ... ციხეში მე ჩავჯდები... ჩემმა ცოლ-შვილმა უნდა იშიმშილოს... ჩემი ბატივი უნდა შეილახოს, და ეს უმაღლურები მაინც ეს გავაძლე...

გაბრაზებულ კაპიტანს თანაშემწე მიუახლოვდა და ფრთხილად წაავლო ხელი მკლავში:

— ნუ ცხარობ, კაპიტანო, როგორც შენა თქვი, ისე იყოს, — აწყნარებდა კაპიტანს და თან კაიუტისაკენ ლამობდა მის წაყვანას.

— შენ აქ რა გინდა? — იყვირა მეორე კაპიტანმა, როცა ისმაილს მოჰკრა თვალი. საჩხუბრად მომზადებულმა უცბათ შეიკავა თავი, ხელი ჯიბეში ჩაიყო, ათი ლირა ამოაძვრინა, ისმაილს მიაჩერა ხელში და — აბა, მოუსვი აქედანო, — დააყოლა.

და როდესაც ისმაილი სირბილით ჩადიოდა კიბეებს, კაპიტანი ისევ შებრუნდა კაიუტაში და კარი მოკეტა.

სახლისკენ მიმავალი ისმაილი დაფიქრდა: რისი მეტანამდე
უეძლო შინ? ეს ათი ლირა ათამამებდა და გულუხვობას
მატებდა შას.

ცოტა კიდევ გაიარა და ბაჭჩეკაფის⁴⁷ მიღამოებში გა-
ჩერდა ხილით მოვაჭრეებთან. დიდხანს უცეირა ფორთოხ-
ლებს. ახლად მორჩენილი ქალისათვის ფორთოხალი საუკეთე-
სო ნობათი იქნებოდა. წელს ხმელთაშუა ზღვის რეისებში წა-
სული გემების მეზღვაურებს იაფად მოპქონდათ ფორთოხალი.
ის კი ამწეს ვერ მიატოვებდა, ფულიც არა ჰქონდა და ამიტომ
ვერაფერი იყიდა.

ისმაილი ერთ მეხილესთან შეჩერდა, ათი დიდი ფორთო-
ხალი იყიდა თითო ოც-ოც ყურუშად და მანდილში გაახვია.
შემდეგ იქვე გაჩენილ მეგაზეთეს ერთი „ქოროლლიც“ გამო-
ართვა, დაკეცა, ჯიბეში ჩაიდო და გაჩერებაზე ბეშიქთაშში
მიმავალ ტრამვაის დაუწყო ლოდინი.

1944

ქაცის მპვლელი ოსმანი

ციხის გარეთა ეზოში აბაზია ოსმანის ყავის სახარშავ კა-
 რიასთან ვიყავი მიმჯდარი და ზედიზედ პაპიროსს ვქაჩავდი.
 ციხის მაღალი კედლების მიღმა ნაესაღგურიდან მოღწეული
 ხმები მარტოობის გრძნობას აღმიძრავდა. გემი, რომლის საყ-
 ვირიდან წელან სადღაც შორს მწუხარებით საესე ხმა ამო-
 დიოდა, ახლა უკვე მოახლოვებულიყო და ლუზას უშვებდა.
 ჯაჭვის ხმაურში ძლივს ისმოდა მენავეების ლრიანცელი. გუ-
 ლი გარეთა მქონდა. ჩემს ფეხებთან ზედამხედველის კრუხი
 დასეირნობდა ერთი კვირის წიწილებით გარშემორტყმული.
 ქალაქის გალავანში ამოზრდილ, თავჩაკიდებულ გვირილას
 მსუბუქი ნიავი აქანავებდა. ცოტა მოშორებით თაიარ ბაბა
 იჯდა, ზურგი კედლისათვის მიეყრდნო, თავი მუცელზე დაე-
 კიდა, თრიაქს ეწეოდა და ბაიბურთულ⁴⁸ შაირებს ღიღინებ-
 და. მაგრამ მე არც ამ ჩემს გულითად მეგობრებში მიძებნია
 სიმშვიდე. ჩემი მზერა რვა არშინის სისქის ქვის კედლებზე და-
 ძრწოდა, ხედავდა გემბანზე თავმოყრილ გოგოებს, რომელ-
 თაც კაბის კალთები აეკეცათ და ამწეს მუშაობას უცქერდნენ,
 ხედავდა მუშებს, რომლებიც თაეს დასტრიალებდნენ ხის
 ვეება უუთებს კიბეზე ჩასატანად. მინდოდა წამოვარდნილი-
 ყავ, ხელის კვრით მიმომეფანტა ზედამხედველები და უან-
 დარმები, ჩავმხტარიყავ ნავში, მიმეცურა გემამდე და — აბა
 დავიძრათ-თქო, მეთქვა კაპიტნისთვის. არც ქალაქები მედგა
 თვალწინ, არც ხალხი, არც ტყე, არც მინდორი. მე ვოცნებობ-
 დი უგალავნო, გამლილ ზღვაზე, უსასრულო სივრცეებზე. ექ,
 რა ცუდია, როცა ადამიანის სული ასე შორს აიჭრება ზეცაში
 და შემდეგ უეცრად ისევ ადამიანების ვიწრო სამყაროში
 აღმოჩნდება.

რეაქციონერმა იაკუფ პოჯამ რკინის სკამი მოიტანა და
ვერდით მომიჯდა.

— როგორა ხარ? — მეითხა მან.

მაშინვე მივხვდი, თუ რისთვის იყო მოსული და ყავახანის-
კენ გავძახე:

— ქემალ, ერთი ჩაი გაუკეთე პოჯას.

ეს საწყალი ბალიქესირში⁴⁹ დერვიშთა რომელილაც ორ-
დენის საქმეებში გარეულა, დაუჭერიათ და როგორც „რეაქ-
ციონერი“, ათი წლით ჩაუსვამთ ციხეში. მენემენის⁵⁰ ამბე-
ბით დაშინებული მთავრობა ამისთანების წინააღმდეგ ძალიან
მკაცრად მოქმედებდა. გარეთ ყოფნის დროს შეძლებულად
ცხოვრობდა და მიუხედავად იმისა, რომ ორი ცოლი ჰყავდა,
ხელი არავის უხლია. ციხის უფროსის მფარეველობით, ზოგი-
ერთის დახმარებით და ამულეტების წერაში აღებული ფუ-
ლით პოჯას იოლად გაპქონდა თავი; მაგრამ ტუსაღებში ცუ-
დი სახელი პქონდა მოპოვებული და ყველას სძულდა, რადგან
ციხის უფროსთან ჯაშუშობსო. მე კი მგონია, რომ ავკაცობი-
სგან კი არა, ენაჭარტალობისა და ცნობისმოყვარეობისაგან
უფრო მოსდიოდა ეს. ბევრჯერ მინახავს იგი საშინელ მდგო-
მარეობაში ჩავარდნილი: იაკუფ პოჯას ძალიან ეშიხოდა
ხოლმე მარტო დარჩენისა. მაშინვე ვიღაცას მიუჩინდებოდა,
თავდავიწყებით მოპყვებოდა რამე საინტერესო და ხიფათიან
ამბავს, ჭუტავდა წვრილ, თაფლისფერ თვალებს და ყოველ
ლონეს ხმარობდა, რომ ირგვლივ მყოფთა გულისყური მიეპყ-
რო; ხოლო როცა ამას მიაღწევდა, თავს ვეღარ იყავებდა და
იმასაც კი გაგიმხელდათ, თუ როგორ იყვანა სახრჩობელაზე
საკუთარი მამა. იგი განუწყვეტლივ დარბოლა ბაღის ერთი
კუთხიდან მეორეში, დააფრიალებდა ბამბის თხელი და განუ-
ნებული პალტოს კალთებს, ზამთარ-ზაფხულ გაუხდელად
რომ ეცვა; აქ ერთ ჭორს მოპყრავდა ყურს, იქ მეორეს და ასე
გაპყავდა დრო. ჩემთან ხშირად მოდიოდა, აქაოდა ჩვენებური
ხარო, საერთო ნაცნობებზე ჩამომიგდებდა სიტყვას, მიამბობ-
და თავისი მეორე ცოლის შესახებ, რომელიც ბალიადან⁵¹
იყო წარმოშობით; ბოლოს მიირთმევდა ახალ ჩაის და წავი-
დოდა. დღეს მისი ქცევა ნაძალადევი იყო. მარჯვენა ხელში

ჩაით სავსე ფინჯანი ეჭირა, მარცხენაში სოფლური პაპიროსი,
რომელსაც შიგ სახეში მაბოლებდა. წამდაუწუმისადაქნევა—
და თავს, თითქოს უნდოდა ეთქვა — აი ასეთია აღაშიანების
ცხოვრებაო! — და ხშირ-ხშირად ოხრავდა.

— ახალსა და კარგს რას იტყვი, ჰოჯა? — სიცილით ვკით-
ხე მე.

— ჩვენმა კათილ ⁵² ოსმანმა გუშინ საღამოს ისევ სისულე-
ლე ჩაიდინა, ახლა უფრო სერიოზული. დალაქ ჰუსამეთინს დანა
გაუყარა; ბოლოსდაბოლოს მართლაც მკვლელი გახდება.

მე უცბათ ვერ გავიხსენე, ვინ იყო ეს კათილ ოსმანი.
ცოტა ხანს დავფიქრდი და შემდეგ ვკითხე:

— ეგ ის ახალგაზრდაა, რომელიც ამ ორი თვის წინ გან-
თავისუფლდა, ჰოჯა რეისის გაძარცვისათვის რომ კინაღამ
დასაჯეს?

— უმჯობესი იყო დაესაჯათ. სულ დიდი შვიდ წელს
მიუსჯიდნენ. და რადგან მას მხოლოდ განზრახვა ედებოდა
ზრალად, რამდენიმე წელიწადში გაათავისუფლებდნენ კიდეც.
მაშინ ეს ამბავიც არ დაატყდებოდა თავს. დალაქი ჰუსამეთი-
ნი თუ მოკვდა, თხუთმეტი წელი ხელში უკავია. დალაქს კი
სააქაოს პირი არ უჩანს, მუცელშია დაჭრილი.

ახლა კარგად გამახსენდა კათილ ოსმანი. ოცდახუთი
წლისა იყო, მაგრამ ჩვიდმეტ წელზე მეტს არ მისცემდით.
ფერმერთალი, თხელი პირისახე, თეთრი ხელები და გრძელი
თითები ჰქონდა. ჩემთან მოსკლისას პიჯაკი ყოველთვის აქე-
ცილი ჰქონდა და ხელები მუცელზე დაწყობილი. რამეს რომ
ვკითხავდი, თავს წინ წაბოწევდა და მეტყოდა: — ბრძანე,
ალაბეი! ⁵³ — ციხეში მყოფ სახელგანთქმულ ბანდიტებთან
კრინტსაც ვერა ძრავდა. იგი ყურს მიგდებდა როგორც ბეჯი-
თი მოსწავლე, რომელსაც მასწავლებლის არც ერთი სიტყვა
არ გამოეპარება. ძალიან ძნელი დასაჯერებელი იყო, რაც
მისი ციხის გარეთა ცხოვრების შესახებ მქონდა გაგონილი,
მაგრამ ყოველი კაცი ერთსა და იმავეს ამბობდა და ნახვის
დღეებში მოსული მისი მოხუცი დედაც კი შორიდანვე შუარედ
წყევლიდა შვილს: — სახლკარი დაგვიქციე, ოსმან, შე ადრე
და მალე დასაღუბავოო!

მათა ოსმანს ადრე შოჰიკვლომოდა და გაჭირვებაში ცხრუ-
რობდა. მაგრამ ამ ხნის ვაუკაცს არავითარი საქმისათვისაარ
მოეკიდებინა ხელი. რომელ ხელოსანთანაც არ მიიყვანეს,
მხოლოდ სამი-ოთხი დღე გაჩერდა და გაიქცა. თერმობაში
მარყუების ამოყვანისა და მეჯლანეობაში კი ძაფის გასახოვ-
ლის იქით არ წასულა. ათი წლის ასაკიდან მოყოლებული
უბნის ბავშვებსა სცემდა; თორმეტი წლისა რომ იყო, დედას
შეუტია, თხუთმეტი წლისამ ბიძამისს დანა გაუყარა, ხოლო
თექვსმეტ წელს რომ გადააბიჯა, კვირაში ერთხელ საპოლი-
ციონ უბანში იჯდა, თვეში ერთხელ კი ციხეში ამოჰყოფდა
თავს. საწყალ მამამისს პატარა ვენახი დარჩა. ოსმანმა გაზაფ-
ხულზე ფოთოლი გაძინდა, შემოდგომაზე ყურძენი, ზამთარ-
ში კი ვაზიც მიაყიდა და მთელი ფული არაუში დახარჯა. იგი
ბევრს ეცადა იმავე გზას გაეყენებინა ორთვალიანი სახლი და
მის უკან გაშლილი პატარა ბაღი, მაგრამ დედამისი მაგრად
დახვდა: — სანამ ცოცხალი ვარ, ამ სახლში სხვა ვერავინ შე-
მოვაო, — უთქვამს საწყალ ქალს და ნასყიდობის ქალალდები
ბიძამისისათვის მიუბარებია შესანახად. საცოდავი ქალი ზამ-
თარ-ზაფხულ გამუდმებით მუშაობდა პატარა ბაღში, მაგრამ
იქ მოწეული მწვანილი, ხუთიოდე ქლიავისა და ალუბლის
ხის შემოსავალი ოსმანს არც საჭმელად ჰყოფნიდა და არც
ტანსაცმლისათვის; და მან მეხარაჯეობა დაიწყო. მისგან
სიცოცხლე ჰქონდა გამწარებული ყველას: ხან ხელოსან-
თან მივიდოდა, ხან მეწვანილესთან, ხან კიდევ შეხამ-
ლესთან, და მათი სურვილის გარეშე იმუშავებდა ხუთი-
ათი დღე; ხან კიდევ კეთალის დასაჭერად წასულ მე-
თევზეებს ეხმარებოდა ქვირითის ამოცლაში და ამგვარად
შოულობდა ზოგჯერ ერთ წყვილ იემენურ ფეხსამოსს ან
რამდენიმე ლირა ფულს. როცა შავი ზღვიდან მწყერი წამო-
ვიდოდა ხოლმე, გაძიებოდა მონადირეებს, ამ წვიმიან
დღეებში ჩაებმებოდა ნადირობაში და ისეთი ადგილებიდან
ამოჰყავდა მწყერი, სადაც პატარა ბავშვსაც კი უჭირდა შეძ-
რომა. სალამობით რომელიმე სარდაფში ჩავიდოდა, მოისვამ-
და მეგობარს და საჭმელსა და სასმელს შეაკვეთინებდა მისთ-
ვის. თუ ფული არა ჰქონდა — ჩემზე იყოსო, დაუბარებდა

შზარეულს და გაქრებოდა. ზოგიერთი დუქნის პატრონი უცა
მოვნებას გაურბოდა, ამიტომ საჭმელსაც აჭმევდა, ზოგი ნახე-
ვარ ლირასაც ასესხებდა და იშორებდა თავიდან. თუ ვინძეს
ჩააცივდებოდა, ადვილად აღარ ეშვებოდა, უხეიროს ეტყოდა
რამეს ან იმასხრებდა; თუ ცოტა რამ თვალში არ მოუვიდოდა,
ვაშინვე ჩხუბს ატეხდა და გულს უწყილებდა ყველას. ქორ-
წილსა და თავყრილობას ხომ არ დააკლდებოდა, საცა კი ლია
კარს ნახავდა, ისე შევიდოდა, თითქოს მამამისის სახლში შე-
დისო, და სამ ჭიქას რომ დალევდა, ჭიქას კარგავდა. შემდეგ
ისეთ ვინმეს ამოიჩემებდა და აეკვიატებოდა, ვისაც მისი გამ-
ქლავება არ შეეძლო. სამაზრო ქალაქის ყველაზე განთქმული
ყოჩიც კი გაურბოდა მასთან შეტაკებას. თავლაფის დასხმა
კიდევ არაფერი, მაგრამ როგორც კი შეატყობდა ოსმანი,
რომ შისი საქმე ცუდად არის, მაშინვე ყვირილსა და ტი-
რილს მორთავდა, მთელ ხალხს შეყრიდა. ყველგან, რა მა-
ზეზითაც არ უნდა დაწყებულიყო ჩხუბი, უბრალო დავის
დროსაც კი, დანაზე გაიკრავდა ხელს და — დაგლუპავ, ბიჭო,
შენს სისხლს დავლევ, თავს ნუ მომაკვლევინებო, — მოჰყვე-
ბოდა ქადილს. ჯერ კაციც არ დაეჭრა, როდ სახელაც კაცის-
მკვლელი ოსმანი შეერქვა.

მაგრამ, როგორც ზემოთაც მოგახსენეთ, ჩემ მიერ ციხეში
ნახული გულჩათხრობილი ბიჭისა და ამ თავზე ხელაღებული
მაწანწალის გაიგივება ძნელი იყო. თუმცა იმ ხანებში სწო-
რედ ერთი ამგვარი საქციელის გამო მოხვდა ციხეში: ერთ
სალამოს შინ მიმავალი თავისი უბნელი გაუჩერებია —
წამო, არაყი დამალევინეო. — საქმე მაქვს და არა მცალიაო, —
უპასუხნია იმ კაცს. მაშინ ორი ლირა მასესხეო, ჩააცივდა
თურმე. მაგრამ როცა ნახა, რომ ეს კაცი უარზე იყო, მაშინ-
ვე დანისკენ წაულია ხელი. ამასობაში ხალხიც მოცვენილა
და ოსმანი პოლიციელისათვის ჩაუბარებიათ. მოსამართლემ,
რომელიც უკვე შეწუხებული იყო მისი ხშირი სტუმრობით,
გადაწყვიტა ჭიქა ესწავლებინა და „ლამე შეიარაღებული თავ-
დასხმისათვის“ ხეთი წლის პატიმრობა მიუსაჯა. მაგრამ ოს-
მანმა იმ გულქვა სასამართლოს თავმჯდომარის წინაშეც გულ-
ამოსკვენით და მართალი კაცივით იტირა, თავი შეაცოდა და

პხოლოდ რამდენიმე თვის სასჯელით დაიძგრინა თავი. ბოლოს ისიც აპატიეს და მაშინვე გამოუშვეს.

იაკუფ პოჯა სულ ამას სწუხდა: თავმჯდომარებრ სიკეთე ვერ უყო მაგ ბიჭს; იმ იუსუფის გამო რომ სამიოდე წელი ჩამჯდარიყო, ჰკუანასწავლი გამოვიდოდა. ახლა კი დალაქი თუ მოკვდა, თხეოთმეტ წელს მიაკრავენ.

შუაღლე გადასული იყო. პოჯა ხელებს იმკლავებდა და რიტუალური განბანისთვის ემზადებოდა. იქვე მყოფი მხერნავი კაქლის კუნძებს უკან ლოცულობდა; ქალაქის კედელზე უანდარმთა მორიგეობა იცვლებოდა. განუწყვეტლივ ისმოდა გემზე მომუშავე ამწეს გუგუნი და მოტორიანი ნაცების გულისგამაწვრილებელი ხმაური. ჩემს უკან რეინის კარებმა გაიკრიალა; მივიხედე: ეზოში ხოფელი ზედამხედველი ალი ფაიკი და კათილ ოსმანი შემოვიდნენ.

ოსმანი ქალალდივით გაფითრებულიყო. თვალები დაპატარავებული და ჩასისხლიანებული ჰქონდა. ნიკაბზე და საფეთქლებთან თმა და წვერი გაზრდოდა. თხელი, ჩამოგრძელებული სახე, წვეტიანი ცხვირი და წვრილი, ჩაყვითლებული კბილები ჰქონდა. შიშით შომზირალი თვალები ნახევრად მოეჭუტა; იგი კატის კლანჭებში მოქცეულ ცოცხალ თაგვსა ჰგავდა.

— ოსმან, მოდი, დაჯექ, — გამოველაპარაკე მე ახალმოსულთ. — ალი ფაიკ, მოდი, ერთი ყავა შენც დალიე!

თითქოს მფარველს მიაგნოო, ოსმანი სწრაფი ნაბიჯით მოვიდა ჩემთან, პოჯა იაკუფის გვერდით სკამზე ჩამოკდა, ხელები მაგიდაზე დააწყო და შეშინებული თვალები მომაბყრო. წვრილთითებიანი თეთრი ხელები უკანკალებდა.

— ეგ როგორ მოგივიდა, ოსმან? — შევეკითხე.

— ნუ მკითხავ, ალაბეი, შემთხვევის ამბავი იყო, რაც მოხდა, მოხდა.

მან არეულ-დარეულად მიამბო, რაც მომხდარიყო. ვატყობდი, რომ უმძიმდა, მაგრამ ხმას არ ვიღებდი. ოსმანს თავი განშე გადაეგდო და თვალცრემლიანი ისეთი საცოდავი ხმით ყვებოდა ამბავს, თითქოს სასამართლოს წინაშეა წამდგარი და თავის შეცოდებას ცდილობსო. — ღმერთმანი, ხუმრობით

მომივიდა, აღაბეი. მე მხოლოდ მივაკარე დანის წვერი, მას კი
მუცელი ცარიელი ჰქონია და დანაც აღვილად შეერქოს

ამასობაში იაკუფ ჰოჯა ზედამხედველს ალი ფაიქს ესაუბ-
რებოდა და რაღაცას ეკითხებოდა. ალი ფაიქმა თხრობა დაამ-
თავრა, ფეხზე წამოდგა, ყავის უკანასკნელი ყლუპი დალია
და ოსმანს მიუბრუნდა:

— მაგ შენს ზღაპრებს სასამართლოს თავმჯდომარე ახლა
ყურს აღარ ათხოვებს, სხვა რამე მოიფიქრე. წამო, საკანში
წავიდეთ!

ოსმანი წამოდგა და გაპყვა. — ღმერთმანი, ისე მოხდა,
როგორც მე ვამბობ, ალი ფაიქ, — უხსნიდა ოსმანი ზედა-
მხედველს.

იმავე სალამოს რამდენიმე კაცისაგან გავიგე, რომ შემთხ-
ვევას, რომელიც ოსმანს გადახდა, სრულიად უბრალო მიზეზი
ჰქონდა: ოსმანს და მასავით ერთ მაწანწალას სამიოდე ჭიქა
გადაუკრავთ, კაფეში შესულან და სამოცდაექვსის თამაში
დაუწყიათ. ამ დროს მოსულა დალაქი ჰუსამეთინი, ჩაუხედავს
მათ ქალალდში და: — კოზირით იარე, ოცი უთხარო, — დაუწყია
კარნახი. — კაცო, თუ ასე კარგად იცი, მოდი შენც ითამაშე,
სამნი ვიქნებითო, — უთქვამს ოსმანს. ჰუსამეთინს უარი გა-
ნუცხადებია. ამ დავაში ოსმანს უძვრია ვიწრო პირიანი ბურ-
სული ⁵⁴ დანა და დაურტყამს.

— აბა, ოსმანს სადა აქვს კაცის მოკვლის შნო, — ამბობ-
ლნენ ზოგიერთები. — მთვრალი იყო და ხელი წაუვიდა, ზედ-
მეტი მოუვიდა, დანა ერთი გოჯის სიღრმეზე შევიდა.

ოსმანი წყნარად ისმენდა მის გვერდით მიმდინარე ამ საუ-
ბარს და, ფეხმორთხმით მჯდომი, დამფრთხალი თვალებით
მისჩერებოდა ტუსალების ფეხებს.

მომდევნო დღეებში ოსმანის სულიერი მდგომარეობა არ
ჟეცვლილა. იგი გამალებული ბოლთასა სცემდა ბალში, წარა-
მარა კარებისკენ გარბოდა და საავადმყოფოში მყოფი ჰუსა-
მეთინის ამბავს კითხულობდა. დალაქმა თორმეტი დღე
იცოცხლა. ჭრილობა რომ მძიმე არა ჰქონოდა, იქნებ გადარ-
ჩენილიყო კიდეც. მაგრამ ამ პატარა სავილაიეთო ცენტრის
ორექიმიან საავადმყოფოში ყინულის შეკეთებელი მანქანა არ

იყო. ჭის წყალში დასველებულმა კოშპრესებმა რატომოაც არ
იმოქმედა და ქრისტიანის მიენებიდან მეთორმეტე დღეს, მგრივი
შუცლის გარსის ანთებით გარდაიცვალა.

ოსმანმა ეს ამბავი რომ გაიგო, მთლად გაფიტრდა. თავ-
ზარდაც მულმა გარშემო მყოფები შეათვალიერა, ოხვრით
მოშორდა იქაურობას, კედელთან დაეშვა და ფიქრებს მიეცა.

მას აქეთ ოსმანი უეცრად გამოიცვალა. მთლად განერ-
ვიულდა და გაცხარდა. დაივიწყა შიში და დუმილი; ნაცვლად
წინანდელი მორიდებისა, რომელსაც ჩემდამი იჩენდა, ახლა
ვამჩნევდი ანგარიშმიუცემლობას, უხეშობას. საჭირო იყო თუ
არა, ერეოდა ლაპარაკში; გაბრაზებული საჩხუბრად მიიწევ-
და, საკის ამხანაგებს დასაწოლ ადგილზე ან ულუფის განა-
წილებაზე ეჩხუბებოდა; ნახვის დღეს ისეთი დავიდარაბა
აუტეხა დედამისს ფულის გულისათვის, რომ ზედამხედველე-
ბის ჩარევა გახდა საჭირო. მაგრამ თუ წარმოვიდგენდით იმას,
რაც ოსმანს გადახდა, ძნელი აღარ იყო გაება, რატომ იყო
ასეთი თავშეუკავებელი. კაცი არ იყო, რომელიც მას მიუჯდე-
ბოდა, მის დარდს გაიზიარებდა და მდგომარეობას გამოჰკი-
თხავდა. ეს ბავშვობიდან უპატრიონო ახალგაზრდა ერთ დღეს
მოვიხმე და გულახდილად დაუუწყე საუბარი. ვისაუბრეთ მის
ციხისგარეთა ცხოვრებაზე, სასმელებზე, უბანში ატეხილ სხვა-
დასხვა ჩხუბზე, ზღვისა და მწყრებზე ნადირობის შესახებ.
ამბავს ამბავი მოჰყვა და ბოლოს უკანასკნელ შემთხვევასაც
მივადექით. ოსმანის სულში დაბუდებული დიდი მჭმუნვარე-
ბის შესამსუბუქებლად მე გრძელი დამამშვიდებელი საუბარი
გავაძი.

— ნუ ნაღვლობ, ოსმან, — ვეუბნებოდი, — აღამიანს მუ-
ლამ ემართება ასეთი რამ. აბა ნახე, ამ ციხეში მყოფი შვიდა-
სი კაციდან სულ ცოტა ხუთასს მაინც მოელული კაცის ცოდვა
აწევს კისერზე; თუ მოინანიებ და გამოსწორდები, ყველაფერი
დაგავიწყდება.

ამას რომ უსმენდა, ოსმანი, ეტყობოდა, შეწუხდა. მე არ
გამკვირებია. ადვილი არ იყო მისი გაყინული აღამიანობის
გამოღვიძება, მაგრამ ოსმანმა ხელი ჩაიქნია და მეტი აღარ
მათქმევინა. შემდეგ პირი ყურთან მომიტანა, თითქოს არ უნდა
სხვამ გაიგონოსო, და მითხრა:

— მოეშვი მაგ ცარიელ სიტყვებს, აღაბეი! ამდენი წელია უმიზეზოდ კაცისმქვლელს მეძახიან; თვალებამღვრეულია რომ დავსხმოდი ვინმეს, წარბსაც არავინ შეიხრიდა, შენისთანა ტრაბანა კაცისმქვლელი ბევრი გვინახავსო, მეტყოდა. თავზე-სელალებული მე რომ მინახავს, ის არის, თორემ აბა მე ვინა ვარ. ღმერთმა აცხონოს, და პუსამეთინთან არავითარი ანგარიში არა მქონია, მაგრამ ჩემთვის საჭირო იყო ასეთი შემთხვევა.

ოსმანს არად ჩაუგდია ჩემი განცვიფრება, წამოდგა და ისეთი მსუბუქი ნაბიჯით მოშორდა იქაურობას, თითქოს ზურგიდან მძიმე ტვირთი მოიშორაო.

ჩვენი საუბრის ბოლო მომენტში ჩუმად მოგვჯდომოდა იაკუფ ჰოჯა და ყურს გვიგდებდა. მოსმენილით ქმაყოფილმა წელი მხარზე დამალო და ფილოსოფიურად წარმოსთქვა:

— აი ასეა ეს ქვეყანა, ზოგს კაცის მოქვლის გამო უწოდებენ მქვლელს, ზოგი კი კაცსა ქლავს იმიტომ, რომ მქვლელის სახელი აქვს გავარდნილი.

მგელი და პრავი

იგი პოლიციის განყოფილების კარებიდან გამოვიდა და ცოტა ხანს შეჩერდა. ორმოცდაათიოდე ნაბიჯის მოშორებით, მთავარ გამზირზე მოსრიალე მანქანების სინათლეზე წვიმის წვრილი წევეთები ბრწყინავდა. სველ ქვაფენილზე ქალი მიაბიჯებდა; ფეხი უცურდებოდა. ისმოდა ტრამვაის ზარების განუწყვეტილი უღარუნი; ბორბლების ჭრიალს მაღაზიების დასაშვები დარაბების ხმაური უერთდებოდა. რიფათი გაუნძრევლად იდგა ერთ ადგილზე. ოცი დღე იყო ქუჩა არ ენახა და იმდენად გადაჩვეოდა, რომ შიშისაგან არაფერს უცემერდა, არაფერს უსმენდა. ალბათ კიდევ დიდხანს იქნებოდა ამ მდგომარეობაში, რომ იქვე უეცრად ატეხილ რაღაც საშინელ ხმაურს არ შეეკრო; პოლიციელი კარებთან მდგომ მოტოციკლეტს ქოქავდა. რიფათმა ირგვლივ მიმოიხედა. და როცა შეამჩნია, რომ კიდევ პოლიციის ავტომანქანებსა და მოტოციკლეტებს შორის იყო, ისეთმა ძლიერმა თრთოლამ აიტანა, თითქოს ისევ დაეჭიროთ და ზემოთ მიჰყავდეთ იმ თეთრეკადლებიანი და ხის კერიანი ვიწრო საკნისაკენ. ჩქარი ნაბიჯით მოშორდა იქაურობას და გამზირზე გავიდა. თითქოს სიარულიც კი დავიწყებოდა. საყელოაწეული პალტოს კალთები მუხლებში ედებოდა, ფეხები განზე გაურბოდა. კუთხემდე მივიდა და ტრამვაის დაუწყო ლოდინი. ახლა ის ფიქრობდა იმაზე, რომ სახლში მისვლისთანავე წყალს გაათბობდა და პირს გაიპარსავდა; გამოიცვლიდა სამი კვირის გაუნდელ ტანსაცხელს, რომელიც ისე გაჭუჭყიანებოდა, რომ მისი სუნი ქუჩაშიც კი ცხვირში სცემდა. ხოლო შემდეგ გამოვიდოდა ქუჩაში და ისეირნებდა, ვიდრე ფეხები გაუძლებდნენ.

ამ დროს სწორედ მის წინ ორჩონოდიანი ტრამვაი გა-

ჩერდა. მაგრამ არ ჩამჯდარა, რადგან ეს ტრამვაი სხვა /შხარეს მიღიოდა. იგი შესცეროდა გაორთქლილ და წვიმის წვეთებით დახაზულ მინებს, ადამიანთა შერთალ ლანდფებს მინებს იქით რომ მოჩანდნენ. რიფათი იმდენად იყო გაბრუებული, რომ არც კი შეუმჩნევია, როგორ დაიძრა ტრამვაი ადგილიდან, როგორ ერთიმეორის მიყოლებით მოშორდნენ იქაურობას ჩონიდის ფანჯრები. ამასობაში თვალი მოჰკრა ვიღაცას, რომელიც მოულოდნელად გამოჩენილიყო იქ და მას შემოსცერდა. — აჲ! — შეშინებული ხმით წამოიძახა რიფათმა და უკან დაიხია. თუმცა მაშინვე ფართოდ გააღო თვალები და წარმოსტევა: — როგორ? თქვენც გამოგიშვეს?

რიფათის წინ გაუნდრეულად იდგა ახალგაზრდა, მობუზული ქალი. მას ეცვა შავი მანტო და თავზე შალის მოსასხამი პქონდა შემოხვეული.

— დიახ, — წარმოსტევა მან ჩახლეჩილი ხმით, მაგრამ უცრად ცრემლი მოერინ და თავი დახარა.

რიფათი გალიმებას შეეცადა:

— მე მესმის თქვენი განცდა, მაგრამ აბა ტირილი რასა შეველის, — სიცილი უნდა, სიცილი... თქვენც ცუდად მოგეპყრნენ, არა? საით მიღინართ?

— აკსარაიში! 55

— მეც იქით მოვდივარ. თუ გინდათ, ფეხით წავიდეთ. გზაში ვისაუბრებთ. ნეტავ თუ ვინმე გამოგვადევნეს? თუ უნდათ, გამოგვადევნონ... უკვე საშიში აღარ არის. იმათ ხომ თვითონ გაგვაცნეს ერთმანეთი.

რიფათმა ნაბიჯი გადადგა წასასვლელად, მაგრამ ქალი არ იძროდა და წინ დახრილ თავს იქნევდა. რიფათი გაკვირვებული მიუახლოვდა:

— რა გემართებათ? ნუთუ ასე იმოქმედა თქვენზე ოთხისუთი დღის თავგადასავალმა?

განცდილის გახსენებაზე ქალმა ოდნავ დამცირებულად იგრძნო თავი. ამ სიტყვებს ის ჯიქურ შეხვდა, სწრაფად ასწია თავი, მოსასხამი უკან გადაიგდო და მწყრალად წარმოსტევა:

— ეს რას ნიშნავს? მათმა ქცევამ ისინი მხოლოდ დაამცირა ჩემს თვალში... მე ეგ არ მაღელვებს... მას შემდეგ, რაც

თქვენ იქ გადაგხდათ... გამოსვლის შემდეგ მე თქვენმა შეძე
კედრამ განმაცვიფრა... მგონი განგებ მოაწყვეს... ერთიმეტო
რის შემდეგ გამოგვიშვეს, რომ შევხვედროდით - ერთმანეთს.
ენ იცის, ახლაც გვითვალთვალებენ!

— მე ხომ გითხარით, ფეხით წავიდეთ-მეთქი. თუ ვინმე
გამოგვედევნა, შევიტყობთ... საშიში არაფერია. იქ ხომ მათ
შეგვანედრეს და გაგვაცნეს ერთმანეთი. ორივე ერთ დროს
გაგვათავისუფლეს. ისიც ხომ უწერიათ, რომ ორივეს სახლი
ერთ მხარესაა. ასეთ შემთხვევაში ჩვენს ერთად სიარულში
უცნაური არაფერია. თუ უნდათ, გამოგვიძახონ და ამის მიზე-
ზის გასაგებად სამი დღე, ხუთი დღე დაგვაკავონ... წამო,
წავიდეთ...

ახალგაზრდა ქალი რიფათს მიუახლოედა და ხელი გაუ-
ყარა.

— წამო, წავიდეთ, — წარმოსოქვა მან და დაიძრა. რამ-
დენიმე ნაბიჯი გაიარეს.

— ის დამე ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება. როგორ
მოხდა, რომ ასეთი საცოდავი აღმოვჩნდი, — სოქვა ქალმა.

რიფათმა უცბათ სერიოზული სახე მიიღო:

— ხდება, ხანდახან ხდება... განა ჩვენ შეგვიძლია ვიცო-
დეთ, რა ხდება იმ მოკვდავში, რომელსაც ადამიანს უწოდე-
ბენ? უნდა ვიცოდეთ, რომ სწორედ ის იზამს რამე მოულოდ-
ნელს, ვისიც ყველაზე უფრო გწამს. ახლა ეგ თქვენი წუხე-
ლიც კარგია. თქვენ ხომ გასამართლებელს არაფერს ეძებთ,
არამედ წუხხართ. მერე კიდევ, არც თუ ისეთი ბრალი შიგი-
ძლვით. ჩემშე გათქმევინეს ვიცნობო, მაშინ, როცა არც კი
მიცნობდით. რა მოხდა მერე? ერთი ჩვენგანიც რომ უვ-
ნებლად გამოსულიყო, მაინც არ იქნებოდა ურიგო. ჩემთვი-
საც უნდოდათ ეთქმევინებინათ, თითქოს თქვენ გიცნობთ.
ოთხი დღე არ მასვენებდნენ. ვერაფერს გახდნენ. თქვენ კი
ამდენი გამძლეობა არ გეყოთ. ეჭ, სამაგიეროდ საკუთარი თვი
გაიცანით. მე ხომ ვამბობდი, თვითონ ჩვენში იმდენი რამაა
ჩვენთვისვე უცნობი, რომ... ამგვარად მეღავნდება აღამიანის
ბუნება... ამაში სასირცხო არაფერია, ხოლო თუ შემდეგშიც

ასევე მოვიქეცით, აი მაშინ ეს იქნება შეცდომა და, ჟურნალის
ბავთ, შიშიც.

რიფათი ცოტა ხანს გაჩუმდა; ცალი თვალით უცემროდა
ქალს, რომელსაც მოსასხამის თავზე დახურვა დავიწყებოდა
და სველი, ოქროსფერი ხუჭუჭი თმა უბრწყინავდა. რიფათი
ისე იყო საუბრით გართული, რომ ვეღარ გაჩუმებულიყო და
თვითონაც აღარ იცოდა რა უნდოდა. ხანდახან, როცა ტკბილი
ოცნება მოაწვებოდა ხოლმე, სხვა რაღაცებზე იწყებდა ლაპა-
რაქს, რომ ეს ფიქრები უკუებდო.

ბაიეზითის 58 მიდამოებში მკრთალად განათებული ერთი
დუქნის წინ მან ქალს მკლავში მოჰკიდა ხელი:

— არა გშიათ, განა, ქალბატონო სევიმ?

— როგორ არა, სამი დღეა არაფერი მიჰამია.

— არც მე. აქ შევიდეთ, ცოტა რამ მაინც ვჭიამოთ.

ცალი ხელით კარს რომ აღებდა, მეორეთი ჯიბე მოისინ-
ჯა: დაპატიმრების დროს ჩამორთმეული ათიოდე ლირა გა-
მოსვლისას უკანვე დაუბრუნეს.

ისინი გვერდიგვერდ მიუსხდნენ მაგიდას. ხმაამოულებლივ
შეექცნენ საჭმელს და მალე იგრძნეს, რომ გაძლნენ და სხვას
ვეღარაფერს შევამდნენ. ახალგაზრდა კაცმა ჯიბიდან პაპირო-
სის კოლოფი ამოილო და ქალს გაუწიოდა. ქალმა თავის გაქნე-
ვით ამცნო, არ ვეწევიო და ავდგეთო, ანიშნა.

გაშინ რიფათმა თავისი სკამი ცოტა მიატრიალა, პირის-
პირ დაუჯდა ქალს და რაღაც უცხო ფიქრებში წასული მზე-
რით მიაცეკერდა.

— ნუ ჩქარობთ, მეც მაქვს თქვენთვის რაღაც სათქმელი.

დუქანში მათ გარდა მუშტარი არავინ იყო. დუქნის პატ-
რონი ნიკაპით ცალ ხელს დაყრდნობოდა და ქვაბთან იჯდა
ჭუჭყიან მინებს იქით. მას თითქოს აღარც კი ახსოვდა ეს მა-
გიდასთან ერთმანეთის გვერდით მიმჯდარი, ლაპარაქში გარ-
თული წყვილი, რომელსაც სუფის გარდა არაფერი უკამია.

რიფათმა ხმადაბლა დაიწყო ლაპარაქი. მისი ხმა ფანჯრის
მინებზე დაცემული ქარის მოტანილი წვეობის უკე-
რას წააგავდა.

— მე იმ საღამოს მივხვდი ყველაფერს, როცა გამომიყვანეს საკანცელარიო ოთახიდან, საღაც თთხი დღე შიშველი გიდაზე ვიწექი, და თქვენთან შესახვედრად წამიყვანეს. ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ გაგტეხდნენ, თორემ ისე ჩვენი დაპირისპირება უაზრო იქნებოდა. ჩემი ეს ვარაუდი პირველი შეხვედრისთანავე განმტკიცდა. სკამის კიდეზე ჩამომჯდარი თქვენ მხრებაშურული უჯექით ვეება მაგიდას, რომლის გარშემოც კომისიის წევრებს მოეყარათ თავი; მათს დაღლილ სახეზე სიმკაცრე და დამცინაობა იხატებოდა. თქვენ წიშით იყავით შეპყრობილი. რომ შემომიყვანეს, ზურგით იჯექით კარგისაკენ. მე და ჩემი თანმხლები პოლიციელი ნელი ნაბიჯით მოგიახლოვდით. შემდეგ კომისიის ერთ-ერთმა წევრმა უცბათ მოგმართათ:

— მიიხედეთ უკან, ამ ბატონს იცნობთ თუ არა?

თქვენ სახე ჩემსკენ მოატრიალეთ. მე არასდროს დამაკიწყდება ეს. რამდენიმე წლის წინათ, პირველად და უკანასკნელად ჩემს ნიცოცხლეში, მე და ჩემი რამდენიმე ამხანავი სანადიროდ ვიყავით. რასაკვირველია, ვერაფერი დავხოცეთ, ვერც კურდლელი, ვერც გარეული ქათამი. საღამოს, როცა ვგრძნდებოდი, გზაში შიშველ ქვაზე ბელურების გუნდს მოვარი თვალი. მთელი დღე უქმად მყოფი თოფი ქვისკენ მოვატრიალე და გავისროლე. ჩიტებმა — ფრრრო, დაიძახეს და გაიფანტნენ. მხოლოდ ერთი დაჭრილიყო ფრთაში და მიწაზე მიფორთხავდა. მივირბინე და ხელში ავიყვანე. მაშინ ვიგრძენი, თუ რა ძლიერად უცემდა ჩიტს გული; ის თხილისოდენა ხორცის ნაჭერი ისე ძლიერად ფეთქვდა, თითქოს ჩემი მუჭის გაგლეჯას პირებსო. მის თვალებში შიში და გაკვირვება მოჩანდა. ამის მნახველმა ხელი ვუშვი ფრინველს და გავიქეცი... და სწორედ ასე, თქვენმა იმდღევანდელმა გამოხედვამ ამ ჩიტის დიდი სნის წინათ დავიწყებული მხერა გამახსენა. თქვენი გულიც აღბათ ისევე ცემდა. უეცრად რატომლაც გაცინება მომინდა. დიახ, იქ, ოთხი ლლის უძილობისა და შიშმილის შემდეგ, იმ საშინელ ოთახში, შუაღამისას, იმ ადამიანებს შორის, რომლებიც მე მტრებად მიმაჩნდა, თქვენი განცვიფრებული სახე,

შიშისაგან დაღებული თვალები მე სასაცილოდ მომეჩვენა.
თქვენ პირდაპირ სახეში მიცემერდით.

საქართველო
სამართლებრივი კულტურული მუზეუმი

— დიახ, ვიცნობ! — იცრუეთ თქვენ და იმ დროს ჩემი
უფრო გეშინოდათ, ვიდრე თქვენს გარშემო მყოფებისა. თქვე-
ნი ასეთი მდგომარეობა ზიზდს იწვევდა ჩემში. ალბათ თქვენც
გახსენდებათ, სახე აგარიდეთ და სიცილით მივმართე იქ
მსხდომთ:

— ჩემთვის დიდი პატივია, თუკი ასეთი ქალბატონი მიც-
ნობს. მაგრამ მე მას არ ვიცნობ და ძალიან ვწუხვარ!

როცა ხელახლა ამიყვანეს ზემოთ, ასე მეგონა, რაღაც
დიდი გამარჯვება მოვიპოვე-მეთქი. ძლიერისა და გამარჯვე-
ბულის სიამაყის გრძნობა სუსტისა და დამარცხებულის მი-
მართ... ახლა, როცა კვლავ წარმოვიდგენ ყოველივე ამას,
უკვე თქვენზე კი არა, ჩემს თავზე მეცინება.

ახალგაზრდა ქალმა განცვიფრებით შეხედა რითათს. არაფ-
რის თქმას არ აპირებდა, მაგრამ ყმაშვილმა კაცმა ხელით ანიშ-
ნა გაჩუმდიო და განაგრძო:

— რომ იცოდეთ, რა ძლიერად ვგრძნობდი თავს!.. ოთხი
დღე კანცელარიაში გავატარე, დღისით გაუნძრევლად ვიჯექი
სკამზე, რამე შიშველ მაგიდაზე ვიწევი. მაგრამ არ დამინე-
ბია. ნერვები სულ ერთიან დაძაბული მქონდა. არც მშიოდა,
არც მეძინებოდა. თავიდან ვიშორებდი ფიქრებს ჩემი საშიში
მდგომარეობის. შესახებ, მოგონებებს, რომელიც მე თავისუ-
ფალ ცხოვრებასთან მაკავშირებდა, თვალწინ გაცოცხლებულ
სახეებს; საღ აზრსა და ნებისყოფას ვინარჩუნებდი. დღისით
ოთახში თავმოყრილ თანამშრომელთა ლაპარაკს რომ ვუგ-
დებდი ყურს, რწმენა მემატებოდა. სიამაყეს მმატებდა იმ იდა-
მიანთა უმწეობა, რომელთაც შეეძლოთ ჩემი ცხოვრების, ჩემი
თავისუფლების ხელყოფა. იმ დღეებში მათ ტანსაცმელი,
პალტოები, ქუდები და ფეხსაცმელი ურიგდებოდათ. მთელი
მათი საუბარი ამის გარშემო ტრიალებდა. ერთი ჩიოდა, რომ
ცალ-ცალი ფეხსაცმელი შეხედა, მეორე პალტოს შემკერავს
ლანძღვებდა, სხვა კიდევ ამბობდა, რომ მიღებულ ქუდს გა-
ყიდდა, ცოტა ფულს დაამატებდა და უკეთესს იყიდდა. ყვე-
ლანი ერთად კი უკმაყოფილონი იყვნენ იმ სამშართველო მე-

ქანიშიმისა, რომლის სამსახურშიც თვითონ იმყოფებოდნენ; უკმაყოფილონი იყვნენ მთავრობისა, სახელმწიფო მდგომარეობისა. ყოველდღიური გაჭირება იყო მათი სტუბრის თემა ყოველთვის და ყველგან, ყოველ ჭავანანაში, ყოველ ტრამვაიში. ისინი ვერც კი ერკვეოდნენ იმაში, რომ არსებული სისტემის წინააღმდეგნი იყვნენ და ამავე დროს კი თვითონვე ანადგურებდნენ იმათ, ვინც უკეთესისათვის იბრძოდა. ხან კიდევ, როცა საღამოს, მაგალითად, პოლიციის უფროსის ბრძნებით ორი საათით გვიან დაირექებოდა სამუშაოს დამთავრების ზარი, ან კიდევ შეებულებაში მიმავალ რომელიმე მათგანს მოულოდნელად დავალებას მისცემდნენ, იგი ბრაზისაგან ალმურმოდებული მე მომიბრუნდებოდა:

— ეფენდი, ამ ვაჟბატონების წინააღმდეგ თქვენ კიდევ ცოტას წერთ! საკუთარი კეთილდღეობის გარდა არაფერზე ფიქრობენ... ამათ ნამდვილ სახეს მხოლოდ ჩვენ ვიცნობთ, მაგრამ რომ ვერაფერს ვიტყვით! ლუკმა პურის ფულით ვართ დაბმული.

მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ მავიდაზე ნაპოვნი ქალალდის ნაგლეჯზე რომ დამეწერა რამე, მაშინვე თავს დამესხმოდნენ:

— წერა აკრძალულია, ეფენდი!

რაც უფრო მეტს ვუსმენდი ამ სულდავებს და ეუცემერდი მათს მდგომარეობას, მით უფრო მჯეროდა პეშმარიტება ბრძოლისა და იმედი მქონდა, რომ ერთ შშვენიერ დღეს როგორმე დავამარცხებდთ მათს თავხედობას, ჩიმორჩენილობას, უსინდისობას. ოღონდ საჭირო იყო ვაჟკაცობა და ბრძოლაში უშიშრობა.

ჩემს ნებისყოფას იმისათვის ვცდიდი, რომ მუდამ მხნედ დავხვედროდი ყოველგვარ განსაცდელს. მოგეხსენებათ, ყველაზე უარეს სასჯელს მს წარმოადგენს, როცა ყოველ წუთს რაღაცას მოელი, ტყუილუბრალოდ საათობით და დღეობით ელოდები. არ იცი, რისთვის გაკავებენ, რისთვისა ხარ ამ საკანში. ზიხარ და ელი, თავში გიტრიალებს ათასგვარი აზრი, გული მოხშირებით გიცემს. მე კი ამასაც შევეჩვიე. სულელურ მდგომარეობაში ჩავარდნილი, ვეღარ ვგრძნობდი, რო-

շոր մօդուռա დრო; ტვინი აღარ მუშაობდა, შიგ ყველაფერი
ამოიშალა, როგორც თეთრ, დაუწერელ ქაღალდზე.. გრძნობა-
დაჩლუნგებული, ხორცის უსულო გროვას უფრო უგავდი.
დღიდან დაპატიმრებისა ვათვალიერებდი ჩემი ბავშვის სუ-
რაოს, რომელიც მუდამ თან დამქონდა. ბოლოს ესეც მომ-
წყინდა, მაგრამ რაიმეთი ხომ უნდა დამელწია თავი ითასი სა-
შინელი გრძნობისგან.

სწორედ ამიტომ თქვენმა იმ საღამომდელმა მდგომარეო-
ბამ სიძულვილის ლრმა გრძნობა აღმიძრა... მოითმინეთ, ნე
შუხდებით... მაგრამ მას შემდეგ მომხდარ ზოგიერთ ამბავს
რომ საკუთარი თავი არ შეეზიზდებინა ჩემთვის, მაშინ ამას
არ გეტყოდით. როგორ შეიძლება არ ვიცოდეთ, თუ რამდენ
დღეს გაუძლებს ჩვენი გული ორმოც გრაფუს სიცხეს, ან
ილექტება თუ არა ჩვენს თირკმელში ქვიშა; მაგრამ ჩვენ არ
ვიცით, თუ როგორ ზემოქმედებას გაუძლებს ადამიანი, რომ
არ აღიაროს სიმართლე ან კიდევ ტყუილი არ ათქმევინონ.
ზოგიერთში ეს წინააღმდევობა სიკვდილამდე არსებობს, ზოგს
კი პირველივე შიშით გამოწვეული მღელვარება მოტეს
და სანთელივით ჩამოიქნება ჯალათების ხელში... მაგრამ
ერთი რამ კი უნდა ვიცოდეთ: ეს ჯალათები არ შეიძლება
ჩვენი მეგობრები იყვნენ. მე მინდა ვთქვა, რომ ყველა ესენი
უვარვისი, ნამუსგარეცხილი ადამიანები არიან. იმათ შორის
ხომ არც ნაზი მამებია, არც თავდადებული ამხანაგები და არც
მგრძნობიარე გულის ჩვეულებრივი შეყვარებულნი. იმ წუ-
თიდან, ჩაც მათ მტრული ამოცანა იქისრეს ჩვენ წინააღმდევ,
ისინი უნებურად სათამაშოდ გადაიქცნენ ძალადობის ხელში.
საზოგადოებრივი მდგომარეობისა და მოვალეობის გამო მი-
ღებულმა ფიზიონომიამ იმდენად დაჩრდილა მათი ბუნებრი-
ვი სახე, დროთა მსვლელობამ იმდენად უკან დახია და დააკ-
ნინა ისინი, რომ ახლა თვითონაც კი ვერაფერს ხედავენ სა-
კუთარ თავში, გარდა ბნელი სიცარიელისა და უწესრიგობისა.
დაკითხვის დროს, და მაშინაც კი, როცა მაწამებდნენ, მე ადა-
მიანურ თვისებას ვეძებდი მათში. დიახ, მართალია, მათ დაი-
ჯერეს, რომ ცუდი კაცი არა ვარ, მაგრამ ჩემში მაინც ეძებ-
დნენ ნამდვილად ცუდ მხარეს, თვისებას, რომელიც მათი

თვალსაზრისით უარყოფითად შეიძლებოდა ჩათვლილიყო. კი
კი ამ დროს ცხოველური მდგომარეობით შეპყრობილ მათს
მოძრაობაში, გამომეტყველებაში, სიტყვებში ბუნებრივობის
კვალს ვეძებდი. არასოდეს გული არ მომსვლია მათშე, არას-
უროს მძულებია ისინი; პირიქით, მაწუხებდა მათი საცოდაო-
ბა, უფრო სწორედ კი ის, რომ მათი ადამიანური სახე ასეთი
საზიზღარი აღმოჩნდა. სწორედ ამიტომ არავითარი ძალდატა-
ნება, არავითარი წამება არ მამცირებდა მე ჩემს თვალში. ან
კი რა არის წამება? თუ საკუთარი ნებისყოფა დასამცირე-
ბელს არაფერს ჩაგადენინებს, წამება ხომ უბრალო ფიზიო-
ლოგიური ამბავია. სანამდეც შეეძლება ჩვენს ნერვებსა და
სხეულს, გაუძლებს. შემდეგ კი მოხდება ის, რასაც ბუნება
ისურვებს. მაგრამ განა ჩვენზე არ არის დამოკიდებული, რომ
ჩვენი სული არ გავამათრახებინოთ? საჭმე იმაშია, რომ ამის
გამო ერთი სილა მივიღე და ამაში მე ვარ დამნაშავე. თქვენც
ამ საღამოს სწორედ ამიტომ დაგაყოვნეთ აქ. რომ არ გითხ-
რათ, არ შემიძლია. ცოლი და ბავშვი შინ მელიან, ჩემი გა-
მოსვლის ამბავი არ იციან... ოლონდ ჯერ მინდა ჩემში დაგრო-
ვილი შხამი გადმოვანთხიო. თორემ ვერც მათ და ვერც
სხვას სახეში ვერ შევხედავ. თქვენ რომ არ გაგეხსენებინათ, მე
ამას არავის ვეტყოდი და ალბათ სიკვდილამდე ვივლიდი საკუ-
თარ თავთან შერცხვენილი. გულახდილად გეუბნებით, თქვენში
მე კომპანიონი დავინახე და, შეიძლება ითქვას, ქმაყოფილი
დავრჩი. მერე რა... ცემა არც ისეთი საშიშია, ვამბობ მე, იმი-
ტომ, რომ ოცდაათი, ორმოცი როზგის შემდეგ ადამიანი ხში-
რად ვერაფერსა გრძნობს. ყველაფერი დავიწყებას ეძლევა:
სიკვდილიც, უწყლობაც, უძილობაც... გინდა თუ არა, მაინც
ივიწყებ. რაც არ უნდა საშიში იყოს ყოველივე ეს, მათი განც-
დის დროს ყოველთვის უნდა გვახსოვდეს ერთი რამ: ყველა-
ფერი ეს ხდება ჩემდაუნებურად, რათ შემიძლია წინ აღვუდ-
ვე? ხვეწნა-ვედრებით? არასდროს... რა ფასი აქვს! ჩვენ სხვა
ენაზე ვმეტყველებთ, ქვეყანა კი სხვაზე. ეს იგივე იქნება,
კრავი რომ მგელს ეხვეწოს. ჩემი მწვალებლები ამას დესპო-
ტურობისა და საკუთარი სიამოენებისათვის ხომ არა სჩა-
დიან... ისინი მოვალეობას ასრულებენ... ისინიც ნელ-ნელა

მიეჩვივნენ, როგორც ყოველი კაცი, რომელიც პურის ფულზე
ჰყიდის სულს; მანქანებად იქცნენ; ჩვენც სწორედ ჯუჭოვა ამი-
ტომ ვძულვართ იმათ. და რაც უფრო ვინარჩუნებ მე ჩემს
მეობას, ის კი თავის სახეს, რაც უფრო ძლიერია ჩვენს შორის
არსებული ეს სხვაობა, მით უფრო ნაკლებ მნიშვნელოვანად
წამება და როზგი. მაგრამ გამოჩნდა ეს სხვაობა... დაუდევრო-
ბამ მკვლელებს ხელში ჩაუგდო კაცი... აი სწორედ ეს არის,
რომ ახლაც, ამ ოცდღიანი ჯოჯოხეთის დასასრულსაც კი, კან-
კალსა მგვრის. განა შემიძლია გიამბოთ როგორ მოხდა, რა
მოხდა? თუმცა ჯალათისათვის, ყასბისათვის ეს მხოლოდ
სასაცილოა. ეს ისეთი უბედურებაა, რომ თუ ჩაუფიქრდი,
თმა ყალყზე დაგიდგება... მომისმინეთ, როგორ იყო... ეს მოხ-
და ათიოდე დღის შემდეგ, რაც თქვენთან პირისპირ შემახვედ-
რეს. ერთი კვირა იყო, პატარა საკანში ვიჯექი. აქედან დრო-
დადრო მიყვავდი დასაყითხავად. მაგრამ ჩემთან არ უხმარიათ
წამების ყველაზე უფრო მკაცრი ხერხები; მცემდნენ. დღეში
ერთხელ, სულ დიდი ორჯერ, ხუთი, ათი როზგი მერგებოდა.
შემდეგ საკანი, სადაც ზედ შენს თავზე ათასსათლიანი ელექტ-
რონის ნათურა ანთა და ტალახად აქცევს ადამიანის ტვინს.
მე მჯერა, რომ სამოცი წლის მესინდიყარე ჩემზე უფრო დიდ
გაჭირვებაში იყო: ორი კვირაა მობუზული ზის დერეფანში
და თოვლი აცვივა ჩამტვრეული ფანჯრებიდან... საწყალს
ძილიც იქ უხდება. და აი საკანში ყოფნის მეშვიდე თუ მეათე
დღეს ჩემს წასაყვანად შემოვიდა მომცრო ტანის სამოქალაქო
კომისარი, რომელსაც დახლილარის ტანსაცმელი ეცვა. ჯერ
წვერი გამაბარსეინა, ერთ სანტიმეტრზე რომ გამზრდოდა, და
მითხრა, ტანსაცმელი წესრიგში მომეუვანა. გარეთ რომ გავე-
დით, დღის სინათლემ თვალი მომჭრა. დერეფანი ერთად გა-
ვიარეთ. ტყავგადაკრულ კარებიან ოთახს მივადექით; კომი-
სარმა იქვე გვიგონ თანამშრომელს ყურში რაღაც ჩასჩურჩუ-
ლა, ჩემი თავი მას ჩააბარა და ოთახში შევიდა. ცოტანნის
შემდეგ ისევ გამოვიდა და ოთახში მიმიპატიფა.

ოთახი საქმიოდ კარგად იყო მორთული. დიდ მაგიდას პირ-
მრგვალი, სათვალეებიანი, სქელტუჩებიანი კაცი ეჯდა. მე
რომ შევედი, ფეხზე წამოდგა, მომიახლოვდა, ხელი ჩამო-
მართვა და მომიყითხა.

მის სახეს ტქბილი ღიმილი ეფინა. რაც მე აქამდე დამკითხეს, ეს კაცი არასოდეს ირ მინახავს. ჩემი აქ მომყვანისა და გარებში დამხედურის მოქმედებიდან ჩანდა, რომ ეს უნდა ყოფილიყო მაღალი თანამდებობის პირი, ანკარიდან ჩამოსული საქმის გასარკვევად. ჩემსკენ გამოწვდილ მის ხელს ერთ ხანს განციფრებული დავაშრერდი. თეთრი, კოტიტა თითები ჰქონდა. მეც გავუწოდე ხელი: ეს იყო რაღაც წებოვანი, თბილი ხორცის ნაჭერი.

— მობრძანდით, დაბრძანდით, — მითხრა მან და მაგიდის გვერდით მდგომ აბრეშუმგადაკრულ სავარძელზე მიმითითა, თვითონაც ჩემ პირდაპირ მდგარ სავარძელში ჩაჯდა.

— მე ძალიან შევწუხდი, — დაიწყო მან, — როცა გავიგე, რომ აქ თქვენ უღირსად მოგექცნენ. თქვენ ინტელიგენტი, განათლებული, ზრდილი და ღირსეული ახალგაზრდა ბრძანდებით. ქვეყანა კიდევ ბევრ სამსახურს ელის თქვენგან. არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, რასა ფიქრობთ თქვენ, ჩვენი და თქვენი საერთო ძალით ყველაფერი გამოსწორდება.

მე არ ვიცოდი რა მეთქვა, როგორ დამეჭირა თავი. ამ ახლო ურთიერთობაში, უჩვეულო სინაზის პირისპირ შემენარჩუნებინა ჩემი მუდმივი გულგრილობა და თავდაპერილობა, თუ მისი კეთილშობილური ქცევის გამო მეც ცოტა უფრო რბილად მოვქცეულიყავ? ეს ელეგანტური მოქცევა აღსარების გამოხატულება იყო თუ მუხანათურად დაგებული მახე? მან ამდენი ფიქრი აღარ დამაცალა და განაგრძო:

— მე ვფიქრობ, რომ თქვენ უარყოფითი შეხედულებისა ხართ ჩვენი თანამშრომლების შესახებ. მართალი ბრძანდებით. მაგრამ ობიექტურად თუ დაუკვირდებით, მათაც შეიძლება ვაპატიოთ. აბა რა აღზრდა და განათლება აქვთ მიღებული. იმ ჯამაგირით, რასაც დღეს მთავრობა იძლევა, უკითესების მონახვა ძნელია. მე, თქვენი ყურმოჭრილი მონა, ვენაში გახლდით. პოლიციის ორგანიზაციას ვსწავლობდი. იქ პოლიციელი არ არის, რომ ლიცეი არ ჰქონდეს გათავებული. ჩეენც ვცდილობთ მოვაწყოთ ასე. ოღონდ იმას ჯერ დრო სჭირია. ალაპის წყალობით ჩვენც გვეყოლება თანამშრომლები, რომელთაც ეცოდინებათ ადამიანთან მოპყრობა.

ლაპარაკის დროს იგი სახეში მიცემოდა და მუხლებზე დაწყობილი ჩემი ხელების მოძრაობას აკვირდებოდა, სათვალესამოფარებული მისი თვალები იღიმებოდნენ და ჩემი იქით წრიალებდნენ. უცრად ფეხზე წამოდგა და იომმართა:

— მე მათ ვუთხარი, რომ სწორი არ იქნება თქვენი გაიგივება უბრალო ხალხთან, მუშების მსგავს მაწანწალებთან. მე თქვენ აქ მიგიღეთ არა როგორც პატიმარი, არამედ როგორც მეგობარი, რომელსაც დახმარება ესაკიროება. ჩემი დაგვჭირდა ცნობა ზოგიერთი რამის შესახებ, რის გამოც გამოგიძახეთ და რამდენიმე დღე დაგტოვეთ. თქვენ თვალყური უნდა ადევნოთ სამობლოს მტრებს. ეჭვს გარეშეა, რომ თქვენ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ზოგიერთი მნიშვნელოვანი ცნობა...

ამის შემდეგ მან გაიმეორა ის სულელური შეკითხვები, რომელთაც მე აქ მაძლევდნენ დღიდან ჩემი მოსვლისა. ეს იყო პოლიციელის ბატიტვინა თავში გაჩენილი კითხვები, რომელთა შესახებაც მე, რასაკვირველია, არაფერი ვიცოდი.

პასუხის დროს ვცდილობდი მასავით მორიდებით და რბილი ხმით მელაპარაკნა:

— ეფენდი, როგორც თქვენ განკარგულებაში მყოფ ლმობიერ მეთოდებს არ გამოუღია ნაყოფი, ისე თქვენი ესოდენ ფრთხილი კითხვებიც უშედეგოდ დარჩება, რადგან ამ შეკითხვებზე აღრე გაცემული პასუხის გარდა არაფერი ვიცი. არავითარ ფარულ საქმიანობასთან კავშირი არა მაქვს, ხოლო იმ პირებს, რომლებთანაც, როგორც თქვენ ამბობთ, თითქოს მეურთიერთობა მქონდეს, შორიდანაც კი არ ვიცნობ.

ამასთან დაკავშირებით ჩემი შორის დაიწყო ისეთივე ბრძოლა, როგორიც უკვე მქონდა სხვებთან ამ ორი კვირის განმავლობაში. ის ცდილობდა მოულოდნელი კითხვებით დავებნიერ, დავეჭირე ჩემსავე სიტყვებზე და ემოქმედა კონტრასტებით, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, გამოვეტეხე რამებში და ხელმოსაჭიდი რამე ეთქმევინებინა. მე მოკლედ ვპასუხობდი, რადგან ნამდვილად არაფერი მქონდა სათვალელი, არაფერი ვიცოდი. მის სახეს ღიმილი არ შორდებოდა. მომიახლოვდებოდა, დაიხრებოდა და ჩემს დარწმუნებას

ცდილობდა. იმედგაცრუებული და გაბრაზებული ხელახლა ჯდებოდა თავის ადგილზე, დაფიქრებული მოხუჭავდა. თვით, ლებს და ახლა სხვა მხრიდან მიმართავდა ისევ იმ უშედეგო ხრიკებს.

მე თანდათან ცუდ ხასიათზე ვდგებოდი, მაგრამ მაინც ვახერხებდი საკადრისი და მოსწრებული პასუხების გაცემას. ერთი მხრით კი ვთიქრობდი, რომ ამ კაცის გაბრაზებით კარგი არაფერი გამოვიდოდა. ჩემზე მისი შეხედულების გაფუჭებაში სახეირო არაფერი იყო; კარგი მოქცევით კი შემეძლო დამერწმუნებინა, რომ ნამდვილად სიმართლეს ვამბობდი. და მეც სხვა გზით დავიწყე მოქმედება. შევცვალე ხმა, სახეზე ისეთი გამომეტყველება მივიღე, თითქოს ეს-ესაა ყველაფრის თქმას ვაპირებ. მაგრამ არც ერთ კითხვაზე მისთვის საინტერესო პასუხი მაინც არ გამიცია.

იგი დაღლილი დაეშვა სავარძელში. ახლა პირველად შემომხედა გაულიმებელი სახით, სერიოზული და გამომცდელი თვალებით. შემდეგ ჯიბიდან პაპიროსის კოლოფი ამოილო და გამომიწოდა:

— ინებეთ!

მე ცოტა ხანს თავი შევიყავე. პაპიროსის მოყვარული არ ვიყავი. დროდადრო კი ვეწეოდი, მაგრამ ახლა ამ მშერ კუჭზე და ასეთ მდგომარეობაში მისი დანახვაც კი გულს მირევდა. არ მინდა-მეთქი, მინდოდა მეთქვა, მაგრამ როცა ჩემსკენ მოპყრობილ მის თვალებს შევხედე, ხელი გავუშოდე. ამ ხანგრძლივი ლაპარაკის დროს ერთხელ მეც გავბედე გაღიმება, ერთი პაპიროსი ავიღე და პირში ჩავიდევი. — „ეთილი, — ამოიყითხავდით ამ დროს ჩემს სახეზე, — ჩვენს ურთიერთობას ნუ გავამწვავებთ, ერთ ცალს ავიღებ კეთილი მოგონებისათვის“. ის მაშინვე ადგილიდან წამოდგა და ასანთი ამოილო უილერის ჯიბიდან. ამ დროს მე ეშმაკურად გავიცინე და სახეში შევაცქერდი.

რითათი ისე ლელავდა, თითქოს ხელახლა განიცდის იმ წუთებსო. მან ხელების კანქალით აიღო მაგიდაზე მდგარი ჰიქა და ერთხელ კიდევ მოსვა. ხმააკანკალებულმა თავი დაბლა დახარა და დამშვიდებას ცდილობდა. მაგრამ მალე უეცრად

უეხზე წამოხტა, რადგან ეს ცდა უშედეგო იყო, მღელვაჩებია
თანდათან ემატებოდა. თავი აარიდა ყურადღებით. ჩემსკენ მაც-
ქირალი ქალის თვალებს და დუქნის განათებული ნაყილი-
საკენ წაიწია:

— წამო, გავიდეთ, გზაში გიამბობთ, — თქვა და მაგიდაზე
ფული დადო. ქუჩაში ერთ ხანს ხმამოულებლივ იარეს. შეზ-
დეგ ახალგაზრდა კაცმა ხელი მოჰკიდა ქალს და ნაწყვეტ-
ნაწყვეტად წარმოოქვა:

— დიახ, მე თვალებში ჩავხედე მას ღიმილით, რომელიც
წებოსავით მომდებოდა სახეზე. არასდროს დამავიწყდება ეს
დამამცირებელი, ასანთისა და პაპიროსის სანაცვლო ღიმილი.
ჩემზე არც როზგს, არც სხვა შეურაცხყოფას არ უმოქმედია
ისე, როგორც ამ ღიმილს. მე ახლაც ვხედავ იმ ღიმილს. აბ:
დაუფიქრდით, უღიძი ჯალათს და ფიქრობ, რომ ამ ღიმილის
სითბო თვით მტარვალსაც კი ლმობიერს გახდის; განა შეიძ-
ლება მოხდეს ასეთი სასაცილო რამ?

ქმაყოფილება იმ კაცის თვალებშიც მოჩანდა. მაგრამ ამა-
ში მე მაშინვე შევამჩნიე რაღაც ურიგობა და გამიკვირდა. მაგ-
რამ ნაცვლად იმისა, რომ გონის მოვსულიყავი, ჩემსკენ გამო-
შვერილი ასანთისკენ წავიდე პირი.

ჯერ კიდევ ვერ გამერქვია რაში იყო საქმე, რომ ასანთი
იატაკზე დავარდა და ლოყაში სილა მომხვდა. პაპიროსი გა-
მივარდა, ცხვირში სისხლი წამსკდა. მოთმინებადაკარგული
პოლიციელი სილას სილაზე მიშენდა ცხვირ-პირში, მირტყამ-
და წიხლს და ხრინწიანი ხმით ყვიროდა:

— ... პირუტყვო... ნუთუ მართლა ფიქრობდი, რომ ჩვენ
წინაშე შეგიძლია პაპიროსი მოსწიო?.. განა თქვენ ადამიანუ-
რი მოპყრობის ღირსნი ხართ?.. შენისთანა ძალლს მე უნდა
მოვაკიდებინო პაპიროსი, არა?.. სამშობლოს, ხალხის მოღა-
ლატევ... თქვენისთანები ტილივით უნდა გაისრისოს... შე
ვირო, შენა... სავარდელში ჩავდებულა და პაპიროსი მე უნდა
მომაკიდებინოს... შეხე ამ უსირცხვილოს... დამეკარგე აქედან!
იგი კარისკენ მიბრუნდა და დაიყვირა:

— გაიყვანეთ აქედან!

ოთახში მაშინვე ორი თანამშრომელი შემოვიდა.

— გაიყვანეთ ეს საზიშლარი. სანამ ყველაფერს არ იტუ-
ვის, სული არ მოათქმევინოთ.

და მართლაც იმის შემდეგ ორი დღე მოსცენება არ მოშ-
ცეს. მაგრამ შემდეგ რა მოხდა, ვერ გავიგე. იმათაც მოწყინ-
დათ, თუ დაჩურმუნდნენ, რომ ნამდვილად არაფერი ვიცო-
დი, — ჩემდამი დამოკიდებულება უეცრად შეჩბილდა. და
როცა ჭრილობებიც მომიშუშდა, გამომიშვეს.

ქალი უეცრად შეჩერდა და წინ გაიხედა:

— ჩეენს სახლთან მოვედით, თქვენ, ალბათ, განაგრძობთ
გზას!

რიცაობმა კარზე მიუთითა:

— ეს არის?

— არა, ამ ქუჩაზეა, მაგრამ თქვენ ნულარ შეწუხდებით.

შან ხელი გაუწოდა რიცაოს და დააყოლა:

— ახლა ჩემთვისაც და თქვენთვისაც სიმარტოვეა სა-
კირო...

ზღაპარი ცხვრების შესახებ

ოდესლაც დაბურული, ცადაშვედილი ტყის პირას, მწვანე მოლზე ცხოვრობდა ცხვრის ფარა მწყემსითა და ძალლებით.

ბალახი მუდამ სამყოფი და ქორფა ჰქონდათ. იქვე ჩამონა-
დენ ლელეში წყალი მუდამ ბევრი იყო და ანკარა; ცხვრები
ზაფხულობით ხშირფოთლებიანი ხეების ჩრდილში იწვნენ;
ზამთრობით ქარისაგან დაცულ გამოქვაბულს აფარებდნენ
თავს.

მაგრამ მთლად მაღლიერი მაინც არ იყვნენ ცხოვრებისა. ისინი მწყემსის უქმაყოფილონი იყვნენ. ამ კაცს წვერში უკვე
ჭალარა შექპარვოდა და დილიდან სალამომდე კი გორაკზე
იყო წამოწოლილი და ეძინა. ხანდახან სალამურს აკვნესებ-
და, ძალლებს შესძახებდა და მერე ისევ ძილს მისცემდა ხოლ-
მე თავს. ცხვრებს მოწველიდა, რძეს რამდენსაც შესძლებდა
დალევდა, დანარჩენს ჰყიდდა. თუ მოეხასიათებოდა, ბატქანს·
დაკლავდა და მწვადებს შეიწვავდა, ან კიდევ ცხვარს გამო-
ლადრავდა ყელს და საზამთროდ ყაურმას დაამზადებდა; ორ-
სამ კვირაში ერთხელ მოსულ მეხორცეს ყველაზე მსუქან
ცხვრებსა და ბატქნებს მიჰყიდდა, შემდეგ კი დაწვებოდა და
ეძინა. ცხვრები მიხვდნენ, რომ ყველა მათი მოძმე იმ კაცისა-
გან საბოლოოდ ყასბის ხელში ხვდებოდა და მის ყოველ მოსვ-
ლაზე შიშით კანკალებდნენ. ერთმანეთს ეკვროდნენ და იმის
ჟერა კი არა ჰყოფნიდათ, რომ წინააღმდეგობა გაეწიათ. რა
ექნათ? ეს ქვეყანა ასე იყო მოწყობილი.

მაგრამ ცხვრებს შორისაც გაჩნდნენ ისეთები, რომლებმაც
ალარ მოინდომეს ასე ცხოვრება და იმის შიშით, რომ ერთ
დღეს ისინიც დანის მსხვერპლი გახდებოდნენ, ამ მდგომა-
რეობის ძირფესვიანად შეცვლა მოინდომეს; ასეთთა რიცხვი

დღითი დღე იზრდებოდა. მაგალითად, როცა თითქოს შთანალი
ფარა თავისთვის ბალახობდა, გამოვარდებოდა თვალებამდვრუ-
ლი ყოჩი და მეცხვარეს რბილ ადგილს დაატყებდა რქებს.
მეცხვარე კიდევაც რომ გამოჰქიდებოდა ყოჩის, ძალების დახმა-
რებით დაეჭირა, მაგრაც მიება ხეზე და პირველსავე მეხორცი-
სათვის ჩაებარებინა, ეს დანარჩენებს მაინც არ აფრთხობდა.—
სულერთია ჩვენი ბოლო მაინც ყასაბია, რა დღეს გამოუჭ-
რიათ ყელი და რა ხვალ, — ამბობდნენ რქენაზე გადასული
ცხვრები.

ეჭ, აქაოდა ცხვრებიაო... არც ასეა საქმე! მათ შორისაც
არიან ვაუკაცები, გმირები! რაც ქვეყანა გაჩნდა, მერე ცხვრე-
ბი მწყემსებთან და ძალებთან ცხოვრობდნენ, არა? შაგოამ
მოვა ღრო და ისინი უყასბებოდ, უმწყემსებოდა და უძალ-
ლებოდ თვითონ მოიპოვებენ საკუთარ სარჩის და თავიანთი
მახვილი რქებით განდევნიან მტრებს.

მაგრამ ისინი, ვინც მათ მსუქან ხორცს ხარბაც შეჰყუ-
რებდა, რძისაგან კარაქსა და ყველს, ტყავისაგან ქურქსა და
ქალამნებს იკეთებდა, ცხვრებს არწმუნებდნენ, რომ შიმში-
ლით უფრო ადრე დაიხოცებოდნენ, ვიდრე უმწყემსოდ დარ-
ჩენილნი მგლის ლუკმა გახდებოდნენ. და ასე, თანდათან
ცხვრები აღარ უჯერებდნენ და აღარ ენდობოდნენ მათ. მიხვ-
დნენ, რომ მწყემსები მათ ერთ მუქა ბალას აქმევდნენ და
მგლებისაგან იცავდნენ არა მათი სიყვარულისათვის, არამედ
ისევ საკუთარი კეთილდღეობისათვის.

და როგორც ვთქვი, ნელ-ნელა ცხვრებმაც ისწავლეს ჭკუა.
მწყემსები კი დღითი დღე უარეს დღეში ჩაცვიდნენ.

ეს ჩვენი ნაცნობი მწყემსი განსაკუთრებით დიდი გაიძევრა
იყო. იგი მხოლოდ საკუთარი თავის პატივისცემასა და მოსვე-
ნებაზე ფიქრობდა. როცა ფარას მგლები ესხმოდა თავს, ნაც-
ლაც იმისა, რომ კომბალი აერო ხელში და ძალების დახმა-
რებით შებრძოლებოდა, რამდენიმე ცხვარსა და ბატყანს
მიუგდებდა და თავიდან იშორებდა მგლებს.

ერთ დღეს მეზობელ ტყეში მყოფი უცხო მხეცები და
ცხოველები ერთმანეთს დაერიცნენ. იმ წელს ზამთარი მკაცრი
იყო, მგლებსა და დათვებს საჭმლის შოვნა უჭირდათ და

იქაურობას მოედვნენ. როცა მათი ყმუილი და ბდევინვა ცხვრების სადგომ ჭალაშიც გაისმა, მწყემსსა და ფარას შიშით ცანცაბი დააწყებინა. ამ დროს ჩხუბში დაპრილმა და შიმშილისაგან* დაძაბუნებულმა რამდენიმე მგლმა ტყის პირს შეაფარა თავი. აქ მათ შიშისაგან შეძრწუნებულ ცხვრებს მოპკრეს თვალი; აი ჩვენი საკბილოო, თქვეს მათ, და თავს დაესხნენ. მგლების წითლად დაღებული ხახისა და კბილების დანახვაზე ცხვრები მიხვდნენ, რომ ეს უკვე ხუმრობა აღარ იყო. ძალლებმა იცოდნენ, რომ უცხვრებოდ მათ შიმშილით სიკვდილი ელოდათ და ამიტომ გონივრულად მოიქცნენ: ცხვრებთან ერთად შეუტის ქანცგამოლეულ მგლებს. თავ დახრილი ყოჩები ვეება რქებით შეებრძოლნენ მგლებს, ძალლებმა ყეფა ატეხეს. ისედაც დამშეულმა მგლებმა, ფეხზე რომ ძლივსღა იდგნენ, ვეღარ გაუძლეს ამ შემოტევას; ზოგმა უკანვე მოუსვა ტყეში, დანარჩენები კი უსულოდ დაეცნენ.

ამ დროს საიდანლაც გამოძვრა მიმალული მწყემსი და კომბლის ქნევით შეეცადა ისევ ხელში ჩაეგდო ფარა, მაგრამ ცხვრები გონს მოვიდნენ. გაახსენდათ მეხორცე და ყასაბი. ძალლებმაც გადაწყვიტეს, რომ დადგა დრო დააღწიონ თავი მწყემსის კომბალს და ცხვრებს დაუკირონ მხარი. და ისინი შეერთებული ძალით წაესივნენ მწყემსს. დამტორთხალმა მწყემსმა გაქცევით ძლივს უშეელა თავს და მერე აღარსად გამოჩენილა.

ამ ბრძოლაში ყველაზე უფრო მოგებულნი ძალლები დარჩნენ. ისინი საძლომად შეექცეოდნენ დახოცილი მგლების ლეშს და მათთან ბრძოლაში მკედარ ცხვრებს. კმაყოფილებით იქნევდნენ კუდს, გრძელი წითელი ენით პირს ილოკავდნენ, დასეირნობდნენ აქეთ-იქით, ცხვრებთან თავი მოპქონდათ: ხომ ხედავთ, — ტრაბახობდნენ ისინი, — მგლებსაც გადაგარჩინეთ და მწყემსსაცო! რაც დრო გადიოდა, ისინი უფრო მაღლა იწევდნენ ცხვირს; თურმე ნუ იტყვით და იმათ მწყემსის შეში ჰქონიათ; რაყი მწყემსი თავიდან მოიშორეს, იმაზე უარესები გამოდგნენ. ყეფის დროს საკუთარ ხმას ალტაცებაში მოპყავდა ისინი: აქაოდა ამ ხმამ გააქცია მგლები და ცხვრები გამოაფხიზლათ, სულ უფრო და უფრო უმატეს ყეფას. ამას

კიდევ ზედ ყოყოჩინბა დაემატა: რამდენიმე დაქრილი შეულა
გააქციეს და ახლა უკვე თავი მოჰქონდათ — ჩვენ უბრალო
ძალები არა ვართო, ძალი რას მიქვია? ჩვენი წინაპრი მცე-
ლი იყო, — ტრაბახობდნენ ისინი.

ეს თავმომწონეობა ნელ-ნელა ყველას გადაედო. ცხვრებს
ამპარტავნულად დაუწყეს ცქერა. ერთხელ ნაჭამი ხორცის
გემო ვეღარ დაივიწყეს; სადმე კუთხეში მომწყვდეულ ბატ-
კანს და ფარას ჩამორჩენილ ცხვარსაც ესხმოდნენ თავს და
ჭამდნენ. ჩვენი მოდგმისათვის რა საკადრისია ვილაც საცოდა-
ვი ცხვრების სამსახურში ყოფნაო, — ჩიოდნენ ისინი. და
ისევ ტყეში წინათ არსებული ცხოველური, ნებიერი დღეების
აღდგენა უნდოდათ.

საკუთარ თვალში იზრდებოდნენ და ცხვრები სულ პატარა
ეჩვენებოდათ. ცხვარი ხომ იმისათვის იყო, რომ ეჭამათ მათი
ხორცი და ესვათ მათი რძე.

— ჩვენ რომ ყეფა არ აგვეტეხა და ძალ-ლონე არ დაგვე-
ხარჯა, ეს მაწანწალები თავიანთ რქებსაც კი ვერ გამოიყენებ-
დნენ, — ამბობდნენ ისინი. — ამ ულრან ტყეში ჩვენი მოდგ-
მის მგლები და ეს ბრიყვი ტურები ბატონობდნენ, აქაურობას
ანადგურებენ, და ჩვენ კი ბატქნებივით ვცხოვრობთ; სირცე-
ვილია, დიდი სირცევილი...

ძალლებისაგან თავის ძალწევა ისეთი ადვილი როდია, რო-
გორც მწყემსის მოშორება. ესენი მეტნი არიან და კბილებიც
უფრო ბასრი აქვთ. გარდა ამისა, დავა რომ ატყდებოდა, ძალ-
ლები საბაბს პოლლობდნენ და გლეჯდნენ ცხვრებს. ამის გამო
ცხვრებმა აღარ იცოდნენ, როგორ გათავდებოდა საქმე, ღელავ-
დნენ მოლოდინში და ვერაფრით ვერ მოეფიქრებინათ მწყემ-
სის მსგავსად როგორ მოეშორებინათ ძალლებიც.

ბოლოს და ბოლოს ძალლებმა თავისი თავიც ძალუპეს და
ცხვრებიც: ერთ დღეს ვეღარ მოითმინეს და გაღაწუვიტეს
ტყის ხელში ჩაგდება. იცალნენ, რომ მარტო ვერაფერს გახ-
დებოდნენ და ცხვრებიც გარიეს ამ საქმეში:

— თქვენ წინ წახვალთ და რქებით გზას გაიკაფავთ, დახო-
ცავთ, ვინც წინ დაგიხვდებათ, ჩვენ კი გარშემო ყეფას
ავტეხთ, გამბედაობას შეგმატებთ და ასე დავამარცხებთ

მტრებს, — უთხრეს ძალებმა ცხვრებს. იმათ, ვისაც არ
უნდოდა შეტევაზე გადასვლა და ამ ლაშქრობის გამარჯვე-
ბით დამთავრება, ძალებმა ლანძღვა დაუწყეს: — სულმდა-
ბალო, მშიშარავ, მოლალატევ, უბედურო! შენ ღირსი არა ხარ
იცხოვრო ჩვენთან, ძალებთან, რომელთაც მგლური სისხლი
გვიჩქეფს ძარღვებში! — ამ სიტყვებით ძალები შეესივნენ
მათ, დაგლიჯეს და მაღიანად შეექცნენ.

მაგრამ ტყისპირა ბუჩქნარშივე მათ ოთხივე მხრიდან თავს
დაესხნენ მგლები, დათვები, აფთრები, ტურები და მალე მი-
მოფანტეს ცხვრის ფარა. ძალების ყეფა ისე ჩავდა, რომ
ხის წვერომდეც კი არ მიუღწევია, ხოლო ცხვრების მჩქეფარე
სისხლი სწრაფად შთაინთქა მიწაზე გაბნეულ ხმელ ფოთლებს
შორის.

აამდენიმე ავადმყოფ ცხვარსა და ქორფა ბატქნებს ამ
ლაშქრობაში მონაწილეობა არ მიუღიათ. ისინი ერთ გამოქ-
ვაბულში მიმალულიყვნენ ჭალის პირას, უსმენდნენ ტყიდან
მოსულ მწარე ხმებს, გულისშემაწუხებელ პეტელსა და უიმე-
დო ყეფას და შიშით კანკალებდნენ. როცა ხმები მიწყდა,
ერთმანეთს გადახედეს და მიხვდნენ, რაც დაატყდათ თავს
ტყის დასაბურობად წასულ ძალებს და ძალით გარეკილ
ცხვრებს. მათ შორის მყოფი ორი ყოჩი მძიმედ გაემართა გა-
მოქვაბულის კარისკენ, მიუახლოვდა მათ საყარაულოდ დარ-
ჩენილ ორ გაძვალტყავებულ ძალს, მუცელში ატაკეს
ჯერ კიდევ ლონიერი რქები და ხევში გადაისროლეს. შემდეგ
მიებრუნდნენ გამოქვაბულში მყოფ ბატქნებს და ასე
უთხრეს:

— ამ ქვეყნად თურმე უმწყემსოდ და უძალებოდაც
შეიძლება ცხოვრება. მაგრამ ამის შესაგნებლად თუ ყირველ-
თვის ამდენი სისხლიანი მსხვერპლი გავიღეთ, ჩვენი გვარი
მალე ამოწყდება. თქვენ მაინც იყავით ფხიზლად და თუ ძალ-
ები, რომლებსაც მგლებად მოაქვთ თავი, შეეცდებიან
კიდევ იბატონონ თქვენზე, მოსპერ ისე, რომ ფარას ზიანი არ
მოუვიდეს!

შუშის კოშპი

ოდესლაც ცხოვრობდა სამი ამხანაგი, რომლებსაც საქმის კეთებას უქმად სიარული ერჩიათ. სადაც მივიღოდნენ, იშვიათად, რომ გულთბილად მიეღოთ; ყველა კინწისკვრით ერეკიბოდა. ოფლით მოპოვებული გემრიელი ლუქმის ჭამა მათ-თვის უცხო იყო, რადგან ხელები შრომას არ ჰქონდათ მინევული. ერთ დღეს ხანგრძლივი მოგზაურობით დაქანცულნი ისხდნენ მომაღლო გორაკზე და მწუხარებით გასცემროდნენ ქვევით, დაბლობზე გაშლილ დიდ ქალაქს. „ნეტავ როგორ მიგვიღებენ ამ უცნობ ქალაქში?“ — ფიქრობდნენ ისინი. ერთ მათვანს ამ დროს რაღაც აზრი მოსელოდა თავში, წამოიჭრა და შესძახა:

— გამოყევით, ამ ქალაქში შუშის კოშკი ავაშენოთ; სიკედილამდე კმაყოფილებასა და მოსვენებაში ვიცხოვრებთ.

— ეგ შუშის კოშკი რაოდა? — ჰქითხეს დანარჩენებმა.

— ნელარ დგახართ, დროს ნუ კარგავთ, გზაში მოგიყვებით, — უპასუხა მან, ამხანაგები გაიყოლია და ჩიტივით დაეშვა ქვემოთკენ.

მეთაურმა გზაში მოკლედ უამბო, როგორ უნდა მოქცეულიყვნენ ქალაქში შესვლისას.

ქალაქი, სადაც ისინი მივიღნენ, იმ ქვეყნის დედაქალაქი ყოფილიყო. ამ ქეეყანაში მთელი ხალხი შრომობდა, აკეთებდნენ, ვისაც რა გამოსდიოდა ხელიდან, საჯუთარ თავს თვითონ განაგებდნენ და ბატონებივით ცხოვრობდნენ. ყანებსა და დუქნებში ხალხი ფუტკარივით ირეოდა, ერთმანეთს ეხმარებოდნენ, საქონელს ცვლილენ საჭიროების მიხედვით. ცხოვრობდნენ და იხოცებოდნენ უომრად, უბატონოდ. დავისა და ყოველდღიური საჯითხების გადასაჭრელად გამოყოფილი ადა-

შიანები მხოლოდ იმას ფიქრობდნენ, რომ ერთგულად ემსა-
ხურათ თანამოძმებისათვის და ძალადობა ფიქრადაც არ მომ-
დიოდათ.

იმ დღეს, როცა ჩვენი ნაცნობი საში მეგობარი ქალაქში
მივიდა, იქ ბაზრობა იყო. ქუჩებში ყველგან გროვა-გროვად
ეწყო მარცვალი, ხილეული, ქსოვილები, რკინეულობა, ნახში-
რი. მყიდველი თუ გამყიდველი შუამავლის გარეშე ვაჭ-
რობდა.

მეგობრები, ადრე დადებული პირობის თანახმად, უსაქ-
შოდ დახეტიალობდნენ ქუჩებში, გარშემო იცქირებოდნენ,
თავს იქნევდნენ და გამლელთა გასაგონად ამბობდნენ:

— ღმერთო, ღმერთო, რა უცნაური ქვეყანაა!..

გაიარეს ერთი ქუჩა, გავიდნენ მეორეზე, შემდეგ მესამე-
ზე და ყველგან ერთსა და იმავეს იმეორებდნენ განცვიფრე-
ბულნი. თანდათან მათ დაინტერესებულთა მთელი ტალღა
აედევნა და ერთმანეთს დაუწყეს კითხვა, თუ რა იყო მათ ქა-
ლაქში ასეთი უცნაური. ბოლოს ერთმა მათგანმა ვეღარ მოი-
თმინა და უცხოელებს შეეკითხა:

— ღვთის გულისათვის, რა გიკვირთ ასე?

— ისა, რომ სად არის თქვენს ქვეყანაში შუშის კოშკი? —
იკითხა შეთაურმა.

— რა შუშის კოშკი?

— როგორ რა! განა თქვენ არა გაქვეთ შუშის კოშკი?

— რას ნიშნავს ეგა?

მეთაური ამხანაგებს მიუბრუნდა:

— ოჲ, ღმერთო, არც კი იციან რა არის შუშის კოშკი. ასეთ
ქვეყანაში არ დაიდგომება. ახლავე გაუუდგეთ ჩვენს გზას.

ქალაქის მოსახლეობა კიდევ უფრო დაინტერესდა. სამი
ამხანაგისათვის თავი აღარ დაუნებებით, რამდენიმე ნაბიჯი
რომ გაიარეს, ისევ შეეკითხნენ:

— ძმაო, რა არის ეგ შუშის კოშკი? გვითხარი და თუ
აუცილებელი რამაა, იქნებ ჩვენც გავაკეთოთ!

— „აუცილებელი“ რა სიტყვაა? განა იქნება ქალაქი შუ-
შის კოშკის გარეშე, ან კიდევ შუშის კოშკისგან დამოუკიდე-
ბელი ქვეყანა?.. წავიდეთ, მეგობრებო!..

— რა გვაკლია ჩვენ სხვა ქალაქებთან შედარებით? რად-
გან ასე საჭირო ყოფილა, ყველამ ერთად ავაგოთ ეს შუშის
კოშკი!

უცხოელების მეთაურმა უთხრა:

— არ იქნება, არა, შუშის კოშკის აგება ასე ადვილი არ
არის... ხარჯი უნდა, მასალა უნდა, მუშა ხელია საჭირო. თავი
დაგვანებეთ, ჩვენ წავალთ ისეთ ქალაქში, სადაც შუშის კოშ-
კი არის.

მაგრამ ხალხი არ ეშვებოდა: რაც საჭირო იქნება, მოგ-
ცემთ, ოღონდ გვასწავლეთ — არ გვინდა, რომ სხვა ქვეყნებს
ჩამოვრჩეთო.

დასხდნენ, იანგარიშეს და მაშინვე შეუდგნენ საქმეს. სამმა
მეგობარმა შუშის კოშკის ხუროთმოძღვრება იყიდულია, ხალხ-
ში მუშები გამოარჩიეს, მეურმეები გამოპყვეს და ქალაქის
ყველაზე დიდ მოედანზე სილისა და ნახშირის ზიდვა დაიწყეს.
ერთი ნაწილი საჭმელ-სასმელს ეზიდებოდა მუშებისათვის,
ტანსაცმელს ამზადებდა. ბოლოს მინა გადადნენ, შუშის კედ-
ლები ამოიყვანეს და როცა პირველი სართული მოთავდა, სამი
მეგობარი შესახლდა შიგ და ხალხს მიმართა:

— ახლა შეიძლება ითქვას, რომ კოშკი მზად არის. ჯერ
არ დამთავრებულა, თქვენი ქვეყნის დიდების შესაფერი ზო-
მაც არა აქვს, მაგრამ მაგასაც მოესწრებით. ამას ახლა კარგად
დაცვა და ბოლომდე მიყვანა უნდა. ახლა გამოგვიყავთ ხალხი,
მოუმატეთ საჭმელი და სასმელი, დაითხოვეთ თქვენგან ამორ-
ჩეულნი, ჩვენ მივხედავთ ყველა თქვენს საქმეს.

ხალხი გახარებული იყო, შუშის კოშკი გვაქვსო. თვითონ
მოიკლეს საჭმელი და ტანსაცმელი და კოშკში მსხდომთ და
მათ მოსამსახურებს დაუწყეს ზიდვა. ცოტა ხნის შემდეგ
კოშკიდან ბრძანება გამოვიდა:

— საჭიროა დავაშენოთ კიდევ ერთი სართული. ეს ჩვენ
და ჩვენს მოსამსახურებსაც არ გვყოფნის.

ისევ დაიწყეს ურმებით სილის ზიდვა. კოშკში მყოფი ბა-
ტონებისა, მათი მსახურებისათვის და მშენებლობის მუშები-

სათვის მოპქონდათ ტომრებით ხორბალი, საკვები, ცხვარი. ჩოცა მეორე სართულიც მოთავდა, სამმა მეგობარმა იქ ხალხს შორის ამორჩეული, მათი საქმისათვის გამოსადევი ადამიანები შეასახლა. ამათ მალე იგემეს უზრუნველი ცხოვრება, დარწმუნდნენ, რომ კოშკი მართლაც აუცილებელი რამ ყოფილა და ცდა არ დაუკლიათ, რათა თავიანთი ნათესავებიც დაეჯერებინათ ამაში.

ასე და ამგვარად შუშის კოშკი მაღლა-მაღლა იწევდა, სართულს სართული ემატებოდა. იქაურობა გავსებული იყო. შიგ შესულს გარეთ გამოსვლა აღარ უნდოდა. გარეთ მყოფნი კი იმას ცდილობდნენ, როგორმე შემძერალიყვნენ კოშკში. მაგრამ კოშკში მსხდომთა და მათ მსახურთა შენახვამ ხალხი წელში გაწყვიტა. გამოჩნდნენ უკმაყოფილონიც:

— შუშის კოშკი რომ საჭიროა, მივხვდით, მაგრამ რა საჭირო იყო ამდენი ოთახი და მუქთამჭამელნი?

მეთაურმა მათ კარგად აუხსნა ყოველი ოთახის დანიშნულება:

— აი, ამ ოთახში მე ვცხოვრობ, შუშის კოშკის სათავეში ვდგავარ მე. განა უჩემოდ ეს საქმე წინ წავა? მე რომ არ ვყოფილიყავ, განა თქვენ გექნებოდათ შუშის კოშკი?.. ეს ოთახები კი ჩემი მთავარი თანაშემწერისაა... ჩვენ, უცხო ქვეყნიდან მოსულებმა, შუშის კოშკი ავიგეთ, ჩვენ თუ არ ვიხელდებანელეთ, არც შუშის კოშკი იქნება და ვერც თქვენ იარსებებთ!

— ძალიან კარგი, — უპასუხა ხალხმა, — მაგრამ ეს ამდენი უქმად მოხეტიალე რალა საჭიროა? აი, მაგალითად, ამ ოთახში მყოფი რას აკეთებს?

— ესა? რასა ბრძანებთ! შუშის კოშკში შემოსული საქონლის აღრიცხვას ეგ აწარმოებს. საქონლის დამამზადებლების მეთაურია. ეგ რომ არ იყოს, არც ერთ თქვენთაგანს არ ეცოდნებოდა, სად მიდის თქვენი გადასახადი. განა თქვენ კმაყოფილი იქნებოდით ამით?

— ეეე... ამ ოთახში მყოფნი?

— ესენი ეძებენ იმათ, ვისაც თავის დროზე არ მოაქვს საქონელი კოშკში, ვინც უხარისხო საქონელს გზავნის, ვინც

ცდილობს შელახოს კოშკის ძლიერება... ამისთანების შიშვება
თავის ნებაზე ხომ არ იქნება?

საქართველოს
სამართლებრივი კულტურული მუზეუმი

— კარგი, მაშ ესენი?

— ესენი მომსვლელთა და წამსვლელთა აღრიცხვის ახდე-
ნენ.

— გასაგებია. ესენი?

— ესენი კოშკის ოთახებს გვიან, ალაგებენ...

ხალხმა რაც არ იყითხა, ყველაფერზე მიიღო პასუხი და
დაიჯერა, რომ ეს ოთახები და მათში მცხოვრები მუქთახო-
რები ნამდვილად საჭირონი არიან, რადგან ზოგი განათების
საქმეს მეთაურობდა, ზოგს ლოგინი ებარა, ზოგიც მისი თანა-
შემწე იყო, ზოგი კი თანაშემწის თანაშემწე. ეს, რაც შუშის
კოშკი გაჩნდა, მას შემდეგ მისი მომვლელი და მოშვლელების
მსახურნიც საჭირონი გახდნენ. მაგრამ რაც უფრო მატულობ-
და კოშკის მკვიდრთა რიცხვი, ხალხს მით უფრო აკლდებოდა
მათი შენახვის ძალა. და მაშინ ხალხი თვითონ მიდიოდა და
შუშის კოშკიდან ძალით მიპქონდა საჭმელ-სასმელი. გაჯიუ-
ტებულებს აპატიმრებდნენ და კოშკის ჯურლმულებში მიჰყავ-
დათ. ხალხი საკუთარი ხელით თავს მოხვეული უბედურების
წინააღმდეგ ვეღარ ამდგარიყო. შუშის კოშკის მესვეურნი
ყველგან თავიანთ ურყევ ძლიერებაზე ლაპარაკობდნენ, ბრიყ-
ვებს აჯერებდნენ, ხოლო ვისაც არ ჯეროდა, ათასნაირი ხრი-
კებითა და უსამართლობით ხმას აქმნდინებდნენ. შუშის
კოშკს კი მუცელი ვერ გაეძლო, სულ მეტსა და მეტს ითხოვ-
და. სათავეში მყოფნი დაბადებითვე უქნარანი იყვნენ; სხვებს
დიდი ხანია დაავიწყდათ შრომა. არც ერთი მათგანი არ ფიქ-
რობდა იმაზე, რომ ვალში იყვნენ თავიანთი მარჩენლების წი-
ნაშე. ისინი მხოლოდ ერთმანეთის მომსახურეობას უნდებო-
დნენ და ხალხს კი ძალლადაც არავინ ივდებდა. ხალხი ღა-
ნებული იყო და ყველაფერს თმობდა. ბოლოს და ბოლოს,
ერთ მშვენიერ დღეს. მთელი ხალხი ხელფარიელი დარჩა,
რადგან კოშკიდან გამოსული ბრძანება მოუწოდებდა ხალხს,
უკანასკნელი ცხვარიც კი ჩაებარებინათ. ხალხმა ეს ბრძანე-
ბაც შეასრულა. დაიწყო განაწილება და ანგარიში. ხალხი
უქმაყოფილო იყო და გაღატაკებული. შუშის კოშკის მეს-

ვეურნი ხედავდნენ, რომ საშიში არაფერი მოელოდათ. ჩათი
მეთაური ერთ დღეს კოშკის აივანზე გამოვიდა და ტყბილი
ენით ალაპარაკდა:

— ჰეი, ხალხო, ბევრი რამ გაიღეთ, ბევრი გაჭირვება
გადაიტანეთ, მაგრამ სამაგიეროდ ისეთი შუშის კოშკი აიშე-
ნეთ, რომ მტერი და მოყვარე განცვიფრებაში მოდის. მის
გრანდიოზულობასა და ბრწყინვალებასთან რამდენიმე ტომა-
რა ხორბალი და ხუთიოდე ცხვარი არაფერს წარმოადგენს...
ჩვენ თქვენი დიდებისა და პატივისათვის ვზრუნავთ, მხოლოდ
თქვენს სიკეთეზე ვფიქრობთ. აბა, შეხედეთ, დღეს თქვენ
შიერ მოტანილი ცხვარი ყველა არც კი შეგვიძამია. ჩვენ ვიკ-
ლებთ და ერთ ნაწილს უკან გიბრუნებთ. ცხვრის თავები
მთლიანად ხალხს უნდა დაურიგდეს!

ბოლოს კოშკიდან გამოვიდა რამდენიმე მსახური და ცოტა
სნის წინათ ცოცხალი, ახლა კი დაკლული და გატყავებული
ცხვრის სამწვადედ უვარებისი თავები ხალხს დაურიგა.

ხალხი უკვე დაშლას აპირებდა, რომ ერთმა მათგანმა
ცხვრის თავს დაპხედა და გაჭირვებულმა იყვირა:

— თავში ტვინი ამოულიათ!

აივნიდან მოისმა მეთაურის ხმა:

— მართალია... მაგრამ ტვინი თქვენ რად გინდათ? მისი
შეწყა თქვენ არ იცით, ტყუილად გააფუჭებთ!

ამ დროს მეორის წამოძახილიც მოისგა:

— ამ თავებში ენაც იღარ არის!

— ენა თქვენთვის საჭირო არ არის, — გაისმა მეთაურის
პასუხი, — თქვენ მის შექმას ერ მოახერხებთ!

— ამ თავებისათვის თვალებიც კი ამოუცლიათ, — წამოი-
ძახა მესამემ.

მეთაურმა მასაც უპასუხა:

— თქვენ ხომ არც კი იცით როგორ მოიხმაროთ ეგ თვა-
ლები, მაშ რაღად გინდათ...

ის იყო ხალხი წასვლა-წამოსვლას აპირებდა ტვინამოც-
ლილი, უნო და თვალებდათხრილი ცხვრის თავებით ხელში,
რომ ერთმა მათგანმა გაბრაზებით წამოიძახა:

— ასეთი თავი მე არ მშირდება! — რქებში მოჰკიდა ხელი

და ისროლა. და მაშინ მოხდა რაღაც განსაკუვითრებელი ამბავი: გაისმა ტკაცანი და კოშკი გაიბზარა. ხალხს სჯეროვდა, რომ შუშის კოშკი ურყევი და უძლეველი იყო და არ ეგონა, თუ ასეთი ფუუყე გამოდგებოდა. ამის მნახველთ სათითაოდ დაუშინეს ცხვრის მოჭრილი თავები და ბროლის კოშკი თვალის დახამხამებაში მტვრიად იქცა; ჩამოინგრა, ჩამოიშალა, შიგ მყოფნი შუშის ნამსხვრევებში მოისრისნენ; გადარჩა მხოლოდ ათიოდე კაცი, რომელიც იმ დროს კართან ახლოს იყვნენ.

ხალხმა მალე გაწმინდა იქაურობა შუშის ნამსხვრევებისა-გან და ისევ ძველ ყოფას დაუბრუნდა. მიხვდნენ, რომ უკოშკოდაც შეიძლებოდა ცხვრება. თავისი საქმე ისევ მისგან არჩეულ ხალხს ჩააბარეს, მაგრამ შუშის კოშკის უსიამოვნო მოგონება დიდხანს არ ამოშლიათ მეხსიერებიდან.

და როცა მოხუცები ბავშვებს უამბობდნენ ამის შესახებ, ასეთ დარიგებას აძლევდნენ ხოლმე:

— ფრთხილად იყავით, თავზე შუშის კოშკი არ დაიდგათ. მაგრამ თუ ვინიცობაა როგორლაც მოხდა ასეთი რამ, არ დაიჯეროთ, რომ ის ურყევი და უძლეველი იყოს. ხუთიოდე ცხვრის თავი კმარა იმისათვის, რომ ყველაზე უფრო დიდებული და გრანდიოზული კოშკიც კი ნაცარტუტად იქცეს.

1945

ლექცია

ერთი ჩვენი დიდი ქალაქის მახლობელ სოფელში აზალი სკოლა-ინტერნატი ინსტენგოდა. გახსნის ცერემონიალში მან-ქანების მთელი ქარავნით ჩამოვიდნენ განათლების დეპარტა-მენტის გამგე, ინსპექტორები, ქალაქის თავკაცები და სოფ-ლის „სპეციალისტები“. გზის აქტი-იქით ჩამწკრივებული სოფლელები დუმილით შეხვდნენ გოლფში გამოწყობილ, შავ-სათვალეებიან და კისერზე ფოტოაპარატჩამოკიდებულთა ჯგუფს. ჩამოსულნი-მაშინვე ახლად აგებული სკოლის წინ შეგ-როვდნენ მოედანზე და წრედ შემოერტყნენ ჯერ კიდევ პირლია კირის ორმოებს, საამშენებლო ფიცრების, სილისა და ხრეშის გროვებს. მათ უკან თავი მოეყარათ სოფლის მცი-რეწლოვან მცხოვრებლებს, რომელთაც დიდი ხანია სკოლაში სიარულის დრო დაუდგათ. ადგილობრივი მოსახლეობიდან აქ არავინ ჩანდა, გარდა რამდენიმე ქალისა, რომლებიც იქვე ახლომდებარე ბოსლებიდან იცქირებოდნენ. სტუმრებმ; ურთიმეორის მიყოლებით წარმოსთქვეს სიტყვები; ილაპარა-კეს წინ გადადგმული გიგანტური ნაბიჯების შესახებ, სოფ-ლის განათლებაზე, და ტაშიც დაუკრეს. სკოლის დათვალიე-რების დროც დადგა. მათ დაიარეს ინტერნატი, რომელშიც ჯერ კიდევ იღა კირის სუნი. განათლების დეპარტამენტის გამგემ ახსნა-განმარტება მისცა სტუმრებს შენობის ზოგიერ-თი ჩამონგრეული და დამსკდარი ადგილის შესახებ. მან თქვა, რომ შენობა საბოლოოდ არ არის ჯერ მიღებული და შეეც-დება ყველა ეს ნაკლი შეაკეთებინოს მენარდეს. — ეფენდი, — ამბობდა ის, — საზოგადოებრივ სამუშაოთა ინჟინრებს ვერა-ფერი შევაგნებინეთ; შეხედეთ ერთი, სკოლა ჯერ არ გახსნი-ლა და დერეფანში კი პარკეტი უკვე ამოცვენილია. შესამოწ-

მებლად მოსული ინკინრების შოხსენებაში ნათქვამი იყო, რომ
მუშებს უვლიათ ზედ ბევრი და ამიტომ ამოცვივდა, ათორებ
მენარდე არაფერ შუაშიაო. ხვალ მოწაფეებმაც უნდა იარონ
ზედ. ირბენენ კიდეც, აბა ხომ ვერ გადაფრინდებიან. ამ მე-
ნარდებს, ეფენდი, თავს ვერ ვაჩომევთ...

ჩამოსულებმა ათ წუთში კარგად დაათვალიერეს სოფე-
ლიცა და მისი მიღამოებიც. სოფლის „სპეციალისტები“ გზა-
დაგზა და ყავახანაში ესაუბრნენ რამდენიმე გლეხს. „სპეცია-
ლისტებს“ შორის ერთი ისეთიც იყო, რომელმაც რამდენიმე
წელი გაატარა პარაგვაიში სოფლის ცხოვრების შესასწავლად.
რს ტკბილი, ალექსიანი ხმით სხევადასხვა შეკითხვას აძლევდა
გლეხებს და არაფრის მთქმელ მოკლე პასუხებს იღებდა. ყო-
ველი ღონისძიების მიუხედავად, მათი საუბარი კითხვა-პასუხს
არ გასცილებია. „რა უცოდინარი და გაუგებარია ეს გლე-
ხი“, — ფიქრობდა შემქითხველი. გლეხს კი ის უკვირდა, რომ
ასეთ სულელურ შეკითხვებს აძლევდნენ. ასე შორდებოდნენ
ისინი ერთმანეთს.

ამასობაში სტუმრებს შორის მყოფმა ერთმა „ეკონომისტ-
მა“, რომელიც შეპყრობილი იყო სურვილით სამსახური გაე-
წია გლეხთათვის, გადაწყვიტა გამოეყენებინა თავისი ცოდნა
კონპერაციის დარღვი. — მშვენიერი შემთხვევაა, — მიმართა
შან განათლების დეპარტამენტის გამგეს და მასთან ერთად ჩა-
მოსულ მაზრის უფროსს, — ამათ ლექციას წავუკითხავ კოო-
პერაციის შესახებ.

თვით მას სჯეროდა, რომ მხოლოდ ამგვარ ამხანაგობებს
შეუძლია აამაღლოს მისი ქვეყნის კეთილდღეობა. „ეკონომის-
ტის“ წინადადების უარყოფა შეუძლებელი იყო:

— ძალიან კარგი იქნება... ჩენც გავიგებთ რაღაცას... —
გულწრფელად განაცხადეს მაზრის უფროსმა და განათლე-
ბის დეპარტამენტის გამგემ.

სამაგიტოდ არავის უკითხავს იმისი აზრი, ვისაც ძირი-
თადად უნდა მოესმინა ლექცია. სოფელში კაცი აფრინეს და
ხალხმა ახალი სკოლის ერთ ცარიელ საქლასო ოთახში მოიყა-
რა თავი. მომხსენებელმა კედელთან დაიყავა ადგილი, შეათა-
შაშა კისერი, ამოილო ცხვირსახოცი და სათვალის შეუშებს

ამოფარებული წირპლიანი თვალები ამოიწმინდა. გლეხები ჯერ კიდევ სველ, ცემენტის იატაკზე დასხდნენ. სტუმრები კედლის გასწვრივ ჩამწკრივდნენ.

— უკაცრავად, — მოხსენების დაწყებამდე გააფრთხილა „ეკონომისტმა“ მსმენელები, — თუ რაიმე გაუგებარი იქნა ჩემს სიტუვებში, მაშინვე მყითხეთ. — შემდეგ მოკლედ უამბო აუდიტორიას კოოპერაციის ისტორია და ორმოცი წუთი ისე ილაპარაკა, რომ აღარ გაჩერებულა. დროდადრო დაკვირვებით მიაცემოდებოდა მსმენელებს და ეკითხებოდა: — როგორ არის საქმე, გესმით თუ არა? — გლეხები თავს უქნევდნენ თანხმობის ნიშნად. ზოგი მათგანი კი — გავიგეთ, გავიგეთ, პასუხობდა... დამშვიდებული მომხსენებელი გახატობდა ლექციას; იგი ჩაფლული იყო იმ დიდი მეცნიერების ზღვაში, რომლის მცირედი ნაწილიც მიაწოდა მან თავის აუდიტორიას.

— რაც შეეხება საწარმოო კოოპერაციას... სამომხმარებლო კოოპერაციის მიმართ... რაც შეეხება კოოპერაციის გამაჯანსაღებელ ზეგავლენას ქვეყნის ეკონომიკურ სტრუქტურაზე... — ისმოდა მისი სიტყვები. იგი ყოველ მხრიდან უდგებოდა საკითხს და არ მოეშვებოდა, სანამ არ ამოწურავდა.

ბოლოს, პირში ნერწყვევამშრალმა და საქუთარი სიტყვიბით აღელვების გამო თვალცრემლიანმა, ასე დაამთავრა ლექცია:

— ასლა მითხარით, მეთანხმებით და კარგად გამიგეთ თუ არა? — ღრმა ძილიდან გამორკვეულივით შეინძრნენ გლეხები:

— ძალიან სწორი თქვი! ყველამ გავიგეთ, — უპასუხეს მათ მომხსენებელს და ტაშითაც დააჯილდოვეს. შემდეგ ყველა უცბათ წამოდგა ადგილიდან, ცალ მხარეს მიღვა და სტუმრებს გზა მისცა.

ოთახიდან გავიდა ყველა. დარჩა მხოლოდ ხუთიოდე გლეხი, მაზრის უფროსი და ქალაქიდან ჩამოსულთა შორის მყოფი ერთი ძველი სოფლის მასწავლებელი. ამ უკანასკნელმა ეჭვით სავსე თვალები მიაპყრო გლეხებს, რომლებიც ძირს იცქირებოდნენ დამნაშავეებივით.

— კაცო, რა გაიგეთ ამ ბატონის ნალაპარაკევიღდან? —
 ჰყითხა მან გლეხებს. გლეხებმა ხმაამოუღებლივ გადახედეს
 ერთმანეთს. მასწავლებლის გამბეღაობამ გაათამამა მაზრის
 უფროსი და მან ღიმილით მიმართა გლეხებს:

— მოდი, ძმაო, მართალი თქვით... მეც კი ვერაფერი გა-
 ვიგე და აბა თქვენ ჩინი გამგები იყავით!

ამ სიტყვებმა მსუბუქი ღიმილი მოჭიუინა რამდენიმე გლეხს
 სახეზე. ერთი შუა ხნის გლეხი მიუახლოვდა ახალგაზრდა მაზ-
 რის უფროსს და ხნიერ მასწავლებელს:

— თუ სიმართლე გინდა, ჩვენც ვერაფერი გავიგეთ, მაგ-
 რამ რა გვექნა, ეფენდი, მაინც მოვუსმინეთ!

— კარგი, მაგრამ, რატომ არ თქვით, არ გვესმისო, რამ-
 დენჯერ გითხათ საწყალმა კაცმა! — საყვედურით მიმართა
 მას მასწავლებელმა.

გლეხმა სერიოზული სახე მიიღო:

— გვაპატიეთ, ეფენდი! ვერ გავიგეთო, რომ გვეთქვა, მა-
 შინ ხომ თავიდან უნდა დაეწყო ყვილაფერი!



გელნიერი ძაღლი

რატომ ვწერ ყოველთვის უსიამოვნო ამბებს? მეგობრებს, გულჩვილ მეგობრებს არ მოსწონთ ეს. — განა ყველაფერს ცუდსა და მახინჯს ხედავ, განა ყოველთვის მშივრებზე, შიშვლებსა და გაქირებულებზე უნდა მოგვითხრო? — მეუბნებიან ისინი. — მაწანწალა ბავშვებზე, რომლებიც ლამ-ლამობით გაზეთებს ჰყიდიან და პაპიროსის ნამწვებს აგროვებენ; ადამიანებზე, რომლებიც ერთი გოჯი მიწისა და ერთი თუნგი წყლისათვის ხოცავენ ერთმანეთს; პატიმრებზე, რომლებიც სულს ღაფავენ ციხეებში და ემშვიდობებიან ამ ქვეყანას; ადამიანებზე, რომელთაც ექიმისათვის ვერ მიუგნიათ; სიმართლის მაძიებლებზე? ნუთუ არ დარჩა სხვა რამ დასაწერი, კარგი, ლამაზი?! რისგან არის, რომ შენს ნაწერებში ყველას ფერმკრთალი სახე აქვს, ყველა გულმოკლულია? ნუთუ ამ ქვეყანაზე არ არის ბირმცინარი, ბედნიერი ადამიანი?

განა შეიძლება, რომ სრულებით არ იყოს? უნდა დაქებნო, მიაგნო. ამისათვის საჭირო როდია ყველა კუთხისა და

მხარის დავლა. ყველაფერი აქვეა, თვალშინ. მარტო გრძელფელად პირმღიმარი ბედნიერი აღამიანები კი არა, ბედნიერი ძალუბიც კი არიან. მეც გადავწყვიტე ამჯერად მოგითხროთ არა შიმშილზე, ტანჯვასა და სიძულვილზე, არა მედ სიმშვიდეზე, კმაყოფილებასა და სიყვარულზე.

იმ უბანში, სადაც მე ვცხოვრობ, ქუჩები ფართოა და ასფალტით დაფარული. მწყობრად დარგული ფიჭვები, რომელთა თითოეული ძირის მოვლა უფრო ძვირი ჯდება, ვიდრე ღარიბი ბავშვის აღზრდა ლიცეიში, თუ ვერ უჩრდილებენ, სილამაზეს მაინც აძლევენ ქუჩას. დილაობით მდიდრულად ჩაცმული ახალგაზრდა დედები სხვადასხვა ფერის საბავშვო ურიკებით ქვაფენილზე ასეირნებენ თავიანთ ლოყაწითელ, ჯანსაღ, ზედმეტი მოვლისაგან სულელური გამომეტყველების მქონე ბავშვებს. ბავშვები აქეთ-იქით ისკრიან აბრეშუმის საბანზე დაყრილ ნაირ-ნაირ სათამაშოებს, ცალ ხელში საჩხარუნებელი უკავიათ, მეორეთი გრძელ საყვირს ეზიდებიან პირისკენ. მათ გვერდით უფრო მოზრდილი ბავშვები მიაბიჯებენ. ისინი რაღაცას უკვებიან დედებს და თან ხელით ათა-მაშებენ თავისივე ხუჭუჭა თმებს. ხანდახან თავს იყრის ხოლმე რამდენიმე ახალგაზრდა დედა. ბავშვებს ცოტა უკან მომავალ, სუფთად ჩაცმულ ძიძებს უტოვებენ და თვითონ კი ტკბილ საუბარში გართულნი ნელ-ნელა მიაბიჯებენ. ქუჩის პირას გაშლილ პატარა ბაღში ბავშვები ხელში ვეღროებითა და ნიჩბებით აშენებენ სასახლეებს, გაჰყავთ მდინარეები, და შემდეგ ერთი მუშტის დაკვრით ანგრევენ ყველაფერს. მოშორებით მდგარ სკამზე ზის თეთრქუდიანი გუვერნანტკა და რაღაც წიგნს კითხულობს უცხო ენაზე. თავსაფრიანი ქალი ატირებულ შვილიშვილს აწყნარებს. სხვა სკამზე კიდევ სამი-ოთხი ლამაზი შეხედულების დედა-ქალი რაღაცას ქსოვს და ჭორაობაშია გართული. ყველაფერი ისვენებს, ყველაფერს ნათელი ეფინება. ოღონდ უცხო რაღაც მოწყენილობის დაღი აზის ყველას სახეს. ერთი შეხედვით ეს არ ეტყობათ, მაგრამ თუ ყურადღებით დაკვირდით, იგი კარგად მოჩანს მშრალ სიცილში, მათი თვალების ცივსა და უგრძნობელ გამოხედვაში. მოლაპარაკეცა და მსმენელიც ისე გამოიყურებიან, თითქოს

იმ წუთში სხვა რაღაცაზე ფიქრობენ, მაშინ, როცა საერთოდ
არაფერზე ფიქრობენ. მაგრამ არავინ უჩივის ამას, მასთან არც
კი გრძნობენ უქმაყოფილებას. მათ შეუძლიათ იცინონ უმი-
ზეზოდ. მდგომარეობით კმაყოფილები რომ არც იყვნენ, მაინც
არ უნდათ შეიცვალოს მათი ცხოვრება.

ამ ქუჩაზე ერთი ახალგაზრდა, მოსული კაცი ყოველ დი-
ლით დაასეირნებდა პატარა ძალს. ამ კაცის ყავისფერი, ყე-
ლამდე შეკრული ტანისამოსი მეტყველებდა, რომ კარისკაცი,
კურიერი ან კიდევ მოსამსახურე უნდა ყოფილიყო მდიდარ
სახლში. ძალს ლია ყავისფერი ბეჭვი და გრძელი ყურები
მიწამდე ჰქონდა დაყიდებული. სიმაღლით მტკაველს არ აღ-
მატებოდა. სახტიანის საყელურზე სახტიანისავე თასმა ჰქონ-
და გამობმული და ჩუმად დააბიჯებდა ქვაფენილზე. კარის-
კაცი მის ნაბიჯებს უწყობდა ფეხს. ძალი რომ შეჩერებულ-
იყო, ისიც ჩერდებოდა. და გაპყვებოდა მაშინვე, როცა კი
ძალს მოესურებოდა განეგრძო გზა.

გრილ დლეებში ძალს კიდეებზე ლურჯ ყაითანშემოვლე-
ბული ყავისფერი შალის ლამაზი ჯუბა ეცვა. ჯუბას ფეხის
გასაყრელები ჰქონდა ამოჭრილი, მუცელზე იკვრებოდა და
ისე კოხტად ედგა ტანზე, რომ კარგი თერძის ხელიდან უნდა
ყოფილიყო გამოსული. ჯუბა ისე იყო გაწმენდილი, რომ სულ
ლაპლაპებდა, ძალის ბეჭვსაც კრიალი გაპერნდა მზეზე.

როცა ძალი გარკვეული საჭიროების გამო ხის ძირს
შიადგებოდა. გზის პირის, ეს ვეება·ვაკაცი, რომელიც ერთ
დღეში გაუჭირვებლად გათოხნიდა ათ ქცევა მიწას, უნდა
მდგარიყო დიდი მოწიწებით და მოეცადა, სანამ მისი ბატონის
ძალი თავის საქმეს მოათავებდა. შემდეგ კი ორივე მძიმე-
მძიმედ განაგრძობდა გზას. ეს ჯუბიანი ძალი არ ეხმაუ-
რებოდა გზაზე მიმავალი სხვა ძალების ყეფას; ვეება ძალ-
იც რომ მივარღნოდა საჩხუბრად და კბენა დაეპირებინა, ის
ურადღებას არ მიაქცევდა და გზას განაგრძობდა. მის ნაცვ-
ლად მსახური ერეოდა საქმეში, ყვიროდა, წინლებს იქნევდა.
თუ რამდენიმე ძალი დააპირებდა თავდასხმას, მაშინ მსახუ-
რი ხელში აიყვანდა ძალს და ჯუბასა და ბეჭვზე დამჯდარ
მტკერს მოაშორებდა. ამ დროს ძალის თვალებში იშკარა

შიში მოჩანდა, მაგრამ დარწმუნებული, რომ შორსაა ყრველ-
გვარი საშიშროებისაგან, ის ქვევით იყურებოდა და იღოვე-
ბოდა. მსახური კი შემინებული — ვაი თუ რამე ადგემოთა
ძალლსო, ყველაფერს უსინჯავდა მას.

ეს კაცი ერთხელ ყასაბთან ვნახე. მწერივად დაკიდებულ
ცხვრის შიგნეულს ათვალიერებდა; ბოლოს ერთი ნაჭერი მოა-
წონა:

— ეგ მიწონე, — უთხრა მან ყისაბს, ფული გადათვალა
და განაგრძო: — ვერ გამიგია, რატომ არ ყიდით ცალკე
ღვიძლს. ჩვენი ძალი ფილტვებსა და გულს არა ჭამს. ღვიძლ-
საც, კარგად რომ მოვუწვავთ, მაშინ ვაჭმევთ მხოლოდ. ერთი
ლუკა ფილტვიც რომ შეურიო, პირს არ მიაკარებს, ისევე
დატოვებს. მის კუჭსა წყენსო, გვითხრა ამას წინათ მოსულმა
ბეითალმა. ცხოველია, მაგრამ კეშა უკრის, სულ ცოტა საქონ-
ლის ხორცი რომ შეურიო საჭმელში, იმასაც კი მიხვდება.
ადამიანის კეშა რას მისწვდება ოლაპის საქმეებს. ვერ გაიგე, —
უყვირა მან ბიჭს, რომელიც ყველაფერს ერთად ახვევდა ქა-
ლალდში, — მაგას ნუ გაახვევ, ღვიძლი მომეცი ცალკე, დანარ-
ჩენი გადაყარე!

მსახურმა ხორცი წაიღო და გარეთ გავიდა.

ერთხელ, სხვა ღროს, ეს კაცი ყვავილების ვეება ბალის
ქარებთან ვნახე. ხელში თბილი და რბილი საბანი ეჭირა და
ის-ის იყო ავტომობილში აპირებდა ჩაჯდომას. შევამჩნიე,
რომ საბანში რაღაცა ინძრეოდა და ხმაც მომესმა. ველარ მო-
ვითმინე, მივუახლოვდი და ვკითხე:

— რა არის? ძალლს რამე მოუვიდა?

არა, — მითხრა მან და შემათვალიერა, — მაღლობა ღმერთს,
არაფერი ჭირს! დღეს რამდენჯერმე დაახველა. გაზაფხულო-
ბით ყოველთვის ახველებს, მაგრამ ქალბატონი შეწუხდა. სა-
ავადმყოფოში წავიყვან ერთი და ვაჩვენებ.

მსახური ფრთხილად ჩაჯდა ავტომობილში, რომ ძალლი
არაფრისთვის წამოედო. მანქანა სწრაფად გასცდა იქაურო-
ბას.

იმას წინათ ეს კაცი მაშინ დავინახე, იმავე ღიდი ბალის

კარებში რომ შედიოდა. ამჯერად მას მოჰყავდა ცხვირწა-
წვეტილი, გრძელ, თეთრბეჭვიანი ძალლი. მას ისეთიც ტანხაც-
მელში გამოწყობილი მეორე კაცი ახლდა.

ისევ დავინტერესდი:

— რა მოხდა? ძალლი გამოცვალეთ? — ტკითხე მე.

მსახურმა თვალი შემავლო. ვერ გაიხსენა თუ ვინ ვიყავი,
მაგრამ უპასუხოდ არ დამტოვა:

— გამოცვლა როგორ შეიძლება, — მითხრა მან, — შიგაა,
ხუხულაში. გესმით, ხმა მოდის.

დიდი სახლის ცოტა მოშორებით, მებაღის სახლისოდენა,
ღია მწვანედ შეღებილი მშვენიერი ხუხულიდან მართლაც
ნაწყვეტ-ნაწყვეტად მოისმოდა ძალლის ყეფა.

— როგორ მოხდა, — ვკითხე მე, — ოქვენმა ძალლმა ხომ
ყეფა არ იცოდა?

— ეჰ, ეგ ახლა... ძუს უხმობს, — თქვა მან, გაიცინა და მის
გვერდით მყოფს შეხედა: — წესია ასეთი, ცხოველიც ვერ იკა-
ვებს თავს; ძალიან გაუფუჭდა ხასიათი. ქალბატონმა მაშინვე
ბეითალთან აფრინა ავტომობილი, მაგრამ, ხომ ვთქვი, თურმე
ეს აწუხებდა... მერე კიდევ, ჩემი ძალლისათვის შესაფერის
მონახვა აღვილი არ იყო. უჯაშო ძალლთან არ შეიძლებაო, ხა-
სიათი გაუფუჭდებაო, — ქალბატონმა ბრძანა. ყველა საძლი
შემოვიარე, სანამ მის შესაფერს ვიპოვიდა, სული
ამომხდა.

მსახურმა მოისიდა თეთრბეჭვიანი ძალლი და განაგრძო: —
სამაგიეროდ შეხედეთ, მასავით ჯიშიანი ცხოველია. დგომაც
კი კეთილშობილური იქნება. ჩემი ბატონი ამისას მოელაპარაკა,
შესაფერად მიიჩნიეს. ხან მე წავიყვან იქეთ, ხან კი ეს მოი-
ყვანს.

მან იდაყვი გაპერა ბალის კარს და ამხანაგს მოუბრუნ-
და: — წამო, ვნახოთ, მოეწონებათ ერთმანეთი თუ არა?

ისინი ბალში შევიდნენ, თეთრბეჭვა მორთული ძალლი
ნება-ნება მიაბიჯებდა კეპლუცი პატარძალივით.

შე ძალიან მიყვარს ცხოველები. მიყვარს ყოველი სულიერი არსება, მიყვარს სიცოცხლე, სილამაზე, ბედნიერება, ბეღანიერი ძალლიც კი სიხარულით ავსებს ჩემს არსებას. იმიტომ როდი მოვსულვარ ამ ქვეყნად, რომ მწუხარებაზე მოგითხოთ. სულითა და გულით მინდა მხიარული ამბები გიამბოთ.

და თუ ჩემს თანამემამულეებს იმის მეათედი პატივი მაინც ხვდებათ, რაც ამ ძალს, მაშინ ნახეთ, თუ ერთი სიტყვა მაინც დავძრა მწუხარებაზე.

1946

საბაპტისტი ალი

(1907 — 1948)

საბაპტისტი ალი პროგრესული თურქული პროზის ყველაზე ცნობილი თეალტისტი წარმომადგენელია.

იგი დაიბადა 1907 წელს პატარა ქალაქ აივალიქში, ადრია-ტიკის ზღვის პირას. მწერლის მამა ალი სალაპატინი ოფიცერი იყო.

პირველდაწყებითი განათლება საბაპტისტი ალიმ ედრემით ში მიიღო, შემდეგ დამთავრა ბალიქესირის საშუალო სკოლა და სტამბოლის პედაგოგიური ინსტიტუტი. მომდევნო თრი წელი (1928-30) მომავალმა მწერალმა გერმანიაში გაატარა სწავლა-განათლების დასამთავრებლად.

საშობლოში დაბრუნებული საბაპტისტი ალი სამასწავლებლო მოღვაწეობას ჰკიდებს ხელს. იგი ასწავლის გერმანულს აიღინის, კონიისა და ანკარის საშუალო სკოლებში, მუშაობს მთელ რიგ სხვა დაწესებულებებში.

საბაპტისტი ალი სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა ლექსების კრებულით, რომელსაც „მთები და ქარები“ ეწოდებოდა. ეს იყო 1934 წელს. პირველ კრებულს თურქული ხალხური პოეზიის კვალი აჩნდა როგორც შინაარსის, ისე ფორმის თვალსაზრისითაც.

ნაზიმ ჭიქმეთი შემდეგნაირად ახასიათებს საბაპტისტი ალის პოეზიას: „ამ ლექსებში შეიმჩნევა ხალხური სიმღერებისა და ხალხური ლიტერატურის გავლენა. ბევრი მათგანი შეიყვარეს თურქეთის უბრალო მშრომელებმა, რომელთაც საბაპტისტი ალის სახით დაინახეს ხალხის ახლობელი პოეტი“.

ლექსების მათგანი შეიყვარება მოთხოვნების რამდენიმე

კრებული: „წისქვილი“ (1935), „ურემი“ (1936), „ხმა“ (1937), „ახალი სამყარო“ (1943) და „შუშის კოშკი“ (1947), რომელიც მაც მას სოციალური ნოველის დიდი ოსტატის საქვეყნო სახელი მოუპოვეს.

ნაზიმ პიქეთი წერდა: „მე მგონი, თურქულ მოთხრობაში საბაჟათინ ალი სოციალისტური რეალიზმის მახარობელია და ვინც მის შემდეგ შეკვერის ჩვენს ლიტერატურაში სოციალისტური რეალიზმის ამსახველ ნიმუშებს, ბევრი რამით იქნება მისგან დავალებული“.

საბაჟათინ ალის შემოქმედების მთავარ თემას წარმოადგენს თანამედროვე თურქული სოფლის ცხოვრება, ქალაქების მშრომელი მოსახლეობის ყოფა.

გარდა საყოველთაოდ ცნობილი მოთხრობებისა, საბაჟათინ ალის კალამს ეკუთვნის რამდენიმე ფართოდ ცნობილი რომანი: „პურუჯაყელი იუსუფი“ (1937), „ეშმაკი ჩვენს შიგნით“ (1940) და სხვ.

ალსანიშნავია, აგრეთვე, საბაჟათინ ალის პუბლიცისტური მოღვაწეობა. იგი აქტიურად გამოდიოდა პროგრესული გაზე-თების ფურცლებშე, მუდამ იბრძოდა რეაქციული მმართველი წრეების წინააღმდეგ, იბრძოდა დემოკრატიისათვის, ნაციონალური დამოუკიდებლობისათვის, მშეიდობისათვის, იმპერიალიზმის წინააღმდეგ. ამის გამო ხელისუფალნი მუდამ სდევნიდნენ მას: ასამართლებდნენ, ციხეში სვამდნენ, მაგრამ საბაჟათინ ალი სულ უფრო მეტი ენერგიით ილაშქრებდა რეაქციის წინააღმდეგ.

იმპერიალიზმის მსახურებმა ბოლოს მაინც ჩამოიშორეს გზიდან თურქული ნაციონალური კულტურის სიამყე, თურქეთის დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის გაბედულად მებრძოლი მწერალი — 1948 წლის აპრილში დაქირავებულმა მკვლელმა კარაბაირის ტყეში მუხანათურად ზურგში დანა ჩასცა საბაჟათინ ალის.

მაგრამ საბაჟათინ ალი — ქედუხრელი მებრძოლი თავისი ხალხის ინტერესების დასაცავად — დღესაც ცოცხლობს თავისი მკითხველების გულში.

১০৮৩০৯০

1. ၄၁၂၅ — ქალაქი, ნიგდეს ვილაიეთის ოდმინისტრაციული ცენტრი, შდებარეობს სამხრეთ თურქეთში.
 2. სირქე ჯი — უბანია საკუთრივ სტამბოლში.
 3. ანტოლია — თურქეთის აზიურ ნაწილს ეწიდება.
 4. ბორი — ქალაქია ნიგდეს სამხრეთ-დასავლეთით, ნიგდე-ულუკიშლას რკინიგზის ხაზზე.
 5. კაისერი — კაისერის ვილაიეთის ოდმინისტრაციული ცენტრი, ანატოლიის ცენტრალურ ნაწილში მდებარეობს.
 6. პაილარ ფაშა — უბანია სტამბოლის ანატოლიურ ნაწილში. ანატოლიაში მიმავალი რკინიგზის სადგური.
 7. აზრალი — საკედლილის ანგელოზი შესლიმანებთან.
 8. ეფენდი — ბატონი. მიმართვაში ნიშანას — „ბატონ“.
 9. ვილაიეთი — ოდმინისტრაციული ერთეულია თურქეთში, დაახლოებით გუბერნიას უდრის.
 10. პარისი (პერის) — სახელწოდებაა, ნიშანას „ოქროს ჩქას“) — ყურე, რომელიც ბოსფორის სრუტიდან შეკრილია ხმელეთში და რუმელის სტამბოლს ორ ნაწილად ჰყოფს.
 11. ფანდიქლი — პატარა ქალაქია მარმარილოს ზღვაზე.
 12. ბართანი — პატარა ქალაქია ზევ ზღვაზე.
 13. სარაიბურნუ — უბანი საკუთრივ სტამბოლში, ბოსფორის სრუტეში.
 14. კიშიკულესი — „ქალწულის კოშეი“ (სტამბოლში).
 15. ჩილი — სოფელი მდინარე მენდერესის პირას, დასავლეთ ანატოლიაში.
 16. ეფე — ზეიზექების, დასავლეთ ანატოლიელი მთიელების მეტასტელია.
 17. იზმირი — იზმირის ვილაიეთის მთავარი ქალაქია. შდებარეობს თურქეთის დასავლეთ ნაწილში, ეგეოსის ზღვის პირას, იზმირის უბის სიღრმეში. 1950 წლის ცნობით ქალაქის მოსახლეობა 231 ათას კაცს უდრიდა. იზმირი ტვირთშიდვის მიხედვით მეორე და მთავარი საექსპონტო ნაციადგურა თურქეთში.
 18. დანიშლი — დანიშლის ვილაიეთის ოდმინისტრაციული ცენტრი,

შდებარეობს თურქეთის დასაცლეთ ნაწილში. 1945 წლის ცნობით ქალები
მოსახლეობა 20 ათას კაცს უდრიდა.

19. ბერები კი ას — ტბი — თურქეთის სამხრეთ-დასაცლეთის შდებარეობს, ქალაქ კონიის დასაცლეთით.

20. კონიის ვილაიეთის აღმინისტრაციული ცენტრი. 1950 წლის ცნობით მოსახლეობა 64 ათას კაცს უდრიდა. შდებარეობის თურქეთის ცენტრალური ნაწილის სამხრეთით, კონიაში თავს იყრის რამდენიმე შარაგზა და სამხრეთ-დასაცლეთიდან ჩრდილო-დასაცლეთით მიმავალი რეინიგზის ხაზი.

21. დედექტიონი — სოფლის სახელშოდებაა.

22. კურუში — ქართულში „ყურუშის“ სახელითაა ცნობილი. წერილი ფულია, დაახლოებით კაპინახვარს უდრის.

23. კამია კამი — მიზრის უფროსი.

24. შედერი — ქალაქია აღმანეთში.

25. უდი — ჩონგურის მსგავსი ხალხური საკრავა.

26. ედრეშითი — ქალაქია ანატოლიის ჩრდილო-დასაცლეთ ნაწილში, ბალიქესირის ვილაიეთში.

27. ნამიკ ქემალი — მე-19 საუკუნის თურქი მწერალი და საზოგადო მოღვაწე.

28. იუზი უმაუ — მდინარის სახელშოდებაა.

29. კავკავი — ყავახანის პატრიონი.

30. ათმაჯა — შევარდენი; აქ ვაეს საკუთარი სახელია.

31. ქოფრაუქითი — სოფლის სახელშოდებაა.

32. ბეზიქი — ქალალდის თამაშის ერთ-ერთი სახეობა.

33. ილდიშელი — პატარა ქალაქი სივასის ვილაიეთში.

34. სივასი — სივასის ვილაიეთის აღმინისტრაციული ცენტრი; მდებარეობს მდინარე კიზილ-ირმაკის ზემო წელში. სივასშე გადის არზირუმილან სამსუნი მამავალი რეინიგზა. აქვე იყრის თავს რამდენიმე შარაგზა.

35. ერბა — სამაზრო ქალაქია თოკათის ვილაიეთში.

36. თურქილი — ქალაქია თოკათის ჩრდილოეთით.

37. ტავრი — მთანეთი თურქეთის სამხრეთ ნაწილში.

38. ბეზიქთაში — უბანი სტამბოლის ევროპულ ნაწილში (რუმელიაში).

39. შილე — სამაზრო ქალაქია სტამბოლის ვილაიეთში, შავი ზღვის პირას.

40. იქორილლუ — იუმრისისტული უცრნალის სახელშოდებაა.

41. ჰაფიზი — კაცი, რომელმაც მთელი ყურანი ზეპირად იცის.

42. ისკანდერლუნი — ისქენდერლუნი ანუ ალექსანდრეტა — ნაციადგრალია ხმელთაშუა ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში, ისქენდერლუნის უბეში.

43. ვირა! მანა! — ასწი! დასწი! (გემების დატვირთვა-გადმოტვირთვისას).

44. კონისამენტი — დოკუმენტი საფაქტო გეშით გაგზავნილი საქონლის რაოდენობის, ხარისხის, წინისა და სხვათა შესახებ.
45. ჩირკენი — მექანიკოსი, მემანინე.
46. დორთილი — სამაზრო ცენტრია პათაის ვილაიეთში.
47. ბაზეკაფი — უბანია სტამბოლში.
48. ბაიბურთი — სამაზრო ქალაქია გიუმუშხანეს ვილაიეთში, მდინარე ჭოროხის ნაპირას.
49. ბალიქესირი — ბალიქესირის ვილაიეთის ადმინისტრაციული ცენტრია; ანატოლიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდებარეობს.
50. ვენემენი — პატარა ქალაქია იზმირის ჩრდილო-დასავლეთით.
51. ბალი — სამაზრო ცენტრია ბალიქესირის ვილაიეთში.
52. კათოლიკე — მკვდელი.
53. აღაბენი — უფროსი ძმა; უცხოსადმი მიმართვის დროსაც ისმარება ხოლმე.
54. ბურსა — ბურსას ვილაიეთის ცენტრი; მოსახლეობა 86 ათას კაცს უდრის; მდებარეობს ოტრქეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში.
55. აკსართი — უბანია სტამბოლში.
56. ბაიეზითი — მოედანია საკუთრივ სტამბოლში.

	83.
თარგმელი	3
თეთრი გემი	23
უანდარმი ბექირი	33
თანამისაზრე	39
არხი	44
ერთი ტყის აშავი	49
მტერი	56
მოხეტიალე დასი	68
ორი ცოლი	86
წისქვილი	94
ცხელი წყალი	107
დაბადების მოწმობა	112
„სიცოცხლის შესწელი“	116
კედელი	128
ძაღლი	136
თეალის ოპერაცია	147
მანქანის მძღოლი	154
ფორთოხალი	161
კაცის მკვლელი ასმანი	174
მგელი და კრავი	183
ზღაპარი ცხერების შესახებ	198
შუშის კოშკი	203
ლექცია	210
ბეღნიერი ძაღლი	214
საბაჟათინ ილი	220
შენიშვნები	222

რედაქტორი ც. ჩხეიძე

მხატვარი დ. ნოღა
 მხატვალი რედაქტორი გ. გორგელაძე
 ტექნიკური ან. ლვინიაშვილი
 კორექტორი ლ. არეშეიძე

გადაეცა წარმოებას 4/VII-56 წ. ხელმოწერილია
 დასაბეჭდიდ 17/VII-57 წ. ანაწყობის ზომა
 $5,5 \times 9$. ქაღალდის ზომა 84×108 . ნაბეჭდი
 თაბაზი 14,5. ტირაჟი 10,000 შეკვ. № 405.

საქართველოს სსრ კრესტორის სამინისტროს
 მთავარპილიგრაფგამომცემლობის ბეჭდვითი სიტყვის.
 კომბინატი. თბილისი, მარჯავანიშვილის ქ. 5.

*

Комбинат печати Главполиграфиздата
 Министерства культуры Грузинской ССР.
 Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.



Сабахаттин Али

Волк и овца

(Новеллы)

(На грузинском языке)

Госиздат Грузинской ССР

Тбилиси

1957

